

ლატიფშავაჭ ბარათაშვილი

# სოფელი უდე

ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა

1943 - 1944 წლები



თბილისი  
2019

ლატიფშავაჭ ბარათაშვილი

# სოფელი უღე

ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა

1943 წ. სექტემბერი - 1944 წ. სექტემბერი



გამომცემლობა “მწიგნობარი”  
თბილისი - 2019

**წიგნი გამოცემულია ლატიფშაჲ ბარათაშვილის შვილების და  
შვილიშვილების მიერ და ვრცელდება როგორც საჩუქარი მისი  
სსოვნის საპატივცემლოდ**

რედაქტორი:

კამილა მარიამ კორინთელი

ტექნიკური რედაქტორი:

ლიდია ბარათაშვილი

დიზაინერი:

თეიმურაზ ბარათაშვილი

ციგნის მუშაობენი:

თამარ ბარათაშვილი

მარატ ბარათაშვილი

თამარა ბარათაშვილი

ეკატერინე ჯამალაშვილი

სიმღერების ტესტის თარგმნა: კამილა მარიამ კორინთელი

ილუსტრაციები და ნახაზები შესრულებულია ავტორის მიერ

დახმარებისათვის მადლობას ვუხდით:

მამა ტიმოთე ჩილაშვილს,

ნურიდინ ხოსაძეს,

ალექსანდრა თევზაძეს,

მარიამ შაუთიძეს,

ზურაბ ბარათაშვილს

ISBN 978-9941- 485-56-5

© საავტორო უფლებები დაცულია.

## ცოტა რამ ავტორზე და მის გარემოზე

1944 წლის 15-16 ნოემბრის ღამეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა მთავრობამ განახორციელა ერთ-ერთი სასტიკი აქცია, რომელსაც მოჰყვა მძიმე და გამოუსწორებელი შედეგები საქართველოსთვის. ლაპარაკია მესხეთიდან ქართველი მუსლიმანების მასიურ გასახლებაზე. მოსახლეობა, გაოგნებული გლეხები, რომლებსაც საჭირო ნივთების ჩაღაებაც არ აცალეს, ჩაყარეს სატვირთო ვაგონებში და წაიყვანეს შუა აზის უკაცრიელ ცივ ტრამალებში. ბრალი არ წაუყენეს. არც ერთ კითხვაზე დღემდე არ არის გაცემული მკაფიო, გარკვეული პასუხი.

გასახლება ანუ დეპორტაცია გრძელდებოდა თორმეტ წელს - 1956 წლამდე, როცა მოიხსნა კომენდანტის საათი და გატანჯულ ხალხს გამოუცხადეს, რომ შეუძლიათ იცხოვრონ საბჭოთა ქვეყნის ნებისმიერ ადგილას, ოღონდ საქართველოს გარდა. სამშობლო ისევ მიუწვდომელი, დაკარგული დარჩა.

გადასახლებულთა შორის იყო ერთი ადამიანი, რომელიც მიუხედავად ყველაფრის, იმის მიუხედავადაც კი, რომ სახლში, სოფელ უდეში მარტო დარჩა მისი საყვარელი ცოლი, - ის იყო ქრისტიანი და გასახლებას არ ექვემდებარებოდა, - ეს ადამიანი არ კარგავდა რწმენას, რომ რაკი პარტიამ ასე გადაწყვიტა, ასეა საჭირო. ის მუშაობდა იქაურ სკოლაში და ამასთან ერთად - თავის კვლევითი მასალებზე. ეს ადამიანი იყო ლატიფშაჲ ბარათაშვილი.

ძლიერი ნებისყოფის, მიზანმისნრაფული, ნიჭიერი, შრომის-მოყვარე და შრომისუნარიანი ადამიანი იყო ლატიფშაჲ ბარათაშვილი, მიდევა და საქმის გამტანი, და ყველაფერ ამასთან ერთად პატიოსანი, სიმართლის მოყვარული და პრინციპული.

ის დაიბადა 1907 წლის 4 ოქტომბერს. ლატიფშაჲის მამა, მახსუდ ბარათაშვილი და დედა, გულანდარ ათაძე, ორივენი ძირძველი უდელები, წმინდა წყლის ქართველები, თავის დროზე მიიღეს ისლამი და ბავშვებსაც მუსლიმანებად ზრდიდნენ, მაგრამ - ქართველებად. მრავალშვლიან ოჯახში ლატიფშაჲი იყო უფროსი ვაჟი.

ბავშვობიდან დიდ მიდრეკილებას სწავლისადმი იჩენდა და ამიტომ მამის სურვილით ლატიფშაჲი სასწავლებლად მიაბა-

რეს უდეში არსებულ ერთადერთ სკოლას, ის კი მუსლიმანური იყო. მენშევიკური მთავრობა როგორც მოვიდა თავიდანვე შე-ეცადა მუსლიმანი მესხების შემობრუნებას საკუთარი ქართული კულტურისაკენ და მაშინათვე დაიწყეს ქართული სკოლების გახსნა. უდეშიც გაიხსნა ქართული სკოლა, და ლატიფშაჲი, მამის სურვილის თანახმად, შევიდა ამ ქართულ სკოლაში. იმავდროულად, ასევე მამის სურვილით, დადიოდა მუსლიმანურ სასწავლებელში. ცოტა ხანში ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა და-ხურეს ორივე სკოლა. მაგრამ ლათიფშაჲი ბიძის დახმარებით გაემ-გზავრა ფოცხოვში (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია) და შევიდა სკოლა-ინტერნატში. შემდეგ, როცა უდეში მუშა-ახალგაზრდობის სკოლა გაიხსნა, ლატიფშაჲი დაუბრუნდა მშობლიურ საფელს და გააგრძელა სწავლა ამ სკოლაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ლატიფშაჲმა ჩააბარა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ქართულ სექტორზე. სტუდენტობის დროს გაიც-ნო თავისი მომავალი ცოლი - ისიც სტუდენტი ზინა გიგინეიშვილი. სამწუხაროდ, მათი ძლიერი სიყვარული დამთავრდა ტრაგიკულად - გასახლებისას ზინა ვერ გაყვა საყვარელ მეულლეს. დიდი განცდის და წუხილის შედეგად ზინა გარდაიცვალა. ამ ქორწინებაში ლატიფ-შაჲს შვილი არ ჰყოლია. დროის შემდეგ ლატიფშაჲი მეორედ და-ქორწინდა რაისა ხაირულინაზე. ეს ახალგაზრდა ქალი მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად ერთ-ერთ სკოლაში იმ რაიონის, რომლის ინსპექტორი იყო ლათიფშაჲი. მათ შეეძინათ ოთხი შვი-ლი - ორი ვაჟი მარატი და ბარათი, და ორი ქალიშვილი - თამარი და კლარა. მარატი ოჯახით და თამარი ამჟამად თბილისში ცხოვრობენ. კლარაც ცხოვრობდა თბილისში და, სამწუხაროდ, თბილისშივე გარდაიცვალა. ბარათი ოჯახთან ერთად ცხოვრობს რუსეთში.

ლატიფშაჲ ბარათაშვილი იყო მესხების აღიარებული ლიდე-რი. 1956 წლიდან სპეცგადასახლებულთა სტატუსის მოხსნისთა-ნავე მესხები იწყებენ ბრძოლას სამშობლოში დასაბრუნებლად. ისინი ქმნიან ჯგუფს, რომელსაც სათავეში ლატიფშაჲ ბარათაშ-ვილი უდგება. 1962 წელს გადასახლებული მესხები თბილისში აარსებენ “დროებით კომიტეტს”, რომლის თავჯდომარედ ლ. ბა-

რათაშვილი აირჩიეს. მესხების დიდი ნაწილი მიიღოფილი იყო აღკვეთილი, სახლდებოდნენ მის სიახლოეს: აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში. ლატიფშაჲ თავისი ოჯახით ჯერ დასახლდა აზერბაიჯანის საათლის რაიონში, მერე კი პატარა ქალაქში მინგეჩაურში (ამჟამად მინგეჩევირი). იქ ის მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად. თავის მოსწავლეებთან ერთად ახორციელებდა არქეოლოგიურ გათხრებს. ამ გათხრებში აღმოჩენილი ექსპონატების საფუძველზე შეიქმნა ქალაქის პირველი ისტორიული მუზეუმი და ლატიფშაჲი გახდა მისი პირველი დირექტორი. მინგეჩაურში ის ცხოვრობდა თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე, სიცოცხლის ბოლომდე, 1984 წლის 16 ნოემბრამდე. ლატიფშაჲ ბარათაშვილი ვერ ეღირსა დასაფლავებას მშობლიურ ქართულ მიწაზე - ის დაკრძალულია აზერბაიჯანში - მინგეჩაურში. ასე გარიყა საქართველომ თავის თავდადებული შვილი.

უდეს მაჰმადიანები თავს ქართველებად მიიჩნევდნენ. ასევე უდეს კათოლიკები მათ ქართველებად თვლიდნენ. როგორც თურქების, ასევე რუსების მიერ შედგენილ მესხეთის მოსახლეობის აღნერებში მესხეთის მუსლიმანებს უწერიათ: ქართველი სუნიტი. “თურქი-მესხი”, როგორც ხშირად გვესმოდა და გვესმის, არის გამოგონილი, არარსებული ეროვნება, ტერმინი, რომელიც შემოღებული იყო სპეციალურად იმისთვის, რომ გაუნათლებელ, უვიც გლეხებს სული და გონება აერიათ და დაეკარგათ ეროვნული თვითშეგნება. მინდა აღვნიშნო ერთი დეტალი: უდეს კათოლიკური ტაძრის (აშენდა 1909 წელს) სამხრეთ კედელზე არსებობს წარწერა ქართულ ენაზე: „უდეს არის კათოლიკები 2120 სული მაშენებელნი ამ საყდრისა, მაჰმადიანები 520 სული. ორივ ტომით ქართველნი: ღვთისმშობელო შენ გნირამთ ჩვენ შრომასა“.

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ ეს არის საოცარი და ბევრის მთქმელი წარწერა, რომელიც ნათელს ჰქონდა თუ რა ძლიერად იყო გამჯდარი მესხეთის მკვიდრთა სულში და გონებაში მათი ეროვნული ერთობის შეგრძნება, იმდენად შესისხლ-ხორცებულია იმის განცდა, რომ ყველა ისინი, ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც, ერთი ძირიდან მოდიან, ქართველობიდან მოდი-

ან, რომ სწორედ ამიტომ აღმსარებლობის სხვადასხვაობა უკან იხევს. არის ამ წიგნში ერთი ძალზე დრამატული და უაღრესად ამაღლებული ეპიზოდი: თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს, როგორც ყოველთვის ხდება, ქართველი მაჰმადიანები თავიანთ სახლებში იფარებდნენ ქართველ ქრისტიანებს, ისევე როგორც სხვა ვითარებაში ქრისტიანები თავიანთ სახლში ფარავდნენ მუს-ლიმანებს. ლატიფშაჲ ბარათაშვილის სახლში იმჯერად გადამალეს ახალგაზრდა ყმანვილი, ქრისტიანი. ეგ ამბავი გამოაშკარავ-და და თურქები შეიჭრნენ სახლში. მოითხოვეს ბიჭის გაცემა. მა-შინ დედამ, გულანდარ ათაძემ, თავისი შვილები - უფროსი ვაჯი ლატიფშაჲი და მისი და მიუგვარა და უთხრა: თუ ჩემს სახლში კა-ცის მოკვლა აუცილებელია, აი ჩემი ბავშვები, ესენი შემინირებია, ყმანვილი კი უნდა გვაჩუქოო. თურქი მეომარი შეცბა, გაოგნდა. ის შეეჩება ისეთ რამეს, რაც იყო უცხო, უცნობი და სრულიად გა-უგებარი მისთვის. უდესთვის კი ეს არც უცხო, არც გაუგებარი იყო. აი ასეთ სამყაროში, რომელიც მუდამ დანის წვერზე ატარებ-და და გამოცდას უწყობდა ადამიანებს, აღიზარდა ლატიფშაჲი.

ის, რომ ლატიფშაჲ ბარათაშვილი იყო თავისი ქვეყნის, საქარ-თველოს და მესხეთის პატრიოტი, კარგად ჩანს მისივე ნაშრო-მებიდან. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ლატიფშაჲი დეპორტაციის მძიმე პირობების მიუხედავად აგრძელებდა თავის პროფესიულ მუშაობას მესხეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე. გასახლე-ბის დამეს მან მოასწრო და თან გაიყოლა მისთვის ძვირფასი მისი უდელი მოსწავლეების მიერ შედგენილი გვარების გენეოლოგი-ები, ისევე როგორც საკუთარი ხელნაწერები, რომლებიც დღეს უკვე საქართველოს წიგნებად დაუბრუნდა. ამჟამად გამზადე-ბულია გამოსაცემად მისი ხელნაწერები: “მესხეთ-ჯავახეთის მუსლიმანი ქალების სამკაულები”, “მესხეთ-ჯავახეთის მუსლი-მანი ქალების თავსაბურავები”, “ქალის ტანისამოსი მესხეთში”, “მუსლიმანი მესხების ფოლკლორი”. გამოსაცემად მზადდება “ქ.მინგეჩაურის და მისი მიდამოების ტოპონიმიკა” (აზერბაიჯა-ნი, აზერბაიჯანულ ენაზე). უკვე გამოცემულია შემდეგი ნაშრო-მები: “მესხ მუსულმანთა საქორწილო ადათ-წესები, ბავშვების თამაშები” - აჭარის სახ. მუზეუმის მეცნიერულ ნაშრომთა კრე-

ბულში, 1966 წელი; “მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან” - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრებულში “მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის”, 1966 წელი. საქართველოს მუზეუმებში დაცულია: აჭარის სახ. მუზეუმში “ადიგენის რაიონის ტოპონიმიკა და ეთნოგრაფია” - ინახება 1960 წლიდან, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში “სოფელ უდეს ტოპონიმიკა და ეთნოგრაფიის ზოგი მასალა” ინახება 1962 წლიდან. მისი მასალები (ხელნაწერები) მესხთა შესახებ უნიკალურია და დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ისტორიული მეცნიერებისთვის.

ჩვენ დიდი სიფრთხილით მოვეკიდეთ ლატიფშაჲ ბარათაშვილის შესანიშნავ ნაშრომს “სოფელ უდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერა”. არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ეს წიგნი გამოირჩევა არა მარტო თავისი შინაარსით და წარმოადგენს მეცნიერული ნაშრომის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, არამედ, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, იგი დაწერილია მშვენიერი ქართული ენით, იმ ენით, რომელზე ლაპარაკობდნენ სოფელ უდეში. ჩვენ შევინახეთ ყველა სიტყვა თუ გამოთქმა, დამახასიათებელი უდელების კილოკავისთვის, მაგალითად, “მუსლუმანი”, “უნცროსი” და ა.შ. წიგნში შესულია ავტორის ნახატები - ეს ნიჭიც ჰქონია ლატიფშაჲს, რომელიც იყო არა მარტო თავისი პროფესიის ჩინებული მცოდნე, არამედ ფლობდა რამოდენიმე ენას (მშობლიურ ქართულს, თურქულს, აზერბაიჯანულს, არაბულს, რუსულს და უზბეკურს), რაც იმ დროისთვის არც ისე ხშირი ამბავი ყოფილა.

და ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ მე მოხარული ვარ იმით, რომ მქონდა პატივი მემუშავა ლატიფშაჲ ბარათაშვილის ამ წიგნზე. ამავდროულად მადლობას ვუხდი ჩემთვის ძალიან ძვირფას და საყვარელ ბარათაშვილების ოჯახს, რომელსაც ვიცნობ უკვე რამოდენიმე ათეული წელია, და რომელთანაც ასე ხმაშეტკბილებულად ვმუშაობდით მათი ღირსეული მამის წიგნზე.

კამილა მარიამ კორინთელი

1940 წლის ზაფხულში, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გავიცანი კაცი, რომელმაც ამისსნა, რომ სოფ. უდე არის საქართველოს უდიდესი, უძველესი ქრისტიანული და მუსულმანური მოსახლეობით დასახლებული სოფელი და საჭიროა გაკეთდეს ამ სოფლის ეთნოგრაფიულ-ისტორიული აღნერა. აი, ამ ახლად გაცნობილმა მეგობარმა მომცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ რეკომენდირებული, 36 მუხლისა-გან შემდგარი “სოფლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული აღნერის პროგრამა”. როგორც შემდეგში გამოიკვა, ეს დავალება და პროგრამა მიმიღია აკადემიკოს ჩიტაიას დავალების საფუძველზე. შევუდექი მუშაობას, მაგრამ არც ისე ადვილი ყოფილა საამისო მასალების შეგროვება. აუცილებელი გახდა მრავალი დღე-ების დახარჯვა ისეთ მოხუცებთან საუბრისათვის, რომლებსაც, ცოტა თუ ბევრად, გაგონილი აქვთ სოფ. უდის ისტორია. საამისოდ, ჩემს მხრივ, მადლობის ღირსნი არიან: ჭალარა ჩაუშოდლი ტეპკა - გზირიშვილი სტეფანე, ბოჩიკაანთ პიკაი - ბოჩიკაშვილი სტეფანე, აზირაანთ მენისქვილე პაპაი - აზირაშვილი პავლე, ჯავახულაანთ ანტონაი - მერაბიშვილი ანტონ.

სოფ. უდის გვარების გენეოლოგიების შედგენაში საუკეთესო დახმარება აღმომიჩინებს სოფ. უდის საშუალო სკოლის IX-X კლასების ჩემმა მონაცემებმა. 1941-1943 წლებში ამ საგანზე მუშაობამ იმდენად ნაახალისა IX-X კლასების მოსწავლეები, რომ თვით დაიხუს საკუთარი გვარების გენეოლოგიების შედგენა. მე კი, მიხდებოდა ამავე მასალების შედარება და დაზუსტება. საკუთარ გვართა გენეოლოგიების სქემების საკუთარ ოთახებში დაკიდვა მოდად იქნა შემოღებული.

## სოფლის მდებარეობა

საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის უდიდესი სოფელი უდე იმყოფება რაიონის სამხრეთ აღმოსავლეთით, მდ. ქობლიანის სამხრეთით - სამხრეთიდან ჩრდილოეთით დაქანებულ ფერდობზე. სოფლის ჩრდილოეთი მხარე მდ. ქობლიანამდე ოდნავ დაქანებულ ვაკეს წარმოადგენს, სადაც იმყოფება ამავე სოფლის შოთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის საუკეთესო ხოდაბუნი მიწები და ხეხილის ბალები, რომელიც ცნობილია საქართველოში.

სოფ. უდე მდებარეობს ბორჯომის სამხრეთ-დასავლეთით, მანძილი მათ შორის 70 კილომეტრს უდრის. სოფ. უდის ჩრდილო-აღმოსავლეთით 18 კილომეტრში მისგან მდებარეობს ქალაქი ახალციხე. ზეკარის გადასავალით უდედან ქუთაისამდე 103 კილომეტრია, ხოლო გოდერძის გადასავალით ქ.ბათუმამდე - 160 კილომეტრია. სოფ. უდე საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარიდან 5 კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი ქვედა, ანუ ჩრდილოეთი ნაწილი ზღვის დონიდან 1200 მეტრზეა განლაგებული; ზედა, სამხრეთი ნაწილი კი - ზღვის დონიდან 1350 მეტრით მაღლაა.

სოფ. უდის აღმოსავლეთით მდებარეობს ორი სოფელი: მდ. ქობლიანის ორივე სანაპიროს მფლობელი, კათოლიკებით დასახლებული არალი და მისი სამხრეთით, მუსლიმანებით დასახლებული სოფ. წარბასთუბანი. თვითეული მათგანი უდიდან 4-4 კილომეტრითაა დაშორებული, ურთიერთშორის მანძილი კი 1,5 კილომეტრია. სოფ. უდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სოფ. მარელი, რომელიც უდიდან 3 კილომეტრითაა დაშორებული. მარელის დასავლეთით მდებარეობს უდის მეზობელი სოფ. ქვედა წყისე, რაც უდიდან დაახლოებით 3 კილომეტრითაა დაშორებული. უდის სამხრეთ დასავლეთით, 4 კმ სიშორეზე მდებარეობს სოფ. ზაზალო. ზაზალოსა და ქვედა წყისეს შორის მდებარე ე.წ. აუზის ფერდობების კლდეებიდან გამოდის სოფ. უდის სასმელი წყალი (ამაზე ქვემოთ). უდის დასავლეთით, 1 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს სოფ. ხურო. ხუროს დასავლეთით, ღორ-

ძისა და სამყვრეს შემდეგ, სოფ. უდის დასავლეთით მეზობელი სოფელი არის კახარეთი. უდის მიწა-წყალი მდ. ქობლიანის გაყოლებით სოფ. კახარეთამდე 7 კილომეტრის მანძილზე დასავლეთისკენაა გაგრძელებული და 4 სოფელს ესაზღვრება მდ. ქობლიანის ჩრდილოეთ სანაპიროების გასწვრივ.

სოფ. უდის ჩრდილოეთი მიწები მდ. ქობლიანის გასწვრივ 7 კილომეტრზეა გაჭიმული. მდ. ქობლიანის ჩრდილოეთით მდებარე ოთხი სოფელი უდეს ესაზღვრება, რომელთა სიშორე ერთი მეორისგან თითქმის თანაბარია და უდიდან 2-3,5 კმ უდრის. ესენია სოფ. ბოლაჯური - აქ უდის მსგავსად და ბენარის მსგავსად შერეულად ცხოვრობენ მუსლუმანები და კათოლიკები, თუმცა ორივე ქართველნი არიან; ქვემო ენთელი, შოლავერი და ბენარა. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთით მდებარეობს. ადიგენის რაიონის ქართველ-მაჰმადიანი მცხოვრებნი დღეს არა სწორად თავიანთ თავს აზერბაიჯანელებს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაიონის მოსახლეობა ეთნიკურად წარმოადგენს სუფთა ქართველებს, რომელთა უმრავლესობა ხელოვნურად დაშორებული იყო ქართველობას.

სოფ. ბენარა ადიგენის რაიონის შარა გზების მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობს. აქედან ჩრდილოეთით, კურორტი აბასთუმნის გავლით, ზეკარის გადასავალით უერთდება ადიგენის რაიონი იმერეთს, ხოლო დასავლეთით რაიონის ცენტრის, ადიგენის გავლით, გოდერძის გადასავალის შემდეგ, უერთდება აჭარას. ბენარის აღმოსავლეთით მიმავალი შარა გზა ახალციხის შემდეგ უკავშირდება ახალქალაქის გზასა და ბორჯომის შარა გზას. საკვანძო პუნქტი კი ქალაქი ახალციხეა.

სოფ. უდე მდ. ქობლიანზე კაპიტალური ხიდის უქონლობის გამო თავისუფლად ვერ იყენებს ამ მნიშვნელოვან შარა გზებს, რადგან მდ. ქობლიანის ჩრდილოეთითაა შარა გზები და სამხრეთითაა ცამეტი სოფელი უდეს ჩათვლით, რომელთა ბედი მდინარის ადიდების დროს ერთნაირი ხდება. ესენია: არალი, წარბასთუბანი, ორჭოშანი, მარელი, ხონა, ზემო წყისე და ქვემო წყისე, ზაზალო, ხურო, ამხვერი, კახარეთი.

## სოფლის სახელი და მოკლე ისტორია

სოფ. უდის სახელის დარქმევაზე არის სხვადასხვა ვერსიები. ამავე სოფლის მცხოვრები 65 წლის კოლმეურნე ნინა იოსების ასული ბორიკაშვილი ამბობს: მამაჩემის გადმოცემით: ვიცლა უცხოელი სწავლულები მოსულან სოფ. ვალეში (უდიდან 9 კოლომეტრით აღმოსავლეთითა), მოუთხოვიათ კვერცხი, დიასახლისს უთქვამს მქონდა და მივეცი ვალებში. ამ სოფლის სახელი აქედან დარჩენილა. ეს სწავლულნი გადმოსულან სოფ. არალში, აქაც მოუთხოვიათ, და პასუხად - არარისო უთხრეს და სოფლის სახელი არალი დარჩენილა. ბოლოს სოფ. უდეში გადმოსულან და ისევ მოუთხოვიათ კვერცხი. აქაც უპასუხნიათ, ქათამს უდევსო, აქედან სოფლის სახელი უდევ დარჩენილა.

ამავე სოფლისკოლმეურნე, 60 წლის ანტონ მერაბიშვილი სოფ. უდის სახელწოდების წარმოშობის შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: გადმოცემებით გამიგონია, რომ ახალციხიდან სამნი ძმანი სანალიროდ გადმოსულან მდ. ფოცხოვის ნაპირებით ვალისა და არალის ეკლესიების წინ. ფეტვი დაუთესიათ უდის ეკლესიის წინაც. ვალეში დათესილი თესლი ვერ აუნაზღაურებიათ. ვალად დარჩენილა. არალში სულ არ მოსულა ფეტვი. უდეში, რადგან კარგი მოსავალი მოსულა, უთქვამთ, აქ სათესლად თესლი კიდევ უნდა. აი ასე დარჩა ამ სამი სოფლის სახელწოდებაო. ახალციხის მაცხოვრებელი, 66 წლის ტერ გაბრიელი გოზალოვი, იგივე გოზალაშვილის გადმოცემით, რომაელები რომ მოვიდნენ ახალციხის მაზრაში, აქ მათ დახვდათ გაქცეულები და მათ ლათინურად ჰკითხეს - აუნდერ, ე.ი. საიდან მოდიხართო და ამ სიტყვის შემდეგ ამ სოფელს შერჩა ლათინური სახელიო.

სოფ. უდის მცხოვრები, 88 წლის კოლმეურნე, სტეფან გზირიშვილი გადმოგვცემს, რომ სოფ. უდე - ახალი ნაშენები სოფელია. იგი ადრე შუშანქალაქის სახელწოდებას ატარებდა. ამ ქალაქის აოხრება თურქების დროს მომხდარა და სოფ. უდის მაგივრად სოფ. მეოდანში დასახელებულა ხალხი, რომელიც იგივე სოფ. უდის ანუ შუშანქალაქის მამულს ფლობელობდა. შუშანქალაქის აოხრების შემდეგ და სოფ. მეიდანში ხალხის დასახლე-

ბის პროცესში ხალხი თურმე დადიოდა და სასოფლო ადგილებს ტყეებში ეძებდა. ამ დროს სოფლის სამხრეთით მდებარე, ე.წ. ზაქორიების სერზე სიარულის დროს, ჩრდილოეთით უღრან ტყეში შეუმჩნევიათ ის პატარა ეკლესია, რომელიც ეხლა შუასოფელშია და სუფასარქისის სახელითაა ცნობილი. სამი კაცი აქ ჩასახლებულა, ხოლო კვლავ რატომდაც გადასახლებულა. ამის შემდევ ისევ ამ ნაშენ ადგილებში, ზოგი ქართლიდან და ზოგი იმერეთიდან მოსულნი, ჩასახლებულან ისე, რომ ამ დროისთვის სოფ. მეიდანის მფლობელები თურმე უდეზედაც ბატონობდნენო.

სოფ. უდის მცხოვრები, 60 წლის იგივე ანტონ მერაბიშვილი აღნიშნავს: პაპაჩემის დისაგან გამიგონია, რომ მანუჩარ ათაბაგის დროს ჩვენი სოფელი თურქებს აუოხრებია, ვისაც მოუსწრია გაქცეულა, შემდეგში ზოგი ადგილობრივი და ზოგიც სხვა გვარის მცხოვრები კვლავ ჩასახლებულან უდეში. იგივე ანტონ მერაბიშვილი იმავე ბაბუის დის ნაამბობს იგონებს და აცხადებს, რომ 1828 წელს ჩვენ გახიზული ვიყავით ახალციხეში, სოფელი კი აჭარლებმა და თურქებმა ააოხრეს.

გამოდის, რომ სოფ. უდის აოხრება და ჩასახლება, რამაც ზეპირი გადმოცემებით ჩვენამდე მოაღწია, პირველი ყოფილა 1625 წელს, მანუჩარ ათაბაგის დროს. მეორე - 1828 წელს, ახალციხის პასკევიჩის მიერ აღების დროს. მესამეჯერ აოხრება, თუმცა არა მთლიანი, მოხდა 1875 წელს. ამ შემოსევას ე.წ. აჭარელთა თავდასხმას უწოდებენ. ამავე სოფლის 77 წლის კოლმეურნე, პაპა აზირაშვილი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: ბებიაჩემი მაია ხითარიშვილი აღნიშნავდა: როცა ქალიშვილი ვიყავი, პასკევიჩი მოვიდა ახალციხის ასაღებად. ჩვენ ვაღეში ვცხოვრობდით. ჩვენი სოფლის ხალხი ახალციხის ციხეში შეგვყარეს. თავდაცვისათვის გაჩაღებული ბრძოლის პროცესში ახალციხის ებრაელებმა ნახეს, რომ თურქებს ძალა გამოლეოდათ, რუსებმა კი ეს არ იცოდნენ, ისინი გასაქცევად ემზადებოდენ. ამ დროს ერთი ებრაელი ცოცხლად ჩასვეს კუბოში, გაიტანეს ქალაქიდან და სასაფლაოზე დამარხეს. დამით ებრაელი ადგა საფლავიდან და პასკევიჩს აცნობა თურქების სისუსტე. მაშინ გრაფმა პასკევიჩმა შემო-

უტია მათ და აიღო ახალციხე. გამარჯვების აღსანიშნავად ციხეში მყოფი სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობა რუსების ხმლებისქვეშ გაგვატარებინეს. თურქები ბადელამდე მივიდნენ, ჩვენ კი ვალეში დავრჩითო. ჩვენთან ერთად იყო უდელი დიდებულებიონ და ჩვენი ახალციხეში ყოფნის პერიოდში დაუტაცებიათ უპატრონოდ მიტოვებული სახლკარი და სიმდიდრე. იგივე კაცი ამბობს, რომ 1875 წელს აჭარელთა თავდასხმის დროს 8 წლისა ვიყავიო. რუსები ცდილობდნენ ბათუმი და აჭარა ხელთ ეგდოთ. ამაზე იხმარეს შემდეგი ხერხი: ახალციხის ჯარების უფროსებმა, ლორის მელიქოვმა და მიხეილ ალამ, იგივე - ნეფისაშვილმა, უდის მცხოვრები ზიბიდი<sup>1</sup> პალეს, იგივე - მამუკაშვილის, ხელით ზემო აჭარის ჯარების უფროსს შერიფ-ბეგს ერთი საზამთრო გაუგზავნეს ფეშქამად. საზამთროს გული ამოღებული იყო და შიგ ოქროთი იყო ავსებული. ამ ამბის შემდეგ შერიფ-ბეგმა ზემო აჭარას მოუწოდა, წავიდეთ და ქობლიანი ავაოხროთ, თალანი მოვიტანოთ - თალანი ე.ი. ნადავლი. ამ დროს, როცა აჭარელთა ძალები ქობლიანს აოხრებდენ, ართვინის მხრიდან შეესია რუსები აჭარას და დიდი ზარალი მიაყენეს. დასკვნა ერთია, როგორც ოსმალები ცდილობდნენ ქართველ ხალხში შუღლის თესვას, დაქსაქსვას, ურთიერთ შესევას დასუსტებისა და დამონების მიზნით, ასეთივე პოლიტიკის გამტარებელი შეიქმნა იმ დროს რუსებიც. ორივე ცდილობდა მეტი მომხრე-აგენტი ყოლოდა ქართველობაში მათივე დამონავებისათვის.

მეოთხე, მაგრამ უფრო ძლიერი აოხრება უდემ განიცადა 1919 წლის იანვრიდან მარტის ბოლო რიცხვებამდე. ეს მოხდა მენშევიკური უგუნური მთავრობის ნაციონალური პოლიტიკის წყალობით.

გასაგები მიზეზების გამო, რუსების 1828-1829 წლების შემოსევის შემდეგ ქართველ მაჰმადიანებს თურქებად ნათლავდენ და ისინი არმიაში არ გაჰყავდათ. ჯარში მიდიოდენ მხოლოდ ქართველ-კათოლიკები, ე.წ. ფრანგები. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მრავალი უდელი ახალგაზრდა ჯარისკაცი

1. ზიბიდი (თურქ.) - დაბალი, ითქმის მხოლოდ ადამიანზე

შეიარაღებული და გაწრთვნილი დაბრუნდა სახლში. ახალციხის მაზრა მთლიანად, სოფ. უდეც ანარქიაში იმყოფებოდა. ამ მდგომარეობით ისარგებლა ჯერ კიდევ დაუმარცხებელმა ოსმალეთმა, ხოთაში გადმოყარა უამრავი თოფი და პატრონა და დაურიგა ყველა იმ მუსლიუმანს, ვინც კი მივიდოდა იქ. ახალციხის მაზრის თითქმის ყველა მამაკაცი მსურველი აღმოჩნდა და თითქმის ყველა შეიარაღდა. სოფ. უდისთვის ასეთი ანარქიის დროს მეზობელი სოფლების ზოგი ავანტურისტი მეთაურის ბოროტი ზრახვები არ რჩებოდა შეუმჩნეველი.

უდე იძულებული იყო თვითონ შეეკრა სოფელი. სოფლის ირგვლივ ამოთხარეს ბარიკადები, მოახდინეს ძალების მობილიზაცია და ორჯერ შემოსევისაგან დაიცვეს თავი. ამბობენ, ციცინა-ანთ კოსტამ ბალახაშვილმა ფერის ტრუბები მიაყუდა და ფოცხოვის მხრივ მოსული ბრძო ამით შეშინდა, რომ ქვემეხიაო და უკან დაბრუნდენ. მართალია, სოფელს 800 გამოწვრთნილი შეიარაღებული კაცი ჰყავდა, მაგრამ შეუძლებელი იყო, ხანგრძლივი ალყის ქვეშ ყოფნა. უდის ხელმძღვანელობამ გაიგო თუ არა, რომ ბათუმიდან ახალციხისკენ მოდის ოსმალობის ჯართუფროსი ხალით ბეგი, დაწერეს მორჩილების აღსანიშნავი ბარათი და ჯერ კიდევ დანისპარაულში მიართვეს ხალით ბეგს. როცა ხალით ბეგი ადიგენში მოვიდა, უდიდან დელეგატები წავიდნენ: გზირიშვილი ტეპკა, მერაბიშვილი ვანო (პრუსიასაც ეძახოდენ), ანტონ მერაბიშვილი, გიგო აღა აღოშაშვილი და პ.კოპაძე. დელეგატი ა.მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ ჩვენ აღუთქვით მორჩილება და იარაღის ჩაბარება. მე დავბრუნდი სოფელში აღთქმის შესასრულებლად, დანარჩენი დარჩენ როგორც ძევალნი. უდე ჩაბარდა, არალის და ვალეს მოსახლეობა გაიქცა სომხურ სოფლებთან ერთად. ახალციხე არ ჩაბარდა, თუმცა შემდეგ მათაც მოგვბაძეს ჩვენ და დამორჩილდენ.

ახალციხეში მუთასარიფობა<sup>2</sup> შემოიღეს, სოფლებში - მუხთარები<sup>3</sup>. ახალციხის მაზრაში შემოიღეს თურქული სახელმწიფო

2. მუთასარიფი (არაბ.) - გუბერნატორი

3. მუხთარი (თურქ.) - მამასახლისი

მმართველობა. ამრიგად, ვალისა და ახალციხის 1918 წლის მაისში გაწეული წინააღმდეგობაც ხალით ბეგისადმი ჩაბარებით დამთავრდა. 1918 წელს ოსმალებმა, ჯარების სიმცირის გამო, ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისაგან შეაგროვეს ძალები თურქეთის რამოდენიმე ათასი, გაწვრთნილი ჯარები კი აზერბაიჯანში კონტრ-რევოლუციური მიზნებისათვის წარიგზავნა. ადგილობრივად შექმნილი ჯარი არაფრით იყო სანდო ხალით ბეგისათვის. თურქი ჯარისკაცებიც, მეთაურებიც და სახელმწიფო მოხელენიც ადგილობრივ მუსლიმანებს ზიზღით უყურებდენ, არავითარი დანდობა არ იყო არაფრისა. ქართველ მაჰმადიანებისა და ქრისტიანების ქონებას, ნამუსს და სიცოცხლეს ერთნაირად უდიერად ექცეოდენ. 1918 წლის შემოდგომაზე, როცა თურქები მიდიოდნენ, მათ გაჰყვა უთვალავი კრულვა და ზიზღი მათდამი.

თურქები ჩვეულებრივად, ახალციხის ხალხს აჯამის ეძახოდენ. ეს სიტყვა ისეთივე მნიშვნელობისაა, რაც ძველ რომაელთა სიტყვა ბარბაროსი, ე.ი. უვიცი და უცხო, ვიგინდარა. თვითონ კი გადაჭარბებული მორჩილებით მოპყრობას, უკანასკნელი თურქი ჯარისკაცისათვის “ჩაუშ აფენდის”, ჩაუშისათვის “ბეგის” მიმართვას ითხოვდენ. სოფ. უდის მცხოვრები ჰეიდარ ბარათაშვილი, 64 წლის კოლმეურნე აცხადებს, რომ თურმე 1918 წლის მაისში, როდესაც ნიშანზე ვისროდი სხვა მიმართულებით მიდიოდა ხალით ბეგის მოხელე, მან დაგვიპარა თავის ადგილსამყოფელში, ენთელში, და უბრძანა თავის კაცებს - მაგასო 500 მძიმე ზოფაო<sup>4</sup>. მკლავის სიმსხო ჯოხებით დამიწყეს გაშიშვლებულ, ტანზე ცემა. ერთი რომ მცემდა, მეორე უკონტროლებდა, ხომ არ ლმობიერობსო, და თანაც თვლიდა. ცემა ხდებოდა საჯაროდ. ცალკე სირცხვილი, ცალკე იმ ახმახი ზოფას სპეციალისტის მძლავრი დარტყმები, მხოლოდ ათ დათვლას გავუძელი. მის შემდეგ გული წამსვლია. 50 ზოფის შემდეგ გადაუდვიათ შემდეგისათვის. ასე 10 დღეში შემითავეს 500

4. ზოფა (თურქ.) - დარტყმა

მძიმე ზოფა. 3 თვეს უგონოდ თხის ტყავში ვიყავი შეხვეული. სხეულის იარები ჯერ კიდევ მეტყობა. იმ დროს საკმარისი იყო ოდნავი ჩამი, რომ დაეხვრიტათ ადამიანები, როგორც აჯამიო.

ამავე სოფლის მცხოვრები 50 წლის მჭედელი ჯაფარ ბერიძე აცხადებს, რომ 1918 წლის ზაფხულში ჩვენივე სოფლის მცხოვრებ, ფალულ კანჭაძეს დაპტრალდა ჯარისკაცთა შორის ურჩიბის აგიტაცია, რისთვისაც იგი 200 მძიმე ზოფის შემდეგ უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ უდის მაცხოვრებელი შაჰირი ბარათაშვილის და სოფ. იჯარეთის მცხოვრები ასლან ხალილ ოღლის დახმარებით გაიპარა ციხიდან. სოფ. ურაველის მცხოვრები რაღიბ ყარიბ ოღლი 15 დღის განმავლობაში ცემით მოკლეს იმისთვის, რომ ვიცდა ქვრივის სახლის ანიოკებისათვის წაისარჩლა ჩაუშებთან. ჩვეულებრივად, ყველა თურქ ჯარისკაცს მაშინ ჩაუშს უნდებდენ. თუ ჩაუშებს საჭმელს აჭმევდი, არაყს მოითხოვდენ. თუ არაყს მიართმევდი, ქალს მოითხოვდენ. უარის შემთხვევაში შეურაცხყოფით და ზოფით მთავრდებოდა საქმეო, - ამბობს ამავე სოფლის მცხოვრები, სტეფანე მელქონის ძე გოგილაშვილი, 60 წლის კოლმეურნე. ამავე სოფლის მცხოვრები, ოსე სარაშვილი, ხალით ბეგმა მოაკვლევინა იმიტომ, რომ ღამე გარეთ გამოსულა თავის კარწინაო. აი, ზოგიერთი ცნობები ერთი წლის მანძილზე ე.ნ. ხალით ფაშას დროს დაპყრობითი პოლიტიკისა და ქართველი ხალხის აბუჩად აგდების.

1918 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან, ხალით ბეგის ჯარების წასვლისთანავე, უდეში ქართველ მენშევიკებმა მოიკიდეს ფეხი. უდის მოსახლეობის ქრისტიანი ნაწილისგან შექმნეს ე.ნ. გვარდია. ჩამოაყალიბეს თავისებური სახელმწიფო აპარატის მაგვარი რამ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უდის ხალხისათვის არც ხალით ბეგის თურქობას მოუტანია დადებითი რამ და არც მენშევიკებს, მაგრამ მენშევიკები ხომ იგივე ქართველები იყვნენ, კარგად იცოდნენ საქართველოს წარსული და, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ უცხო-თურქი, ხალით ბეგის ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას გადააჭარბა მენშევიკების დამოკიდებულებამ ქართველ მაჰმადიანთა მიმართ, 1919

წლის თებერვალში უდის მენშევიკურ ძალებს მოაწვა მეზობელი სოფლების მაცხოვრებლებისგან შემდგარი ურდო, რომლის სა-თავეში იდგა თურქების ნარჩენი ხელმძღვანელობა. მენშევიკები ბორჯომის გზას დაადგენ. უდის ქრისტიანი ქართველობა ახალ-ციხეს თავი შეაფარა. ზოგი ფანატიკურად განწყობილმა ბრძომ დახოცა. უდეში დარჩენილი ქრისტიანი ქართველები შეიფარეს თავიანთ სახლებში მეზობელმა მაჰმადიანმა ქართველებმა. ასე რომ, მარტო ხალილ ბერიძის სახლში 70 კაცი ინახებოდა, იუსუფ კიკინაძის სახლში - 15, ისკანდარ ბარათაშვილის სახლში - 13, ბი-ლალ ბარათაშვილის სახლში - 9, ყურშუმ ბაქრაძის სახლში - 10, ჰასან ბარათაშვილის სახლში - 6 და ა. შ. სულ თავშეფარებულ სულთა რაოდენობა 150-ზე მეტი იყო, ამბობს ამავე სოფლის მცხოვრები, 52 წლის კოლმეურნეობის წევრი, ჯასომ ბერიძე. იმა-ვე ბერიძობში სოფლის გაძარცვას და შენობების წვასაც აწარმო-ებდენ. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობდა თურქი ვიცლა იუზბა-ში ნაზიმ ბეგი, დღევანდელი ბენარის საბჭოთა მეურნეობისა და უამრავი მიწების ყოფილი მფლობელი სარვალ ბეგი, ბადელელი სარვანთ ბეგი, ვახლელი ახმედი და სხვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უდეში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანები ახლო ნათესა-ვები არიან ქრისტიანი ქართველებისა. მაგალითად: აბულაძები არიან მუსლუმანებიც და ქრისტიანებიც; ასეთივეა პეტაშვილე-ბიც, ჩილაშვილებიც. გასაგებია, რომ კრიტიკულ მომენტში ისინი ერთი მეორეს ძმურ დახმარებას გაუწევდენ. თებერვლიდან იგივე 1919 წლის აპრილამდე ნადგურდებოდა უდე, არალი ხომ მთლია-ნად სოფ. ვალის მდგომარეობას ჰგავდა. მარტის ბოლო რიცხვე-ბიდან ჟორდანიამ გაძლიერებული ძალებით შემოესია ახალციხის მაზრას და თითქმის ყველა მუსლუმანური სოფელი ააოხრა.

მოსახლეობა გარბოდა. სოფლები ალში და კვამლში იყო გახ-ვეული. მუსლუმანური სოფლებიც და ქრისტიანული სოფლებიც ნასოფლარებად იქცეოდა. აი, შედეგი ამ წლების ძმათა სისხლის-მღვრელი პოლიტიკისა, რასაც ატარებდნენ როგორც თურქი დამპყრობლები, ისე ქართველი მენშევიკები. ამჯერად კი სოფ. უდის მუსლუმანების ქონება და სიცოცხლე მთლიანად იქნა და-

ცული ქრისტიანი მეზობლებისა და მოგვარეთა საშუალებით. მაგრამ ბალები განადგურდა, სოფლის მეურნეობა დაეცა. მუს-ლუმანი და ქრისტიანი ფანატიკოსების მომხრეები მომრავლდნენ. სოფლის კულტურული დონე დაეცა. სოფელში გაჩნდა გა-დამდები ავადმყოფობები, გაძლიერდა ექიმბაშობა. სოფელი ნა-ტურალურ მეურნეობას უბრუნდებოდა.

## სოფლის ირგვლივ მდებარე ნასოფლარები

სოფ. უდის ჩრდილო-დასავლეთით სოფ. კახარეთის საზღვარზე ე.წ. ჯურყის ღელის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე არის ნასახლარი და სასაფლაო. ამ სოფელს ჰქონია გათლივლი ქვით აშენებული ეკლესია. უდის მცხოვრები, თერძი სტეფანე ბოჩიკაშვილი (66 წლის) ამბობს, რომ მეიდან ბეგის ბრძანებით, ამ ეკლესის ქვებით, მეიდნის ხიდი აუშენებიათო. ამ სოფელს ჯურყი რქმევია. აქაური სასაფლაო მუსლუმანურ ყაიდითაა გაკეთებული. ჩანს, რომ აქ მცხოვრები მუსლუმანები ყოფილან.

აქედან გადის გზა დასავლეთით ზეგნის სოფლებისაკენ. დედაჩემი, გულანდარ ყარიმან ყიზი ათაძე, ამ გზით გავლისას ყოველთვის გაივლიდა სასაფლაოზე, კარგახანს არაბულად ილოცებდა აქ მყოფი მკვდრების სულის საცხონებლად და ისე განაგრძობდა გზას ხოლმე. მამაჩემის მამა, ისკანდარ ბარათაშვილი ამბობდა, რომ აქ დედაჩემის ნინაპრების სოფელი ყოფილა, და შემდეგში გადასახლებულან სოფ. ლვინიაში - ეხლა თურქეთშია - გვარად ათაძეები ყოფილან.

ჯურყის ნასახლარი მდებარეობს მდ. ქობლიანის სამხრეთით ერთი კილომეტრის დაშორებაზე. ჯურყის სამხრეთიდან სოფ. ღორძის ღელებიდან მოდის პატარა ხევი - ჯურყი, და უერთდება მდ. ქობლიანს. მისი სამხრეთი მხარე ფერდობებია. ჩრდილოეთი მხარე ვაკეა და გრძელდება აღმოსავლეთით და დასავლეთით. უდის გვერდით, მდ. ქობლიანის ჩრდილო სანაპიროზე არის უახლოესი ნასოფლარი და ორ ადგილას სასაფლაო აქვს.

აქ ყოფილა მეიდნის სოფელი და სასაფლაო. აქვე არის ჯამის ნანგრევები, ჯურყის სასაფლაოს ქვების მსგავსად, არაბული წარწერებია და მუსლუმანურ ყაიდაზე ნაშენები საფლავები. ამ სოფლის შესახებ უდის მცხოვრები, 77 წლის პაპა აზირაშვილი აცხადებს: გადმოცემებით მრავალჯერ გამიგონია ჩემი მენის ქვილედ ყოვნის დროს, რომ მეიდნის პატრონი ბეგები ყოფილან, გამაჰმადიანებულები. მათ საზაფხულო სასახლე, ანუ სარაი უდეში ყულჯანიშვილების დასახლებულ ადგილებში ჰქონიათ. ამ ადგილებს უდის მოსახლეობა დღემდე ნასარაებს უწოდებენ. მეიდნის

ბეგები უდის მფლობელები ყოფილან. დიდ ბეგის ცოლს უდისთვის დღესაც ხმარებული წყაროს წყალი მოუყვანია აუზებიდან, ხოლო მის ქმარს ჯურყის ეკლესის ქვებით მეიდნის კაპიტალური ხიდი ქვითა და კირით აუშენებია იმ ადგილას, სადაც თამბულას ღელე უერთდება მდ. ქობლიანს. სოფ. მეიდანი თამბულისა და დამპალას ღელეებს შორის არის განლაგებული. ახალციხეში ფაშობა რომ შემოუღია თურქებს, ამით მეიდან ბეგს უფლებები ჩამოურთმევიათ და ის დიდად ნაწყენი დარჩა. ახლად დანიშნული ბანდაარლი ალიფაშა ძალზე მკაცრი ყოფილა და მოსახლეობას აწიოკებდათ. ერთ დღეს წისქვილიდან დაფქვილი ფქვილები ფაშას ჯარებისათვის ვიცლა გლეხს წამოუღია. ფაშაზე გულმოსულს 2-3 ფუთი ქბილი<sup>5</sup> მდ. ქობლიანში ჩაუყრია. ამ ამბავის გაგების შემდეგ ფაშას ეს გლეხი მოსაკლავად დაუბარებია. გლეხი მისულა და უთქვამს: ბატონი, ეს იმიტომ ჩავიდინე რომ დაეთქვენი სიუხვე ყველამ გაიგოს, რომ თევზებსაც ქბილით ჰქვებავთო. ამით გლეხი გადაურჩა ფაშის რისხვას.

იგივე მენისქვილე პაპა აზირაშვილი გვიმბობს, რომ არჯანის ბეგს ქორწილი ჰქონია. ეს ამბავი მეიდან ბეგს ასე გამოუყენებია: ამ ქორწილზე დაუბარებია ფოცხოვისა და ქობლიანის მოწინავე ბეგები ბანდაარლი ალიფაშას საწინააღმდეგოდ შეთქმულების მოსაწყობად. შეთქმულება გაუგია ალიფაშას. მარლის ბეგი ბურჰან ფეფინოვის ხელშეწყობით ბანდაარლი ალიფაშა გლეხის ტანისამოსში ქორწილზე მოსულა და შეთქმულთა შინაარსი თვითონ მოუსმენია. მეორე დღეს მეიდნის ბეგი წაუყვანია და ჩამოუხრჩია. მათი სოფლის გლეხობა დაფანტულა უთავბოლოდ. მათი გვარის ხალხი ზოგი ამოუწყვეტია, ზოგი გაუყიდია, ამრიგად, მათი სოფელი ნაყანებად დარჩენილა. მათი მიწა-წყალი შემდეგში სახელმწიფოს გაუყიდია. მეიდნის მიწიდან ბაბუაჩემსაც უყიდია ერთი ყანაო.

სოფ. უდის ჩრდილოეთით ე.წ. ძირის ყანების ერთ ამაღლებულ ადგილს დღესაც ნასაყდრევს უწოდებენ, ასეთი ნასაყდრე-

5. ქბილი (დიალ.) - ფქვილი

ვი კიდევ არის მისგან 200 მეტრით დაშორებული. უფრო ჩრდილოეთით დაბლობზე და ამათგან დაახლოებით ერთი კილომეტრის სიშორეზე, აღმოსავლეთით, ე.წ. ურნყავებში კიდევ არის ნასაყდრევი. ამ სამი ნასოფლარის შესახებ სოფ. უდეში თითქმის არავინ არაფერი იცის. კიდევ ერთი ნანგრევი შიგ სოფელშია. დასავლეთით ამ უბანში ახლა ათი-ოცი გვარია დასახლებული და ნაწილობრივ აბულაძეები. ამ ნასაყდრევის ქვეშ დასავლეთისაკენ, ე.წ. ხმელ ხევში ჩადის გვირაბი. ომიანობის შემთხვევაში ამ გვირაბიდან მოჰკონდათ წყალი შუშანქალას ციხეშიო, ამბობს ამ ციხე-ეკლესიის გვერდით დასახლებული 70 წლის კოლმეურნე მიხა პეტრიაშვილი. ერთ დროს ამ ქალაქზე თავდასხმა მოუხდენია მტერს. მოსახლეობა გვირაბში ჩამალულა. გარეთ ვიცლა ქალი შუშანა დარჩენილა. მტერს შუშანა უნამებია, რომ გაეგო ციხის საიდუმლო კარები, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ ამ ციხის ან ამ ადგილის სახელი მადლიან ხალხს წამებით მომკვდარი შუშანას სახელი დაურქმევიათ. ასე ამბობს ამავე სოფლის მოხუცი, კოლმეურნე სტეფანე გზირიშვილი. უდის ჩრდილოეთით პირდაპირ მდებარე სოფ. შოლავერში სტამბოლიდან სტუმრად ჩამოსულა მიხთად ბეგის სახლში მისი ნათესავი. მიხთად ბეგის მამას ესაუბრებოდა თურმესტუმარი და ყვებოდა, რომ მამაჩემი ამბობდა, რომ ჩვენ შუშანქალაქელები ვართ. სოფ. შოლავერი ჩვენს პირდაპირ პატარა სოფელიაო. მიხთად ბეგის მამას უთქვამს, რომ იმ სოფელს ახლა შუშანქალაქს კი - არა, უდეს ეძახიანო. ეს ამბავი შოლავერელი მიხთად ბეგისგან გამიგონია ჩემი მეწისქვილეობის დროსო, ამბობს 77 წლის იგივე პაპა აზირაშვილი.

სოფ. უდის დასავლეთ უბანზე ხუროს გზაზე, ე.წ. ციხის ყელზე ხმელი ხევის აღმოსავლეთ სანაპიროზე, შავ კლდეზე აშენებულია ძველი, მრგვალი ფორმის ცილინდრისებული ციხე. მის მიდამოებში არის სხვადასხვა ფორმის ნანგრევები. ეს ადგილები ისევ სამოსახლო ადგილებად არის ქცეული დღეს. ამ ადგილებში სახლების საშენებლად წარმოებული ამოთხრების დროს აღმოჩნდა ლითონის ფულები. ამავე სოფელში მცხოვრები სიმონ კაკოშვილი გვიამბობს, რომ აქ, 1928 წელს სახლების აშენების

დროს ვიპოვნე შვიდი, ძალზე მსხვილი ოქრო. სოფლის ნასწავლების, ვანო მერაბიშვილის ვაჩვენე და მითხრა, 125 მანეთიანი ოქროაო, ყველა ესენი ახალციხეში ებრაელებთან გავყიდე ძვირფასებშიო. იგივე პირი ამბობს, რომ ჩემმა კომკავშირელმა ძმამ აქ სახლების აშენების დროს წააწყდა ოქროთი სავსე ქილას, ავწონეთ და 28 ცალი ერთი კილოგრამი გამოვიდაო. ქილა მთლიანად ადიგენის რაიკომის მდივანს, ან ცნობილ ხალხის მტერს, აზიზ რატიხანს ჩავაბარეთ იმავე დღესვეო, ე.ი. - 1935 წელს, უსასყიდლოდ. სწავლულებმა გვიამბეს, რომ ეს ფული რომული წარმოშობისაო. 1928 წელს მე ოქროებთან ერთად ვნახე ჭრაქვი, რომელიც მივეცი თბილისიდან ჩამოსულ ვიღაც სწავლულს უსასყიდლოდ.

ამ ციხის მახლობლად ჯერ კიდევ მრავალი შეუსწავლელი ღრმა ქვის ორმოებია, რომელთა სახურავები უშველებელი გათლილი ფიქალებითაა დახურული. ამავე სოფლის მცხოვრები, 66 წლის მახსუდ ბარათაშვილის ცნობით ბარათაშვილების ერთობის სახლში, სადაც ახლა ჰქიდარ ბარათაშვილი ცხოვრობს, მანდ არის უშველებელი ორმო, რომლის ჩასავალი ჰქიდარას ბაკეებზეა. ამ ჩასავლიდან ბავშვობის დროს ხან ჩავსძახოდით და ხან ქვებს ვისროდით და იქიდან კი ყრუდ ხმა გვესმოდა. ასეთივე დიდი ორმო უნდა იყოს ყოფილი პუმპულის სახლების ბაკეებში, რომლის გაგრძელებაც ჯავრიას - ჩილაშვილის სახლებამდე გრძელდებაო.

## სოფლის მიდამოებში ცნობილი ქვები გზების მიმართულება და მათი სახელები

სოფ. უდიდან ცხრა მიმართულებით გადის გზები: პირველი გადის უდის ჩრდილოეთისაკენ მდ. ქობლიანის გავლით, კურორტ აბასთუმნის შემდეგ, ზეკარის გადასავალით, აჩუხბაშში გადის (იგივე იმერეთში. იმერეთს საქართველოსაც ეძახიან), აცხადებს ტუშუკი სიმონი - იგივე ბალახაშვილი, საიდანაც უმთავრესად ბამბა და სიმინდი მოჰქონდათ. აქედან კი კარტოფილი, რძის ნაწარმი და დასაკლავად ჯალაბი საქონელი გადიოდა.

მეორე მთავარი, ხშირი სამოძრაო ახალციხის გზა აღმოსავლეთისაკენ მიდის. ახალციხის გზას ქალაქის გზასაც უწოდებენ. მისი პირვანდელი მიმართულება მდ. ქობლიანის მარჯვენა სანაპიროთი ბალების სამხრეთით, მდ. ფოცხოვის გავლით, სოფ. ვალის ბალებით, სოფ. სუხლისიდან გადადიოდა მდ. ფოცხოვით და შედიოდა ახალციხის ძველ ნაწილში - რაბათში. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ სოფ. უდის ამ გზას მთელი ზეგანის გზები უერთდებოდა მდ. ქობლიანის მარჯვენა მხარეზე.

მესამე გზა გადიოდა უდიდან აღმოსავლეთით არალში და ვალეს გავლით მრავალ სოფლებს უერთდებოდა. მდინარეებზე კი არ ყოფილა ხიდები.

მეოთხე გზა აღმოსავლეთით მიემართებოდა - ეს იყო წარბასთუბნისა და ორჭოშნის შემდეგ ბადელითა და ხან იოლით არტაანის გზა. ფოცხოვის სოფლების სამიმოსვლო გზა - ქობლიანსა და ზეგანში ეს გზა იყო. ამ გზაზე თავისუფლად დადიოდა არაბაც<sup>6</sup>. ეს გზა ახლა სოფ. ორჭოშნის შემდეგ წყდება, რადგან აქვე გადის საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

მეხუთე გზა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდის. ამ გზით ურმები ვერ დადიოდა, რადგან ძალზე აღმართებია. ეს გზა მარელის შემდეგ სხვა გზებს უერთდებოდა.

მეექვსე გზა სამხრეთისაკენ გადის, სოფ. წყისეს მიმართულებით უერთდება მარლის გზას და სოფ. ხონას გავლით გადადის

6. არაბა (თურქ.) - ურემი

ქვემო ფოცხოვში.

მეშვიდე გზა სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიდის. ერთი შტო, ხურო, ამხვერისაკენ მიდის, მეორე შტო ზაზალოსა და უდის მთის მიმართულებით მიდის.

მერვე გზა დასავლეთის გზაა, რომლითაც მიისვლება ზეგნის სოფლებში და აჭარაში. ამ გზას აჭარის გზასაც უწოდებდნენო, - ამბობს 62 წლის კოლმეურნე ფანჩო პარუნაშვილი.

მეცხრე გზა ჩრდილო-დასავლეთიდან გადის ჩრდილოეთით, მდ. ქობლიანის შემდეგ გადის სოფ. ენთელებში და ფხეროში ერთის მხრივ, და ბოლაჯურ, შოყაში მეორეს მხრივ. გარდა ამ გზისა, მდ. ქობლიანზე არსად ხიდი არ ყოფილა. ეს ხიდიც მდ. ქობლიანზე მეიდნის ბეგს აუშენებია, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ხსენებული. აქ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ მეიდნის ბეგს ნაშენები ხიდიდან მხოლოდ ნარჩენია დარჩენილი მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე.

მეათე გზა უდიდან შოლავერში გადის, მას მცირე მნიშვნელობა აქვს.

## სოფლის ტერიტორიის ნაწილების დასახელება და აღნირა

სოფლის დაბლა ჩრდილოეთით ძირის ყანებია. ეს ფართობი 20 ჰექტარს აღემატება. იგი ბურდა ლელედან ხმელ ხევამდეა გაჭი-მული, რომლის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ერთ კილომეტრს აღემატება. ეს მიწები ახალი ნაყანებია, ალაგ-ალაგ უვარგისიცა სახნავად. მიწის სივიწროვის გამო აღმოსავლეთი-დან დასავლეთისაკენ ფართე ტერასებია გაყვანილი და რწყვითა და ბეჯითი დამუშავებით ეს მიწები მოსავალს იძლევიან. ძირის ყანები სოფლიდან დაახლოებით 100-150 მეტრით დაბლაა. იმაზე დაბლა, ვიდრე ზედა ბალებია, ე.ი. უფრო ჩრდილოეთით მდება-რე, რომლის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთით გრძელდე-ბა 13კმ-მდე. თუ ძირის ყანებში უმთავრესად ითესება ბოსტნეუ-ლი, კარტოფილი და ქერი, ზედა ბალები კი სპეციალურად ხეხი-ლითაა ნაშენები, ძირითადად, საზამთრო ჯიშებით. იქაური ხილი უდეში საუკეთესოა. მისი აღმოსავლეთი საზღვარი ახალციხის გზა ითვლება. დასავლეთით ეს ბალები შეერთებულია ნისქვი-ლებთან, ე.წ. ბაირ ბალჩებთან, ჩრდილო-დასავლეთით - ხუროს ბალებთან. ზედა ბალების ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ნაგრძე-ლებულია და მეიდანთან უერთდება ქვედა ბალებს. შუა ნაწილამ-დე ამოვიდა ქვედა ბალების ახლად ნაშენები ხეხილის ნარგავები, ასე რომ, ახლო მომავალში მოსალოდნელია. ამ სოფლის ყველა სარწყავი მიწები ბალებად გადაიქცა, რადგან ამას, ერთის მხრივ ხელს უწყობს იქაური ბუნება და მეორე მხრივ, რაც მთავარია, თვით სახელმწიფო და საბჭო ხალხის გაზრდილი მოთხოვნილე-ბა ხეხილზე. ზედა ბალების ჩრდილოეთით ნოყიერ სახნავ მიწებს ხოდაბუნებს უწოდებენ, რომელიც აღმოსავლეთით ურწყავე-ბამდე გადის. დასავლეთი საზღვარი წვდება ზედა ბალების ჩრდი-ლო-დასავლეთ საზღვარს. შუა ნაწილი შეერთებულია ქვევიდან და ზევიდან ბალებით. ხოდაბუნების სიგრძე 2 კილომეტრს აღწევს აღ-მოსავლეთიდან დასავლეთით.

ქვედა ბალებსა და ხოდაბუნებს შორის აღმოსავლეთით ახალცი-ხისაკენ გადის ზეგნიდან და აჭარიდან მომავალი შორეული გზა.

ქვედა ბალები მეიდნიდან იწყება და ახალციხის გზის მიყოლებით 3 კილომეტრზე წყდება. ქვედა ბალების ბოლო არალის საზღვრამდე წვდება, რომელთა ქვესახელწოდებები ასეა: დასავლეთიდან - მეიდანის ბალები ან ხიდისთავები, ჩოგაურები, ხატიანთ ანდა, იგივე ჰაფიზას წისქვილები, იქვე, ჩრდილოეთით - არსენათ ფიჩები (წყლის ნაპირზე), ჩოგაურები, უფრო აღმოსავლეთით - ბორენცები, ნაკაფები და მოლიზნიანთ ფიჩები (ფიჩები ენოდება მდინარის პირას მდებარე ეკლითა და ბურქანებით მოფენილ გამოუყენებელ ადგილებს). უდის ჭალა ეს ერთადერთი ფართობია, სადაც უდის საქონელი ძოვს ყოველდღიურად. მისი აღმოსავლეთით მდებარეობს ხოჯოვანები და გიქოთ ფიჩები (მდ. ქობლიანის სამხრეთ ნაპირზე). ჭალების სამხრეთით ქალაქის ყოფილი გზიდან იწყება ე.წ. ურწყავები, რომელიც აღმოსავლეთით - არალის საზღვრიდან, დასავლეთით აბასთუმნის გზამდე გრძელდება. მისი სამხრეთი მხარე სახნავ-სათესად უვარგისი ღელე-ღრეა და სერები და ფერდობები იწყება. ურწყავი, თუმცა დღეს მშვენიერი სარწყავია და ვაკეს წარმოადგენს, მაგრამ მაინც ძველებური სახელი ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს. ურწყავების სამხრეთით უვარგისი და ურწყავი მიწები შემდეგია: აღმოსავლეთიდან უნაგირები, ღელის ყანები და პირდაპირები. უნაგირებში, უნაგირის მაგვარი სერია და აქედან დარქმეულია ეს სახელწოდება. პირდაპირები: სოფ. უდის პირდაპირ იყურება აღმოსავლეთიდან, შუაში კი ბურდა ღელეა და მისი აღმოსავლეთით ქოთახევია.

ქოთახევისა და მისი დასავლეთით ბურდა ღელეს შუა მოთავსებულია სოფლის ახალი უბანი ნაფუზრები. უნაგირების სამხრეთი და პირდაპირების სამხრეთი მთა-გორიანი ფერდობებია. თუმცა დღესაც არ ირწყვის, მაგრამ სახნავ-სათესი ფართობებია და ენოდება ასქილოვანები. ასქილოვანების სამხრეთ-დასავლეთით უდვილების ვაკეებია და მის სამხრეთ ფერდობებს კი ხვთის-წყაროს უბანს უწოდებენ. ეს უკანასკნელები თანმიმდევრობით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ერთი მეორეს დაჰყურებს. ასექილოვანების ჩრდილო-დასავლეთით, სოფ. უდის სამხრეთით

მდებარეობს მრგვალი სერი ე.წ. ნანასერი. სოფ. წარბასთუბანს, არალსა და უდის საზღვრებზე აღმართულია მეორე სერი 200-250 მეტრი სიმაღლის, ე.წ. საყარაულო სერი. უდის სამხრეთ-და-სავლეთი სახნავ-სათესი მიწები, რომელიც სოფ. ქვემო წყისესა და ზაზალოს მიწებზე წყდება ხმელ ხევთან, ენოდება: ბიათხე-ვები. თუ ასქილოვანები ჩრდილოეთისკენაა დაფერდებული, ბიათხევები დასავლეთითაა დაფერდებული. სოფლის უშუალო სამხრეთით პატარა მიდამოს ზაქორიას უწოდებენ, სადაც მო-თავსებულია ქრისტიანი მოსახლეობის სასაფლაო. მუსლიმან-თა სასაფლაო კი სოფლის სამხრეთ-დასავლეთისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეზე მდებარეობს. ხმელი ხევის დასავლეთით მდებარეობს ე.წ. ვერდუები, რომელიც გრძელდება ჯურყებამ-დე, ჯურყების დასავლეთით კი კახარეთის მინა-წყალი იწყება. კახარეთის საზღვარი ე.წ. ყარაყაია. მის აღმოსავლეთით მდ. ქობლიანის სანაპირო ხმელი ჭალების სახელწოდებას ატარებს. მისი აღმოსავლეთი კი ე.წ. ჩაურმებია, რაც მდინარის მოყოლე-ბით მეიდანამდე გრძელდება. ვერდუების სამხრეთით იწყება ამაღლებული ფერდობები, რომელიც ე.წ. დედოფლის ლელე-ებთან მიჰყება სამხრეთისკენ სოფ. ღორძისა და სოფ. ხუროს საზღვრებისაკენ. მთელ ამხელა ფართობზე წყაროები ძალზე ცოტაა. ცნობილი მუდმივი წყაროებია: ლვთის წყარო და მამუ-ლათ წყარო, ასქილოვანებში, სოფლის სამხრეთ დასავლეთით - მორეთ წყარო, ვერდუების ბალებში - მეთიათ წყარო, ჯურყშიაც არის წყარო, მაგრამ დროგამშვებით შრება, მკაცრი სიცხეების დროს. ხმელი ჭალების წყარო, ხიდის თავებში - ბოჩიკიანთ წყა-რო, ჩიგაურებში - ქოზუხიანთ წყარო და კინკრიხოთ წყარო, ბო-რენცებში - ჰეტათ წყარო და ხოჯევანებისკენ - ბოჩიკიანთ წყა-რო. წყაროები ვის მამულშიაც გამოდიოდა, იმ გვარის სახელს უწოდებდენ ხოლმე. უდის სასმელი წყალი კი სოფ. ქვემო წყისესა საზღვრებიდან მოდის. წყალი ჩვენი სოფლის მეურნეობის წარ-მოებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო და რჩება, ნალე-ქების სიმცირის გამო. გასაბჭოებამდე სოფლის სარწყავი არხი იწყებოდა ამჟამად თურქეთის საზღვრებში დარჩენილ სოფ. შუ-

აწყალის იეილებიდან. იეილას ვუწოდებთ დროებითი საზაფხულო სადგომ ბინებს, სადაც ზაფხულის განმავლობაში სწარმოებს მესაქონლეობის ნაწარმის დამუშავება, იქვე იმყოფება დროებითი საზაფხულო სახლები. ყოველ სოფელს აქვს თავისი იეილა. არხის სიგრძე 30 კილომეტრს აღემატება. ეს კანალი ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მიწებისა და ხეხილის ბალების მორჩყვით მოთხოვნილებას, რის გამო ზაფხულობით ხშირი ცემა-ტყეპა ხდებოდა მრწყველთა შორის.

ხანდისხან ადგილი ჰქონდა კაცის მკვლელობასაც სარწყავი წყლის გულისათვის. გამარჯვება კი მუდამ შეძლებულებს ხვდებოდა წილად. სოფ. უდის ფართობი საერთოდ უდრის 1575 ჰექტარს, აქედან სახნავი ფართობი 468 ჰექტარია, უვარგისი მიწები - 14 ჰექტარი, მთის სათიბები 200 ჰექტარია, მთის საძოვრები 765,8 ჰექტარია. მარტო კოლმეურნეობის ბალები 56 ჰექტარია, ეზოები და ნარგავები - 2,10 ჰექტარი, მოედნები - 12,13 ჰექტარი, მდინარისა და რუს პირები - 26,5 ჰექტარი. ხევები და ხრამები 24,60 ჰექტარია. და ასე შემდეგ.

გასაგებია, თუ რა რაოდენობითა ყოფილა საჭირო სოფ. უდისათვის სარწყავი არხები. გარდა იმისა, რომ შუაწყლის იეილების წყალი ძალზე შორს დარჩა საბჭოთა კავშირ - თურქეთის საზღვრებთან, ის მაინც 1/20 მოთხოვნილებასაც ვერ უკმაყოფილებდა უდიდესი წყლის მოთხოვნილებისა, ამიტომ უდის მშრომელთათვის საბჭოთა მთავრობამ უდიდესი საქმე გააკეთა, როდესაც 1934 წლის ადიგენის რაიონის სოფ. გორგულიდან ვიდრე სოფ. არალამდე გამოიყვანა ე.წ. გორგულ-არალის კანალით ქობლიანის წყალი. ამით მთლიანად დაკმაყოფილდა არა მხოლოდ უდის მიწების მოთხოვნილობა, არამედ არალის, კახარეთის, ლელოვანისა და ყარათუბნის მიწების. კანალის სიგრძე 20 კილომეტრია.

## სოფლის უბანი კომლთა რაოდენობა საერთოდ და ეროვნებათა მიხედვით

უდეში წყალი რომ მოუყვანიათ, იგი უბნების მიხედვით სამ ნაწილად გაუყვიათ: ზედა მალა (თურქულად მაჰლა<sup>7</sup>), შუა მალა და ქვედა მალა (მუსლუმანთა უმრავლესობა ქვედა მალაში ცხოვრობს). მეოთხე უბანი ეს ქვედა უბნის დანამატი უბანია და შუმანქალაქის მიდამოებშია განლაგებული ამ უბანში, რადგან ათოშვილები ცხოვრობენ, ათოთ მალასაც ეძახიან. მეხუთე უბანი ჩასახლებულია ციხის ყელის ძირში და ხანდაკას უწოდებენ. მეექვსე უბანი სოფლის სამხრეთი ფერდობებზეა ნაშენები და ამ უბანს ჰოკოთ უბანს ან პეტათ უბანსაც ეძახიან. მეშვიდე უბანი ნაფუზრების უბანია. იგი სოფლის აღმოსავლეთითაა, ახლად ჩამოყალიბებული უბანია. მერვე უბანი ზაზათი და არსენათ უბანია, რომელიც სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. პირველ უბანში მცხოვრები გვარებიდან უმთავრესები შემდეგია: მერაბიშვილები, ბალახაშვილები, აზირაშვილები და სხვა. მეორე უბანში მცხოვრები გვარებიდან უმთავრესია: მარტიაშვილები, პეტრიაშვილები, ჭალიაშვილები, ყულჯანიშვილები, აფრიამაშვილები, ფარცახაშვილები, გიქოშვილები, აბულაძეები და სხვა. მესამე ანუ ქვედა უბანში მცხოვრები არიან: ბარათაშვილები, ბაქრაძეები, ჩილაშვილები, კინაძეები, აღლემაშვილები, ბერიძეები და სხვა. მეოთხე უბანში ცხოვრობენ ათოშვილები, პეტრიაშვილები, აბულაძეები. მეხუთე უბანში: გიგოლაშვილები, თითენაშვილები, ბალახაშვილები, პეტაშვილები და სხვა. ნაფუზრების უბანში: მაისურაძეები, ყულჯანიშვილები, მერაბიშვილები, სარაშვილები, ბოჩიკაშვილები, პარუნაშვილები და სხვა.

სოფ. უდის მცხოვრები კოლნევრები 722 კომლია. ინდივიდუალური მეურნეობა ოთხია, სულადობით თუ ვიანგარიშებთ კოლმეურნე და ინდმეურნენი, ჩამოსულ მუშა-მომსახურეთა ჩაუთვლელად, 4007 სულია. ამ 722 კოლმეურნე კომლიდან ქართველ-მაჰმადიანი უდრის 110 სულს, დანარჩენი ქართველ-ქრისტიანე-

7. მაჰლა(თურქ.) - უბანი

ბია. მხოლოდ ერთი კომლია ახლად ჩამოსული სომეხი, რომელიც მიწის მოწყობისა და კოლმეურნეობის დაარსების დროს სოფ. უდეში იმყოფებოდა პარიკმახერად. ის ჩარიცხეს უდის მაცხოვ-რებელთა სიაში და მისცეს საკოლმეურნეო წევრის უფლება. ამ-რიგად, მიიღო საკარმიდამო საეზოე მიწა და დარჩა სოფ. უდის მუდმივ მცხოვრებად. ესენი კუნჩიბაშევების გვარს ატარებენ. სულ 5 სული არიან.

ქართველ-მაჰმადიანებსა და ქართველ-ქრისტიანებს შორის ქალის მიცემა-აყვანა ე.ი. ქორწინების შემთხვევა არ ყოფილა. ეს სამარცხვინოთაა მიჩნეული ორთავე სარწმუნოების მქონეთათვის. არც ამ მხრივ შეურაცხყოფას არ ქონია ადგილი. პირიქით, რომელიმე კოლმეურნე სახლიდან ხანგრძლივი დროით წასვლის შემთხვევაში, მუსლუმანებიც და ქრისტიანებიც, მეზობლის ოჯახისადმი დახმარებას საპატიო საქმედ თვლიან. არიან უმრავლესი ოჯახები, რომლებსაც ჰყავს ქრისტიანი მეგობრები, რომელთა ურთიერთ პატივისცემა არ შეედრება არავითარ ნათესავურ პატივისცემას. ეს სასახელოა და სამაგალითოდ ითვლება. მენშევიკების დროსაც კი, არ დარღვეულა ეს ზნე-ჩვეულება.

## სოფელ უდის მცხოვრებთა გვარები

სოფ. უდის მცხოვრებთა გვარები შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად.

პირველ ჯგუფში უნდა მოვათავსოთ ისეთი, რომლებმაც ასე-ული წლების მანძილზე არაბთა, სპარსთა, თურქთა და სხვათა შემოსევებით განიცადეს უამრავი დარბევა და ანიოკება მორალური, ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრა, ამის მიუხედავად მაინც შეინარჩუნეს ქართველობა - ქართული ზნე-ჩვეულება, ენა, სარწმუნოება და თავისი სოფელი. როგორც გვარებიდანაც დავინახავთ, ეს გვარები გლეხთა გვარებია. თავკერძა დიდებული თავადებსა და აზნაურებს მუსლიმანობა მიუღიათ თავიანთი მამულისა და უფლებათა შენარჩუნებისათვის. ქართველებად დარჩენილი დაბალი ხარისხის გლეხთა გვარები, რომლებიც მაინც დიდებული არ იყვნენ, ასენი არიან:

1. ბალახაშვილები, რომელთა კომლობრივი რაოდენობა სოფ. უდეში დღეს ორმოცამდეა ასული;
2. მერაბიშვილები, რომლებთა ქვედანაყოფების სახით ექვსი ახალი გვარია წარმოშობილი. ესენი ყველა ერთად 65 კომლს აღემატება;
3. ზაზაშვილებიც მრავალრიცხოვანი კომლიანი გვარია, რომლიდანაც ოთხი სხვა გვარია წარმოშობილი;
4. მაისურაძეები 16 კომლის რაოდენობით;
5. ყულჯანიშვილები;
6. მღებრიშვილები;
7. დავითაშვილები;
8. პარუნაშვილები.

მეორე ჯგუფის გვარებად შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი გვარები, რომლებიდანაც ნაწილმა შეინარჩუნა ქართველობა - ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და სხვა. ნაწილი კი გამაჰმადიანდა.

მეორე ჯგუფის გვარებს ეკუთვნიან:

1. აბულაძეები;
2. კიკნაძეები (კიკნაძეების ქრისტიანი შტოს წარმომადგენლები გიქოშვილებად იწოდებიან);
3. ჩილაშვილები;
4. პეტაშვილები.

მესამე ჯგუფის გვარებად შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი დი-დებულთა გვარები, რომლებმაც დათმეს ქართველობა, შეეგუეს გამუსლუმანებას და მიღებას თურქული ენა, ზნე-ჩვეულება, სარ-წმუნოება და სხვა. ასეთი გვარებია:

1. ბარათაშვილები - 30 კომლია, აქედან 10 თურქეთში წავიდა;
2. ბაქრაძეები - 22 კომლია;
3. ბერიძეები - 15 კომლია.

მეოთხე ჯგუფის გვარებად უნდა ჩავთვალოთ სოფ. უდეში ჩა-მოსული არა-ქართველთა გვარები.

1. კუჩიბაშვი 1 კომლია. მათი ოჯახი 20 წლის წინ გასაბჭოების დღეებიდან ახალციხიდან ჩამოვიდა უდეში, როგორც ბარ-ბარი<sup>8</sup>. კოლექტივიზაციის პერიოდში, რახან უდეში იმყოფე-ბოდა, მასაც მისცეს საკარმიდამო საეზოვე და ამრიგად გახ-და უდის მუდმივი მცხოვრები;
2. სარაჩევის გვარი 2 კომლია, მათი ბაბუა არტაანიდან ჩამო-სულა, როგორც მედუქნე, ჩასიძებულა აქვე და გამხდარა სოფ. უდის მუდმივი მცხოვრები. შემდეგში დაირჩევს გვა-რიც სარაჯევის სახით და დარჩნენ უდის მცხოვრებლად.

დავიწყოთ პირველი ჯგუფის გვარიდან. ბალახაშვილები თბი-ლისიდან მოსულან. ერთი კაცი მოსულა თბილისიდან. მას მოს-წონებია აქაური ნასოფლარი ადგილი და ჩასახლებულა აქ. ის კა-ცი ბალახაშვილი ყოფილა.

ბალახაშვილების გვარი გაძლიერებულა. ამ დროს ერთ ქალზე ზედსიძედ მოუყვანიათ შავშეთის სოფ. ხოქაჯურიდან კაცი და ბალახაშვილების ერთი შტო აქედან გამრავლებულა. მეორე შტო - ფეფრუათები, ციცნათები და ყარამელქოთების შტოს, რომე-ლიც იგივე ბალახაშვილებს ეკუთვნის, ამათი წარმოშობაც ასე ყო-ფილა. ვიცლა ახალგაზრდა და ბოლაჯურიდან წაფლად მოსულა ბალახათებში (წაფელი არის წყემსი ან გუთნის დედის დამხმარე ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ხარებს ერეკები). ჯერ დიდხანს მა-ლული ყოფილა. შემდეგში კი, როგორც წარმოსადეგი, ჩაუსიძე-ებიათ და აქედან გამრავლებულა ზემოხსენებული ქვე-გვარები. ასე ამბობს 71 წლის ივანე ბალახაშვილი, კოლწევრი.

პირველი ჯგუფის მეორე გვარის, მერაბიშვილების შესახებ

8. ბარბერი - მამაკაცთა პარიკმახერი

ცნობას გვაძლევს ყოფილი დოსტაქარი, ექიმბაში, 1885 წელს დაბადებული, ამჟამად ფერშალი, ანტონ მერაბიშვილი და აღნიშნავს შემდეგს: “როდესაც დღევანდელი სოფ. უდის ხსენება არ ყოფილა ალბათ ქართლის მხრიდან, აქაურობაში სამოსახლო ადგილის მოსახებნად მოსულა სამი ძმანი - ნიკოს ძეები ხურცი-ძეები. ზაქორის სერიდან დაუნახიათ ეკლესია ტყეში. დიდხანს ძებნის შემდეგ ეს ეკლესია მოუნახიათ, ეს ადგილი მოსწონებიათ და დასახლებულან (ამ უღრან ტყეში პირველი სახლი რომ აუშენებიათ, ეს სახლი ზედ დიდი ხის ძირას აუშენებიათ, ისე რომ იგივე მსხვილი ფეხზე მდგომი ხე სვეტად გამოუყენებიათ. ეს სახლი დღესაც კვარიანი ხისაგანაა აშენებული და ცხოვრობს შიგ პეტიკო მერაბიშვილი). უფროსი ძმა, არგუნეს შავშეთში გადა-სახლებულა. შუათანა ძმა, მერაბი აქ დარჩენილა. უნცროსი ძმა ოჯახით იმერეთში გადასახლებულა. მერაბას ერთი შვილი ზემო ფოცხოვში სოფ. ყველში არის გადასახლებული და გამაპამდიანებულია. სოფლის ნახევარზე მეტი მისი შთამომავლობაა გამ-რავლებული და მერაბ ოღულლარად იწერებიან. საბჭოთა კავში-რის-თურქეთის სახელმწიფო საზღვრების დადებამდე გვეკონდა მიმოსვლა. დიდი პატივისცემით გვიხსენიებდენ. მერაბა ხურ-ციძე (1558-1626 წ.) ყოფილა ოცხე-აბასთუმნის ჯართ მთავარი ათაბაგისა. მერაბის შვილი, შვილმოსანი (1612-1685წ.) ყოფილა ქობლიანის ფაშის მრჩეველი. მერაბის შვილებს გვარად ეწოდებოდათ მერაბიშვილები და ასედაც გრძელდება. ერთი პირი ამ გვარიდან ვიცლა ჰავლე ფალავანი მოჭიდავე ყოფილა. სულთანის ფალავანი მას მკლავი მოუმტვრევია და ალბანეთში გადა-უსახლებიათ. იქ მას დოსტაქრობა შეუსწავლია და სამი წლის შემდეგ ჩამოსულა. ეს პიროვნება წერა-კიოხვის კარგი მცოდნე და მენისქვილების მცოდნეც ყოფილა (1745-1823). მისი შვილის შვილიშვილს პარიზში უნივერსიტეტი დაუმთავრებია, იგივე პეტრე იყო ნეგუსის პირადი ექიმი (1877-1929) მერაბიშვილების დაწვრილებითი ცნობებისათვის იხილეთ გენეალოგიის ფურცელი.

პირველ ჯგუფის მესამე გვარად პირობითად ჩავთვალოთ ზა-ზაშვილების გვარი.

დღევანდელი ასპინძის რაიონში მყოფი ცნობილი ვარძის სამხრეთ დასავლეთით, 5-6 კილომეტრის სიშორეზე მდებარეობს სოფ. აგარა. აქ ვიცლა ივანე ზაზაძეს ყოლია ორი შვილი სა-

ხელად ჰეტრე და პავლე. ჰეტრე იქვე დარჩენილა. პავლე უდეში გადმოსახლებულა. მას ჰყოლია ოთხი შვილი: ჰეტრე, გიგო, თა-თო და გელეზარ. აქედან ჰეტრეს შთამომავლობა ზაზაშვილებად იწერებოდა, გიგოს შთამომავლობამ შეიცვალა გვარი და გიგო-ლაშვილებად იწერებოდა. თათოს შთამომავლობა თათოშვილებად, გელეზარას შთამომავლობა კი გელეზარაშვილებად იწერებოდა. 1925-1930 წლებიდან ისევ შეიცვალეს გვარი და ახლა გელაძებად იწერებიან. ზაზაშვილების ერთი ვაჟი არალში ზედ-სიძედ შესულა და იქაც გაჩენილა ზაზაშვილები. უდელი ზაზაშ-ვილები დღეს 25 კომლია, თათოშვილები - 13, გელაძეები - 10. ასეთ ცნობას გვაძლევენ ამ გვარების შესახებ 80 წლის კოლმე-ურნე ოსიკო ზაზაშვილი, 90 წლის კოლმეურნე მიხა თათოშვილი, 59 წლის კოლმეურნე სტეფანე მექოს ძე გიგოლაშვილი.

ამ ზაზაშვილების გვართა გენეალოგია შეადგინა X კლასის მოსწავლემ სიკა მიხას ძე ზაზაშვილმა 1944 წლის 25 აპრილს.

პირველი ჯგუფის მეოთხე გვარად ჩავთვალეთ მაისურაძე-ები. მაისურაძეების პირველი კაცი, რომელიც უდეში ჩასახლებულა, ყოფილა ჩამოსული ზემო ქართლის სოფ. ბედნისიდან. კაცის მკვლელობის გამო, თავი შეუფარებია ახალციხის საფაშოს. აქ ყაზრო ზედსიძედ შესულა ვიცლა აკოფაშვილების ოჯახში. ამ გვარიდან 6 კომლი აქედან გადასახლდა იმერეთში, ნულუკიძის რაიონის სოფ. ახაშენში (სარქის მაისურაძე, 50 წლის კოლმეურნე).

პირველი ჯგუფის მეხუთე გვარად პირობითად დავასახელეთ ყულჯანიშვილების გვარი. თელავის მხარე სისტემატურ ლეკთა დარბევებით იყო ცნობილი. აქ, ქართველების გარდა, სომხებიც ყოფილან. ლეკების მკვლელობისა გამო სომეხი მუგო ყულჯანა-ნი თავისი ერთი შვილით არუთინასთან ერთად გადმოსახლებულა სოფ. უდეში, ლეკებისაგან თავის დაღწევის მიზნით. მუგოს ორი შვილი: პაპაი და ონჯორი თელავში დარჩენილა. ყულჯანიშ-ვილების გვარის გენეალოგიური ცხრილის შედგენა ეკუთნის 58 წლის კოლმეურნეობის წევრს, ბაგრატ სტეფანეს ძეს და ივანე ოსეს ძეს ყულჯანიშვილებს.

პირველი ჯგუფის მეექვსე გვარად მღებრიშვილების გვარი ჩავთვალეთ. უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ ეს გვარიც სოფ. უდის სხვა გვარების მსგავსად, თუმცა ძველი ჩამოსახლებულია, მაგრამ მკვიდრი მაინც არაა, მაინც ჩამოსულია. ამ გვარის პირვე-

ლი მამაკაცი ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბავრიდანაა ჩამოსული ნანოსას სახელწოდებით. მღებრიშვილების კომლთა რაოდენობა დღეს 20-მდე ავიდა.

პირველი ჯგუფის მეშვიდე გვარი არის დავითაშვილების გვარი. ამ გვარიდან დროთა განმავლობაში შეიქმნა ხუთი ცალკე გვარი, აქედან, აფრიამაშვილები - 15 მეკომური, ბალდოშვილები - 12 მეკომური, ობოლაშვილები - 20 მეკომური, პეტრიაშვილები - 5 მეკომური და დავიდოვები - 3 მეკომური. დავითაშვილების ცნობა მოგვცა 80 წლის კოლმეურნე, სოფლის საბჭოს 15 წლიანი დეპუტატი, ვანო ყაზაროს ძე აფრიამაშვილმა. “ატო მოსულა სოფ. უდეში ჯავახეთიდან და აქ წაფლად დამდგარა. შემდეგ აქვე დასახლებულა, ცოლი შეურთია, ორი შვილი ჰყავდა - დავით დავითოვი და სოლომონ დავითოვი. დავითი ზაბითი<sup>9</sup> კაცი ყოფილა, ე.ი. მხნე და მრისხანე და ზედმეტ სახელად დავითს ეძახდენ. ნამდვილი სახელი ატო ყოფილა. შემდეგში მის შვილებს მისი ზედმეტი სახელის მიხედვით დავითაშვილები ან დავითოვები დაუძახებიათ. დავით დავითოვს ჰყოლია ორი შვილი: თომა და სოლომონი. სოლომონ დავითოვს ჰყოლია: ვერდანე, ოსე და აფო. აფო მკვიდრად დარჩენილა. უადგილობის გამო დანარჩენი ძმები სხვაგან გადასახლებულან. თომას შვილს ბალდო რქმევია და იქიდან ნარმოსულან ბალდოშვილები. ამ გვარიდან ერთი ბიჭი ვენა ობოლი ყოფილა და ობოლაშვილებად დარჩენილა მისი შთამომავლობა. ერთსაც აფრი რქმევია და მის შვილებსაც აფრიამაშვილები უწოდებიათ”.

აფრიამაშვილების, პეტრიაშვილების, ბალდოშვილების, ობოლაშვილების გვართა გენეალოგია შეადგინა 1944 წლის აპრილში X კლასის მონაფე თამარა აფრიას ასულმა აფრიამაშვილმა.

მერვე გვარი პირველი ჯგუფისა არის პარუნაშვილი. პარუნაშვილების პირველი გვარი იყო სიმონიშვილები. სიმონიშვილების ქალიშვილზე ზედსიძედ ჩამოსულა ვიღაცა მდიდარი სომეხი კარაპეტა. იგი, რადგანაც შეძლებული იყო და გავლენიანი, მის პატივისაცემად პარუნს ბატონს ეძახოდენ. მის შემდეგ მის შვილებს პარუნას შვილებმ ეწოდა. შემდეგში პარუნაშვილებიდან ნარმოშობილა სამი გვარი:

9. ზაბით(თურქ.) - აქ: მრძანებელი

1. პარუნაშვილები, 20 კომლია;
2. აკოშვილები - ამჟამად თუმანიშვილებად იწოდებიან, 10 კომლია;
3. ბოჩიკაშვილები, 15 კომლია.

გარდა ამისა პარუნაშვილებიდან 10 კომლი კახეთშია წასული, ყვარელის რაიონის სოფ. სანავარდოში. პარუნაშვილების, აკოშვილების და ბოჩიკაშვილების გვარების შესახებ ცნობები მოგვანდა 53 წლის კოლეგვრმა, ფანჩო პარუნაშვილიმა.

მეორე ჯგუფის გვარებად ჩავთვალეთ ისეთი გვარები, რომლებიდანაც ნაწილმა შეძლო ქართველობის შენარჩუნება, ნაწილმა კი მიიღო მაჰმადიანობა. ასეთი გვარებია:

პეტაშვილებისა და გზირიშვილების გვარი ადრე ყოფილა ელაძეები. ელაძეები ახალციხიდან იყვნენ გადმოსახლებული. პირველი მათგან, ვინც უდეში გადმოსახლდა, შესძენია ორი შვილი: ყაზრო და პეტრე. ყაზრო, თურქები რომ შემოსულა, მაშინ ჩაუში გამხდარა სოფლისა (გზირი). მას შემდეგ ყაზროს თაობას ქართულად გზირიშვილებს, თურქულად კი ჩაუშ ოლულლარი ეწოდება. რაც შეეხება პეტრეს შვილებს, იმათ პეტაშვილები უწოდეს და ასედაც გრძელდება. ორი შვილი ჰყოლია: პაპაი და ბერნარდე. თურქების ერთ-ერთი შემოსევის დროს პაპაი დამალულა, ბერნარდე დაუჭერიათ და ძალით მუსლუმანობა მიუღებინებიათ. ბერნარდეს შვილები, ხალიდი და მაჰმედი, უკვე მუსლუმანურ სახელებს ატარებდენ. მუჰამედის შვილს არითავის უდეში გაუყიდია მიწა-წყალი და გადასულა სოფ. ჭურყში. შემდეგში აჭარელი მუსლუმანი ყაჩაღებისთვის ხელის შეწყობისათვის რუსეთის მთავრობას ისევ გადმოუსახლებიათ სოფ. უდეში. ჭურყი კვლავ ნასოფლარად დარჩენილა.

პეტაშვილებისა და გზირიშვილების გვართა გენეალოგიის შედგენაში და განმარტებაში დამეხმარა 88 წლის კოლეგვრი სტეფან - ტეპა გზირიშვილი და ანტონ - ატო გზირიშვილი, 80 წლის კოლმეურნე, კეკეთუმანიშვილი, 70 წლის კოლნევრი, ცნობილი ექიმბაში, 82 წლის ასლან პეტაშვილი - კოლნევრი და პეტრე პეტაშვილი. გენეალოგია დახაზა 1944 წლის 20 აპრილს მეათე კლასის ფრიადოსანმა მოწაფემ პავლე პეტრეს ძე გზირიშვილმა.

აბულაძეებიც მეორე ჯგუფის გვარებს ეკუთვნიან, რადგან, როგორც აღვინიშნეთ, აბულაძეების ნაწილი ქრისტიანებია და ნაწილი მუსლუმანებია. მ.ტ.ს.-ის მოანგარიშე, 45 წლის სტეფანე

აბულაძე აღნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრები ახალქალაქიდან 10 კმ აღმოსავლეთით მყოფი სოფ. **აბულიდან** ჩამოსულა სოფ. უდეში. მაშინ მწყემსი ყოფილან. ორი ძმა - **გაბო** და **ფანჩო**. გაბოს მუსლუმანობა მიუღია, ფანჩოს არა და ერთის შთამომავლობიდან მუსლუმანები, მეორეს შთამომავლობიდან ქრისტიანები გამრავლებულან. 40 კომლი ქრისტიანები და 25 კომლი მუსლუმანებია.

აქედან 1913 წელს 3 კომლი თურქეთში, ჩირუმშია წასული, 1 კომლი არზრუმში, ფასენშია ჩასახლებული. 55 წლის აჰმედ აბულაძე ამბობს, რომ მე მეექვსე თაობა ვარ იმ ჩემი წინაპრისაგან, რომელმაც მიიღო მუსლუმანობა. ფანჩო და გაბო ძმები ყოფილან. ფანჩო ძლიერ მაგარი კაცი ყოფილა და არ გამუსლუმანებულა. გაბო სუსტი ნებისყოფისა ყოფილა, მოუღია მუსლუმანობა და ამით თავისი თავიც გადაურჩენია სიკვდილისაგან და ძმა მისიც.

მეორე ჯგუფი მესამე გვარად პირობით ჩავთვალეთ ჩილაშვილები.

ჩილაშვილების ნამდვილი გვარი ჭილაშვილები ყოფილა. ჩილაშვილებად გადაკეთება მომხდარა საქართველოში რუსების შემოსვლის შემდეგ. რუსულ ენაში “ჭ” ასოს უქონლობის გამო. პირველი ჭილაშვილი გორიდან ყოფილა ჩამოსული ივლიტაში - ახალციხის გვერდით სოფელია. აქ წაფელი ყოფილა. ამ კაცს სერგო პრემერია. მას ჰყოლია შვილი მონა. აი ეს იონა გადმოსახლებულა სოფ. უდეში. მას ოთხი შვილი შეძენია უდეში: პეტრე, ტეფონი, პავლე, ვარდო. ვარდოს მუსლუმანური სახელი გულის წოდებით ვიცნობთ. აქედან 24 კომლი ქრისტიანია და 40 კომლი მუსლუმანი. ამ 40 კომლიდან 15 კომლი სოფ. წარბასთუბანშია და 5 კომლი თურქეთში, ბაიაზეთშია ანუ ყარაქოსაშიაო, ამბობს 34 წლის ექიმი-კაპიტანი სტეფანე ჩილაშვილი და 68 წლის კოლნევრი შაპეაზ ჩილაშვილი.

მესამე ჯგუფის პირველ გვარად პირობითად მივიჩნიეთ ბარათაშვილები.

უდავოა, რომ მე, როგორც ამ პატარა ნაშრომის ავტორი, ყველაზე მეტად მაინტერესებდა საკუთარი ჩემი გვარის ისტორია. მაგრამ საუბედუროდ დღემდე შევძელი მხოლოდ მეექვსე თაობამდე მისვლა. ბაბუაჩემისგან გაგონილებითა და მამაჩემისა და სხვა მოხუცების დახმარებით ამ მეექვსე თაობამდე - დაბადებებისა და გარდაცვალებულთა თარიღები დავაზუსტეთ და აღ-

მოჩნდა, რომ ჩვენი პირველი წინაპარი ყოფილა ყარიმან ბარათაშვილი, დაახლოებით 1687 წელს დაბადებული და 1749 წელს გარდაცვლილი. მისი ვინმე ნათესაობანი არსად ჩანს. თვითონ არ ყოფილა გამოჩენილი პიროვნება. ალბათ ახალი, ანუ პირველი მუსლუმანი ჩვენი გვარიდან უნდა იყოს. ქართული სახელი რომ არ ემჩნევა, ეს გასაგებიცაა. ვიცლას მან თავდაცვის მიზეზით უნდა იყოს. პაპაჩემი იტყოდა, რომ ყარიმანის შვილი, ალია გამოჩენილი კაცი ყოფილა და უშიშარი. თავისი გვარის - ბარათაშვილის ტარება სრულებითაც არ მიაჩნდა საშიშროებად. მამამისი კი პირიქით ერიდებოდა ბარათაშვილის გვარის ტარებასო. მას ქონია საკმარისი ვარგი მიწებიც სოფ. წყისეში, არალში, ბოლაჯურში. ის იყო სოფ. უდის ზედაფენის წარმომადგენელი, მაგარი ფანატიკოსი. ის ყოფილა ინიციატორი ქობლიანში ჯამეების მშენებლობისა. სოფ. ფხეროს მცხოვრები ვიცლა არაბ ოლისთან ერთად წასულან სტამბოლში. გზაზე არაბ ოლლი მომკვდარა. ალი ბარათაშვილი კი სულთანის ნახვის შემდეგ შეიხ-ულისლამის რეზიდენციაში, ყონიაში მისულა. ამრიგად, როგორც სულთანისაგან, ისე შეიხ-ულ-ისლამისგან ჩამოუტანია ფირმანი (კურთხვითი სიგელი) სოფ. უდისა, ფხეროსი, ლელოვანისა და სოფ. ჭეჭლას ჯამეებისა. (ჯერ შესწავლილი არ არის სოფ. ჭეჭლაში მცხოვრები ბარათოლულლარის ვინაობა. ვფიქრობ, ესენი ჩვენი გვარის შტო უნდა იყვნენ).

გასაგებია, შეიხ-ულ-ისლამის ნახვა ყონიაში დაკავშირებული იქნებოდა დიდ საჩუქრებთან და უფრო მეტი საჩუქრების მიტანა საჭირო იქნებოდა თვით სულთან მაჰმუდ პირველთან. ეს ფაქტი ლაპარაკობს, რომ ალი ბარათაშვილი შეძლებული და გავლენიანი პირი ყოფილა, რომელსაც, თურმე, შემდეგში ბარათ-ალის უწოდებდენ. მამაჩემი, მახსუდ იგონებს: ვიცლა ბალდათელ მათეს, რომელიც ყოფილა ჩალბადარი (ჩალანდარი<sup>10</sup>) და მამაჩემის მამის ძმა - ბიძა ომარასთან ერთად დადიოდენ აჩუხბაშში (თავლიას ნიშნავს, მეჩეთში ეგრე უწოდებდენ. თუმცა ხშირად

10. ჩალანდარი - პირი, რომელიც ცხენს ქირაზე ატარებს


საქართველოსაც უწოდებენ იმერეთს). იგი ამბობს, რომ მათ-გან ვიცლა პეტრე გადმოსულა და ახალციხეში გათათოებულაო. უკვე ჭკვასთან ახლოა, რომ ჩვენი გვარის პირველი გამაპმადიანებული ყაპრიმან ბარათაშვილი უნდა იყოს. მაიაკოვსკის რაიონის ბარათაშვილები და გადმოსახლებული დღეს სოფ. უდეში 22 კომლია ბარათაშვილები. გარდა ამისა 50 წლის წინათ ბაბუაჩემის ბიძაშვილი, უზეირ ყოჩალის ძე ბარათაშვილი გადასახლებულა შავშეთში, სოფ. ჭბეთში. უზეირის მეორე ძმა, იბრაჟამ ყოჩალის ძე ბარათაშვილი 1900 წელს გადასახლდა თურქეთში ბურსის ვილაიეთის ინეგოლის მაზრაში, სოფ. მნეგოლში ყოფილან ჩასახლებული. ხ.ა. ახვლედიანი (კირისილ ოლლი) თავისი წიგნი “ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI-XIX საუკუნეები)”, გვერდი 110-ზე აღნიშნავს: “აჭარელთაგან ყოფილან შეის-ულ-ისლამის ტიტულის მქონე პირებიც რასაკვირველია, ეს იყო მხოლოდ ბოლო ხანებში, თავდაპირველად კი ასეთი თანამდებობის მიცემას აჭარლებისათვის თურქეთის მთავრობა ძლიერ ერიდებოდა. შეის-ულ-ისლამინ ქართველ მაპმადიანთა შორის თითებზე ჩამოსათვლელი ყოფილან. ცნობილი არიან შემდეგი პირები: ხერხეულიძე არდაპანიდან - 1780 წელში, ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე - ზენდიდელი - 1830 წ., ყადი ხოჯა ბარათაშვილი - 1805 წ., გურჯი ლომან (ნუმან) ეფენდი ქარცივაძე და სხვა”. აქ აღნიშნული ბარათაშვილი ქობლიანელი ბარათაშვილებიდან კი არა, აჭარელი ბარათაშვილია. უნდა აღინიშნოს, რომ ბარათაშვილები ბევრგან არიან: კახეთშიც, გორშიც, ხარაგაულშიც, ჭიათურაშიც, წალენჯიხაშიც, აჭარაშიც, ქობლიანშიც და ქუთაისშიც. წალენჯიხელები ბარათოვებს უწოდებენ, სხვაგან კი ბარათაშვილებს უწოდებენ. სხვათა შორის, ჩვენი ოჯახის თითქმის ყველა წევრი მუსლუმანურ ფანატიზმით იყვნენ გატაცებული. ბაბუაჩემი თავის მაზრაში. ცნობილი ვაჟი ყოფილა, როგორც “კეთილსინდისიერი მუსლუმანი” პირის კაცი და ვაჭრობაც თურმე კარგად ეხერხებოდა. მამაჩემი გადმომცემს, რომ: “მამაჩემის სერიოზული დავალება იყო: სად რა პირობებშიაც არ უნდა ჩავარდე, არ გადათქვა, შვილო, შენი დიდებული გვარი. ყველას არ ეღირსება ასეთი გვა-

საქართველოს ადიგენის რაიონის  
**ბარათაშვილების**

ამ სქემის პირი ჩაბარებულია საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიაში 1968 წ. 25 მაისს

პროფ. სერგი ჭიქიას შრომაში: "გურგაისტანის ვილაიეთის რეესტრი"  
დადასტურებულია, რომ XVI საუკუნეში ახალციხის საფაშოს სოფ.  
უდეში არსებობდა ბარათაშვილების გვარი (ტ. I, გვ. 51)

ბარათაშვილების გვარის არსებობა დასტურდება აგრეთვე 1886 წ.  
"ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრის საოკახო სიებით"  
(ტფილისის სახაზინო პალატა, ფონდი 254, აღნერა 3, საარქივო #1852)




სოფ. უდის ბინადარი

# გენეალოგია

(შედგენილია 1942 წ.)

## ზურაბ ბარათაშვილი



რიო.” თუმცა სოფ. აწყურშიაც არიან მუსლიმანი ბარათაშვილები, მაგრამ, რატომდაც ისინი ამ გვარს ატარებენ “სეზონურად”.

ბერიძეები. უდეში ბერიძეები არიან მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები და ამიტომ, უდის გვართა მესამე ჯგუფს ეკუთვნიან. ისინი სულ 15 კომლია. ასევე, გვარის 66-წლიანი გლეხი ხალილ ბერიძე აღნიშნავს: გადმოცემით გამიგონია, რომ ჩვენი წინაპარი გურიიდან გადმოსულა და აქ მიუღია მუსლიმანობა. იგი არ ყოფილა გავლენიანი პირი. არ ქონია დიდი მამულები. ყოფილა გლეხი კაცი და ცხოვრობდა თავისთვის კარჩაკეტილად. ღვთის მორწმუნე კაცი ყოფილა. ამ გვარის ყველაზე გამოჩენილი პირი, დურსუნ ბერიძე ხალით ფაშას დროს იყო მისი ერთგული მუხთარი - გზირი.

ხალილ ბერიძეს მამა, აზიზი მუსტაფას შვილი ყოფილა. იმაზე ადრე წინაპრებს არ იცნობენ. ამ გვარიდან მხოლოდ ორი კომლი წასულა მუჰაჯირად - გადასახლებული თურქეთში ბურსის ვილაიათის ინეგოლში.

## გვარეპის ცვალებადობა სოფლის ისტორიასთან დაკავშირებით

არსებული მონაცემების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ახლანდელი უდე არსებობს არა უმეტეს 3-4 საუკუნის მანძილზე, ე.ი. მოსახლეობაში შეიცვალა 7-8 თაობა. როგორც ჩანს, სოფლის უძველესი გვარებია: ხურციძები - შემდეგში მერაბიშვილები, ბალახაშვილები, დავითაშვილები, გიგოშვილები, პარუნაშვილები და ზაზაშვილები; შემდეგში თვითეული ამ გვარიდან მრავალი სხვა გვარი წარმოიშვა. ასე მაგალითად: მერაბიშვილებისა-გან წარმოიშვნენ გაბოშვილები, კაჭკაჭაშვილები, სარაშვილები. სოფ. უდეში სარაშვილები სხვებიც არიან ჯავახეთის სოფ. ხიზაბავრიდან ჩამოსულები, მხოლოდ 3 კომლს შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ უდე ძალზე მოცილებულია სხვა ქრისტიან სოფლებს. ერთხელ, თავდაპირველად შეჩვეულ ან ცნობილ სახელებს არქმევდენ. ამიტომ ხშირად მეორდებოდა სახელიც და მამის სახელიც ერთ და იგივე გვარში თუ სხვადასხვა გვარებში, რის გამოც ჩვენ სოფელში ერთი და იგივე სახელის და მამის სახელის მქონე ადამიანებს ზედმეტ სახელებს არქმევენ მათი გარჩევის მიზნით. ხშირად ეს ზედმეტი სახელი გვარად გადაქცეულა.

უდის ქრისტიანობაში გავრცელებული მამრობითი სქესის სახელები დაახლოებით შემდეგია: პეტრე ან პეტე, პავლე ან პალე, ოსე, სიმონ, მიხა, ფანჩო, ტეფა ან ტეფო, ოსიკო, სიკა, ვანო, გიგო, არტემ, პეპელ, თომა, კოსტა, სერო, აფრი, ლაზო, ანდრი, მეკო, სანდრო, პაკო, გიქორ, პოლოს, სარქის, ანტონ, ამროზ, სამსონ, ონჯო, გიორგი და სხვა. არის ისეთი სახელებიც, რომლებიც საქართველოს სხვა ქრისტიანი კუთხის სახელების მიბაძვით ახლა იქნა შემოღებული: თენგიზი, შოთა, გურამი, ოთარი და სხვა.

ქალის სახელებიდან აღსანიშნავია: თამარა, ნინა, სონა, თინა, ეთერი, მაგდა, მაგატა, გაიანა, სოფო, მარო, ქრისტინე, ლენა, ქეთო, ძუძუნა, ანა და სხვა.

ბალახაშვილები ძალზე ბევრნი არიან. შემდეგი ახალი გვარები წარმოშობის პროცესში არიან: არსენათები, ციცანათები, ტუშუკიანთები და სხვა.

დავითაშვილების შტოა: აფრიამაშვილები, პეტრიაშვილები, ბალდოშვილები, ობოლაშვილები, დავითაშვილები. ამათში აფრიამაშვილები 15 კომლია, ბალდოშვილები - 12 კომლი, ობოლაშვილები - 20 კომლი, პეტრიაშვილები - 5 კომლი, დავითაშვილები, რომლებიც დიდი ხანია დავიდოვებად იწერებიან - 3 კომლი.

ზაზაშვილების გვარიდან წარმოიშვენ შემდეგი გვარები: გოგოლაშვილები, თათოშვილები, გელეზარაშვილები, შემდეგში - გელაძეები.

პარუნაშვილებიდან წარმოიშვენ ბოჩიკაშვილები, მლებრიშვილები, თუმანიშვილები და სხვა.

აი ნიმუში, თუ როგორ გამრავლდა გვართა რაოდენობა სოფ. უდეში.

1945 წლის ივლისში სამარყანდის ოლქის ბულუნგურის რაიონის სოფ. იანგი არიხში - ე.ი. ახალრუში, საკუთარ სახლში გადაგწერე ეს მონაცემები.

ამჟამად უდეში იმყოფება 722 მოკომური, ე.ი. კომლი, აქედან 718 კომლი კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. 4 კომლი კი ინდ. მეურნეა. სოფლად სულ 4007 სულია, აქედან 20 სული ინდ. მეურნეა. სარწმუნოების მიხედვით 110 კომლი მუსლუმანია, 612 კომლი კი ქრისტიანი. სულადობის მიხედვით სოფლის ქრისტიანები 3442 სულია, მუსლუმანები კი 565 სულია. თუ დავუმატებთ ჩამოსულ მუმა-მოსამსახურეს - 45 სულს, მაშინ სოფელში იქნება 4052 სული, აქედან ქრისტიანები 3487 სული.

## სოფლის გაურნეობის დარგები

მოსახლეობა მიწათმოქმედებით ცხოვრობს. მისი მთავარი დარგებია: მეხილეობა, რომელიც ახლა იქცევა მასიურ საქმიანობად; მემინდვრეობა - მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი, პური, ქერი, ჭვავი და სხვა. მეცხოველეობას მისდევენ სხვათა შორის. ახლა ყველაზე ახალი დარგია უდეში მელორეობა, მაგრამ ამას მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა მისდევს. ოდესლაც ყოფილი მეღვინეობიდან მხოლოდ ხსენებაა დარჩენილი. თუმცა, ალაგ-ალაგ არის ყურძენი. ხარობს აგრეთვე ატამი და გარგალი. კოლნევრების ნაკვეთები თითქმის სულ ბალებია, რომელთა საზღვრები ჭანჭურსა და ქლიავს უკავია, რაც, ამავე დროს, ღობის მაგივრობას ეწევა. მებოსტნეობას თითქმის ისევე მისდევენ, როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში. თუმცა 10-15 დღით გვიან ითესება ვიდრე დასავლეთ საქართველოში. მოჰყავთ: კიტრი, ნესვი, საზამთრო, კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი და ყველა სახის მწვანილეული. ნაადრევად მოყვანილი კიტრი 5-10 აგვისტოს შემოდის. ასე რომ აპრილიდან ივლისის ჩათვლით სოფ. უდეში არც ბოსტნეულია და არც ხილეული, გარდა მწვანილეულისა. სექტემბრიდან იწყება თითქმის ყველა ბოსტნეულისა და ხილეულის მასიური შემოსვლა. ასე რომ უდეში მაძლარ თვეებად ჩაითვლება სექტემბრიდან მარტამდე. სიმინდს სთესენ სამნაირს:

1. ჭუტა სიმინდი - ეს ჯიში ძველია - ადგილობრივი ჯიშია. უმთავრესად ამას სთესენ ურწყავებში, რადგან გვალვას იოლად იტანს.
2. ჟორიალო იგივე ყვითელი ფერისაა, რაც ჭუტა, ხოლო ამისი მარცვლები უფრო მომსხვილოა - ჟორიალო სარწყავი ადგილების მოყვარულია.
3. იმერული თეთრი სიმინდია, რომლის მარცვლები უფრო მსხვილია. მეტ წყალს თხოულობს, იზრდება უფრო მაღალ ადგილებში და უფრო გვიან მწიფდება.

სამი გვარი კარტოფილი ითესება:

1. ადგილობრივი ჯიშის თეთრი კარტოფილი;
2. წითელი ჯიშის კარტოფილი;

3. შვიდყვირიანი ნაადრევი, გრძელი ჯიშის თეთრი და წითელი ჯიშის კარტოფილი.

ხორბალი ითესება იმავე ჯიშების, რაც საერთოდ ითესება აღ-მოსავლეთ საქართველოში - სხვა რაიონებში.

მეტილეობიდან 70 ჯიშის ვაშლი ხარობს. 30 ჯიშის მსხალი. გა-ბატონებული საბაზრო ვაშლის ჯიშებიდან აღსანიშნავია: სინა-პები, ბუმაჟნი, შაფრანები, ბელფლორი, ბანანა, კებურა, ანტო-ნოვკა, ფაშა, ციგანკა და სხვა.

საზამთრო მსხლებიდან აღსანიშნავია: თავრეჯული, სენუერ-მენი, ნანაზირი, კაცის თავა, წითელგვერდა და სხვა.

უდის კოლმეურნენი, მსგავსად სხვა კოლმეურნეებისა, სა-ხელმწიფო საკონტრაქტო ხილისა და კარტოფილის ჩაბარების შემდეგ, თავისი საკარმიდამოს ნანარმი მიაქვთ საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, საიდანაც უკან ბრუნდებიან გამდიდრე-ბულები. აი, რის საშუალებით უდელი გლეხობა პრაქტიკულად ლაპარაკობს ს.კ. სხვა რესპუბლიკების მოსახლეობის მიღწევებ-ზე. ეს აძლევს საშუალებას მათ გარდაქმნან თავიანთი ცხოვრება უკეთესად.

## სასოფლო სამუშაოთა სამუშაოთა ცენტრი და ვაჭაპი

პურისა და ქერის აღებისთანავე, ე.ი. 10-15 ივლისიდან მაშინ-  
ვე ხნავენ ნაკურცხალს, ე.ი. ნაპურალს ან ნაქერალს. ზამთარში  
საგაზაფხულოდ სათესად დატოვებულ ყანას გაყარილებულად  
ხნავენ (ე.ი. შორი-შორ მოხვნა), რითაც გაზაფხულამდე მოსულ  
ნალექებს ინარჩუნებენ. ხანდისხან ნაკურცხალზე თუთუნსა ან-  
და შალლამსაც სთესენ, რაც სექტემბრამდე ასწრებს შემოსვლას.  
საგაზაფხულო ქერი ან პურის თესვას იწყებენ 10-20 აპრილში,  
თუმცა გაცხარებული თესვა ჩაღდება ლაგლაგის - ყარყატის  
ცხელი ქვეყნებიდან გადმოფრენის შემდეგ, ე.ი. 8-9 აპრილს ძვე-  
ლი სტილით. საერთოდ შემოწმებულია ეს 8-9 აპრილს და 8-9  
აპრილს წვიმებიანი ქარია - საერთოდ ცივი ამინდია, რასაც ად-  
გილობრივი ხალხი ეძახის “ლაგლაგის ფურთნას”, ე.ი. ლაგლა-  
გის ქარბუქიანი ცივი ამინდი. საგაზაფხულო პურისა და ქერის  
თესვას მოსდევს სიმინდისა და კარტოფილის თესვა, რომელთა  
თესვის ვადები იწყება 10-15 მაისიდან 20-25 მაისამდე. სიმინდის  
ნიადაგს შემოდგომითვე ხნავენ, ე.წ. “არუნით” - ადგილობრივი  
კავით. სიმინდს სთესენ მოქნევითი წესით. კარტოფილის თესვა  
კი ორნაირად სრულდება. პირველნაირი თესვა: კაცები ბარებით  
თხრიან რიგრიგობით, ამოთხრილებში ქალები ან ბავშვები ყრი-  
ან 2-3 კარტოფილს მთელს ან დაჭრილებს, შემდგომ ამოთხრილი  
მიწით წინა ამონათხარ ადგილს, სადაც უკვე კარტოფილი ჩაყ-  
რილია, ხურავენ და ასე. გრძელდება. მეორე ნაირი თესვა უფრო  
ხელსაყრელია. არუნა ხნავს მიწას, უკან მისდევს მთესავი, რომე-  
ლიც 40-40 სანტიმეტრზე ყრის კარტოფილს. შემდგომი მობრუ-  
ნებისას წინა დათესილი კვალი იხურება. მესამე კვალზე ხელახ-  
ლად ითესება და ა.შ. პირველ კვალსა და მესამე კვალს შორის  
მანძილი 60 სმ გამოდის. კარტოფილის ფოჩვი 5-10 ივნისისათვის  
ერთი მტკაველის ოდენა იზრდება. ამ დროს იწყება კარტოფი-  
ლის პირველი თოხნა. პირველი თოხნა უფრო ძნელია. მოითხოვს  
ლრმად თოხნას. მეორე თოხნას მოყრას ეძახიან. ეს იმიტომ, რომ  
მიწა იყრება ლეროების ძირზე. მეორე თოხნა პირველი თოხნი-

დან 20-25 დღის შემდეგ იწყება. სიმინდის პირველი თოხნა იწყება 25-30 მაისიდან 10-15 ივნისამდეა, მეორე თოხნა კი 15-20 დღის შემდეგ იწყება. თუმცა ზოგი ბეჯითი გლეხი მესამე თოხნასაც უშრობა<sup>11</sup>. მაგრამ ეს მასიური არ არის. სიმინდის მეორე თოხნას მოსდევს მისი მორნყვა. სიმინდს სულ ცოტა ორჯერ მაინც ჭირდება მორნყვა, გარდა თესვის დღესვე შელეკვისა ე.ი. ნაუც-ბათევად დიდი წყლით მორნყვისა. რა საკვირველია, ეს წესები სრულდება სარწყავ ადგილებში. თუმცა სიმინდი ურწყავებშიაც ითესება ე.წ. ჭუტა ჯიშისა. ასეთივეა კარტოფილიც.

გასაბჭოებამდე სარწყავი წყალი უდეს მოჰყავდა უდის სათიბებით, რომლის უმთავრესი წყაროები 1921 წლიდან თურქეთის ტერიტორიაზე დარჩა. ამ კანალის სიგრძე 20-25 კილომეტრისა იყო, წლიურად ის კანალი ასობით მუშახელს თხოულობდა შეკეთებაზე, იმ კანალით ირწოდა უმთავრესად შეძლებულთა მიწები - გზირიანთებისა, ზიბიდიანთებისა, ეფოთოთებისა, აღოშათებისა და ა.შ. გასაბჭოების შემდეგ თურქებმა სარწყავი წყლები სისტემატურ ხმარებაში არ მოგვცა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი უდის მმრომელებმა გამოიყვანეს ახალი 10 კილომეტრიანი კანალი, რომელიც ემსახურება სოფ. ყარათუბნის, ლელოვანის, კახარეთის, უდისა და არალის მიწებს. რაც სამჯერ გამოიყვანეს სხვადასხვა მოცულობითა და მანძილით 1924-1936 წლებში. პირველი და მეორე კანალი თვით სოფელმა მოიტანა. მესამე ჯერზე ჩამოთვლილმა სოფლებმა და სახელმწიფომ დაეხმარა. 1933-1936 წლებში ამ კანალის გამოყვანის ინიციატორები და ხალხის მაორგანიზებლები იყვნენ ამხანაგი გიგო მამულაშვილი, განსვენებული ჩემი პირველი მასწავლებელი ქართულ ენაში - 1919 წელს დაიწყო ქართულის სწავლება სოფ. უდეში, ვანო მერაბიშვილი, რატომდაც მას იცნობდენ უფრო ზედმეტი სახელით, “პრუსია-ვანოს” უძახდენ. შემდეგში, სიკვდილამდე მერაბის<sup>12</sup> მოვალეობას ასრულებდა ეს პატივცემული ცილინდრიანი ჭალარა კაცი.

11. უშრობა (დიალ.) - უშვრება

12. მერაბი(სპარს.) - სარწყავი წყლის გამნაწილებელი, წყლის მამასახლისი


ამ საქმეს დიდად ეხმარებოდა სოფლის ცნობილი მიწის მზო-  
მელი, ისტორიის მოყვარული გლეხი გზირიშვილი ტეპკა, რითაც  
ხალხის პატივისცემა დაიმსახურა.

ჩვენში იტყვიან “ცუდი მეზობლის პატრონს ყველა იარაღი  
ექნებაო”. თურქებმა წყალი არ მოგვცეს. ვერც თვითონ გამოი-  
ყენეს. ჩვენ უკეთესი კანალის პატრონი გავხდით, ისინი კი ისევ  
ბინძურსა და ღარიბულ - უკულტურო ცხოვრებას მისდევენ. ეს  
ეხლა ბრძებმაც იგრძეს.

მეორე თოხნისა და კარტოფილის მოყრის შემდეგ, ივლისის  
შუა რიცხვებამდე გაცხარებული მინდვრის მუშაობა წყდება. ამ  
დროს სოფლის მუშახელი გადის გარე სამუშაოზე, უმთავრესად  
- ხე-ტყის დაცურებაზე. მდ. ქობლიანისა და კურორტ აბასთუმ-  
ნის მშენებლობაზე, სადაც 1924 წლიდან შეუჩერებელი მშენებ-  
ლობა მიმდინარეობს. ეს კურორტი კურნავს ს.კ. მშრომელებს  
- ჭლექით დაავადებულებს ჰაერით. აბასთუმანი ჩვენი უდიდან  
დაშორებულია 9-15 კილომეტრით. იგი ღელეზე გაჭიმულა 6 კი-  
ლომეტრით. უდელებმა აქ მუშაობით ისახელეს თავი. ივლისი-  
დან იწყება ჯერ ბალების თიბვა, შემდეგ კი - პურების თიბვა ისევ  
ცელით, ლენვა, 5-10 აგვისტოდან - მთის სათიბების თიბვა, მას  
მოსდევს სიმინდებში მოპნევით დათესილი ლობიოების მოგლე-  
ჯა, სიმინდის მოჭრა, კარტოფილის ამოყრა, ამას მოსდევს ყვე-  
ლაზე ცხარე სამუშაო - ვაშლის მოკრეფა, რომლის დროსაც გარე  
სოფლების მშრომელები გვეხმარებიან - ქირით - თუმცა ისინი ამ  
სამუშაოზე ნაკლებად არიან დახელოვნებული. ხილების მოკ-  
რეფისა და შემოდგომის თესვების შემდეგ კვლავ თავისუფალი  
ხდება უდის მუშახელი. თუ არ ჩავთვლით გოდერძიდან და ქაცა-  
რაულიდან საზამთრო შეშის მოტანას, ზამთრის სამუშაო მხო-  
ლოდ ნაკელის ზიდვაა. ხეხილის ნარგავებს ან ნოემბრის თვეში  
ან აპრილის თვეში რგავენ. უდის მიბაძვით გარე სოფლებშიც  
ვრცელდება მეხილეობა.

## სასოფლო-სამეურნეო იარაღები ციცეთ და ეცლა

1. უხსოვარი დროიდანაა მოდის ჩვენში ურემდ. ჩვენს სოფელში ურემს არაბას ეძახიან, რომლის ბორბლების მკეთებელი ოსტატები უდეში იმდენად ბევრია, რომ მთელი რაიონის გლეხობის ურმების 60-70% უდეში კეთდება. ბორბლები ორნაირი მზადდება: ძველებური ბორბლები ხის ღერძისთვისაა გათვალისწინებული, რომლის ერთი ბორბალი ღერძზე მიმაგრებული. ეს ორთვალიანი ურემი უფრო მძიმეა და ხმარებიდან გამოსვლის პროცესშია; მეორე სახის - ტულკიანი<sup>13</sup> ბორბლები, რეინის ღერძისთვისაა გათვალისწინებული. ეს ურემი უფრო მსუბუქია. ტულკიან ბორბლებს ხმარობენ ცხენის შესაბმელ ტაჩკებზე და ფურგუნებზე. ხის ღერძიანი ბორბლებით მზადდება ე.წ. ურემი. ეს ურემი საქართველოს სხვა რაიონებში არ იხმარება. მისი ფორმა დაახლოებით ასეთია:




ამ ურემს ხმარობენ მხოლოდ მთიდან თივის ჩამოსაზიდად და მჯების მოსატანად ყანებიდან, რადგან დიდი მოცულობის ტვირთისთვის ხელსაყრელია. მისი ბორბლების სალტები ადგილობრივად მზადდება. თურქულად სელი ქვია.


2. ჯილდა. ჩვენი სოფლისა და, საერთოდ, ადიგენის რაიონის უხსოვარი დროიდან ცნობილი სახნავი იარაღია. ორთავე მხარეზე, გარდა სახნისისა, ყველაფერი ხისგანაა. თუ ხის გუთანზე

13. ტულკიანი - ეტყობა რუსული “втулка”-დან მოდის.

იხმარებოდა 4-5 წყვილი ხარი, ჯილდას სჭირდება 2-3 უღელი ხარი ან კამეჩი. იგი ბორბლიანია, მისი სახნავი კორპუსი - არუნას მოწყობილობისაა.



3. არუნა ერთი უღელი ხარისთვისაა გათვალისწინებული. საქართველოს სხვა რაიონში ცნობილი კავის პრინციპზეა აგებული, ხოლო სახნავი კორპუსი ყურებითაა.



თუ ხის გუთანი იხმარებოდა ყამირის სახნავად, ჯილდა - ჩვეულებრივი მიწების სახნავად, არუნა კი, როგორც მარტივი იარაღი და მსუბუქი, იხმარება განმეორებით სახნავებზე და საშემოდგომო სახნავებზე.

4. ხის კანჯოს სიგრძე 2,5 მეტრია, სიმსხო - 20-25 სმ. გათვალისწინებულია გოროხების დასამტვრევად უკანიდან. ხშირად ბუჩქები<sup>14</sup> იხმება თესლის დასაფარად და ყანის ზედაპირის გასასწორებლად.

14. ბუჩქები - ბელტები


5. კაბდო<sup>15</sup> ხის კანჯოს სიგრძის სქელი ფიცრისაგან კეთდება. იგი იხმარება ყანის ზედაპირის გასასწორებლად და თესლის მიწით დასაფარად. გარდა ამისა იგი იხმარება გალენილი კალოს გასანი-ავებლად მომზადებისათვის, ბზის ერთ ადგილას თავმოყრისთვის.

6. ბუნა (წნელებით)<sup>16</sup> გაკეთებულ ჯაჭვს ჰქვია) იხმარებოდა რკინის ჯაჭვის მაგივრად, უმთავრესად ხვნა-თესვის დროს, ქე-რობებზე, ე.ი. გაზაფხულის ხვნა-თესვის დროს.

7. ხის ფიცრული ბორბლები უმთავრესად ურემზე იხმარებოდა. იგი უფრო პრიმიტიული იყო, ახლა ხმარებიდან გასულია.

8. ხის გუთანი წარსული საუკუნეების სახნავი იარაღი იყო. ახ-ლა ხმარებიდან გასულია. რადგან იგი საქართველოს სხვა რაიო-ნებშიც ცნობილია, მის აღწერას საჭიროდ არა ვთვლი.

9. ძიგლიგა მარტივია - ურმის მაგივრად იხმარება მთაგორიან ადგილებზე. ორბორბლიან ლერძზე კლავებია<sup>17</sup> გაყრილი, რაზე-დაც ტვირთი იდება.



10. სამარხილო ყარაბულა მარტივია. მარხილის ბოლოს დაბა-ლი, 35-40 სმ სიმაღლის ბორბლებია გაკეთებული, თავისი ლერ-ძით. სათრევად უფრო იოლია, ვიდრე მარხილი. იგი კარგი სახმა-რია მთაგორიან ადგილებში.

11. ფურგუნი, ტაჭკა, დროგი რახან ცნობილია სხვა რაიონებ-შიც, აღწერას გვერდს ვუვლი.


12. ასევე ითქმის ცელზედაც.

15. კაბდო - ხელნებიანი ფიცარი, რომელიც ფარცხი გამოებმება

16. წნელი - მოჭრილი და გასხეპილი წვრილი ნედლი ტოტი

17. კლავები - მკლავები

13. მარხილი უმთავრესად თოვლზე სახმარი სატრანსპორტო საშუალებაა.
14. სიმინდის საჭრელად, უმთავრესად, ნამგალს ხმარობენ.
15. ხის მერული მჯაზე და თივებზე იხმარება.
16. ხის ხელის ფოცხი დასაფოცხებლად სათიბებზე იხმარება.



17. არნადი დიდი ფიცრით გაკეთებული ხის ნიჩაბია. იგი იხმარება ზამთარში სახლების სახურავების გასაწმენდადა და კალოზე ბზის ერთ ადგილას თავმოსაყრელად.
18. ნიჩაბი, ლაფატება<sup>18</sup>, ბარი, კირკა ხომ ცნობილი იარაღებია მთელ საქართველოში.

19. სკევრი მჯის გასაღები იარაღია. იგი ხშირად ორი ფიცრითაა გაკეთებული. ქვეშ იჭედება რკინის მჭრელი ნატეხები, შეიბმება ხარებზე, ცხენებზე და ატარებენ კალოზე.

გასაბჭოების შემდეგ 1924 წლიდან მასიურ ხმარებაში შემოვიდა ტრაქტორი. იგი მ.ტ.ს.-ის საშუალებით ემსახურება კოლმეურნეობებში.

21. რკინის გუთანი. გასაბჭოებამდე სოფელში მხოლოდ 3 ცალი იყო ისიც კულაკების ხელში.

22. რკინის კანჭომ შეცვალა ხის კანჭო.
23. თოხი და ბარი იყო დიდი ხანი, რომელსაც ადგილობრივად სოფლის მქედლები ამზადებენ. უდის თოხი განირჩევა თავისი კეთების ხარისხითა და თავისებურობით. იგი მარჯვე სახმარი, მშვენიერი შესახედავია.

<sup>18</sup>. ლაფატება - რუსული “попата”-საგან

24. ხის მერულს თანდათან დევნის რკინის მერული.
25. ხშირ გამოყენებაში შემოვიდა ხეებისა და ბოსტნების მავნებლების საწამლავი ვერმორეს სასხურებელი აპარატი.
26. სალენი მანქანები მ.ტ.ს-დან მოდის ხოლმე.
27. სანიავებელი მანქანები რევოლუციამდე იყო თითო-ოროლა. ახლა კი საკმარისი რაოდენობითაა ყოველი კოლმეურნეობაში.
28. სიმინდის სანაყი მანქანაც საკმარისია.
29. სასილოსე მჭრელი მანქანაც სოფელში ახლად შემოღებულ მანქანათა რიგებს ეკუთვნის.
30. კომბაინი კი ჩვენი სოფლის რელიეფური თავისებურების გამო ჩვენს სოფელშიაც და ახლობელ რაიონებშიც ცოტა იხმარება.

## მესაკონცლეობა და მისი მოვლა-მოშენება

სოფ. უდეში, უმთავრესად, მსხვილფეხა რქოსან საქონელს მისდევენ. მათ შორის, კამეჩის საპატიო ადგილი უკავია. კამეჩის დადებითი ისაა, რომ მას ადგილად კვებავენ, უბრალო საკვებით, რძეს კი უხვს იძლევა. ღონე უფრო ძლიერი აქვს. რადგან იგი მცივანა ცხოველია, ამიტომ უფრო თბილ ბინას მოითხოვს. გაზიაფხულამდე 2-3 ჯერ კანზე დაბანის შემდეგ ზეთის წასმაა საჭირო, რითაც კანი რბილდება, პარაზიტებისაგან თავისუფლდება. რძისაგან ერბოს მიღების ორი ხერხი იციან.

პირველი: გადამაწონებენ რამოდენიმე დღის რძესა და ჩაასხა-მენ ე.წ. ვარიაში. თოკებზე დაკიდებულ საქანელასავით მოდღვე-ბენ ხოლმე. აქედან კარაქს ცალკე მიიღებენ. დარჩენილი შრატის ადულებით დოს ცალკე მიიღებენ. დამარილებულ კარაქს ერბოს უწოდებენ. ყველსა და დოს კი დამარილებულს შეინახავენ. დოს თუ გაახმობენ, მას უწოდებენ ყურუთს (რაც პატარ-პატარა ჭა-დების კოკორებს ჰყავს). სოფლის უარყოფით ჩვეულებად უნ-და ჩაითვალოს ნაკელის ცისქვეშ დაყრა და ფეხსადგილების არ ცოდნა სახმარად.

ბზესა და თივას ინახავენ საბზელში, ჩალას კი, ხშირად, გა-რეთ, ცისქვეშ ინახავენ ხოლმე.

ცხვარი უმთავრესად თივით იკვებება 3-4 თვის, თუმცა, ხში-რად ბზესაც<sup>19</sup> აძლევენ ხოლმე. ზეგნელი გლეხები ზამთარში ცხვარს კოლხიდაში გზავნიან საკვებად.

თხა ადვილი მოსაშენებელი ცხოველია. თოვლიან დღეში-აც მისი ძოვა შესაძლოა. თხისა და ცხვრის რძით მხოლოდ ე.წ. ცხვრის ყველს აკეთებენ, რაც ძალზე მონაბებულია ჩვენში. ჩვე-ნი რაიონი მესაქონლეობის რაიონია, ხოლო საძოვრების უქონ-ლობა ამას ხელს უშლის. საძოვარი ორგვარია: მთისა და სოფლის საძოვარი.

ბარადსოფლის საძოვარი მდ. ქობლიანის სანაპიროზეა, ბე-

19. ბზე - პურეულის ნამჯის ნალენი. ნამჯა - მომკილის პურის ლეროები  
56

ნარა-აბასთუმნისაკენ მიმავალ გზაზე, 20-25 ჰექტარი ვაკე პირ-ველი ხარისხის მიწაა, რომელსაც ჭალებს უწოდებენ. ეს საძოვა-რი თანდათანობით მცირდება ხან მდ. ქობლიანის შემოტევითა და ხან მოსაზღვრე გლეხების ბარის პირებით. ჭალები ეს საგა-ზაფხულო საძოვარია. ზაფხულობით საქონელი მთაზე ირეკება, სადაც, სხვა სოფლებივით, უდესაც აქვს საძოვრები, რომელთა რაოდენობა 766 ჰექტარია, სათიბები კი - 200 ჰექტარი. ამრიგად, უდის მთის მინები 966 ჰექტარია.

მელორეობა სოფელში სულ ახალი დარგია. გასაგებია, რომ ეს აიხსნება ისტორიულ-რელიგიურ მოვლენათა ვითარებით. გა-რეშე სოფლების მუსლიმანური მოსახლეობაც ღორს ზიზღით უყურებს, რის გამოც უდის ქრისტიანი მოსახლეობაც დიდხანს ერიდებოდა ღორის მოშენებას, მეზობელი მუსლიმანთა პატი-ვისცემის მიზნით.

## შიდამრავალობისა და ხელოსნობის დარგები წილით და ეხლა

უდეს შინამრეწველობაში პირველი ადგილი უჭირავს შალების ქსოვას. ქალები მატყლს ხელტარებით - თითისტარებით რთავენ. წესის მიხედვით, ხშირად მეზობლისადმი დახმარების მიზნით, მრავალი ქალი თავს მოიყრის ხოლმე. დილამდე უსასყიდლოდ რთავენ ხოლმე მეზობლის მატყლს. ამ ღამის ქალთა სამუშაოს მუსლიუმანები იმაჯიდი ეძახიან. დართულ ძაფს ჭახრაჟზე - ჯარაზე რთავენ და გადასცემენ ხოლმე მქესოველ ქალს, რომელიც თავის დაზგაში 15-20 სანტიმეტრის სიგანის შალს ქსოვს, დღეში 3-4 მეტრის ანგარიშით. ნაქსოვ შალს საუკეთესოდ ღებავენ შაბიამნითა და მურყანის კანით - შავად. წყლით სავსე ქვაბში ადულებენ წყალს, რომელში ჩაყრილია შაბიამანი და მურყნის კანი. ადულებულ ქვაბში ჩაყრიან მოქსოვილ შალს. მოპირდაპირე მხრიდან გობში ჩანოლილი ორი კაცი ფეხებით, თან გადასრესენ, თან ერთი მეორეს გადასცემენ შალს. გაცივდება თუ არა, ისევ რამდენიმეჯერ ჩაყოფენ ხოლმე ადულებულ ქვაბში. ერთ-ორ საათში საუკეთესო შავ ფერზე იღებება, რომელიც არასოდეს გადის. ხშირად კაკლის წენგოსაც ხმარობენ ამ მიზნით.

დამზადებული ძაფით ამზადებენ ნაირ-ნაირ ხელთნაქსოვებს.

მჭედლობა სოფლის დასაპამიდან არსებობდა, ამ დარგს საპატიო ადგილი უკავია. ამ მხრივ უდე მთელ რაიონს ემსახურება. უდის მჭედელი, 60 წლის სარქის მარტიაშვილი გადმოგვცემს, რომ უდის მჭედლობაში სიახლე შემოუტანია არზრუმიდან მოსულ ვიცლა სომეხ მჭედელს, რომელიც უდეში სიკვდილამდე დარჩენილა. ამ სომეხმა მჭედელმა უდეში ყოფნისას 10 კაცს შეასწავლა მჭედლობა, რის შემდეგ უდეში, ერთის მაგივრად ოთხი სამჭედლო გახსნილა. ეს ამბები 60-70 წლის ნინ ხდებოდა. იქიდან მოყოლებული უდის მჭედლები ემსახურებიან მთელი ადიგენის რაიონის სოფლებს (ადიგენში რაიონის ცენტრის გადატანა 1930 წლიდან დაიწყო. მანამდე მაზრული სისტემა იყო. მაზრად ახალციხე ითვლებოდა). 1921 წლამდე, საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის დადებამდე, უდელი მჭედლები ფოცხოვსაც ასევე ემსახურებოდნენ.

განსაკუთრებულად განვითარებული სახის მჭედლობას წარმოადგენს ნალბანდობა და დემურჩიობა ე.ი. მერკინეობა. ნალბანდობას სულ 5-7 ოჯახი მისდევს. ჩვენი ნალბანდები უკანასკნელ ლურსმანსაცა და ნალსაც თვითონ ამზადებენ, წინათ კი ამას ახალციხიდან ყიდულობდენ. ამზადებენ მრავალგვარ ლურსმანს:

საზაფხულო ხარ-კამეჩის ლურსმანი,  
საზამთრო საყინულე ხარ-კამეჩის ლურსმანი,  
საზაფხულო ცხენის რუსული ნალის ლურსმანი,  
საზაფხულო ცხენის ოსმალური ნალის ლურსმანი,  
საზამთრო საყინულე ლურსმანი (ცხენის).

გარდა ამისა ვირისთვისაც ამზადებენ ნალ-ლურსმანს. ნალები მზადდება რუსული - საწევრი ცხენისთვის, ოსმალური - საჯდომი ცხენისთვის და ხარ-კამეჩისთვის (ერთი ფორმისა). ნალბანდებს შორის ავტორიტეტიანი, ენაზყლიანია, ანტონ პავლეს ძე მერაბიშვილი გამოირჩევა (რადგან მერაბიშვილები ბევრია უდეში, ადვილად გასარჩევად მათ ჯავახურათ ბაბუამისის ზედმეტი სახელით უწოდებენ). ჩვეულებრივად, ცხენს ფეხზე დადგომილად ჭედავენ. ხარ-კამეჩს აწვენენ და ისე ჭედავენ. რადგანაც ჩვენი სოფლის მიღამოები მეზობელი სოფლების მსგავსად ქვიანია, ამიტომ მუშა საქონელს დაჭედვას დიდი მოთხოვნილება აქვს. გამონაკლის შემთხვევაში ფურ-კამეჩსაც აჭედინებენ ხოლმე.

ოსმალური ნალებით ჭედენ მხოლოდ საჯდომ ცხენებს. ჯორი ჩვენში გამონაკლისს წარმოადგენს, ვირი კი უფრო ხელსაყრელი მუშა საქონლად ითვლება, რადგან კვებას ცოტას მოითხოვს, სამუშაოს კი ასრულებს დიდს.

რკინეულთა მჭედლობას დემურჩიობას უწოდებენ. “დემურჩიობა” ეს თურქული გამოთქმაა და ნიშნავს მერკინეობას. უდეში ხარისხოვან მჭედლობას ეწევიან. ამზადებენ ყველა სახის შინაურ-საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. უდის მჭედლები ადიგენის მ.ტ.ს.-საც ემსახურება. ამ ათ-თხუთმეტ წლამდე მჭედლობის წოდების მისაღებად საჭირო იყო, რომ ახალგაზრდას უფასოდ 4-5 წელი ესწავლა, რათა გამხდარიყო ხარისხოვა-

ნი მჭედელი. საჭირო იყო სწავლის ფულის გადახდაც. ამჟამად, შეგირდები თან სწავლობენ მჭედლობას და თან იღებენ შრო-მადლებს კოლმეურნეობიდან. მჭედლები კოლექტივიზაციის შემდეგ გაერთიანდენ კოლმეურნეობაში.

უდის მჭედლები ამზადებენ იარაღებს ცივი და ცხელი წესე-ბით. ცივად ამზადებენ უმთავრესად თუნუქეულს, ხრახნილებს, ნალ-ლურსმნის შესწორებას, დახვრეტასა და ლურსმნებისად-მი ფორმის მიცემას, ფერების კეთებასა და სხვა. ცხელი წესით აკეთებენ: ცულს, ნაჯახს (უდელების გაგებით, ნაჯახი პატარა ცულს ნიშნავს. ამას უმთავრესად მებაღე ყარაულები ხმარობენ), ნალდს, ფეხეჩის<sup>20</sup>, ხელეჩის, სადურგლო ხელსაწყოს, დანებსა და საოჯახო სხვა მოწყობილობას; სასოფლო- სამეურნეო იარა-ღები - სახნის, ბორბლების სალტების მოჭერას, თოხს, ბარს, კირკას, ნამგალსა და სხვა. რკინეულის დამზადების შემდეგ გა-ხურებულ იარაღს ჩაყოფენ ხოლმე წყალში, რითაც იარაღის პირს უფრო გამძლე - ხარისხოვანს ხდიან. ამას “წყლის მიცემას” უწო-დებენ, მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც გამაგრებას თხოულობს. იმ შემთხვევაში, როდესაც იარაღს პირის შეკეთება სჭირდება, მას შეკეთების შემდეგ ისევ “წყალს აძლევენ”, რომელსაც გაზო-დებას უწოდებენ. გაზოდების დროს ქურა გახურების პროცესში მყოფი მაღალტემპერატურიან რკინას ქვიშას მიაყრიან, რაც შე-დუღებას ხელს უწყობს.

სამჭედლო იარაღები შემდეგია: ქურა, გრდემლი, წყლის მი-საცემი ავაზანი<sup>21</sup> - სადაც წყალია, საქლიშე იარაღების მოსაჭე-რი მანქანა, ხრახნილების საკეთებელი მანქანა, ნაირ-ნაირი ზო-მისა და ფორმის ჩაქუჩები და რკინების დასაჭერი გაზები - ე.წ. ყსხანჯები. რკინების შედუღებასა და გახურებას საერთოდ ხის ნახშირით აწარმოებენ. ხის ნახშირის დამზადებას უმთავრესად ზეგნის სოფლები აწარმოებენ, რადგანაც ის სოფლები ტყის მახ-ლობლად იმყოფება. ლითონი, რომელსაც ხმარობენ, უმთავრე-

20. ეჩო - ხის სათლელი იარაღი, არის პატარა ეჩო - ხელეჩი და დიდი - ფეხეჩი.

21. ავაზანი - აუზი

სად, რეინას ხმარობენ - იღებენ ახალციხელი სომხების საშუალებით. დღემდე ჩვენ სოფელში და მეზობელ სოფლებშიც ლითონი არა აღმოჩენილი. თუმცა, ვალეს ქვანახშირის აუზის საზღვრები ჩვენი სოფლის ტერიტორიის 8/10 ნაწილამდე ვრცელდება. მჭედლობას მისდევს: კაკლოთები - მარტიაშვილები, არსენათები - ბალახაშვილები, ქექეჯიანთები - იგივე ნარიმანიშვილები, თათოშვილები, ბერიძეები - მუსლუმანებიდან. ნალბანდობას ეწევიან: მერაბიშვილები, თათოშვილები, კეზუერათები - აბულაძეები, ჩილაშვილები - მუსლუმანებიდან.

უდეში ორი-სამი გვარი მისდევს დურგლობას. აკეთებენ: საუკეთესო ხარისხის სხვადასხვა ზომის ბორბლებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, თითქმის ყველა სახის საოჯახო ნივთებს და სახლებსაც კი.

ქსოვა იციან მატყლის, ბამბის, ბალნისა და ჭილეულისა<sup>22</sup>. სიმინდის ფოჩისაგან ნაირ-საფენებსა და საოჯახო ნივთებს.

ადრიდანვე იციან თიხისაგან კეცების დამზადება. სადაც აცხობენ ცნობილი კეცის ჭადსა და ფალტას (ორი კეცი, ერთი მეორეზე დასახური). ფალაჩა პურის სუფთა ქბილის მაგრად მოზღელით კეთდება. იგი ძნელად ფუჭდება და უფრო საგზაო პურია. უდეში დიდი ხანია შემოღებულია სასოფლო ფურნე, რომელიც გაცილებით იაფ ფასებში აცხობს პურსა და ჭადს. ეს ჩვეულება, გარდა ქალაქებისა და სოფ. ანყვერისა, საქართველოს სოფლებში არსად არის. საერთო ფურნე დიდ ეკონომიკას აძლევს როგორც საწვავ მასალაზე, აგრეთვე მუშახელისა და დროისა. სოფელში ამჟამად 3 საერთო ფურნე მუშაობს კოლმეურნეთათვის, ერთი კი მუშა-მოსამსახურეთათვის.

თხის ბალნისაგან ჩვენივე სოფელში მზადდება საქბილო მეშვები - ჯვლები<sup>23</sup> და ჭილობის მსგავსი საფენები - ჯეჯიმი<sup>24</sup>.

22. ჭილი - ჭაობის ბალახოვანი მცენარე, ამის გვარი არიან: ლელი, შოლდო, ჩალამგელა.

23. ჯვალო - უხეში ქსოვილი, რომელიც თხის ბეწვი ურევია ჯვალოს ტომარა

24. ჯეჯიმი - ხალიჩა, უფრო ზოლებიანი

ბალნისაგან კარგი ხარისხის გამძლე თოკებიც მზადდება. აპეურები<sup>25</sup> უფრო ბალნით მზადდება. ის ხელოსანი, რომელიც სპეციალურად ბალნის ნაწარმს ამზადებს, მისი სატრიალებელი ჩარხის - მახარის - გამო, მასაც მახარათებს უწოდებენ. მათი ნამდვილი გვარი კი მამასახლისიშვილია.

---

25. აპეური - ტაბიკების გადასაბმელი თოკი  
62

## პირის მშენებლობის ტიპები

უდეში სამგვარი ბინის მშენებლობაა ცნობილი:

დარბაზის ფორმის ბინები,  
თილქიანი ტიპის ბინები,  
გვერდული ფანჯრიანი ბინები.

დარბაზის ტიპის ბინები უდეში დასაბამიდანაა ცნობილი. იგი ერთ ფანჯრიანია, მაღლიდან. ამ სისტემის სახლი ხელსაყრელია მრავალსულიან, ე.ი. ჯალაბი ოჯახისათვის. საშენ მასალას ცოტას თხოვულობს. გვერდებიდან მტრის საშიშროება ნაკლებია. ბინა მოზრდილია და ნადიმობისა და სხვა კრებულობისათვის ხელსაყრელია.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. უდეში პირველი დასახლების მომენტში, დაახლოებით ოთხასი წლის წინეთ, სოფლის ტერიტორია უღრანი ტყით ყოფილა დაფარული. აქ შემთხვევით მოსულ მერაბიშვილებს, მაშინ - ხურციძეებს, აუშენებიათ პირველი სახლი დარბაზის ტიპისა, რომლის ცალ გვერდზე მაშინდელი ფეხზე მდგარი ფიჭვი დღესაც იგივე მდგომარეობაშია. იგი დღეს ავეტისა პავლეს ძე მერაბიშვილის ხელშია, როგორც ოჯახის მორიგი შთამომავლისა. მერაბათები მაშინ ჭალაში ყოფილან. დღეს მერაბიშვილებიდან 5 გვარი წარმოიშვა.

დარბაზის მშენებლობა განსაკუთრებულია; იგი ჯერ 3-4 მეტრის სიმაღლის კედლებითაა აშენებული. მის შემდეგ, ზემოთ ნაჩვენებ ყაიდაზე თანდათან მაღლდება თაღის მაგვარად. თავში რჩება ფანჯარა.

დარბაზების ფანჯარა ერთის მეტი არაა მოსახერხებელი. თუმცა, საქმარისად ნათელია ხოლმე. ასეთი ტიპის სახლები უდეში ძველ გვარებშია დარჩენილი. ამჟამად ასეთ სახლებს არ ეტანებიან. დარბაზის სახლები უდეში სულ 15-20ზე მეტი არაა. მერაბათებში, ბალახათებში, მაისურაძეებში, გზირიშვილებში და სხვა.

უფრო გაბატონებული ადგილი უკავია უდეში თილქიანი ტიპის სახლებს. თილქი თურქულად მელიას ჰქვია. ეს სისტემა თურქულია. ჩვენში, თურქიზაციის შემოქრასთან ერთად სახ-

ლების მშენებლობის ეს კულტურაც განვითარებულა. ამ ტიპის ბინების კედლების სიმაღლეც 3-4 მეტრისაა. განსხვავება ჭერისა და ფანჯრების წყობაშია. თილქიანი სახლის ჭერი ჩვეულებრივად დაფარულია მხოლოდ შუაში, ორი პარალელური ჭერი მაღლიდან სახლის სიგრძეზე გაჭიმულია ერთი მეორისგან 1,5-2 მეტრის მოშორებით, რომელთა ბოლოები უფრო დაბალია. დაახლოებით  $0,5-0,7$  მეტრ ამაღლებულ მხარეზე ჭერებს შუა 3-4 შუშიანი ფანჯრებია გაკეთებული. ამ ტიპის სახლები ძალზე ბერლია. ხშირად სახლში არც კი შემოღის მზის სხივები. როგორც დარბაზის ტიპის, ისე თილქიანი ტიპის სახლებში შემოსვლამდე ხშირად 2-3 სახლი<sup>26</sup> უნდა გაიარო სიბნელეში და მერე შეხვალ სადგომში. ორთავე ტიპის სახლების სახურავები  $0,4-0,5$  მეტრით მიწითაა დაფარული. უდეში სახლის ჭერები, რადგან საიმედოთაა მიწით დაფარული, მასზე ჩვეულებრივად დადიან ხოლმე და ისე იხმარება, როგორც კარის წინა ადგილები. ამნაირი მიწით დახურული სახლის სახურავს ერდოს ვუწოდებთ ხოლმე.



მესამე ტიპის ფანჯრიანი სახლებია, რომლის მშენებლობა უახლოვდება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეების ბინებს.

უდეში გვერდიანი ფანჯრები საერთოდ პატარა იციან. ფანჯრები, საერთოდ, რკინის ჯოხებითაა შემოღობილი იმ ანგარიშით,

რომ კაცი ვერ ჩაეტეოდეს ხლართში. ეს იმითაა გამოწვეული, რომ უდის ისტორიამ ბევრი რბევა-ანიოკება იცის. მოსახლეობა ამით ამაგრებს სახლებს, რომ ვინიცობის შემთხვევაში, დაცული იყოს. უდის ბინების მშენებლობა უმთავრესად ქვისაა. აგურისა და ფიცრული შენობები უფრო იშვიათია. ყველა ეს გამოწვეულია ჯერ ერთი იმით, რომ აქ ზამთარში მაგარი სიცივე იცის და ძველად შუშა ძნელი მოსაპოვებელი იყო. მეორე - ტყის სიშორეც იყო ამის მიზეზი. ჩვენში აგურის დამზადება ძალზე იშვიათი ამბავია. სახლების სახურავები საერთოდ მიწით იხურება; ყავრითა და თუნუქით სახლის სახურავის დახურვა ახლად შემოვიდა.



## ავეჯეულობა და ნივთები

უდეში საერთოდ ავეჯს ცოტას ხმარობენ, ე.ი. მოსახლეობა მარტივად ცხოვრობს. მრავალფეროვანი ავეჯის ხმარება გასაბჭოების შემდეგ იჭრება თანდათანობით. ოჯახის ყველა წევრს დღესაც ჩვეულებრივად ერთ სახლში ძინავთ ხოლმე. ერთი და იგივე სახლია: დარბაზიც, სასადილოც, სამზარეულოცა და სხვა. სახლის ბუხარი ძალზე მარტივი იციან. იგი კარების პირდაპირ, კედლის შუა ადგილასაა აშენებული. ბუხრის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე, კედლების მიყოლებით შენდება ხოლმე საწოლი ტახტები ანუ ე.წ. სექვები, სადაც ღამით დააგებენ ლოგინებს, დღისით აალაგებენ და სალოგინები დაკეცილად შეინახავენ ხოლმე. სექვების ზემოთ, კედლებზე მიყოლებით რამოდენიმე სართული საჭურჭლებია გაკეთებული, რომელსაც თაროს ან თარაგს უწოდებენ. იგი 2 დეციმეტრის სიგანის ფიჩებისგანაა შემდგარი და კედლებზე მიმაგრებული. ლამპას ან თაროზე ტოვებენ, ან სვეტებზე დაკიდებენ. ბუხრის აშენებისას მარჯვნითა და მარცხნითაც კეთდება სალამპები. ბუხრის მარჯვნივ და მარცხნივ 1მ სიშორეზე დოლაბები კეთდება შიგ კედლებში, სიმაღლით 1მ, სიგანით 0,5მ, სიღრმით 0,3-0,4მ.

როგორც ვთქვით, ფუფუნების საგნები იშვიათია. მაგიდა ჩვენში ახალია. საჭმელს ფეხშუნზე ჭამენ. ფეხსუნი წრისებური ფიცრებითაა გაკეთებული. მისი სიმაღლე ერთი მტკაველია ხოლმე. სიფართოვე სხვადასხვანაირია. საჭმლის შემდეგ ფეხსუნი კედელზე დაიკიდება. საჭმელს უმთავრესად თიხის ჯამებით ჭამენ. ქრისტიანები ცალ-ცალკე, სპილენძის თასებით ჭამენ, მუსლიმანები - ერთად. კოვზებს ადგილობრივად, თვითვე ამზადებენ ხისგან. ერბოსა და ხორცის ნაწარმს - აპოხტსა და ძეხვს - კუპატს დიდ პატივს სცემენ. აპოხტი იგივე ხორცია. უძვლო, რომელსაც შემოდგომაზე ამზადებენ, ახმობენ და წლებია დაულპობლად იხმარება. ძეხვი იგივე კუპატია, მხოლოდ ისე გამხმარი, რომ სიცხით არ გაფუჭდება.

ჩვენსავე ყოფილ მაზრაში, ახალციხეში სომეხი და ბერძენი ოსტატების ნაკეთ ჭურჭლებს იძენენ: სპილენძის თასს, თიხის

ჯამებს, სპილენძის საინებს, თიხის კასას (ზოგ ოჯახებში ოჯახის უფროსი ან საპატიო წევრი კასის ავსებამდე შიგ ყრის ფულებს. როცა აივსება, ტეხენ ამ თიხის კასას - “კაპილკას” ერთბაშად, ამოიღებენ ხოლმე ყველა ჩაყრილ ფულს). საინზე უფროსია ლან-გარები, საჯალაბო კოლექტიურად ფლავის საჭმელად - სინი. მრავალფეროვანი ზომის ქვაბებია. არაყის გამოსახდელად არის სპეციალური ქვაბები.

წყლის დასალევი სპილენძის ჭურჭელს მარშაფას ეძახიან, რუსულად იგივე კრუშეა. პურს ან ჭადის ცომს ზილავენ ხის გობში - ქარსანგში და მიაქვთ გასაცხობად ფურნეში. წესიერად ხმარებული ქარსანგი 50-80 წელს გაძლებს ხოლმე. იგი მზადდება უბრალოდ გარდი-გარდმო მოჭრილი ხიდან. მას ამრგვალებენ, ჩაალრმავებენ და ხმარობენ. რომელსაც აჭარიდან ყიდულობენ ან ნატურაზე ცვლით ან ფულზე. აჭარლებიცა და უდის მუსლუ-მანებიც ქერსენს უწოდებენ. ხორბლის გასაწმენდად ხმარობენ ხის მრგვალ ბრტყელ ჭურჭელს - თეფურს. იგი გლუწრისებური ხის იარაღია, აჭარლების ნახელავი. მასზე დაყრიან ხოლმე ხორ-ბალს, არხევენ. ხორბალი იყრება ჭილობზე, ქვისა და სხვა უვარ-გისი მარცვლები რჩება თეფურზე. ცხრილები სხვადასხვა სახი-სა და მოცულობისა იციან: უფრო ფართე ნახვრეტიან ცხრილს ტაშხარბულს უწოდებენ. ყველაზე მოზრდილ ნახვრეტიან ცხრილს შადრა ჰქვია. უფრო ადრე ბალნის დიდ მეშოკებს ამზა-დებინებდენ უდეშივე, რომელიც 8-12-16 ფუთამდე იტევდა. ამას ხარანს უწოდებდენ ხოლმე. ჭანჭურისა და სხვა ნახარშების ამო-საწურავად ხმარობენ სუზგის, იგივე - საწურავს, და ქაბგირს<sup>27</sup>. მარილს ნაყავენ დიდ ქვის ქვიჯაში, რომელსაც დიბაგს უწოდე-ბენ ე.ი. სანაყელს.

ერთი მეტრის ოდენა ჯოხს, რომლის ბოლოები უფრო წვრილ-დება, ოხლავს უწოდებენ. ოხლავით ფეშხუნზე ათხელებენ ცომს სხვადასხვა საჭმელების გასაკეთებლად (ხინკალი, ქადა, ბაზლამა<sup>28</sup> და სხვა). სკამებს აკეთებენ 20 სმ სიმაღლეზე, სამფეხას. ზედად-

27. ქაბგირი - იგივე ქაფქირი

28. ბაზლამა - მრგვალი, თხელი პური

გარს, რომელსაც აჭარლები სამფეხას ეძახიან, ყოველი მჭედელი აკეთებს. ხშირად მთლიან მსხვილ ხეს ჭრიან სკამის სიმაღლეზე და სკამად ხმარობენ, რომელსაც გოზოს ან გოჯოს უწოდებენ. ქრისტიანთა ზოგ ოჯახში დღესაც ხატის კუთხე გამოყოფილია. უმრავლესობის სახლის კუთხეში კი ბელადების სურათებია.

## ტანსაცხელი, ფესაცხელი, ტანსახურავი

რადგანაც ჩვენი სოფლის მოსახლეობა ორგვარი სარწმუნოებისაა, ამიტომ ჩაცმულობასაც ორგვარს ვხედავთ. კაცების ჩაცმულობა თანდათანობით ერთმანეთს უახლოვდება. ქალების ჩაცმულობა კი, ჯერ კიდევ, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქრისტიანი ქალების ჩაცმულობაში ბევრადაა შენარჩუნებული ძველებური მესხური ქალის ტანსაცმელი. ლეჩაქი<sup>29</sup> ქალს ეღირსება მხოლოდ დაქორწინების შემდეგ. ასეთივე წესია მუსლიმანურ მოსახლეობაში. იგი თავსახურავია, მხოლოდ თავშალის ქვეშა და მუსლიმანებში ე.წ. კათხის ზემოთ. კათხა ქალების თავზე პატარა ქუდის მაგვარი რამაა. კათხაზე მუსლიმანები აკერენ ოქროებს შეძლების მიხედვით. თავშალად უმთავრესად საფაპრიკო ნაწარმოებს ხმარობენ, თუმცა უკანასკნელად შემოღებულია მატყლისაგან ხელით მოქსოვილი თავშალები. თმა კი, ეს, როგორც ქალთა საყვარელი რამე, თანაბრად უყვართ ქრისტიანებსაც და მუსლიმანებსაც. ქრისტიან ქალთა გარეთ ჩასაცმელ ზედატანს ჰქვია ზუბუნი, რომელიც ვერცხლის ღილებითაა შემკული. მისი ქვედა ნაწილის კალთები უკანა მოკეცილი, რაც ფრაკის ფორმას მოგაგონებს. ქამრად ქრისტიან მოსახლეობაში დარჩენილია შინ მოქსოვილი, ჭრელი, 5-10 მეტრიანი, ბრტყელი, 3-4 სანტიმეტრის ნაქსოვი ბალი<sup>30</sup>. ფეხებზე კონდურას იცვამენ, 3-4 სმ სიმაღლის ქუსლის მქონე ტყავის ფეხსაცმელი. ქვედა საცვალი ქრისტიანების უფრო უახლოვდება კაცების შარვალს. ზედასაცვალი ქალისა ორთავე სარწმუნების ხალხში მამაკაცების პერანგის მსგავსია. მუსლიმანი ქალების კაბა აბურკიანი<sup>31</sup> იციან. კაბა მთლიანიც იციან და ცალ-ცალკეც. ერთ ქალის კაბას 8-12 მეტრამდე ფართალია საჭირო. ქვედა საცვალი 5-6 მეტრიანი უნდა იყოს, მისი ფორმა ჰგავს ძველებურ კინტოურ შარვლებს. ქალიშვილების ჩაცმუ-

29. ლეჩაქი - ქართული თავსაბურავი ქალისა, აბრეშუმის წმინდა ბადისებრი ქსოვილი

30. ბალი (თურქ.) - თასმა

31. აბურკიანი - ეტყობა რუსული “ინიკა”-დან მოდის

ლობა ორთავე სარწმუნოებაში იგივეა, რაც ქალებისა, მხოლოდ ულეჩექოდ.

ორთავე სარწმუნოების ქალებისა და ქალიშვილებიც თითქმის თანაბრად ატარებენ ე.ნ. “ფეშტამალს” - ფართუკს. ჩუღქები უკანასკნელად შემოვიდა. ძირითადათ ხმარობენ წინდებს. ქალამნების ჩაცმა ქალებისთვის სრულობითაც არ ითვლება სირცხვილად. მუსლუმანი ქალები ვერცხლისა და “ოქროს წყალში” გატარებულ ქამრებს ხმარობენ, შეძლების მიხედვით. საყურები ჩვეულებრივია, რაც საქართველოს სხვა რაიონებში გავრცელებულია. ბეჭდებიც მსგავსია, მხოლოდ, მუსლუმანურ მოსახლეობაში, ხშირად, სპეციალურად აკეთებენ ვერცხლის ბეჭდებსა და ზედ აწერინებენ თავის სახელებს, რასაც ხმარობენ როგორც ქალები, ისე - კაცებიც. სამაჯურები უკვე დიდი ხანია გამოსულია ხმარებიდან. აღნიშნულ ძველებურ ტანსაცმელს თანდათანობით დევნის ახალ-ახალი მოდიანი ტანთსაცმელები როგორც ქალებისა, ისე - კაცების.

გამაჰმადიანებული ქართველი ქალების ჩაცმულობა თურქულ ჩაცმულობას უახლოვდება, თუმცა ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა ნაწილობრივი გარდატეხა საბჭოთა კავშირის მსუბუქ მრეწველობის ნაწარმოების ზეგავლენით. ძველი წესების მხრივ, ქალები თავზე თავშალს ხმარობენ. ქართველი ქალები თავშლის ქვეშ - ჩიხტას, მუსლუმანი ქალები კათხას ხმარობენ. ყელ-საკიდებიდან ხმარობენ მძივებსა და ჯილ-ჯილებს, რომელიც ვერცხლისა ან ოქროსი იცის ხოლმე, რომელზედაც ჰკიდია ოქროები, ე.ნ. მაჰმუდიები<sup>32</sup>. ხანდისხან შუაში უნგრულ ოქროს, მაჟარსა<sup>33</sup> და ფიფანორებს<sup>34</sup> ჰკიდებენ ხოლმე.

რევოლუციამდე კაცების ჩაცმულობაში გაბატონებული ფორმა იყო აჭარული ჩოხა-შარვალი, რაც შინ დამზადებული შალისაგან იკერება. მას ამშვენებდა მისივე ფერითა და მისივე ხარისხის ყაბალახი. შარვალი საჯდომზე ნაოჭიანი იცის, რაც გარ-

32. მაჰმუდია - სულთან მაჰმუდის მიერ გამოცემული მონეტა

33. მაჟარ - ოქროს ავსტრო-უნგრული მონეტა

34. ფიფანორი - მცირე ოქროს მონეტა

მონს მოგაგონებს. ჩოხა მოკლეა. იგი მხოლოდ წელამდე წვდება. ფეხზე წინდებია, შარვალში ჩაკეცილი. ფეხსაცმელად იხმარება, ხშირ შემთხვევაში, ქალამნები ან ახალციხური წალები. ქალამნებს იკერავენ: უბრალოს და კოხუნჯურს ან ახალქალაქურს. გავრცელებულია უბრალო შეკერილი ქალამნები. კოხუნჯურიანს ხმარობენ შედარებით მოკოხტავე ახალგაზრდები. ინტელიგენციას აცვია ჩვეულებრივი კულტურული - ევროპული ტანსაცმელი.

## თითათ და ახლა ხმარებული საცყაო, საზომი და სანონი ერთეულები

რადგანაც ჩვენს სოფელში - უდეში მეღვინეობას არ ეწევიან, ამიტომ მისი საწყავი ერთეულის ხმარებაც არ არის. სითხის გაზომვას ჩვეულებრივად, ლიტრით ზომავენ ან ბორჯომის ბოთლის ზომით. ადრინდელ სითხის საწყავად ყველა ოჯახს თავისი საწყავი ერთეული ჰქონდა: ზოგს ჯამი, ზოგს ქვაბი, ზოგს თასი და ასე შემდეგ.

ჭირნახულის საწყავ ერთეულად ხმარობენ კოდს, რომელიც ხის ფიცრითა, უკეთ რომ ვთქვათ, განიერი ყავრითაა გაკეთებული, რომლის ნონა უდრის 40 გირვანქას<sup>35</sup> ან 16 კილოგრამს დაახლოებით. კოდის მეოთხედს ურუბი ეწოდება, არაბულად რუბს მეოთხედს ნიშნავს. 16 კოდი ერთი სომარია. დღესაც სათესი ფართობის გამოანგარიშება ხდება ასე: ერთი კოდის ფართობი, ან ერთი სომარისა ან ერთი დესეტინისა<sup>36</sup> და ასე შემდეგ.

1918-1921 წლების შემდეგ საწყავ-საზომ ერთეულებად შემოვიდა მეტრული სისტემა. სიგრძის ადრინდელი საზომი ერთეული იყო არშინი - ან ჰალაბი (ალაბი), ვფიქრობ, ჰალაბის სახელი უნდა იყოს ნარმოშობილი სირიის ქალაქი ჰალაბისაგან და ჩვენში გავრცელებული უნდა იყოს თურქეთის ეკონომიკური ზეგავლენით. წონის ერთეულად იხმარებოდა და ეხლაც იხმარება ფუთი, რომელიც უდრის 16 კგ. მისი 1/13 -ს იყალ უწოდებენ, 1/40 -ს კი - გირვანქას. სასწორად იხმარებოდა ან ძირის 2 ჯამიანი სასწორი ან „ყანთარ“. იშვიათად იხმარება „ბეზმენტიც“. ბათმანი ეს წონის ერთეულია და უდრის 6 თყას. ხარანი ეს ისეთი მეშოკია, რომელსაც 16 ფუთი ეტევა.

35. გირვანქა - ან ფუნტი, წონის ძველებური ერთეული, უდრის 400 გრამს

36. დესეტინა-სწორია დესეტინა - ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში; უდრის 1, 09 ჰექტარს

## კვება

უდის მოსახლეობის კვება ხასიათდება თავისი ბუნებრივი, გეოგრაფიული და ისტორიულ-ეკონომიური პირობებით. უდეში შენარჩუნებულია როგორც ძველი, ქართული კვების წესი, აგრეთვე მომატებულია ახალი, თურქული კვების ნაწილიც. ესე ისეთნაირადაა შეჭრილი ერთმანეთზე, რომ ძნელია მათი მკვეთრი განსაზღვრა, თუ სად იწყება ქართული, ძველი კვების სათავე და სად მთავრდება თურქული - ახალი კვების ელემენტები.

უდეში საჭმლების დაყოფა დაახლოებით შეიძლება 4 ჯგუფად. პირველ ჯგუფს შეიძლება პირობითად მივაკუთვნოთ ხმიადეულობა, სადაც პირველი ადგილი უკავია ფალაჩას. ეს იგივე პურია, მოზრდილ ქართული კეცის ჭადს მოგაგონებს, რომლის წონა 2-3 კილოგრამია ხოლმე. იგი სუფთა ხორბლის ქბილიდან კეთდება, რომელიც დაუმჟავებლად, ხანგრძლივი მოზელის შემდეგ, მაგარ მდგომარეობაში, ოდნავ დამჟავების პროცესამდე აცლიან და აცხობენ, ხან დახურულ კეცებში, ხან ქვევით კეცს უშრობიან<sup>37</sup> და ზემოდან ნაცარსა ჰყრიან. ეს უკანასკნელი უფრო ხარისხიანი გამოდის. ფალაჩა უმთავრესად იხმარება საგზაო საჭმელად. მისი მაგრად მოზელის გამო ძნელად ფუჭდება. ფუნთრუმი დაახლოებით იგივე წესით მზადდება, მხოლოდ ეს უფრო რბილია. დამჟავების შემდეგ აცხობენ.

მეორე ჯგუფში ნაზუქების ჩათვლა შეიძლება. ნაზუქი ესე მზადდება: კარგი ხარისხის ქბილი იზელება რძითა და დაახლოებით ფრანგული ბულვების სირბილისა და ფორმისაა, თუმცა ეს უკანასკნელი ფრანგულ ბულვზე უფრო გემრიელი გამოდის ხოლმე. შაქარლამები მზადდება რძით მოზელით, სადაც უმატებენ კვერცხის გულსა, შაქარსა და სურნელოვანებს - ყარაფილს<sup>38</sup>, დარიჩინს, ჰავლიჯანსა და სხვა. მურაბას ამზადებენ და ხმარობენ: ალუბლისა, შინდისა, მურაბის ვაშლისა - იგივეა რაც სამოთხეს ვაშლი, კაკლისა და სხვა.


37. უშრობიან (დიალ.) - უშვებიან, აქ - შეუდგამენ

38. კარიიფილა - ანუ მიხაკი

მესამე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ე.წ. საცომო საჭმელები, მაგალითად ქადა. ყურიანი ქადა ძალზე მიღებულია და საპატიო საჭმელია. ამ საქორნილო პურს ჭარბი ოდენობით ძროხის ერბოს ურევენ კვერცხთან ერთად. გულიანი ქადა შეიძლება იყოს უკვერცხოდაც, ხოლო შიგ, ხაჭაპურის მაგვარად, ურევენ შაქრითა და ერბოთი მოხრაკულ ქბილს. ხოვილი ქადა შედარებით მდარე გამოდის, რადგან ამაში იშვიათად ურევენ კვერცხსა, გული არა აქვს და ყურიანი ქადის ოდენა ერბოსაც არ უშვებიან. ამ უკანასკნელს მუსლუმანი მოსახლეობა ხოილსაც ეძახიან და ყათლამასაც. ყველა ქადაზე მდიდრულია და მოზრდილია ე.წ. გავრაგები; აგვისტოს ჩამოყვანის დროს (მთაში საზაფხულო სახლებს მეოლას უწოდებენ. ეს უკანასკნელი სიტყვა თურქულიდანაა ნასესხი) მოიერები, რომელთა უმრავლესობა მოხუცი ქალებია, 2-4 თვის უნახაბის შემდეგ სოფელში ჩამოსვლისას, მეზობლებისა და ნათესავებისათვის საპატიო დასარიგებლად გავრაგებს აცხობენ ხოლმე. თუმცა, გავრაგი ქორწილობის დროსაც მდიდრულ და საპატიოთაა მიღებული. ბიში რბილად მოზელილი წმინდა ხორბლის ქბილით მზადდება, რომელსაც ტაფაში ჩასხმულ ადულების პროცესში მყოფი ერბოში ჩადებენ მრგვალ ბრტყელ ფორმაში, რომელიც 3-5 წუთში იცხობა, რომელსაც შაქრით ან თაფლით ჭამენ. ბაზლამაც ბიშისავით მზადდება, მხოლოდ ეს უკანასკნელი უფრო სქელია და უერბონდ - ე.წ. საჯზე გამოიცხობა ხოლმე (საჯი ან რკინის მრგვალი ფირფიტაა ან თირი - რბილი ჯიშის ფოტორო ქვისაგან კეთდება). გამოცხობის შემდეგ ერბოს წაუსვამენ ხოლმე. ლუხუმი - თხლად მოზელილი ცომის კაკლების სიდიდის ოდენა ჩაყრიან ხოლმე ადულების მდგომარეობაში მყოფ ერბოში, რომლის ქვეშ გაძლიერებულ ცეცხლს იძლევიან. 3-5 წუთში უკვე გამომცხვარს ამოიღებენ ხოლმე ქაბგირით. ხინკალი საქართველოს სხვა ადგილებშიც ცნობილი საჭმელია. იგი უმთავრესად ხორცისგან კეთდება, თუმცა აპოხტისა და ძეხვის ხინკალი გაცილებით გემრიელი გამოდის. ხანდისხან ყველის ხინკალიც იციან. სინორი - ერთი მეორეზე ერბოსა და მაწონის დასხმის შემდეგ აფენენ მრავალ,

5-10 მრგვალ ცომის ფირფიტებს. ზედახურულ მდგომარეობაში გამოაცხობენ ხოლმე ნაკვერცხალზე. არის კიდევ მრავალი, მხოლოდ მეორე ხარისხის საჭმელები.

მეოთხე ჯგუფის საჭმელებად შეიძლება ჩავთვალოთ რძისა და ხორცეულის ნაწარმი. აპოხტო - ეს გამხმარი ხორცია, რომელისაც შემოდგომაზე მზეზე ახმობენ, დაახლოებით 15-25 დღეში. გარდა ხორცისა იციან, აგრეთვე, ძეხვი. თურქულად სუჯული იყივეა, რაც კუპატი, რომელიც თითო გირვანქა წონისაა. ფორმით რუსულ “ბუბლიქს” მოგაგონებს. აპოხტს ახმობენ ტარალაჯზე. ტარალაჯი თურქულია და სახრჩობელას ნიშნავს, რადგან ამ აპოხტის სახმობი ხეების ფორმა დაახლოებით სახრჩობელას ფორმისაა.



ღვინო უდეში იშვიათად კეთდება ვაშლისაგან. უმთავრესად, უდის მოსახლეობის სახმარი სასმელი არაყია, რომელსაც ჭირნახულისაგან - ხორბლეულობისაგან აკეთებენ. გამოხდის წესი ისეთივეა, რაც საქართველოს სხვა ადგილებში. ერთი ფუთი სიმინდისაგან 5-7 ლიტრამდე არაყს ხდიან ხოლმე. ყურძნის ღვინო კი უმთავრესად იმერეთიდან - ბალდათიდან მოაქვთ ხოლმე. სხვა სასმისები უდეში გამონაკლისია.

## გავრცელებული მცენარეულობათა სახელები

მცენარეულობათა შორის მნიშვნელოვანადაა გავრცელებული ხეხილის ხეები, უმთავრესად, ვაშლის ჯიშები, რომელთა რაოდენობა 70-ს აღემატება. მსხალი **20** ჯიშამდე აღწევს. შემდეგ მიჰყვება ჭანჭური, რაც ესეოდენ მრავლადაა გავრცელებული უდეში. **13** სახის ქლიავია. გარეული ტყემალი ძალზე ბევრიცაა და აგდებულ ხილად ითვლება, რადგან მისი არაფრით გამოყენება არ ხდება, გარდა ბავშვების სათამაშოსი.

ასკილსა და კონახურსაც ბევრს ვხვდებით, უმთავრესად ღობეთა შორის ყანებში. აკაციის ხე ეს ახალი შემოღებულია. იგი მრავლად არაა გავრცელებული. თუთის ხეც ცოტათია გავრცელებული ისე, რომ სოფლის მოსახლეობის საგაზაფხულო ხილის მოთხოვნილების 4-5%-ს ძლივსლა აკმაყოფილებს. გამონაკლისად თუთის ხილის წვენიდან აკეთებენ ტყლაპს, ჩურჩხელას, ბექმაზს, ყაუთსა<sup>39</sup> და სხვას. თუთის ხის ფოთოლით აბრეშუმის ჭიის მოშენება მხოლოდ უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში დაიწყო, თუმცა არც ისეთი დიდი წარმატებით სარგებლობს. ქვიშნა<sup>40</sup> კარგი ხარისხისაა გავრცელებული, თუმცა მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და ამიტომ მოსახლეობა იძულებულია, სხვაგან იყიდოს ქვიშნაც და თუთაც. სამოთხის ანუ მურაბის ვაშლიც მოიპოვება საკმარისი რაოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ უდეში ხანდისხან სიცივე - 25 გრადუსს აღწევს, კაკლის ხე მაინც იტანს.

ღობებისთვის გავრცელებული ეკალი ორნაირია: სურნელოვანი ყვავილის მქონე ეკალი და უსურნელოვნო. ყვითელ ნაყოფა ეკალის ნაყოფს ქალები ინახავენ და გაავლებენ მის წვენს თმებზე დაბანვის შემდეგ. უდეში ვაზის ხე მაღლარი<sup>41</sup> ჯიშისაა, რომელთა რაოდენობა ძალზე ცოტაა. ფილოქსერა აქ ჯერ არ იცის. მაშინ, როდესაც ვაშლის დეტალური თვისებებიც კი იცის რიგითმა კოლმეურნემ, ამ დროს ვაზის არცერთი ჯიშის სახელი არ იციან, ვაზები კი ბუნების ამარადაა მიტოვებული.

39. ყაუთი - პანტის ფქვილი

40. ქვიშნა - ალუბალი (დასავლეთ საქართველოს იმერული დიალექტი)

41. მაღლარი - მაღალ ხეზე ასული ვაზი

სახმარი ხეების ჯიშებია: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, არყის ხე, მურყანი, ჭნავი, იფნი, ძენნი, ჭანდარი, თხილი, უზანი, ლეკის ხე, მუხა, დიგნალი - ტყის ძენნი, ჯახველა, ლელო.

საძოვარი ბალახთაშორის ცნობილია: ქოჩორა, კანჯა, ალავერდი, სამყურა, ესპარცეტი ანუ ყოლანგარი, იონჯა, ყაყაჩო და სხვა.

## **გარეული და შინაური ცხოველებები, თევზის ჯიშები, ფრინველები და მნიშვნელობი**

გარეული ცხოველებიდან გავრცელებულია: დათვი, მგელი, მელია, კურდლელი, ირემი, გარეული თხა - შველი, ღორი, ხანდისხან აფთარსაც ვხვდებით. აფთარს, სხვანაირად, სიმინდის ჭამიასაც ეძახიან.

შინაური ცხოველებიდან გავრცელებულია ხარი, ძროხა, კამეჩი, ცხენი, ვირი, შინაური ღორი, კურდლელი, თხა, ცხვარი, ჯორი, ძალლი. თევზის ჯიშებიდან ცნობილია: კალმახი, რომელიც მთის წყლებში გავრცელებული, ციმორა, მურნა, ნაფლოტაი, ღორთევზა, გველთევზაი და სხვებიც არის. მდ. ქობლიანში გავრცელებული თევზის ჯიშებია მურნა, ციმორა და ნაფლეტა. სოფ. უდეში მეტად გამრავლებულია ფრინველებიდან ყვავი, ბელურა, კაჭკაჭი, შაშვი, შოშია, კოდალა, ტოროლა, ოფოფი, ბუზიჭერია - ფუტკარიყლაფია, ქედანი, გვრიტი, გარეული ქათამი, კაკაბი, გარეული იხვი, ბუ, ღამურა, ჩხიკვი, ნამგალა, მერცხალი, ქორი, ძერა, არწივი, თევზიყლაპია, წერო და ლაგლაგი - ყარყატი.

შინაური ცხოველებიდან გავრცელებულია: იხვი, ბატი (იშვიათად), ინდაური, ქათამი, მტრედი. მწერებიდან უმთავრესებია: ბუზი, კოლო, ხოჭოები, ობობა. სხვათა შორის, მორიელი უდეში არ იცის. პეპლები მრავალი სახისაა, ციცინათელა და სხვა. მცოცავებიდან აღსანიშნავია გველი, ანკარა, ხვლიკი, ქართანქალა. ეს უკანასკნელი ხვლიკის ოჯახისაა, მაგრამ უფრო მარდია და მოშავო ფერისაა. ტანად უფრო მოზრდილია. ბაყაყი ბევრი იცის.

## ქველი და ახალი ადგილობრივი ჩვეულებანი, აორისი, ტირილი და სევა

სოფ. უდის მოსახლეობის ზნე-ჩვეულება რთულია და თავისებური. ეს იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის ნაწილში შენარჩუნებული ძველი ქართულ-მესხური ზნე-ჩვეულებები და გზადაგზა მუსლუმანიზაციის გატარებისას შედეგად შემოსული თურქული ადათ-წესები აირია ერთმანეთში. ზოგი რამ ნასესხია ქართველ ქრისტიანებში. ზოგი - ქართველ მუსლუმანების ზნე-ჩვეულებაში ცოტა რამაც შენარჩუნებული ქართულიდან. ბევრი რამ მიღებულია თურქული ზნე-ჩვეულებიდან. მაგრამ გარკვეული კულტურული - ზნე-ჩვეულებრივ მთლიანობის შექმნა ან ძველის შენარჩუნება ვერ შეძლო უდის მუსლუმანი მოსახლეობამ, ამიტომ დეგრადაციის გზას დაადგა.

ამრიგად, ქართველი ქრისტიანების ზნე-ჩვეულება უახლოვდება საქართველოს ქართველების ზნე-ჩვეულებას. ქართველ მუსლუმანების ზნე-ჩვეულება უახლოვდება თურქების ზნე-ჩვეულებასაც. მუსლუმანების განსაკუთრებით საცოდავადაა არეული. როგორც ცნობილია, ძველი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა თურქებისა და მოღალატე თავად-აზნაურთა ძალდატანებით გამაპმადიანდენ, რასაც მოჰყვა აქაური ხალხის გათურქება, ენისა და ზნე-ჩვეულების გარდაქმნა, თუმცა ბევრადაა კიდევ ნიშნები დარჩენილი ქართველობისა. თანდათანობით გათურქებული მოსახლეობა ისეთი ფანატიკოსი გახდა, რომ თურქობისა და მუსლუმანობის წოდებას საამაყო რამად თვლიდენ, ხოლო ქართველობას ან ქრისტიანობას კი - სამარცხვინოდ. მოხუცი მოსახლეობაში ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია. ახალგაზრდობამ საბჭოთა სკოლის საშუალებით გაიგო თავისი ნამდვილი წარსული. მათთვის უცხოა ფანატიზმი. ეს დახასიათება უდგება აგრეთვე ადიგენის, ახალციხის, ასპინძისა და ჯავახეთის მუსლუმან-ქართველების დახასიათებასაც.

აქაური მუსლუმანები მხოლოდ თვითონ უწოდებენ თავიანთ თავს თურქებს. სინამდვილეში, თურქები დაგვცინიან, როგორც გადმორჯულებულებსა და ზიზლით გვიყურებენ.

მე-17 საუკუნიდან დაწყებული გასაბჭოებამდე ხან გვაკონი-ნებდენ თურქებთან, ხან მეფის რუსეთთან. ეს ძველი დიდებული ქართული კულტურის აკვანი თავისი მოსახლეობით სათამაშო ბურთს უფრო მოგვაგონებს, მსგავსად ეღზას - ლოტარინგიისა. აი რამ დასცა მესხეთის სიდიადე ჩვენი ბრწყინვალე წინაპრების უკვდავი მესხეთი!

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართველი მუსლიმანების დიდი ნაწილი - შავშეთი, ლივანა, ართვინი და არტაანის მთელი მაზრა დარჩა ისევ თურქების ხელში. ეს რაგინდ დროებითი იყოს, მაინც ჯოჯოხეთისებური ნაციონალური ჩაგვრა ისევ გრძელდება და უფსკრულისაკენ მიჰყავს ამ ქართველ მაჰმადიანი მოსახლეობის ყველა ნარჩენი ნაციონალური თავისებური კულტურა და ზნე-ჩვეულება. მესხეთი და ჯავახეთის ნაწილი გადარჩა თურქთა ძალმომრეობას (თუმცა მესხეთის სამხრეთი ნაწილი, ფოცხოვი, თავისი მოსახლეობითა და სოფლით, ისევ დარჩა თურქთა ჩაგვრით უღელ ქვეშ). 1921 წლისათვის არ გაგვაჩნდა საკმარისი კულტურა (მოლებთან ჭილობებზე “სწავლა” უცხო არაბულ ენით მხოლოდ ლოცვებისა რა კულტურის შექმნა შეიძლებოდა?). ქართული კულტურის მიღება შეურაცხყოფად მივიჩნიეთ. რადგან ამით “გადაგვარდებოდით”. აგვიხდა სვანური წყევლა: “ლმერთმა შენი არ გაცოდინოს და სხვისი არ დაგაჯერებინოს”. ეხლა კი თავს აზარბაიჯანელებს ვუწოდებთ. აბა რა საერთო გვაქვს აზერბაიჯანელებთან? ისინი ტერიტორიით ჩვენგან შორს არიან, ენები სხვადასხვა გვაქვს (თუმცა უახლოვდება) ზნე-ჩვეულება ჩვენში სულ სხვაა, ვიდრე აზერბაიჯანში.

ეკონომიკური ცხოვრებით საქართველოსთან უფრო ახლოსა ვართ, ვიდრე მოძმე რესპუბლიკა აზერბაიჯანთან. ქართველებთან ყოველნაირად ახლოს ვართ. გამომდინარე აქედან გასაგებია, რომ აქაური მუსლიმან მოსახლეობას ისე, როგორც მთელი მესხეთისა და ჯავახეთის ქართველ მუსლიმანი მოსახლეობას აქვს ერთადერთი გამოსავალი: ეს არის საბჭოთა ბაირალის ქვეშ დაახლოება სისხლის ნათესავ, ტერიტორიით ერთიან, ეკონომიკურად დაკავშირებულ ქართველ ხალხთან.

მუსლიმანური წესის მიხედვით ცოლის შერთვა უფრო ვაჭრობას ჰგავს, ვიდრე ბუნებრივი სიყვარულით ქორწინებას. ვაჟის მამა ან მახლობელი დადის სოფლებში და კითხულობს, ვისა ჰყავს ყოველ მხრივად კულტურისა ღირსეული ქალიშვილი. როცა გაიგებს, ესტუმრება ქალის ოჯახს, გააგებინებს თავის აზრს, რომ მის ქალს თხოულობს თავისი ვაჟისათვის (ხშირ შემთხვევაში ქალის პატრონი მოხარულია, რადგან ოჯახის ზედმეტ ბარგს - ქალიშვილს - მოიცილებს). მომავალი ზახლები იწყებენ თავ-თავიანთი შევილების ქება-დიდებას, რასაც მოჰყვება მათი ურთიერთ-ეკონომიკური სიმდიდრის პრაქტიკულად გასინჯვა. დათანხმების შემთხვევაში ქალის პატრონი ვაჟის პატრონისაგან აიღებს ე.წ. ბაშლულს - სათავოს. ფული იდება შეძლების მიხედვით. ამის შემდეგ იწყება ნიშნობა, ნიშნობაში არც ქალი და არც ვაჟი არ მონაწილეობს. ამას მხოლოდ მათი მშობლები აწარმოებენ. ნიშნობის შემდეგ ვაჟის მშობლები პატარძალს წაუღებენ ხოლმე შესაკერ ტანსაცმელებსა და ქალის სახლში დაჭრიან ხოლმე, რის შემდეგაც ურთიერთშორის სიარული უფრო გახშირდება. უწესობად არ ითვლება, თუ სიძემ სიარული დაიწყო ქალთან ან წაყვანამდე თუ იცხოვრა ქალთან. აი ამიტომ ხშირია შემთხვევა, როცა პატარძალი ქორწილის დროს ორსულადაა ან ძუძუზე ბავშვი ჰყავს. ესეც სამარცხვინოდ არ ითვლება. ქალის მშობლებს აქვს უფლება ვაჟის მშობლებისაგან ითხოვონ ქალის სახლში მოსახდენი ქორწილის ხარჯები. ბიჭის მხრიდან ქალის მოსაყვანად წასულებს “ათლებს<sup>42</sup>”. (ესენი თუ გინდ ფეხით წავიდენ, მაინც “ათლებს” უცოდებენ). სიძის მხრივ წასულ ქალს “იენგას” - დადეს<sup>43</sup> უწოდებენ. “იენგა” ქალის მხრივ წამოჰყვება ხოლმე პატარძალს.

პატარძლის “იენგა”, დადე თან წამოილებს სიძის სახლში ქორწილის მონაწილეთათვის ტკბილეულობას. ქორწილის დროს ამ ტკბილეულობას დაურიგებენ ქორწილის მონაწილეებს, ტკბილეულის მიმრთმევი, თავისმხრივ, “იენგასთვის” ფულის სახით

42. ათლი - თურქულიდან. ათ - ცხენი, ათლი - ცხენოსანი.

43. დადე - იგივე მდადე

საჩუქარს დაუბრუნებს, გაქნილი დამრიგებლები ხმამაღლა გა-  
მოაცხადებენ, თუ ვინ რამდენი ფული აჩუქა “იენგას”, რითაც  
აქეზებენ მექორწილებს ბევრი ფული აჩუქონ მას.

პატარძლის მომკაზმელს სიმამრმა ფული უნდა აჩუქოს. მზი-  
თვის გატანისას ქალიშვილის მხრიდან ვინმე მახლობელი და-  
აჯდება მზითევზე და სანამ საჩუქარს არ გამოართმევს სიმამ-  
რიდან, მანამ არ დაუთმობს მზითევს. პატარძლის გაყვანისას  
მოკაზმის დროს, მისმა ძმამ სარტყელი უნდა შემოარტყას დას  
და თან უნდა იძახოს, ამდენი ბიჭი და ამდენი გოგო შეგეძინოს.  
ამ დროს გარეთ დაულ<sup>44</sup>-ზურნა გაცხარებით უკრავს. უცდიან  
პატარძლის გაყვანას. თამაშობენ, ჭიდაობენ, ნიშანზე ისვრიან  
და სხვა.

ბიჭის მხრიდან მოსულ ქალსაც და ქალის მხრივ გაყოლილ  
ქალსაც “იენგას” ეძახიან. ამრიგად, პატარძლის მოყვანის დროს  
მხოლოდ სამი ქალია გზაზე: ორი დადე და დედოფალი. სხვა ქა-  
ლები არაა.

პატარძლის მხრივ გაყოლებული იენგა ტკბილეულ-ხილეულს  
წამოიღებს, რომელსაც სიძის სახლში გამართულ ქორწილზე დე-  
სერტის მსგავსად დაურიგებენ ხოლმე, რომლის სამაგიეროდ,  
იენგის პატივსაცემად, მას ფულს გადაუხდიან ხოლმე.

პატარძლის მოყვანისას, ქორწილის გართობისათვის მოჭი-  
დავენი გზაზე დაუხდებიან მექორწილებს. ერთ-ერთ მოჭიდავე  
გაიხდის ზედა ტანზე და მოითხოვს ან სხვა მოჭიდავესთან ჭიდა-  
ობას ან სახარჯოს. ორივე შემთხვევაში ფალავანს ფულს აჩუქე-  
ბენ, რადგან გაამხიარულა.

გზადაგზა გაჭიმავენ მექორწინეთა წინ თოკს, ვითომდა  
რძლის წაყვანას ეღობებიან. ყოველი თოკის გამჭიმავს სიმამრი  
ან მისი მაგიერი კაცი ფულს ჩუქნის და თოკის გაჭიმვაზე ხელს  
აიღებენ ხოლმე. სახლში მისვლამდე ეს ამბები შეიძლება მრა-  
ვალჯერ განმეორდეს. იმ კარების მაღლა - ერდოზე, სადაც პა-  
ტარძალი უნდა შემოვიდეს, უცდის სიძე თავისი უახლოესი მე-

44. დაულ - იგივეა, რაც დოლი.

## გობრით - საღდუჯით.

დედოფალს, რომ ჩამოიყვანებენ ხოლმე, იგი ჯერ ჩამოვა ქვა-ბის შებრუნებულ ძირზე. ამ დროს სიძე ზევიდან დედოფლის თავზე დააყრის ხურდა ფულებსა და ტკბილეულობას. დედოფალს კარებიდან შესვლისას თაფლით დაასვრევინებენ მარჯვენა ხელს და კარების ზღუდეზე მიარტყმევინებენ. დედოფალი შევა საქალებოში. სიძე ამ დროს გარეთაა. ნახევრად ემალება ხალხს, ზრდილობიანობისათვის. დაულ-ზურნა გახარებულად უკრავს. დედოფლის მოყვანისას სიძის მხრივ წასული ცხენოსნები შეეჯიბრებიან ერთი მეორეს. ვისი ცხენიც უკეთესი მორბენალი აღმოჩნდება და სიძესთან ვინც პირველად მოვა სამახარობლად, რომ მოყავთ დედოფალიო, მას მუჯდაჭირ - მახარობელს - ეძახიან, რომელიც სიძესაგან და სახლიდან შემდეგი მზა საჩუქრებს მიღებს: თავშალი ცხენის ფაფარზე დასაკიდად ფალაჩასა და მოხარშულ მთელ ქათამს, რომელსაც ხანჯალს გაუყრის და როგორც გამარჯვებული, დაბრუნდება უკან იმ ხალხში, რომლებსაც დედოფალი მოჰყავთ. არის შემთხვევა, როცა მუჯდაჭირ მოპოვებულ გამარჯვებას ვერ შეინარჩუნებს და საჩუქრებს მოატაცინებს, რასაც ხშირად მოჰყვება უსიამოვნება. ვახშამზე ბოლო საჭმელად მიღებულია ბრინჯის ფლავი.

მუსლიმანური ჩვეულების მიხედვით, ქორწილზედაც არ შეიძლება სპირტიანი სასმელები. მის ნაცვლად მექორნილებს საჭმელზე ადრე თითო ჭიქა შარბათს - შაქრიან ცივ წყალს მიართმევენ ხოლმე. ვახშის და ლხინების შემდეგ დამკვრელები საქალებოს კარებთან მივლენ და ქალთა კრებულის, მექორნილე ქალების მოცემული დავალების მიხედვით, დოლი ზურნას უკრავენ ხოლმე. ქალთა ცეკვა-თამაშის შემდეგ ქალის იენგა ცალკე ოთახში პატარძალს ჩაუბარებს სიძესა და ეტყვის: “ბუ სანა სანდა ალლაპა ამანათ”, ე.ი. ეს - შენზე, შენ კი ღმერთზე მიბარებული იყავით.

იმ მიხედვით, რომ ერთერთს არ იცნობდენ ქალ-ვაჟი და უცბად, ყოველნაირი ხარჯისა და ცერემონიების შემდეგ, ყველა წესის შესრულების შემდეგ ხანდისხან ქალ-ვაჟი ვერ შეეყრებიან

- არ მოეწონათ უცნობი მეუღლე, ამ შემთხვევაში მათი გაბედნიერება უბედურებად იქცევა. თუმცა, შარიათით განქორნინება დაშვებულია ნიქაპის ახტში - ჯვარის დაწერის დროს აქტში ჩანერილი საგნების ფასის გადახდის შემდეგ.

სიძე და დედოფალი ერთი მეორის მოწონების შემთხვევაში: დედოფალი მუნჯობს, სიძე ცდილობს ხმა ამოაღებინოს, რისთვისაც ჩუქნის ნივთებს, პირდება ბევრ რამეს. მუნჯობის ცერემონიისა დამთავრების შემდეგ იწყებენ გაცნობას ერთმანეთისა და ნათესავების. დედოფალთან დაწოლაზე ადრე სიძემ ჯერ უნდა ილოცოს და შემდეგ უფლება აქვს დაწვეს დედოფალთან. ქორნილის სიდიდე ქონებაზეა დამოკიდებული. მდიდრების ქორნილი ერთ კვირასაც გასტანს ხოლმე. დილ-დილობით დამკვრელები მექორნილებს დაკვრით გააღვიძებენ და საქორნილო დარბაზში მოიყვანებენ, რისთვისაც უხევს საჩუქარ ღებულობენ სიძის მხრიდან. დედოფლის მოსაყვანად წასულ ცხენოსნებისათვის, დედოფალი გათხოვებამდე ადრე ამზადებს თითო კაცზე თითო წყვილ წინდას და დედოფლის მოყვანის მეორე დღეს ამ წინდებს ურიგებს “ათლის” - ცხენოსნებს, რომლებიც სამაგიეროდ პატარძალს საჩუქრებს მიართმევენ: ზოგი ნივთს, ზოგი ფულს. მეორე დღემდე, ხან მესამე დღემდე დედოფალი ძვირფასი თავშლებით პირდაფარულია. მეორე დღეს, დილით იენგები საქალებოში, სახლის შუა ადგილას დაიგებენ რბილ საჯდომებს. საქალებოს შუა სახლში, როცა დააჯინებენ პირმოფარებულ პატარძალს, ამ დროს შემოვლენ სიძე და საღდუჯო, ანუ უდის ქართველების ენით რომ ვსთქვათ, ხეჩაფერი. მიადგებიან პატარძალს, ამოიღებენ ხანჯლებს. საღდუჯი ეკითხება: ქალბატონებო, პატარძალს თავი მოვკვეთოთ, ენა მოვუჭრათ? დარბაზში ხმები ისმის თავს - ნუ, ენა მოუჭრით, რომ უენო იყოსო. საღდუჯი სამჯერ ეკითხება. ყოველი კითხვის დროს ხანჯლის წვერით პატარძლის თავშალს ოდნავ ასწევს ხოლმე. მესამე ჯერზე სულ ასწევს თავშალს. ამის შემდეგ პატარძალს მისი სახის სანახავად ვინც შემოვა, უნდა აჩუქოს რაიმე. ამას ეძახიან “იუზ გორუმჩას”, ანუ პირის სანახავი. საღდუჯიც პირის ახდისათვის პატარძალს მო-

ყოლილ იენგასაგან საჩუქრად ერთ წყვილ კარგ წინდას მიიღებს. საღდუჯი კი დედოფალს რაიმე კარგ ნივთს ან ფულს აჩუქებს, ამის შემდეგ დედოფალს თავის ადგილას მიიყვანს, ზის პირსა-ხე ახდილი, სახლში ყოველი მომსვლელის საპატიოდ ფეხზე უნ-და ადგეს. უფროსების ნების გარეშე პატარძალი ვერ დაჯდება. სიძე და საღდუჯი უხმილ. გავლენ გარეთ, ქორწილი ისევ ჩვეუ-ლებრივად გაგრძელდება. სიძე და საღდუჯი შევლენ მამაკაცე-ბის ოთახში. ამათ წინ მიუძღვებათ კაცი, რომელსაც ხელთ უჭი-რავს სინი ე.ი. ფართე-დიდი და ბრტყელი სპილენძის საინი, რომ-ლის შუაში ჩაყრილია თხილი და ქიშმიში. სინის ირგვლივ ანთია სანთლები. ის კაცი არის პატარძლის მხრივ წამოსული იენგის წარმომადგენელი, ტკბილეულობაც მისი გამოგზავნილია. სინს დადებენ შუა სახლში. სიძე და საღდუჯი წამოიჩოქებიან. ორივე ერთდროულად ცალი ხელით ორჯერ აიღებენ და უკან ჩატოვე-ბენ სინში მყოფ ხილს. მესამე ჯერზე მარჯვე ჭაჭვებს<sup>45</sup> აიღებენ და ჩაიყრიან ჯიბებში. ამ დროს, თუ კრებულიდან ვინმემ შეძლო გაცინება ან ხმის ამოღება სიძესა და საღდუჯისა, ასეთ შემთხვე-ვაში საღდუჯი ვალდებულია გადაუხადოს ის ჯარიმა, რასაც ჭა-ლარები მიუსჯიან სიძისა და საღდუჯის. სიძე და საღდუჯი როცა აიღებენ ამ ტკბილეულს, რასაც ჩარაზს ეძახიან, შემდეგ რიგრი-გობით ყველას მიაწვდიან ამ იენგის ჩარაზს, რომლის სამაგიე-როდ იენგას ფული უნდა აჩუქონ.

ქორწილის დამთავრების შემდეგ დაემშვიდობებიან და წავ-ლენ. სიძის კეთილები ინახულებენ დედოფალს, მისცემენ “სა-ლამათლუხს”, ე.ი. სამშვიდობო საჩუქარს და წავლენ შემდეგ. სათითაოდ და პატიუებენ ხოლმე პატარძალს. ჯვრის წერა, რო-მელსაც ნიქაპს ეძახიან, ან დედოფლის სახლში, ან სიძის სახლ-ში მოხდება ხოლმე, სადაც ლოცვითა და კურთხევით დაიწერება ხოლმე. თუ ქალს რას აძლევს სიძე, რაცმას მიეცემა განქორწი-ნების შემთხვევაში. რაგინდ მდიდარი იყოს კაცი, ქალს გაშვები-სას მიეცემა მხოლოდ ის, რაც ნიქაპის დაწერის დროს ჩასწერეს.

45. ჭაჭვი - ჰეშვი, მუჭა

ქალს განშორების უფლება არა აქვს. კაცს განშორების უფლება მუდამ აქვს. შარიათის თანახმად მამაკაცს უფლება აქვს 7 ცოლამდე მოიყვანოს, მაგრამ დღეს უკვე იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს ორი ცოლი ჰყავს. თუმცა, აქ ჩამოთვლილი წესებიდან ბევრი რამ დავიწყებულია, მაგრამ ზოგი რამ ჯერ კიდევ ძალაშია.

შეძლებულ ვაჟთათვის თავისი სიცოცხლეში ორგვარი ქორნილი გაემართება ხოლმე: ერთი ბავშვობის დროს მონათვლისას ანუ ვაჟიშვილის სასქესო ასოს ჩენჩხის მოჭრისას და მეორე - ცოლის მოყვანისას. ქალიშვილის მონათლვა მუსლუმანებში არ შეიძლება, როგორც არასრულ უფლებიანის, მისთვის არაა შემოღებული ცერემონიალის - დღეობის გადახდა.

### სუნნათ დუგუნი- სუნნათის ქორნილი

სუნნათი არაბულია. ჩვეულების მიხედვით 3 წლიდან 18 წლამდე სანამ ავიდოდეს ბავშვი, მანამდე სასქესო ასოს წვერის ჩენჩხი უნდა წაიჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალგაზრდას, ჯერ ერთი რომ არავინ მისცემს ქალს, მეორედ კი დიდი ცოდვაა. ძალაუნებურად იჭრება საკითხი. მუპამედი, როცა 42-43 წლებში შევიდა მაშინ დაინწყო მუსლუმანობის გავრცელება. ნუთუ ამ მოხუცობის დროს შემოილო ეს ახირებული წესი? ამბობენ, რომ სურვილით ყოფილა გასუნნათებულიო.

ახლად დაბადებულ ვაჟს ოჯახის რომელიმე კეთილთაგანი ან მეგობართაგანი ხელს დაადებს და იტყვის, მე ვიქნები ამ ვაჟის ქირვა<sup>46</sup>. მმობლები თუ თანახმა იქნებიან, დაინიშნება ქირვად ეს პიროვნება. უმთავრესად არის მამაკაცი, ზოგჯერ ქალიც შეიძლება იყოს ქირვა. მხოლოდ ბიჭის ასოს მოჭრის დროს ქალი თავისმხრივ გაგზავნის ვინმე მინდობილ ნათესავთაგანს თავისი სახელით. ვაჟების ასოების მოსაჭრელად სპეციალური კაცია მიჩნეული, რომელსაც სუნნათჩის ეძახიან. რამოდენიმე სოფლის საბჭოს, ხანდისხან, ერთ-ორ რაიონში ერთი სუნნათჩია ხოლმე.

46. ქირვა - შეესაბამება ნათლიას.

სუნნათჩი რომ მოვა, რამოდენიმე ბავშვს ერთად “დააწვენენ” ხოლმე. ღარიბების ქორწილიც, შეძლებულთა ქორწილთან, არეულად ჩაივლის ხოლმე.

ნათლიას ცოლი მონათლულისათვის იენგაა, ნათლულის ქორწილის დროს პატარძლის მოსაყვანად ის მიდის.

მონათვლის ქორწილს “სუნნათ დუგუნის” ეძახიან. სიტყვა “სუნნათ” ნიშნავს ფეილამბარის<sup>47</sup> მუჰამედის ცხოვრებაში ნაქნარი-ნამოქმედარისადმი მიბაძვას.

სუნნათის მოხდენა შეიძლება 3 წლიდან 18 წლის ჰასაკამდე. ცხადია, ჭრილობიან ბავშვებს აწვენენ ლოგინში. ჭრილობის შეხორცება 1-3 კვირამდე გრძელდება. შესახორცებლათ ნამლად ხმარობენ ხის ფუტუროს ფხვნილს, კვერცხის ნაჭუჭის ნაცარს და კიდევ ვინ იცის, ვისაც რა მიაჩნია ნამლად. კერავენ პატარა ტომარას, შიგ ჩაყრიან “ნამალს” და დაკიდებენ ბავშვის წელზე, ასოს კი შიგ ჩააყოფინებენ.

ქირვა რამოდენიმე ხნის შემდეგ, შეძლების მიხედვით, უყიდის ხოლმე ტანთსაცმელს. მონათლულის მშობლებიც ქირვას აჩუქებენ ხოლმე რაიმე საქონელს. უფრო სასახელოა ცხენის ჩუქება. ამრიგად ამათ შორის იწყება ნათესაური ურთიერთობა.

“სუნნათ დუგუნის” დროს ქირვებიც მონაწილეობენ ქორწილის ხარჯებში. ქორწილში მაგარი სასმელების ხმარების გარდა ყველა სახის გასართობებს მოაწყობენ ხოლმე. ქალები ლხინში მონაწილეობას არ ღებულობენ, როგორც “მდარე” ხარისხის ადამიანები. ისინი ცალკე სახლში ერთობიან თვითონ.


### ტირილი მიცვალებულზე

მუსლუმანური წესით ტირილის ცერემონიალი მარტივია. მკვდრის გაჩერება ოცდაოთხი საათზე მეტად ცოდვადაა მიჩნეული. მკვდრის დაბანვა დასაფლავებამდე სავალდებულოა. ქალი თუ გარდაიცვლება, ქალები დაბანენ, მკვდარი კაცი თუა, კაცები დაბანენ. ქალს ქმარი თუ მოუკვდება ტირილი სამარცხვინოა,

47. ფეილამბარ - ნინასწარმეტყველი

ასევე ქმარისთვისაც სირცხვილია მკვდარ ცოლზე ხმამაღლა ტირილი. ეს შარიათის მიხედვითაც ცოდვაა - დაუშვებელია.

ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შარიათის წესით არა აქვს უფლება მკვდარი მეუღლის გვამის ნახვისა. როგორც “ნამაჰ-რამი” (შარიათის მიხედვით, თუ ახლო ნათესავი არ იქნება არც ქალთა სქესს აქვს უფლება რომ ნახოს მამაკაცი, არც მამრობით სქესს აქვს უფლება რომ ნახოს ქალი). ცხედარზე ტირილის უფლება აქვთ ნათესავებს განურჩევლად სქესისა. ჩვეულებრივად, ცხედარს იმავე დღეს მარხავენ, რა დღესაც მოკვდება. ცხედარს აცმევენ თეთრი მატერიის გრძელ ზედა საცვალს, ე.ნ. “ყიამათ-ქოლმაგს” - მეორედ მოსვლის პერანგს. მის შემდეგ კი ორფად წაკერებულ ორი მეტრის სიგრძის თეთრ მატერიაში შეახვევენ. ამ მატერიას თავსა და ფეხების მხრიდან უბრალოდ თოკით ან რაიმით მოუჭერენ და ისე ჩადებენ კუბოში. მიღებულია, სასაფლაომდე საერთო სასოფლო კუბოთი წალება, საფლავში კი - უკუბოდ ჩადება. ხშირად, შეძლებულები ცხედარს კუბოთი ასაფლავებენ, მაგრამ ეს შარიათით ცოდვა ყოფილა, რადგან მეორე მოსვლისას კუბო თან უნდა ატაროს. ცხედარს ჩვეულებრივად, საერთო კუბოთი ოთხი კაცი წაიღებს ხოლმე, გზადაგზა გამოცვლის წესით. ქალები სასაფლაომდე არ გაჰყვებიან, ამის უფლება მათ არა აქვთ.




საფლავის ამოთხრა

მიცვალებულის სახლიდან გამოტანამდე ხდება წესის აგება, ე.ნ. “ლავირი” ესე იგი კუბოს ბრუნვა ან ტრიალი. ჩამოჯდება მოლასთან 3-5 კაცი, რომლებმაც მიცვალებულის ცოდვები უნდა იყიდონ მოლის მეშვეობით, რის შემდეგაც გარდაცვლილი “უცოდველად” წარსდგება სამსჯავროს წინაშე. უკვე ცოდვები-

საგან განთავისუფლებულ მიცვალებულს წაიღებენ სასაფლაოზე, რომელთან ახლოს ე.წ. მუსალლა ტაშია. ჰორიზონტალურად დადებულ, ფიქალად გამოთლილ ქვაზე დაასვენენ განსვენებულსა. დასაფლავების მონაწილენი ჩამწკრივდებიან. წინ წარსდგება მოლა. მისი ლოცვის შემდეგ მიცვალებულს ჩაასვენენ საფლავში.

როგორც საერთოდ, დღეში 5-ჯერ ლოცვა, უნდა წაიკითხოს მუსლუმანმა, მიცვალებულზე ლოცვა სწარმოებს სამხრეთის მიმართულებით. ამისი მიზეზი ისაა, რომ არაბეთში ქალაქი მექეა საქართველოსადმი სამხრეთით მდებარეობს. სხვა დანარჩენი ქვეყნების მუსლუმანების სალოცვო მიმართულება მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით განისაზღვრება, ე.ი. თუ ისინი მექეას მიხედვით სამხრეთით მდებარეობენ, მაშინ ჩრდილოეთით უნდა ილოცვონ, თუ აღმოსავლეთით მდებარეობენ - დასავლეთითა და ა.შ.



დიდებულ მუსულმანთა საფლავი

“ჯანაზა ნამაზი”, ჩვეულებრივად, სასაფლაოსთან ხდება. მიცვალებულის საპატივსაცემოდ ლოცვაზე მოსულებს მკვდრის პატრონი ფულს ურიგებს ხოლმე. ჭამა-სმა წესად არაა მიღებული. საფლავის მიწით დახურვისას მოლა და მიცვალებულის 1-2 მახლობელი დარჩებიან საფლავის თავზე. მოლა დაიწყებს უკანასკნელ ლოცვას, რომლის შინაარსი დაახლოებით ასეთია: ჰეი! შენ ამა და ამ ქალის შვილო (ჩაუძახებენ არა მამის, არამედ დედის სახელს, რადგან შესაძლოა, ამ ადამიანის მამა სხვაა და არავინ არ იცისო). აი ამ წენთას შენთან მოსულ ტარტაროზებს უპასუხე, რომ შენ ხარ ღმერთის მონა და მუჰამედის მიმდევარი, რითაც გადარჩები წამებებს. ანი, ჩვენგან დახმარება შეუძლებელია. მუჰამედი კი შენ გადაგარჩენს საიქაოს”. აი ეს ფანტასტიუ-

რი ძახილები-ლოცვები მსმენელებზე მკაცრ ფსიქიურ შთაბეჭ-დილებას ახდენს, შიშს იწვევს მსმენელების გონიერაში. მუსლუ-მანური საფლავის ქვა, ჩვეულებრივად, ოთხია. ოთხივე მხრიდან, ფეხებისა და თავის მხარეს მაღალი იციან ხოლმე, გვერდებზე კი - მოგრძო და პრტყელები<sup>48</sup>.

#### ზოგი სხვა ადამ-ჩვეულებანი

ნათესაური ურთიერთობა: საერთოდ, როგორც ყოველგან სოფ. უდის მუსლუმანური მოსახლეობის ნათესაური ურთიერთობა ჩვეულებრივია, განმასხვავებელი მხოლოდ ისაა, რომ აქ ორი თავისებური ზეგავლენა თავს იჩენს ხოლმე: პირველი, ადგილობრივი ძველი ქართული ზნეობრივობა, ადამ-ჩვეულებანი, გვარის არდავიწყება, ახლო ნათესავებიდან ცოლის შერთვისაკენ თავის არიდება, ქალისადმი პატივისცემა მრავალცოლიანობისადმი ზიზღი, სტუმართ-მასპინძლობის ღირსეულობა და სხვა. მეორე, თურქულ-მუსლუმანური ზნე-ჩვეულების ზეგავლენა: როგორც ცნობილია, მუსლუმანურ კულტურისა და თურქული ადათების მიხედვით გვარი არ გრძელდება 2-3 თაობის შემდეგ, მუსლუმანური მოსახლეობა კი საერთოდ არ ატარებს გვარს, რისთვისაც სულ მალე, მეორე თაობიდანვე დასაშვებია დაქორწინება. ჩვეულებრივია აგრეთვე ძმის ქვრივის შერთვა. ცოლის შერთვა შეიძლება, გარდა დედისა და დისა, ყველა ნათესავისა, ზოგი გამონაკლისით, შარიათის მიხედვით, შვიდ ცოლამდე (ეს ხდება შეძლების მიხედვით).

თანახმად მუსლუმანური ჩვეულებისა, ქალიშვილს დაბადებიდანვე მდარე ხარისხის ადამიანად თვლიან ხოლმე. მამამისი ერიდება - რცხვენია, რომ მიეალერსოს თავის ქალიშვილს. გოგო მოკლებულია რიგიანი ტანისამოსის ჩაცმას, სწავლა-განათლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მშობლები ცდილობენ რაც შეიძლება მალე გაათხოვონ ეს “ზედმეტი ბარგი”. ხშირია შემთხვევა 18-20 წლის ქალიშვილს ირთავს 50-60 წლის მოხუცი. ისიც მეორე

48. პრტყელი (დიალ.) - იგივეა, რაც ბრტყელი.

თუ მესამე ცოლად. აი ის ორი თავისებური საზეგავლენო მიზე-ზები, რომლითაც განისაზღვრება ჩვენი სოფლის მუსლუმანური მოსახლეობის ნათესაური ურთიერთობა და ზნე-ჩვეულება.

ქალის 12-13 წლებში გათხოვება ჩვეულებრივია, უმთავრესად, ქრისტიან მოსახლეობაში. რადგანაც სოფ. უდის ქრისტიანი მოსახლეობა მუსლუმანი მოსახლეობისაგან ქალს არც იყვანს და არც აძლევს, ამისათვის იძულებულია იგივე სოფელში ქრისტიანს მიათხოვოს ან აიყვანოს ქრისტიანებიდან ქალი, რადგან ქრისტიანი მოსახლეობა სოფ. უდიდან ძალზე შორს რჩებიან (გამონაკლის შეადგენს სოფელი არალი და ვალე). ბუნებრივია ამას მოყვება ის შედეგები, რომ ხშირდება მახლობელი ნათესავებიდან ქალის აყვან-მიცემა, რაც შთამომავლობისათვის ბიოლოგიურად ძალიან ცუდია.

მუსლუმანი მოსახლეობისათვის ბაირამები ორჯერაა წელიწადში. ერთი მეორეზე ორი თვით დაშორებული. წელიწადში ერთი თვე მთვარის მიხედვით იჭერენ მარხვას, ე.წ. “რამაზანს”, რაც ყოველ წელში ათი დღით ადრე იწყება. და ასე ბრუნავს წლის სხვა და სხვა დროებში. ეს ძნელი ასატანია იმ დროს, როდესაც მარხვა ზაფხულობით - გაცხარებულ სამუშაო თვეებშია. როცა რამაზანი მთავრდება, ახალი თვის პირველი დღე არის ბაირამი, ე.ი. დღესასწაული.

ბაირამის დღეს დილის 8-9 საათის ბაირამის ლოცვისა შემდეგ (ბაირამის დღეებში 6 ჯერი ლოცვაა, სხვა დღეებში კი 5 ჯერი) ჯამიდან, ე.ი. მეჩეთიდან გამოსულნი სადღესასწაულო საუზმე საჭმელზე იწვევენ ერთი მეორეს. საუზმის შემდეგ იწყება ჭიდაობა და მრავალი სახის ლხინი. ეს “რამაზან ბაირამია”. ამის ორი თვის შემდეგ მოდის “ყურბან ბაირამი”. შეძლებული მუსლუმანები ამ დღეს ღმერთს სწირავენ რაიმე საკლავს (საქონელს ან ცხვარს). იმ შემთხვევაში თუ კაცი ღარიბია, მაშინ შეიძლება რამოდენიმემ ერთად ზიარი საწირავი დაჰკელან და დაურიგონ მუსლუმანებს უსასყიდლოდ. საღმრთოდ დაკლულ საქონლის ტყავზე ლოცვა მიღებულია, ამიტომ საწირავის “ყურბანის” ტყავსა ინახავენ და ხმარობენ სალოცავად (ე.ი. დასაგებად, ებრაელების მსგავსად კი არა).

მუსლუმანურ სამარცხვინო წესთაშორის აღსანიშნავია ძმის

ქვრივის ცოლად აყვანა. როცა ძმა გარდაიცვლება, შარიათის ძალით ქვრივი მაზლს ეკუთვნის, რადგან იგი რძალისა და მაზლის ნათესავი არ არის. ეს ხდება მაშინ, როცა რძალს აქვს სახარბიელო მზითევი. თუკი იგი გათხოვდება სხვაგან, ბუნებრივია თან წაიღებს მზითევსაც და ამრიგად, ამ ოჯახს გამოაკლდება ეს სიმდიდრეც. ეს ძველი მუსლუმანური წესია - ძმის ქვრივის შერთვის წესი, იშვიათ მოვლენად იქცა და თანდათანობით სპობის გზას ადგას, ე.ი. რელიგიური კანონი უნიადაგოდ რჩება. ასევე ნიადაგი ეცლება ორცოლიანობასაც.

ქრისტიანული მოსახლეობის ძველ დღესასწაულთა შორის აღსანიშნავია “ყველიერობა”, რომელიც დიდ მარხვამდე იწყება და ერთ კვირას სულ ჭიდაობა გრძელდება. კვირის ბოლო დღეს იწყებენ “ბერობანას”, ბერობანა იგივეა რაც “ყეინობა”. “ბერობანის” ბოლოს კი იმავე დღესვე ეწყობა “სამყრელოს” ცერემონიალი, რაც შემდეგნაირად სრულდება: 6-8 კაცი აწყობს ფერხულის ცეკვას. ბოლოს მეფერხულეთა მხრებზე ადიან სხვა მოცეკვავენი და ამრიგად ორსართულოვან ფერხულს აგრძელებენ. ბოლოს მესამე სართულსაც აწყობენ და ამრიგად 12-15-მდე კაცი ართობს მთელ სოფელს. მეფერხულენი თან მღერიან:

“სამყრელო-სამყრელო,  
ძირს ჩამოდი, სამყრელო!  
ნუგეშ-ნუ გეშინია,  
ცას ბეწვები ჰკიდია  
ქვეშ ბუმბული გიგია”...

“სამყვრელოს” თამაშის შემდეგ თავდება ყველიერებაც და მეორე დღესვე იწყება დიდი მარხვაც.

აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული თამაში 1913 წლის შემდეგ არ გამეორებულა. ყველიერების დაულ-ზურნით ჭიდაობის წესი კი 1934 წლის შემდეგ არ გამეორებულა.

დიდ მარხვის ბოლოს მოდის აღდგომა, სადაც სამადლიანი დღესასწაული ტარდება. ყველა ოჯახი ამზადებს საუკეთესო

საჭმელებს. იწყება ჯგუფური ქეიფი და თამაში ქალ-ვაჟნი, საკ-ვირაოდ ჩაცმულნი, ხელებში მრავალ ფერად შეღებილი კვერ-ცხებით გროვდებიან სოფ. ხუროს მხარეზე ე.ნ. ხანდაკებზე, იქ-ვე ციხის მიდამოებში, მუსლუმანთა სასაფლაოებში. ეს მხარე ამ დღეებში უკვე ოდნავ გამწვანებულია. აი, ამ მიდამოებში ხდება ქეიფი, კვერცხის დაკვრის წესის გამეორება და მრავალნაირი ლხინი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მოლებისა და მღვდლე-ბის უთვალავი აგიტაციისა, რომ მხოლოდ თავიანთი რჯულია წმინდა და სხვა რჯული ცოდვებითაა სავსე, მუსლუმან მეზობ-ლებს არასოდეს არ დაუშლიათ ქრისტიანი მეზობლებისათვის თავიანთი სასაფლაოზე სმა-ქეიფი და ცეკვა-თამაში.

სოფლის ადათთა შორის საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ **ახალ წელს**, ჩვეულებრივი ლხინის გარდა, ყმაწვილები ჯგუფ-ჯგუფად დაივლიან ხოლმე ერდოებს პატარა კალათებზე თოკ-მობმული, ჩაჰურებენ ბუხრებში და თან დასძახებენ:

“ალათასა მალათასა,  
ჩამოგკიდეთ კალათასა,  
ადურძალო კვერცხი ჩადე,  
ღმერთი მოქცემს ბარაქასა.”

ძახილით დაიარებიან, შეაგროვებენ საჭმელებს, კვერცხს, კა-კალს, აპოხტსა და სხვასა და წაიქეიფებენ

იმავე დღეს მუსლუმანი ყმაწვილებიც იგივე წესით დაიარები-ან ცალკე და ესენიც ბუხრებიდან ჩასძახებენ ხოლმე:

“ბუ გეჯა ილ გეჯასიდირ,  
დოვლათლილარინ გეჯასიდურ.  
ბახშიშ ვერანა ბირ ყოჩ ოდურ,  
ვერმიანა ბირ ქორ ყიზ.  
ოდა ბაჯადან დუშსუნ და  
ფათლასინ და ჩათლასინ!”

რაც ქართულად ნიშნავს შემდეგს:

“ეს ღამე ახალი წლის ღამეა,  
დოვლათიანების ღამეა.

საჩუქრის მომცემთ, ყოჩი შვილს მისცეს.  
ვინც საჩუქარს არ მოგცემს, ბრმა ქალიშვილი მიეცეს,  
ის ერდოდან გადმოვარდეს და გასკდეს და გაიხეთხოს”.

კალათის ჩაკიდება ხდება განურჩევლად. როგორც - ქრისტი-  
ანებისა, ისე მუსლუმანების ბუხრებში, საჩუქრებს კი თანასწო-  
რად მიიღებენ ხოლმე.

ოქტომბრისა და მაისის დღესასწაულები<sup>49</sup> ტარდება ისე, რო-  
გორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში.

თუ მუსლუმანებში ხდება მხოლოდ ვაჟების მონათვლა, ქრის-  
ტიანებში კი ხდება ორივე სქესის ბავშვების მონათვლა. მონათვ-  
ლის ცერემონიალი ეკლესიაშივე მთავრდება. ხანდისხან ეწყობა  
კიდეც მონათვლასთან დაკავშირებული ქეიფი. ქრისტიანებშიაც  
ნათლია მიღებულია როგორც მახლობელი ნათესავი, რომელსაც  
დიდი პატივისცემით ეპყრობიან.

ქორნილი ქრისტიანებშიაც ქალ-ვაჟთა შორის სიყვარულის  
საფუძველზე კი არ ხდება, არამედ ეს ხდება მშობლების თვალ-  
საზრისით, ანგარიშის საფუძველზე გათხოვების შესახებ მუს-  
ლუმანებში ასეთი გამოთქმა მიღებულია: “ქალიშვილს თუ თავის  
ნებაზე გაუშვებ, უფროსი მეზურნეს გახყვებაო”. ეს აზრი ფესვ  
გადგმულია ქრისტიანულ მოსახლეობაშიაც.

ვაჟთა და ქალთა მხრიდან მოსულ მაჭანკლების მოღვაწეობის  
დადებითად დამთავრების შემდეგ ვაჟის რამოდენიმე მახლობელი  
ნათესავი სასიძოსთან ერთად თავიანთი ნიშნებით, ე.ი. სარძლო-  
სათვის მოტანილი საჩუქრებით, ერთად ესტუმრებიან სარძლოს  
სახლს. იმართება შესაფერის თემაზე მუსაიფები რაც გადაიზ-  
რდება ხოლმე ქეიფში. თამადას ქალის ნათესავებიდან ირჩევენ.

49. ოქტომბრისა და მაისის დღესასწაული - ესე იგი, 7-8 ნოემბერი  
და 1-2 მაისი: ოქტომბრის რევოლუციის დღეები და მშრომელთა  
საერთაშორისო დღეები

ნიშნობის დადებითად დამთავრების შემდეგ ე.წ. ჯვრის წერამდე ე.ი. ხელის მოწერამდე, სასიძო დადის ქალის სახლში დრო გამოშვებით. ქალ-ვაჟის მშობლების შეთანხმებით ინიშნება საქორწილო დღე. ქალის მშობლები ქორწილს არ იხდიან, ვაჟის მშობლები აწყობენ ქორწილს. ქორწილი თითქმის იმავე წესით მიმდინარეობს, რაც საქართველოს ქართული ქრისტიანული მოსახლეობისათვის საერთოა ამიტომ, დაწვრილებით აღწერაზე არ ვჩერდები.

**ქრისტიანული ტირილი.** როგორც მუსლიმანურ მოსახლეობაში, ქრისტიანულ მოსახლეობაშიაც დიდი პატივისცემით სარგებლობდა ექიმბაშები. სოფ. უდეში ბარათაშვილების ექიმბაშები განთქმული იყვნენ შორეულ მუსლიმანურ რაიონებშიაც. უსტატეფო განთქმული ექიმბაში იყო. პატივმოყვარულ ჭალარას დიდი პრაქტიკა ჰქონდა განსაკუთრებით საქირურგო საქმეში, თუმცა იგი ყველაფერში ერეოდა. როგორც მისი წინაპრებიცა და ახლა შთამომავლობაც მიუხედავად მთავრობის მრავალგზით აკრძალვისა. ქრისტიანებში ცხედრის შენახვა 2-3 დღემდე იციან. ის აზრიც გავრცელებულია, რომ რაც უფრო გაგრძელდება ცხედრის შენახვა იმდენად ცოდვაა. მიცვალებულზე თმა გაშლილი ტირილი სირცხვილია. მღვდელი და დიაკვანი წესის აგების შემდეგ ხმამაღლა ლოცულობენ და ამის შემდეგ მიასვენებენ გარდაცვლილს სასაფლაოზე. (მუსიკით დაკრძალვაც უკანასკნელად, ბოლო დროს შემოვიდა). მიცვალებულის ოჯახი, შეძლებისდამიხედვით, აცხობს პურს და დიდი რაოდენობით მიაქვთ სასაფლაოზე, სადაც პურის გარდა პატივი უნდა სცენ მოსულებს ღვინო-ოტკითა და მოხარშული ხორცით (საქართველოს სხვა რაიონებში<sup>50</sup> კი ხორცს არ სჭამენ ცხედრის პატივსაცემად).

მიცვალებულის ჭირისუფლების და ახლობლების სახლში დაბრუნების შემდეგ გრძელდება ჭამა-სმა. გარდა ერბოიანისა, ყველაფრის გამოყენება შეიძლება სუფრაზე.


## ცეკვა-თამაში ჭიდაობა

ორთავე სარწმუნოების ხალხისათვის, როგორც რელიგიურ დღესასწაულზე, ისე სახალხო დღესასწაულზე იმართება სახალხო ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი რამოდენიმე დღით ადრე აცხადებენ ჭიდაობის დღეს. სოფ. უდის ირგვლივ მყოფი მახლობელი 20-30 სოფლიდან თავს იყრის უმთავრესად მამრობითი სქესის მაყურებელი. ყოველი სოფელი ამაყობს თავისი მოჭიდავეთი. ხანდისხან, ჭიდაობის თაობაზე სოფელთა შორის სერიოზული უკმაყოფილებაც ხდება, რაც ფიზიკური ანგარიშსწორებით თავდება ხოლმე, ამიტომ ჭიდაობის დაწყებისას 2-3 ნეიტ-რალურ კაცს ირჩევენ ხოლმე. ჭიდაობა გრძელდება რამოდენიმე დღით. ყველიერებისას კი 15 დღიანი ჭიდაობა იციან. ჭიდაობა ხდება ისეთ დიდ კალოზზე, რომლის მახლობლადაც ერდოები იქნება მაყურებელთა დასაჯდომად. ამ დღეებში დიდძალი ხალხი თავს იყრის. წესრიგის დამცველი 2-3 ვაჟი დაბლა იცავს წესრიგს მიმართავენ რომელიმე სოფლის წარმომადგენელს: “აბა თქვენი ფალავანი გამოიყვათ”. ფალავანის გამოვლინებისას მოწესრიგები თვითონ წელს ზემოთ ახდევინებენ ფალავანს, გამოიყვანებენ მოედანზე ორთავეს და ზემოთ - ერდოდან იწყება დოლ-ზურნის დაკვრა. ფალავნები, ჯერ, თავთავიანთი უნარისა და ხელობის საჩვენებლად თამაშობენ, 5-7 წუთის შემდეგ იწყება ჭიდაობა. გამარჯვებული სოფელი ცდილობს თავისი ფალავანი არ დააჭიდავებინოს სხვაზე, რომ პირველობა მათ შერჩეს. ერთი თაობის (1890-1895 წლებში დაბადებულების) ცნობილი მოჭიდავენი არიან: უდელები - შახმამედ ბარათაშვილი, ისა ჩილაშვილი, რასულ პეტაშვილი და ივანე ბალახაშვილი; სოფ. არლიდან - იაპო-პეტრე აქოფაშვილი, ლელოვნიდან - მუსა, სოფ. წრიდან - ე.ნ. წრელი მუსა, სოფ. ქვემო ენთელიდან - ბადალ ალა (1850 წელს დაბადებული).

## ცეკვა

ცეკვათა შორის ცნობილია ქართულ პარი, ხორუმი, ქოჩარი, ლეკური, ე.ნ. სიჩრათმა, შამილა, უზუნდარა, ბაღდადური, თელ-ლოდა სხვა. პარი - ფერხული უმთავრესად მიღებულია ქორწილ-ში და ყაინობის<sup>51</sup> დროს. მუსლიმანურ ქორწილში დასაშვებია ქალთა ცეკვა მხოლოდ ქალების ოთახში როგორც ინდივიდუალური, ისე - მხოლოდ ქალთა, კოლექტიური.

გასართობთა შორის სახალისოა ახალგაზრდებისთვის “ჰოჭორა”. იგი მარტივი მოწყობილობისაა. 6-7 მეტრი სიგრძის ბოძს იღებენ, ხვრეტენ შუაზე. არჭობენ 1-2 მეტრის სიმაღლის მქონე სვეტზე ისე, რომ ბოძი მისივე ლერძის ირგვლივ ბრუნავდეს ჰორიზონტალურად. ბოძის თავებზე მოპირდაპირე მხრებზე - მიმართულებით ზედ მუცელზე მიჭდებიან და იწყებენ ტრიალს.



ამრიგად იმართება ბრუნვა თავიანთი ფეხებით. ერთი რომ მაღლა ადის, მეორის ფეხები ძირს ეშვება, ურტყავს ფეხებს მინაზე და მაღლა ადის. მეორე ეშვება დაბლა. ისიც, ასევე, ფეხით აჩქარებს ბრუნვას და ასე გრძელდება წრე-ბრუნვა.

## საგავავო თავაშობანი და სათამაშოები

ქალიშვილებისათვის მძივის გაგორება, ეს ჩვეულებრივი თა-

მაშთაგანია, რომლის ახსნა-განმარტებას არ შევუდგები, რადგა-ნაც საყოველთაო და მარტივი თამაშია.

### ძერა-ძერა

“ძერა-ძერა” თამაში, ეს კოლექტიურია. ბავშვთა შორის მეთა-ური ბიჭი ან გოგო დგება წინ. მის უკან მორიგეობით დამწკვრივ-დებიან ყველა ბავშვები, ერთი მეორეს ხელს მოკიდებენ და იწყე-ბენ დიდი წრე-ბრუნვას. ერთ-ერთი ბავშვთაგანი ძერას როლში დგას წრეხაზის ცენტრში. მეთაური ბავშვი კრუხის როლშია, მის მომდევნო ყველა ბავშვი წინილების როლებში გამოდიან. კრუ-ხი თავისი წინილებით დადის წრეხაზის ირგვლივ. მისი მიზანია დაიცვას წინილები-ჭუჭულები ძერასაგან, წინილები კი მასთან ერთად, კუდებზე ხელ მოკიდებული დაიარებიან წრის ირგვლივ. ძერა წრის შუაში დგას და მინას ქექავს. კრუხი და წინილები ეკითხებიან ძერას:

კრუხი: - ძერა, რას ქექავ?

ძერა: - წინდასა.

კრუხი: - წინდა რათ გინდა?

ძერა: - ბიჭ ჩავაცვამ.

კრუხი: - ბიჭი რათ გინდა?

ძერა: - წყალს მამიტანს.

კრუხი: - წყალი რათ გინდა?

ძერა: - ხორც შევდგამ.

კრუხი: - ხორცი რათ გინდა?

ძერა: - რბილებს მე ვჭამ და ძვლებს ძალლებს გადაუყრი.

ძერა: - დედო-დედო ჩემი წინილა არ გინახავს?

კრუხი: - კედელ-კედელ ჩაიარე და იშოვნი (ძერა ასკინკილ-დება - ცალფეხით დაივლის, დაეძებს და ვერ იშოვნის. ისევ ბრუნდება უკან).

ძერა: - დედო-დედო, ჩემი წინილა არ გინახავს?

კრუხი: - ბიჭკა<sup>52</sup> ჩამოჰკარი, კვარი აანთე და დაეძებე (ძერა

52. ბიჭკა (რუსულიდან) - სპიჭკა

კვლავ ასკინკილდება კვარით დაეძებს თავის წინილას. დაბ-რუნდება შუა წრეში).

ძერა: - დედო-დედო, ჩემი წინილა არ გინახავს?

ბოლოს კრუხის რომელიმე წინილაზე ხელს წაავლებს და იძახის: “აი ჩემი წინილაო”. ძერა ასეთი ხერხით სათითაოდ ართმევს კრუხს ყველა წინილას. ძერა მოტაცებულ წინილებს ეუბნება: “დაჯექით, ერბოკვერცხი გააკეთეთ და ჭამეთ”.

კრუხი დარჩება დანაღვლიანებული მარტოდ-მარტო. მეზობლები აქლემს მოუყვანებენ, დასვამენ აქლემზე, გაიყვანენ და დედოს თავს დაბანენ. ამით თავდება თამაში.

### ყურთ-ყურუთ ვინ გაგაპარა?

ბავშვები დამწკვრივდებიან. ხელები ბინოკლის მსგავსად, თვალებზე აქვთ გაკეთებული და შორს იყურებიან. ერთი მათგანი გამოვა მწყობრიდან, უკიდან მიეპარება რომელიმეს და თითის ნელზე შეხებით გამოიყვანს 5-7 ნაბიჯით მწყობრიდან. გაჩერდებიან ორთავენი ისე, რომ ჯერ ყველას ხელები თავ-თავიანთ თვალებზე აქვთ გაკეთებული ბინოკლის მსგავსად. ვინც გაიყვანა თითით, მას ხელები თავისუფლად უჭირავს. ორთავენი მწკვრივის წინ დგანან. მწკვრივის უფროსი ბავშვი დასძახის წინ წაყვანილს - ყურთ-ყურუთ, ვინ გაგაპარა? თუ გამოიცნობს, მიმპარავი ჩადგება მწკვრივში და ის კი სხვას მიეპარება. თუ ვერ გამოიცნობს, ისევ ჩადგება მწკვრივში და განმეორდება თამაში.

### ვეგობანაი

ორი ან რამოდენიმე ბავშვი დასხდებიან წრეობრივად. ხელში აიღებენ 4-15-მდე ვეგს<sup>53</sup> ერთი მტკაველი<sup>54</sup> სიმაღლიდან დააყრიან რიგრიგობით. ვეგების დადებით მხარეს - ჭიტოლს, უარყოფით მხარეს კი თოხანს ეძახიან. ჭიტოლს რიცხვები ემატება

53. ვეგი - სათამაშო კოჭი, ცხვრის ფეხის ძუალი

54. მტკაველი - სიგრძის საზომიეროეული საქართველოში XIX საუკუნეში მდე, მანძილი გამლილ ცერსა და ნეკს შორის. უდრიდა დაახლოებით 25,3 სმ

ყოველ აყრისას ყველა ამყრელს თავისთვის. თუ თოხანთა რაოდენობა წყვილია, გადაეცემა მორიგ ამყრელს და ის ჭიტოლად მჯდარი ვეგების რაოდენობაც მას - მორიგს მიემატება.

### ზრატანპო

ვეგობანის სხვა სახეს ჭრატანკოს ეძახიან. რამოდენიმე მოთამაშე თანასწორი რაოდენობით ვეგს გამოიდებენ, დაამწკრევებენ ვეგებს, მის ირგვლივ მოავლებენ პატარა წრეხაზს, 3-4 ნაბიჯიდან სათითაოდ ვეგებს ესვრიან წრეში მყოფ დამწკრივებულ ვეგებს. ვინც წრიდან გამოიყვანს ვეგს, უფლება ეძლევა შემდეგ ჯერ ესროლოს, თუ ვერ გამოიყვანს, მორიგი მსროლელი ესვრის. აღსანიშნავია, რომ წრის შიგნითა მყოფ ვეგთა წკვრივის ნაქცევის შემდეგ შორიდან კი არა, ზედ წრიდან იწყებენ რტყმას ვეგებს ვეგებზე. ვინც მეტ ვეგს გამოიყვანს, მისი იქნება. ვეგობანს საერთოდ ვაჟები თამაშობენ ხოლმე. აზარტიული სახისაა.

### ჩიტალა ბატალა

რამოდენიმე ბიჭი, 3-10-მდე, თავთავიანთი ჯოხებით აირჩევენ დედოს. დედო ყველას გამოართმევს ჯოხებს, დაიჭერს ორ-თავე ხელით ჰორიზონტალურად და თავზე გავლით ზურგს უკან გადაჰყრის. დაყრილ ჯოხებს დაამწკრივებენ ერთი მეორისაგან თვითო ნაბიჯზე. დედოს მხარეზე დარჩენილი ჯოხის პატრონი პირველად იწყებს თამაშს. უნდა გადახტეს ჯერ ყველა ჯოხზე და ცალფეხზე უნდა დადგეს - ასკინკილდეს, - და ასე, ყოველ ჯოხთა შორის უნდა გაიაროს სათითაოდ და ასე. აიღებს თავის ჯოხს. რიგი მოუვა შემდეგს თანდათანობით. ის პირი, რომელიც ან გადახტომის დროს, ან ჯოხებს შუა ასკინკილით გავლის დროს თუ ფეხი ჯოხს მოხვდება, ჩაჭრილად ჩაითვლება. დედო ჩაჭრილის ქუდს აიღებს და 20-30 ნაბიჯზე ჩარჭობილ ჯოხს ჩააცმევს. განსაზღვრულ სიმორიდან სათითაოდ ყველა ჯოხს ესვრის ქუდს. ქუდის პატრონი ნასროლ ჯოხებს კრეფს შემდეგნაირად: საიდანაც ესროლეს ჯოხები, იქიდან, სუნთქვის აუღებლად, სირბილით უნდა მოკრიფოს ჯოხები და ნასროლი ადგილას მოუტანოს, თან

ხმამაღლა უნდა იძახოს - “ჭიტალა ბატალა”. თუ სუნთქვა აიღო - ისუნთქა, ისევ უნდა განმეორდეს ქუდზე სროლა. თუ შეძლო, ამით დაიხსნის თავის ქუდს და თამაში თავიდან გამეორდება.

### ტანცვრის თამაში

ფურნის ნიჩბის მსგავს პატარა ნიჩას აიღებს ბავშვი ხელში. ან ორი, ან ოთხი იქნებიან. 2-3 მეტრის დიამეტრის მქონე წრეხაზს გაავლებენ და შევლენ წრეში კენჭის ყრით. ერთ ხელში - ტანტვრა (ნიჩაბი), მეორე ხელში 10-20 სანტიმეტრის სიგრძის მქონე ჯოხის ნატეხს (ჭილი მილს) ამ ნიჩბის - ტანტვრის - დარტყმით გადაისვრიან ხოლმე, მეორე მხარემ, თუ ეს ჭილი-მილი უკან მოისროლა და წრეში ჩააგდო, მაშინ ტანტვრა გადავა მეორე ხელში და პირველი მხარე გამოვა წრიდან. წრეში გადმოსროლილ ჭილი-მილს თუ წრეში მყოფმა მოასწრო და ჰაერშივე უკან დაარტყა ტანტვრით, ეს მთავარია. წრეში მყოფი წრიდან იწყებს თვლას თუ რამდენ ნაბიჯზე გადასროლილია ჭილი-მილი. ას ნაბიჯამდე ვისიც ავა, ის გამარჯვებულად ჩაითვლება. ეს თამაში სამხედროობანას მოგვაგონებს.

### გრძელ ვირა


მოთამაშე ბიჭები მოახდენენ არჩევანს: “არჩევანი-არამე”, “პეტრე მე”, “ახმედაც მე”, “ივანეც მე” და მთავრდება მხარეთა შემადგენლობის შერჩევა. კენჭის ყრის შემდეგ ერთი მხარის მთელი შემადგენლობა ერთი მეორის მოყოლებით დაიზრუკებიან, შემდგომი ამხანავი წინას წელზე ხელებით მოეხვევა ისე, რომ მეორის მხარის ბიჭები იწყებენ ამათზე ახტომას ბოლოდან და ჩოჩვით, ბიჭების ზურგებზე მივა სულ წინა ბიჭის მხარზე. მას მოჰყვება შემდგომებიც. შემჯდარი მხარის პირველი ბიჭი იწყებს სუნთქვის აულებლად თვლას ასამდე. თუ შეძლო, ყველა ჩამოვლენ და ხელახლად, იგივე მხარიდან სხვა ბიჭი შეხტება პირველად. და ახლა ის იწყებს თვლას, თუ ვერ შეძლო სუნთქვის აულებლად თვლა, იმ შემთხვევაში პირველი მხარე ადგება და მეორე მხარე დაწვება და ასე შემდეგ.

## დაბალი ჯორი

არჩევანის შემდეგ ბიჭები ორ მხარეზე გაიყოფებიან (წყვილ-კენტობას მნიშვნელობა არა აქვს). კენჭის ყრით ერთი მხარის ბიჭები ფეხზე დგომით ერთი მეორის მხრებზე მკლავებს დააყრდნობენ, თავებს დახრიან და ზვინს დაემსგავსებიან. ამ ჯგუფის ერთი უფროსთაგანი თავს დაადგება საყარაულოდ. მეორე მხარის ბიჭები ცდილობენ შეახტნენ თავდახრილებს ისე, რომ მხარდახრილების თავზე, ან ახტომის ან ტრიალის დროს ფეხით არ დაარტყან. თუ დაარტყა, მხარდახრილები გამოვლენ შესახტომად და ფეხზე მდგომები კი დაიხრებიან. ამრიგად, ვინც ჩაიჭრება, ის მხარე დაიხრება და ა. შ. ხანდისხან თვით დედოსაც შეაჯდებიან მიპარვით და იწყება უიყილ-კივილი.

## ყრა ტრიალა

(ესეც ვაჟთა თამაშია). არჩევანით დაიყოიან 4-4 ადამიანად. კენჭის ყრის შემდეგ ერთი მხარე დაიხრება, ორნი ერთი მეორის მხარზე თავის დადებით დაიხრებიან, მეორე ორი ამხანაგი ერთი მარჯვნითა და მეორე მარცხნით, ერთი მეორეზე ზურგშექცეულნი მიდგებიან, დახრილები კი ერთს - მარჯვენა, მეორეს მარცხენა მკლავით წელებზე მოეხვევიან სიმაგრისთვის.



ხან მარჯვნიდან მარცხნივ, ხან მარცხნიდან მარჯვნივ გადატრიალდებიან ოთხჯერ, შემდეგ დახრილები ადგებიან და ფეხზე მდგომნი დაიხრებიან და ა.შ.

## ხელდაკვრობანა

აირჩევენ დედოს. დედო რომელიმე მოთამაშეს თვალებს დაუხუჭავს, ერთ ხელს თავისივე ზურგზე დაადებინებს და დანარჩენებიდან ვიცლა დახრილის ხელზე ხელს მიარტყავს. დედო გაუღებს თვალებს და ეტყვის, “აბა ვინ მომარტყა?”. თუ გაუგო, ვინ მიარტყა, ახლა ის დაიხრება, თუ არადა ხელდარტყმობა განმეორდება მისივე ხელზე.

## რამრობანა

არჩევანისა და კენჭის ყრის შემდეგ ერთი მხარე ყველა თავ-თავისი ქამრებით შევა დიდად გავლილ წრესაზის შიგნით. ქამრების თოხებს - თავებს (ანუ აბზინდებს) წრესაზზე დადებენ (ქამარი კი წრის შიგნით დარჩება). ერთი მეორისაგან თანაბარ მანძილზე გაჩერდება. ყველა თავის ქამარს უყარაულებს. წრის გარეთ დარჩენილი მეორე მხრის ბიჭები შეეცდებიან მოსტაცონ ქამრები. თუ ქამრის მოყარაულემ ფეხით შეეხო მომტაცავს, ამით გარეთაები ჩაიჭრებიან და შიგ წრეში ისინი შემოვლენ. თუ ქამრებს მოსტაცებენ გარეთაები, წრის გარედან შემოიჭრებიან და სცემენ იგივე ქამრებით წრის შიგნითებს მანამ, სანამ წრის შიგნითებმა ფეხით არ შეხებიან გარეთაებს.

## ასპინპილი

ეს უფრო ქალიშვილების თამაშია. მოთა-მაშენი შეიძლება იყოს კენტი ან წყვილი. ჯერ დახაზავენ საასკინკილო სახლს. კენჭის ყრით ერთ-ერთი იწყებს თამაშს. დაახლოებით ვირის ნალის ოდენა ბრტყელ ქვას გადაისვრის ნახაზზე ნაჩვენებ ფიცრებზე რიგრიგობით და ჯერ ერთიდან გამოიყვანს ცალფეხზე სიარულით, ასკინკილით, ისევ შემდეგ ნახაზზე გადაისვრის და ისევ ცალფეხზე სვლით.

გამოიყვანს. გამოყვანა უნდა სწარმოებდეს

ციხე
VIII
ქვაბი
ბლურბლი
VII
აკვანი
V
IV
ტაფა
III ფიცარი
II ფიცარი
I ფიცარი

მუდამ პირველი ფიცრიდან. ერთ ჯერ ბოლომდე მიღწეული ერთი გახდება ქვის სროლის დროს ან ცალფეხით ქვის გამოყვანის დროს. თუ ქვა ხაზზე გაჩერდება ან მოკინკილე ფეხით ხაზს შეეხება, ჩაჭრილად ჩაითვლება. დაიწყებს თამაშს შემდგომი ამხანაგი.

### ცრეპურთი

არჩევანის და კენჭის ყრის შემდეგ ქამრობანის წრის მსგავსად გაავლებენ დიდ წრეს. ერთი მხარე წრეხაზის შიგნით, მეორე მხარე წრეხაზის გარეთ მოექცევიან. გარეთა მხარე ბურთს აიღებს და ესვრის შიდა მყოფთ, შიდა მხარე დაჯგუფული არიან. გარეთაები დაფანტული არიან. თუ გარეთებმა ბურთი შიგნითაებს ურტყეს, ჩვეულებრივია, თუ შიგნითაებმა ბურთი გარეთაებს ურტყეს, გარეთაები ჩაიჭრებიან და შიგნითაები - გარეთ, გარეთა მხარე კი წრის შიგნით მოიქცევიან და ა.შ.

### ყაიშინ იაღლი?

(ქამარი გაქონილი გაქვს? ან - საუღლე გაქონილი გაქვს?)  
8-10 ბავშვი ერთი მეორეზე ხელჩართულნია. ერთი თავში მყოფი მეორე თავში მყოფს მისძახის:

- ყაიშინ იაღლი? (ქამარი გაქონილი გაქვს?)
- იაღლი. (მაქვს)
- ბალთანბილავლი? (ცულ გალესილ გაქვს?)
- ბილავლი. (კი)
- იარინ მეშაია გალურსუნ? (ხვალ ტყეში მოხვალ?)
- გალურუმ.(მოვალ).
- დაულინანმი ზურნაინანმი? (დოლითა თუ ზურნით?)
- დაულინანდა ზურნაინანდა. (დოლითაც და ზურნითაც.)

ამ სიტყვების დამთავრების შემდეგ ხელჩართულები - ერთი მხარე მარჯვნივ, მეორე მხარე კი - საწინააღმდეგოდ გასწევენ, სანამ ხელჩართულების ჯაჭვი ერთ ადგილზე არ გაწყდება. ამით დამთავრება ერთი ჯერი თამაში.

## ოქროღილო

არჩევანით ბავშვები 2 ჯგუფად დაიყოფიან. ერთ ჯგუფთაგან ნი იღებს ინიციატივას. ორთავე მხარე ერთი მეორისაგან 10-15 მეტრის სიშორეზე პირისპირ დგანან ხელჩართულნი. ინიციატორის ჯგუფიდან ერთ-ერთი ბავშვი თავის ჯგუფს გამოეყოფა, თავისი ჯგუფის 2-3 ნაბიჯით წინ წარსდგება და დასძახებს მოპირდაპირედ მდგომ ჯგუფს.

- ოქროღილო!
- ღილღილო, - უპასუხებს მოწინააღმდეგი ჯგუფი.
- ქალი მინდა!
- ჯერ მოპრძანდი, - უპასუხებს მოპირისპირე ჯგუფი.
- გეახლები!
- ჩამოპრძანდი!

გაჭენებით დაეტაკება მოპირდაპირე ჯგუფის ხელჩართულ ხელებს. თუ ხელები გააშვებინა, ორ ბავშვს წამოიყვანს თავის ჯგუფში. თუ ვერ გააწყვეტინა, თვითონ დარჩება მოპირდაპირე-თა ჯგუფში რიგით წევრად.

ამ დატაკებაში რომელი მხარეც მოიგებს, ის იქნება შემდგომში იგივე მოქმედების ინიციატორი. თამაში გაგრძელდება მანამ სანამ ერთ-ერთ მხარეს წევრები არ გამოელევა.

## თვალსუფანაი - აპა-პაპა

უმთავრესად 13-12-ზე მცირე წლოვანები, არჩევანის და კენჭისყრის შემდეგ, ერთ-ერთი მხარე თვალებს დახუჭავს, მეორე მხარე დაიმალება. თვალდახუჭულები თვალებს გააღებენ - აკა-ბაკას ძახილით დაუწყებენ დამალულთა ძებნას. ამ დროს დამალულებიდან რომელიმე გეეკიდება და თვალდახუჭულ მხარეთა რომელ წევრსაც დაიჭერს, მას დედომდე - იმ ადგილამდე, სადაც თვალს იხუჭავენ - შეაჭიდება და წააყვანინებს თავის თავს.

ასე შემდეგ განმეორდება მხარეთა ცვლით.

აი, ძირითადითამაშები ჩვენი სოფლის ბავშვებისა.

გარდა ამისა ჩვენი სოფლის პოპულარული თამაშთაგანია: ტამანა, ნარდი, კარტი (ქაღალდი), შახმატი და დამკა. ესენიც თანამედროვე სათამაშოებია გავრცელებული. ლოტოსა და დომინოს თამაშსაც თამაშობენ დროგამოშვებით.


უფრო მოზრდილებისათვის მიღებულია: ნარდი, რომელსაც თამაშობენ ჩვეულებრივს და იაქ-იაქს.

ტამა ეს ჩვენი სოფლის ძველი სათამაშოა, რომელსაც უფრო სწინერები ხალისობენ. დამკა ახალგაზრდულია, სწორის - დიუზის თამაში, ჩვეულებრივად, თავმოწონეთა გასართობია.

სწორის თამაშისას, პირველად, მოწინააღმდეგეთა ქვების დაწყობა თავისუფალია. აი ამ დროს ქვების პირველადვე განლაგებას აქვს დიდი მნიშვნელობა. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მოახერხებს თავისი სამი ქვის განლაგებას სათამაშო, პერიოდში, ერთ სწორ ხაზზე. ქვები ერთი მეორეზე არ გადახტებიან, მხოლოდ მეზობელ კვანძში გადაიწევიან, თუ მეზობლის კარი თავისუფალია. ქვათა ჯამი 8-ა.

ტამას დაფა იგივეა რაც შახმატისა, მხოლოდ სახლები აქ ერთფეროვანია, ყველა ქვები კი - 16-16-ია. თამაში იგივეა რაც დამკის თამაშია. განსხვავება იმაშია, რომ დამკის ქვები ირიბულად მიდის და მოქმედობს, ტამისა კი პირდაპირი ხაზით მიდის და ჰქონდება. ვისი ქვაც მოწინააღმდეგის ბოლო სახლამდე აყვა, იგი ქვა გადაიქცევა ტამად.

შახმატი უფრო განათლებული წრის თამაშია, რადგან ეს უკანასკნელი ახალი და რთული სათამაშოა.



**სწორი დიუზის ფორმა  
და ქვების განლაგება**

## მუსიკალური ინსტრუმენტები

სოფ. უდის მოსახლეობა მრავალ ათეულ წლების განმავლო-

ბაში აწიოკება-დარბევების გამო მუსიკალური დეგრადაციის გზას ადგა. XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდევიდან მუსიკალური ინსტრუმენტებიც და სიმღერა-ცეკვა-თამაშიც შეზავდა თურქული და ქართული ჩვევები: დღეისათვის, უმთავრესად, შემდეგ მუსიკალურ ინსტრუმენტებს ხმარობენ: სალამური, ნეი<sup>56</sup>, ზურნა, ყავალი<sup>57</sup>, ხანდისხან ჭიანურიც<sup>58</sup>, დოლი, დაირა<sup>59</sup>, ღაფი<sup>60</sup>, გიტარა, მანდოლინა, გარმონი და სხვა მეორე ხარისხოვანები. პატეფონიც ხომ ახალ შენაძენთა სიაშია. კლარნეტი და პიანინოც სულ ბოლო ხნის ინსტრუმენტია.

---

56. ნეი - სალამური

57. ყავალი - უენო სალამური

58. ჭიანური - ქართული ხემიანი საკრავი

59. დაირა - დასარტყამი საკრავია

60. ღაფი - დოლი

## ცოდნული მოღვაწეობაზე, შემოცვები, კულტურული, აღავსები და სხვა

ჩვენს სოფელში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქრისტიანულ რელიგიას აქვს დიდი ხნის ისტორია, ხოლო მუსლიმანურ რელიგიას კი 2-3 საუკუნის ისტორია. ამიტომ ქრისტიანულ რელიგიას აქვს შენახული თავისი ყველა გამოცდილება ცრუმორნმუნეობის განმტკიცებისა და შენახვის საქმეში.

მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები უფრო ფანატიკოსობდენ და მაგრად ებლაუჭებოდენ ისლამს. გამომდინარე აქედან, ორთავე ცრუმორნმუნეობის მოსახლეობა თავთავიანთი აქტივებითა ცდილობდენ მოქიშპეზე მაღლა დგომას, აი ამისათვის სოფ. უდეში ორთავე ცრუმორნმუნეობიდან ბევრ რამეს ვხვდებით. რომელ სოფელშიაც ერთი სახის რელიგიაა, ცრუმორნმუნეთა ასეთი აქტივობა არ ჩანს, უფრო მიყუჩებულია.

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო ძალზედ დაქსაქსული ერთეულებისაგან შედგებოდა. ოსმალებმა იწყეს შემოჭრა მცირერიცხვან და უძლურ, საქართველოს მთლიანობას მოწყვეტილ მესხეთში. მესხეთის ათაბეგები მოკლებული იყვნენ რაიმე სახის დახმარების მიღებასა თურქების წინააღმდეგ. თურქებმა კი მესხეთის გამოგლეჯისა და ათვისებისათვის გამოიყენეს თავიანთი გამოცდილი იარაღი - ისლამის გავრცელება მესხეთში.

ახალციხის პირველი ფაშა ყოფილა ბექა ანუ საფარ-ფაშა. 1635 წლიდან აქ იწყება ათაბაგთა გვარიდან ფაშობა. 1626 წლიდან კი დაწყებულა გამაჰმადიანება წარჩინებულთა წრეებიდან. შემდგომშიაც, შემტევი ფანატიკური თურქების ძალმომრეობისაგან თავდაცვის მიზნით, სოფ. უდის ქრისტიანებმა ზოგი ქრისტიანულ სოფლებთან ერთად მიაღწიეს კათოლიკობის მიღებას. აი, ამ ნიადაგზე სოფ. უდეში სნარმოებდა ამ ორ რელიგიათა შორის ქიშპობა. მის მოსპობას დასაბამი მისცა 1921 წლის საქართველოს გასაბჭოებამ.

დღესაც უდის მოხუცი ქალებისაგან მოისმენთ ყველა ავადმყოფობის შელოცვას.

60 წლის თეკლე აბულაძე თვალის აღების - თვალის ცემის შელოცვას ახდენს შემდეგნაირად: ჯამში ჩასხმულ წყალში 7 ნახში-

რის ნატეხს ჩააგდებს; თვითეული ნატეხის ჩაგდების წინ გულში ფიქრობს ერთ ქვრივ ქალზე, მეორე ჯერზე კი - სხვა ქვრივ ქალზე და ასე შემდეგ. ნახშირის ჩაგდების წინ კი წაიკითხეს “მამაო ჩვენსა”-ს და “გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ”: “მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვედ სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევე ჩვენ თანანადები ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, ნუ შეგვიყვანე ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. ამენ” “გიხაროდენ მომადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა იესო! წმინდა მარიამ, დედაო ღვთისა, მეოს მეყავ ჩვენ ცოდვილთა ან და ჟამსა სიკედილსა ჩვენისასა. ამენ”. “დიდება მამასა და ძესა და სულისა წმინდისა, ვითარცა პირველად იყო, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.” ამ სამი ლოცვის წაკითხვის შემდეგ იწყება წყლიან ჯამში ზემოთ ხსენებული ნახშირების ჩაგდება; ნახშირის ყოველ ჩაგდებაზე წინ უნდა ილოცოს ხსენებული ლოცვებით. თუ ნახშირები ჩაიძირა, ე.ი. თვალია, თუ არა და ე.ი. თვალდაცემული - თვალალებული კი არაა, არამედ მას სხვა ავადმყოფობა ჭირს.

### შაკიკის შელოცვა

“შაკიკი შემოჩვეულა შაკიკისა ციხესა, ეგრეთ კვნიტავდა რკინასა, როგორც ცხვარი რკინისა. წმინდა სამებამ დასწყევლოს, იპარებოდეს დილასა”. ამის სამჯერ წაკითხვით შაკიკი შელოცვილად ითვლება.

### თვალის აღეპის შელოცვა მუსლიმანებში

შვიდჯერ შელოცავენ შემდეგი ლოცვით და ლოცვის ყოველი დამთავრების შემდეგ სულს შეუბერავენ ავადმყოფს. თუ ლოცვის დროს შემლოცავს აამთქნარა ე. ი. თვალია, თუ არა და საეჭვოა.

“ალლაჰუმასალლი ალა მუჰამმადინ ვა ალა ალი მუჰამმად

ქამა კალლეითა ალა იბრაჟიმა, ვა ალა ალი იბრაჟიმ ინნა ქაჟა-  
მიდუნ მაჯიდ”.

ამრიგად შვიდჯერ შელოცვის შემდეგ ავადმყოფი შელოცვი-  
ლად ჩაითვლება.

ქრისტიანებშიაც და მუსლიმანებშიაც ალქაჯებისა და სხვა  
უხილავთა რისხვისაგან თავის დასაღწევად 1932 წლებამდე მი-  
ღებული იყო ე.წ. “თასში ჩახედვა”. ბედის მარჩიელობის დროსაც  
და დაკარგულთა საპოვნელადაც მიმართავდენ ხოლმე. კარტში  
ჩახედვას ნაკლებად იცნობენ.

თასში ჩაასხამენ წყალს, დადგამენ შუა სახლში, თასთან და-  
აჯენენ არასრულწლოვან ვაჟს 10-14 წლოვანს გაავლებენ წრე-  
საზს ხანჯლითა და ერთ ადგილას წრეში ეშმაკებისათვის შესას-  
ვლელ კარებს უტოვებენ, წრის ორთავე ბოლო წერტილზე ხან-  
ჯლებს დასვამენ წვერებზე. მკითხავიც წრეხაზშია. ვაჟს თავზე  
ზენარს წაასხამენ, რომ იზოლირებული იყოს გარეშე საგნების  
ხილვისაგან. ბავშვი იხედება მხოლოდ თასში, მკითხავი იწყებს  
ბუტ-ბუტსა და “ლოცვას”, აკაკუნებს ფანქრითა თასს და ფანქ-  
რით რაცლა უაზროებას სწერს მარცხენა ხელის მთავარი თითის  
ფრჩხილზე. ამრიგად აალაპარაკებს ბავშვს: ჰაა აბა ვინ მოვიდა  
თასში? რას ხედავ? ვისთან? ხელში რა აქვს? რას ამბობს? რა-  
ტომ? რა ფერისაა? სად მიდის? და სხვ. ა ბავშვი, რომელიც ზენ-  
რით იზოლირებულია, მართლაც, თასში დიდი ხნის ჩახედვით,  
თავბრუ ესხმის, ჰყვება მარჩიელის კითხვებსა და იწყებს უაზრო  
ბოდვას, ხანდახან მკითხავის შეკითხებს ჰასუხსაც აძლევს ხოლ-  
მე. ამის შემდეგ მარჩიელი თავისი მხრიდან გამოჰყავს დასკვნა  
და წყვეტს საკითხს. მოსახლეობა ნამდვილად ენდობოდა ამათ  
და დიდ ჯილდოებსაც მიართმევდა.

მისი ლოცვა დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მარა საქ-  
მე “ნდობაშიარ” ე. ი. ღმერთი ამ მკითხავს დიდად ენდობა და  
მისთვის ნათელჲყოფს თუ რა ავადმყოფს რა ხსნის წამლობა  
სჭირდება. ან რა საიდუმლოება სად მარხია და სხვა. ლოცვით კი,  
ჩვეულებრივად, ლოცულობს შემდეგს: “ყულაუზუბი რაბინნასი  
მალიკინნასი ილაჟინნას, მინ შარრინ ვასვასილ ხანას, ალლაზი

იუ ვასვისუფი სუდურინნასი მინალ ჯინნათი ვანნას” (ყურანი-დან აღებული ჩვეულებრივი არაბული ლოცვა).

ავი ძალლისგან თავდაცვისათვის ლოცვა შემდეგია:

“ვა ქალბიუნ ვასიტუნ ზირაჰი ბილვასიტ”. ეს ლოცვა სამჯერ უნდა წაიკითხონ. ყოველ წაკითხვის შემდეგ ძალლს სული უნდა დაუბერო, რითაც ძალლის კბენას “გადარჩები” (გადმოგვცემს 66 წლის მამაჩემი და ფეზო ბერიძე).

### მველის ნინააღმდეგ ლოცვა

“ასპან აღა, დაჩან აღა, ბარი-ბარი თოხის ტარი”.

სამჯერ უნდა ილოცოს და თვითეულ ლოცვის შემდეგ გველს სული უნდა შეუბეროს. ისევე მგელის “კბენას გადარჩებიო” (გადმოგვცემს 75 წლის კოლმეურნე ქალი, თერეზინა ტეფოს ასული მაისურაძე).

### მუცლის მოწყვეტის სანინააღმდეგო ლოცვა

“ევსემისა მინდორშია,  
აფრაშა მის ხიდი იყო,  
ქვეშ ცოდვილი წყალი მიდის,  
ზედ დედა-შვილი მიდიოდა,  
შვილმა დედას თავი სთხოვა,  
არა დედა-შვილობასა,  
ჩვენ ვიყავ ცხრანი დანი,  
ცხრა კიდობანი შევკარით,  
ვხსენით-ვხსენით, ვერ გავხსენით,  
ბლარო ისე დადექ დედიშენის მუცელში,  
როგორც საფრა საძირკველში”

(გადმოცემულია 50 წლის კოლმეურნე ქალის, კატო ჭალიაშვილის მიერ). ეს ლოცვა შვიდჯერ უნდა წაიკითხო და სტაქნით სავსე დასალევ წყალში სული უნდა შეუბერო და ავადმყოფს უნდა დაალევინო.

## შელოცვა სიყვითლის წინააღმდეგ

“სამი ხე იდგა ტყეშია: თეთრი, ყვითელი და წითელი. მოფრინდა სამი ჩიტი: თეთრი, ყვითელი და წითელი. თეთრი ჩიტი დაჯდა თეთრ ხეზე, ყვითელი - ყვითელ ხეზე, წითელი - წითელ ხეზე. თეთრ ხეზე თეთრმა ჩიტმა თეთრი ბუდე გაიკეთა. ყვითელმა - ყვითელი, წითელმა - წითელი. თეთრმა ჩიტმა თეთრი კვერცხი დადო, ყვითელმა - ყვითელი, წითელმა - წითელი. თეთრმა ჩიტმა თეთრი ბარტყუ გამოჩეკა, ყვითელმა - ყვითელი, წითელმა - წითელი. გაფრინდა თეთრი ბარტყუ - გაქრა თეთრი ფერი, გაფრინდა ყვითელი ბარტყუ - გაქრა სიყვითლე. გაფრინდა წითელი ბარტყუ - დარჩა სიწითლე” (იგივე თერეზინე მაისურაძის ნაამპობიდან).

შელოცვა, რომელიც უხდება შემდეგ ავადმყოფობებს:

ქარებს,  
ქარბედნიერებისა,  
წითელი ქარისა,  
ზენისა,  
ქართიდორისა,  
ჯდომ ბუასლისა.

პირველად უნდა წაიკითხო “მამაო ჩვენო”, რის შემდეგაც: “ჩვენ ვიყავით სამი ძმანი. დავდიოდით ზღვის პირას და ვეძებდით წამლებს: ქარისასა, ქარბედნიერისას, წითელქარისას, ქართიდორისა, ჯდომ ბუასლისას. რა არის თქვენი წამალიო? კანკრახი - კუნკრახი, ღორის ქრინი, უცეცხლო<sup>61</sup> თაფლი, დატკბით, დაშაქრდით, ბატონებო; ქალის ძუძუს მკერდივითა, ძროხის ძუძუს მკერდივითა, იის ყვავილივითა, გამოქარდით ქარდით ქარვით. გამოწყალდით წყალივითა, გამოდით ხელისა და ფეხის ფრჩხილებში. არ გამოხვალთ და გამოგიყვანთ ელვითა და ბრუხუნითა,

61. უცეცხლო თაფლი - ცეცხლზე გაუხურებლად გამოლებული თაფლი (წინაათ თაფლის ფიჭას ცეცხლზე ადნობდნენ და ისე არჩევდენენ სანთელ-ფიჭისაგან). წამლად ითვლებოდა

მარიამისა ნეკითა მოვიტან ჩემს შავტარიან დანას,  
ნისკარტს მოგჭრი ქორივითა,  
ყელ გამოგჭრი ღორივითა,  
ავქვნი, დავქვნი ხორცსა შენსასა,  
შევკიდამ ქვაბს ელვარესა,  
ვხარშამ თერთმეტ დღესა და ღამესა.  
არა მამამ იცის სულმა წმინდამა,  
ავდუღდები, ქოთანივით გავივსები,  
ჩამოვცვინდები მუხის ლორჩოსავით,  
დასწერე, ღმერთო ჩემო, ჯვარი შენი,  
მოუხვდინე ლოცვაი ჩემი.

შელოცვის დამთავრების შემდეგ სიმსივნეებზე უნდა წაუსვან  
ზეთის-ზეთი შვიდ სალამოს.

#### სიყვითლის ცამლობანი

უნიშნო წითელ ქათამს წითელი აბრეშუმის ძაფით დაახრჩო-  
ბენ. უხმარ ქოთანში გადასვამენ ისე, რომ ნასაფხვნელი ნახში-  
რივით იყოს. მას დაუმატებენ: ყვითელი ქარვის ნაფხვენს, მერ-  
ცხლის ბუდის ნაფხვენს, კვერცხის გულს. უცეცხლო თაფლით  
შერევა-მოზელის შემდეგ ავადმყოფს წაუსვამენ ტანზე. ზენარზე  
შეხვეულად დააძინებენ, სამჯერ გაიმეორებენ, რითაც “დამთავ-  
რდება მკურნალობა”. (ფანბა ბარათაშვილი (ან განსვენებული)).

#### იარის, ზრილობის მაურნალობა

იარაზე უმთავრესად მალამოს ხმარობენ, რომელსაც ამ-  
ზადებენ შემდეგნაირად: თანაბარი წონით იღებენ კატრის  
(ფიჭვის) ფისს, კარაქს, თხის ქონს, თაფლის სანთელს, ზე-  
თის-ზეთს, ჰავაჯუვას (სინდიყს), ზელენ ერთმანეთში, აადუ-  
ღებენ. გაცივებისას გამაგრდება. აი, ეს მალამო გახლავს. მა-  
ლამოს წაუსვამენ სუფთა ნაჭერზე და დაადებენ ჭრილობაზე  
- იარაზე. თუ იარა ერთი მხრიდან მეორე მხარეში გადის ნახვ-  
რეტით, ამ შემთხვევაში ნარმის ნაჭერს გაავლებენ მალამოში

და გაუყრიან იარის ხვრელს და ამნაირად გრძელდება მკურნალობა.

ციებ-ცხელება სძულთ უდელებს, რისთვისაც მიუძღვნიათ შემდეგი ლექსი:

“ეი, აღალარ, სიზა თარიფ ეილიემ,  
ისითმანინ ვასვიჰალინ სოილიემ.  
დორთ აი ჯეზალარა ყოიდი ნეილიემ.  
იეთმიშ იქი დართდან ბაშდურ ისითმა.

ისითმა ილა გეთდუს ირანა ხოია,  
გოთურდუმ ბარა ბარ დუგუნა-თოია.  
ისთარქი ყასდინან დარიმი სოია.  
ეთმიშ იქი დართდან ბაშდურ ისითმა.

ისითმა ტუთუი ოლდუმ ნაილაჩ,  
ყოიმადი თანიმდა თაყყათუ ილლაჩ.  
იქინდი დაა ნიდა ედარ გოზუნ აჩ.  
ეთმის იქი დართდან ბაშდურ ისითმა/

სალამ ვერიბ იუქსაქ თაროდან<sup>62</sup> გალდი,  
მისაფირ ოლუბ იანიმდა ყალდი,  
ერბოს წყაროდა თანიდი ბულდი.  
ეთმიშ იქი დართდან ბაშდურ ისითმა.

ისითმასარიმდა ეილადი ყარარ,  
არზ ედარ ბუთანიმ ლუყმანი არარ.  
ჰარ ტუთუშდა დორთ ყათ იორლანა სარარ.  
იეთმიშ იქი დართდან ბაშდურ ისითმა.

---

62. თარო იგივეა რაც მთაშაშვის წვერი

ისითმა სიხმიშდი ყაფა თასიმი,  
ას ყალა ბოშათდი ჯან ყაფასიმი.  
ყარიბ იგით დეიბ ჩაქინ იასიმი.  
ეთმიშ იქი დართდან ბაშდურ ისითმა.”

თარგმანი:

ჰეი, ბატონებო, მე მოგიყვებით ამბავს,  
მალარიის ამბავს აგინერთ.  
რა ვქნა, არ ვიცი, ოთხი თვის ტანჯვას როგორ გავუძლო.  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!  
წავედი ირანს ხოიაში, დღესასწაულზე წავედი, ქორწილში.  
მალარიაც თან წავიყვანე.  
უნდა გამატყავოს, მომკლავს, მომინელებს!  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!  
როგორც კი მალარიამ ხელი მომკიდა, გავხდი მოურჩენელი.  
ძალა აღარ დამიტოვა ტანში, რომ გავუმკლავდე.  
ნამაზი მიყვირის: “გაახილე თვალი!”  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!  
მომესალმა ისე, თითქოს მთაშაშვის წვერიდან ჩამოვიდა.  
დარჩა ჩემთან, როგორც სტუმარი.  
ერბოს წყარო ნახა ჩემში.  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!  
მალარიას უნდა სულ დამიმორჩილოს,  
ჩემი სხეული უნდა იგემოს.  
ყოველ შეტევის დროს ოთხ საპანში მახვევს.  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!  
მოუჭირა მაგრად ჩემი თავის ქალას,  
კინალამ სული დავლი.

მიტირეთ, როგორც უცხო ყმაწვილს  
მტანჯვას მალარია სამოცდათორმეტ ავადმყოფობაზე უარესად!

მალერიაზე ხალხს დიდი ხანია ისეთი წარმოდგენა ჰქონდა,  
თითქოს რაიმე სულიერი რამაა და ადამიანის სულში ბუდობის

შემდეგ იწყება ციებ-ცხელება. იყო შემთხვევა, თურმე ახალ-გაზრდები თოხნაზე ყოფნისას, შარიფ ბაქრაძე გააცხელ გამწა-რებულმა მიმართა სხვებს: ვინც შეისყიდის ჩემს ციებას ერთი წყვილ კამეჩის ქალამანს მივსცემო. ეს თურმე შეისყიდა აბას ბა-რათაშვილმა და იმავე დღეს მიატოვა შერიფი და გააცხელა აბას ბარათაშვილი (ეს 40-50 წლის ნინანდელი ამბავია).

მალერიის სარჩენად სოფლის ექიმბაშები ხმარობენ შემდეგს: სარმოშა-საფულელას ყვავილს წყალში ხარშავენ მანამ, სანამ ½ დარჩებოდეს წყლისა. დარჩენილ მწარე წვენს ავადმყოფს ასმე-ვენ წვეთობით, 5-7 წვეთს - დღეში სამჯერ.

თუმცა ბევრნაირი არაპოპულარულ წამლობათა მეთოდებიც არსებობს, ამასთანავე, არსებობს შელოცვით “წამლობაც”.

#### მუნის - საძებელას მკურნალობა

იღებენ თანაბარი წონის შარდს, ნავთს, გოგირდს, საპონს მო-ურევენ და აადუღებენ. დანადგარ წამალს სამჯერ წაუსვამენ ავადმყოფის იარებზე. დღეგამოშვებით ყოველი წასმის წინ ტანი საპნით უნდა დაიბანოს (69 წლის კეკე თუმანიშვილი).

#### ავი ჭირის მკურნალობა

ავი ჭირს ჰაბებით მკურნალობენ, რომელსაც ამზადებენ შემ-დეგნაირად: იღებენ თანაბარი რაოდენობით ვერცხლისწყალს, სულემას, სუფთა პურის ქბილს, ექიმბაშის პირიდან გამოსული ნერწყვით ზელავენ, ამრგვალებენ თხილების ოდენებს და დღეში ორს აყლაპინებენ. დიდი ტანიანს კი - სამ-ოთხს (ვანო სტეფანეს ძე მერაბიშვილი).

#### ჭიის მკურნალობა

მოხარშული და გამოწურული ატამი და ატმის ფოთლის წვენი ერთი ჭიქის ოდენა უნდა დაალევინო უზმოზე, რითაც ჭიებს და-აყრევინებს (ვანო სტეფანეს ძე მერაბიშვილი).

## საშვილოსნოს ანთეპის მკურნალობა

წყალში აადულებენ მატყლს, ჰიგიენისთვის. ნიგოზების ოდენას დაამრგვალებენ ამ მატყლსა 9-12 ცალს. ამ მომრგვალებულ მატყლს ერთ დღეს იქონიებენ უცეცხლო თაფლში, მეორე დღეს ამ კაკლებად დამრგვალებულ უცეცხლო თაფლში დარჩენილ კაკლებს ყოველ დღე თვითოს ჩაუდებენ საშვილოსნო მილის თავზე. ყოველ 18-20 საათში ერთხელ ამოიღებენ. 5-6 საათის შესვენების შემდეგ ისევ ჩაუდებენ, სანამ ეს 12 ცალი მორჩებოდეს. (ვანო სტეფანეს ძე მერაბიშვილი)

## სიყვითლის მკურნალობა

ექიმპაშები სიყვითლის წინააღმდეგ იღებენ ასკილის ფესვს, ფხეკენ მის მერქანს, აადულებენ და მის წვენს დღეში 2 ჯერ დაალევინებენ. ამრიგად სიყვითლე იმკურნალეს. (ვანო სტეფანეს ძე მერაბიშვილი)

## შეშინებულის მკურნალობა

დაფქვავენ შავ ქვას, შეურევენ პურის ქბილში და რძით დაალევინებენ დღეში სამჯერ სუფრის კოვზით. ამ წამალს მუმი-ას<sup>63</sup> უწოდებენ.

სხვანაირად, მეორე სახის მკურნალობა შეშინებულისა: შესწვამენ ნიორს ან მოხარშავენ და თაფლით აჭმევენ დღეში 4-5 ჯერ თითო სუფრის კოვზის ოდენას. ნიორი თუ არ იშოვება, ბოლოკი-თაც შეიძლება. ან ვარდსა და ლვინოს გაურევენ და დაალევინებენ 2-3 ჯერ.

## მოტეხილობის მკურნალობა

ავადმყოფს დანტვრეულ ძვლებს გაუსწორებენ, დაალაგებენ თავთავის ადგილას და გარედან გადააკრავენ შავ ფისს, რის გარედანაც რამოდენიმე მსუბუქად გათლილი ფიჩებით შეკრავენ ხოლმე (ანტონ დოსტაქარი მერაბიშვილი)

63. მუმია - იგულისხმება მუმიო

## სისხლისდენის წინააღმდეგ მკურნალობა

ხშირად ადამიანს ცხვირიდან, თითქმის გამუდმებით, მოსდის სისხლი. აი, ასეთ შემთხვევაში დანაყავენ მარმარილოს ცხვირის შიგნით ასუნთქინებენ ისე, რომ დანაყული მარმარილოს მტვერი მოედოს იარას, რითაც სისხლის დენა ჩერდებაო, ამბობს 55 წლის ივანე მერაბიშვილი, ექიმბაში.

## სირცეილის მკურნალობა

იგივე ექიმბაშის ახსნით, სირცეილის საუკეთესო წამალს წარმოადგენს ზეთის ზეთის წასმის წესით. მერაბიშვილებიდან ე.ნ. ტეფიათ ოჯახის რამოდენიმე შთამომავლობა ცნობილი ექიმბაშებია. აი, ჩემი მეათე კლასის მონაფერ, ანტონ ივანის ძე მერაბიშვილმა თვითონ შეაგროვა და გადმომცა მათი ოჯახის სამკურნალო გამოცდილების ზოგი ცნობები. ისე კი, ეს უსტა ვანო - ექიმბაში, სხვების მსგავსად, მალაქს საერთოდ წამლების დამზადების წესებსა და მკურნალობის თავიანთ მეთოდებს. გასაბჭოების შემდეგ ექიმბაშობის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლაა გამოცხადებული, მაგრამ ისინი ხალხის ერთი ნაწილის უკიცობით სარგებლობენ და აგრძელებენ თავიანთ ბნელ საქმეებს. ახალგაზრდობამ კი მთავრობის მხარდაჭერით სასტიკი ბრძოლა გააჩაღა მათ წინააღმდეგ. 21 ოქტომბერს 1935 წელს გაზეთ “კომუნისტმა” მოათავსა შემდეგი კორესპონდენცია “ექიმბაშების თარეშს ბოლო არ ეღება” სადაც ეწერა:

“ადიგენის რაიონის სოფ. უდეში არის ექიმბაში, ანტონ მერაბიშვილი. იგი აკეთებს წამლებს ძალლის განავლისაგან (ციების “საწინააღმდეგოდ”), მკვდარი ძალლის ძვლებისაგან, ადამიანის შარდისაგან, ფრინველთა განავლის ნარევისაგან და სხვა. ექიმბაშობისათვის იგი საპატიმროში იჯდა, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ განაგრძობს ავადმყოფთა ფარულ “მკურნალობას”.

ამას წინათ სოფ. უდის მცხოვრებ, მამედ აბას ოღლი ჩილაშვილმა მკლავი მოიტეხა, საექიმოდ მერაბიშვილს მიმართა. იმანაც დაუწყო “მკურნალობა” და შვიდ დღეში სიცოცხლეს გამოასალმა. იმავე სოფლის მცხოვრებ ანტონ სიმონის ძე მერაბიშ-

ვილს ბავშვი გაუხდა ავად. ექიმბაში მერაბიშვილი მაშინვე იქ გაჩნდა და დაუანგული ნემსით უცნობი წამალი შეუშხაპუნა ხერ-სემლის ტვინში. ბავშვს ნემსის ადგილას იარა გაუჩნდა და მოკ-ვდა, ანტონმა კი გაავრცელა ხმა, თითქოს ბავშვი მოკლა ექიმმა, რომელსაც მშობლებმა მიმართეს ანტონის “ექიმობის” შემდეგ...

ერთ ახალგაზრდას, სტეფანე პეტაშვილს მუშაობის დროს წე-ლების გადახლართვა დაემართა. აქაც გაჩნდა ექიმბაში ანტონ მერაბიშვილი. ავადმყოფს მისცა თავისი დამზადებული “წამალი” და უმალ სიცოცხლეს გამოასალმა. შემდეგ კი ასე იმართლებდა თავს: “რა ვუყოთ, ღმერთს ეგრე დაუწერია მისი ბედიო!...”

ამ ვაჟბატონმა გამოასალმა სიცოცხლეს: ა. მერაბიშვილი თა-მო იუსუფ ოღლი კიკნაძე, ჯალალ ბილალ ოღლი კანჭაძე, მ. პა-რუნაბეგილი და სხვა მრავალი. გარდა მისი ექიმბაშობის აშკარა მავნებლობისა, იგი სიტყვიერ პროვოკაციასაც ეწევა იმ ახალ-გაზრდათა მიმართ, რომლებიც მედიცინას ეუფლებიან. ის ცდი-ლობს აქედანვე დასცეს მათი ავტორიტეტი. მიუხედავად რაიო-ნის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის, ამს. ნ. შენგელიას მიერ მიღებული ზომებისა, ექიმბაში მერაბიშვილი მაინც სარ-გებლობს ხალხის ერთი ნაწილის უვიცობით, მეზობლურ-მამაშ-ვილური დამოკიდებულობით და განაგრძობს თავის “საქმიანო-ბას”. ბოლო ხანებში მან ისარგებლა იმით, რომ რაიონის მრავალ სოფელს ექიმი არა ჰყავს და ფართოდ გამალა თავისი “მუშაობა”.

საჭიროა პასუხისმგებაში იქნეს მიცემული სოფ. უდის ექიმბა-ში ანტონ მერაბიშვილი და მისი თანამებრძოლი, კეკელ თუმა-ნიშვილი (იგი გინეკოლოგია), პაშა მერაბიშვილი (ის “სტომატო-ლოგობს”), ვანო მერაბიშვილი (“ვენეროლოგობს”), სოფ. ვარ-ხნის მცხოვრები ემინ ალა (“ქირურგი სტომატოლოგია”), სოფ. ფლატის მცხოვრები მუსლიმ ემინ ოღლი (“ქირურგია”), ასლან ალი ოღლი (“შინაგანი”) და სხვა წვრილფეხა მათი დამქაშები.

საჭიროა რაიონის სათანადო ორგანიზაციებმა მოკიდონ ხე-ლი ამ ფრიად სერიოზულ საქმეს და ხალხს მოუშორონ ზემოხსე-ნებული წურბელები. ჯანმრთელობის სახკომმა კი უზრუნველჰ-ყოფს რაიონი სათანადო მედპერსონალით.

აი, ამ კორესპონდენციას როგორ გამოეხმაურა რესპუბლიკის პროკურორი. 14 აპრილს 1936 წ.

გაზეთ “კომუნისტში” გასული წლის 21 ოქტომბერს მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით: “ექიმბაშობას ბოლო არ ეღება”. კორესპონდენტი ამჟღავნებდა სოფ. უდის მცხოვრები ვინმე ანტონ მერაბიშვილის მოქმედებას, რომ მან თავისი ექიმბაშობით არა ერთი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს და, რომ ის ფარულად ეწევა ახალგაზრდებისა და მედიცინის წინააღმდეგ აგიტაციას.

აღნიშნული კორესპონდენციის გამო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ მიმდინარე წლის ოქტომბერს გაუგზავნა შეკითხვა ადიგენის რაიონის პროკურორს ამხ. ბერაძეს, რათა მას ეცნობებია პროკურორისათვის, თუ რა ზომები მიიღო მან კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტების გამოსარევევად და ექიმბაშ ანტონ მერაბიშვილის და სხვა ექიმბაშთა (რომლებიც, როგორც კორესპონდენციიდან სჩანს, საკმაოდ მოიპოვებიან აღნიშნულ სოფელში) პასუხისგებაში მისაცემად. რესპუბლიკის პროკურორის აღნიშნული მიმართვის შემდეგ, მიუხედავად არა ერთი გახსენებისა, ადიგენის რაიონის პროკურორმა ამხანაგმა ბერაძემ მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ, ამა წლის 10 თებერვალს აცნობა რესპუბლიკის პროკურატურას, რომ მას არავითარი გამოძიება აღნიშნულ კორესპონდენციის გამო არ უნარმოებია გამომძიებლის მიმდინარე წლის 8 დეკემბერს პასუხისგებაში მიცემის გამო. რესპუბლიკის პროკურატურის წინადადებაზე, რომ თვითონ მას მოეხდინა გამოძიება აღნიშნულ საქმეზე, მაინც თითქმის თვენახევრის განმავლობაში არ აცნობა პროკურატურას, თუ რა გააკეთა მან რესპუბლიკის პროკურატურის აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა ადიგენის რაიონის პროკურორის ამხანაგი ბერაძის მოქმედებას თვლის ყოვლად დაუშვებლად რესპუბლიკის პროკურატურის მუშაობის პრაქტიკაში. კერძოდ, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში პროკურორმა ბერაძემ არამცთუ არ მიმართა დროულად რევო-

ლუციონური კანონიერების მახვილი ექიმბაშების მიმართ, რომელთა წყალობით გამოესალმა სიცოცხლეს არაერთი და ორი მშრომელი, არამედ მას “კომუნისტის” კორესპონდენციისა და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დავალებისადმი თავისი ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური და უპასუხისმგებლობის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ზემოაღნიშნულის გამო ადიგენის რაიონის პროკურორს ამ-სანაგ ბერაძეს ვუცხადებ სასტიკ საყვედურს გაფრთხილებით, რომ თუ მის მიერ შემდგომში განმეორებული იქნება მსგავსი მოქმედება, ის მოხსნილი იქნება სამსახურიდან და მიცემული პასუხისგებაში.

ვუბრძანებ მას, ხუთი დღის ვადაში დაამთავროს გამოძიება აღნიშნული კორესპონდენციის მიხედვით და შედეგი მომახსენოს.

ეს ბრძანება დაეგზავნოს ყველა რაიონების პროკურორებს და სასამართლოებს.

ა.რამიშვილი

1936 წ. 14 აპრილი

## ამოცანები

1. ერთმა მეცხვარემ უთხრა მეორე მეცხვარეს, თუ ერთ ას ცხვარს მომცემ, მაშინ ორჯერ მეტი ცხვარი მეყოლება შენ-საზეო. მეორემ უპასუხა არა, თუ შენ ას ცხვარს მომცემ, ორ-თავეს თანაბარი რაოდენობის ცხვრები გვეყოლებაო. რამ-დენი ცხვარი ჰყოლია მათ? (ერთს - 500, მეორეს - 700).
2. დამსხდარმა ბატმა შესძახა ჰაერში მფრინავ ბატებს: “გა-მარჯობათ, ასო ბატო!” მაღლიდან უპასუხეს: “ჩვენ არა ვართ ასნი. ჩვენ, ერთიც ჩვენს ოდენა, ერთიც ჩვენის ნახე-ვარი, ერთიც მისი ნახევარი და ერთიც შენ რომ იყო, მაშინ ვიქნებით ასიო”. რამდენია ბატია ჰაერში? (36 ბატი).
3. მეფემ გამოაცხადა, რომ ჩემი ტყუპი ვაჟები და ქალი 10-11 წლისანი არიან. ერთი მეორეს ძალზე ჰყვანან ყვე-ლაფრით. 10 ტყუპში ვინც გამოიცნობს, თუ რომელია ვაჟი და რომელია ქალიშვილი 10 მეტრის სიშორიდან, მას მისი წონის ოქროს მივცემ, თუ არა და მოვჰკლავო. გამოცდილმა მწყემსმა ქურთმა იცის გამოცნობა. ვაჟურად ჩაცმულ 10 ბავშვში შერეული იყო ქალიშვილიც. მან 10 მეტ-რის სიშორეზე გრძელ სკამზე დააჯინა ბავშვები და უბრძანა: აი, 10 ვაშლი, სათითაოდ გადმოგისვრით, ვინც ვერ დაიჭერს, ვცემო. მონდომებულ ბავშვებს ქურთმა სათითაოდ თითო ვაშლი ესროლა. მსხედარი ბავშვები კი გადმოსროლილ ვაშ-ლებს იჭერდენ. აღმოჩნდა, რომ ყველა, დაჭერის დროს მოიშ-ველია ფეხებიც. ფეხებს კუმავდენ, რომ ვაშლი არ გადავარ-დეს, ქალიშვილი კი, რომელიც კაბის ჩაცმულობაზეა ნაჩვევი, მას ეგონა, რომ ისევ კაბა აცვია და ფეხები გაშალა, რომ კალ-თაც მოიშველიოს ვაშლის დაჭერაში. ამით გამოიცნო ქურთმა მწყემსმა, ქალი რომელი იყო და მიიღო ჯილდო.
4. მეფეს მზეთუნახავი ქალიშვილი დევებმა მოსტაცეს. ვერ-ვინ მიაგნო კვალს. მეფემ გამოაცხადა, ვინც მიპოვნის ჩემს მზეთუნახავს, მას სიძედ გავხდიო. გამოჩნდა სასიძო, რო-მელმაც ჩაიხედა თავის სარკესა და აღმოაჩინა, რომ შო-

რეულ ზღვაში, დევების სასახლეშია მეოთხე სართულზე, ცხრაკლიტულში. მეფემ ისევ გამოაცხადა, ვინც ჩემს ქალიშვილს მომიყვანს, სიძედ გავხდიო. გამოჩნდა ახალგაზრდა, რომელმაც თავისი მფრინავი ხალიჩით გაფრინდა და მოიყვანა, მაგრამ ქალიშვილი სიკვდილის პირას იდგა ავადმყოფობით. ვერვინ უშველა რა. მეფემ კვლავ გამოაცხადა, ვინც მოარჩენს მის მზეთუნახავ ქალიშვილს, მას სიძედ გახდის. აღმოჩნდა ექიმი, რომელმაც თავისი ერთადერთი სიკვდილისაგან მოსარჩენი ვაშლი აჭამა და ამ უებარი წამლით მოარჩინა ქალიშვილი სიკვდილს. გაიმართა კამათი, თუ ვის უნდა მიეცეს ქალიშვილი. გაიმართა სასამართლო. (ქალიშვილი ეკუთვნის ვაშლის პატრონს იმიტომ, რომ მან თავისი ვაშლი აჭამა, რის შემდეგად უკაშლო დარჩა, დანარჩენებს კი თავიანთი საკირველებანი ისევ დაურჩათ). (ვანო ქალიშვილი გიგოს ძე).

5. იყო სამი ქაჩალი, რომლებიც ერთი მეორეს არ ანდობდენ თავიანთ ცოლებს. მგზავრობისას ერთად მიადგენ მდინარეს თავ-თავიანთი ცოლებით გადასასვლელად. აღმოჩნდა მხოლოდ ერთი ნავი, რომელშიაც ჯდომა შეიძლება მხოლოდ ორი კაცისა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნავით ისე გაიყვანოთ ეს ქაჩლები, რომ ერთის ცოლი მეორესთან არ მოჰყეს. პასუხი: ჯერ ერთი წყვილი გავლენ, ცოლს დატოვებს და დაბრუნდება, ჩაჯდება ორი ქალი, გადავა, ე.ი. გაღმაა 3 ქალი, გამოლმა - 3 ქმარი. ერთი ქალი ნავს უკან გადმოიყვანს, დარჩება თავისი ქმართან, ორი ქმარი ჩაჯდება და გადავლენ თავ-თავიანთი ცოლებთან, ერთი წყვილი გადმოვა გამოლმა, გამოლმა ორი წყვილია, გაღმა ერთია, ნავი გამოლმაა. ჩაჯდება ორი ქმარი და გადავა. გადმოვა ერთი ქალი და ნაიყვან ერთ ქალს, მეორეჯერ ისევ გადმოვა და გადაიყვანა მეორე ქალსაც და თვითონაც გადავა. გავლენ ისე, რომ ვერც ერთ მეორის ცოლს ვერ შეხვდება ქმრის არყოფნის დროს.

6. მოცემულია მგელი, კრავი და თივა. გასასვლელია ვიწრო ხიდზე ისე, რომ მგელმა - კრავი, კრავმა - თივა არ შეჭამოს. პასუხი: ჯერ გაიყვანება კრავი. გამოლმა დარჩა მგელი და თივა, რომლებიც ერთი მეორეს ვერ შეჭამენ. დაბრუნდება და გადაიყვანს მგელს და კრავს უკან გადმოიყვანს, რომ კრავი არ შეჭამოს, კრავს გამოლმა დატოვებს და თივას წაიღებს დატოვებს და გადმოვა. ბოლოს კრავს წაიყვანს და დამთავრდება.

## ანდაზები

1. კაჭკაჭს სარგებელი რომ არ ქონდეს, კამეჩის ზურგს არ დაკენკავს.
2. ჯანსაღი გონება ჯანსაღ სხეულშიაო.
3. მწოლიარე ლომს მოხეტიალე მელია აჯობებს.
4. რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო.
5. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
6. ბრმა თავის ორ თვალს დასტირის.
7. სიკვდილი უნდა აჩვენო, რომ დაბნედას დასჯერდეს.
8. პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პური ზედმეტი მიეციო.
9. ყველას გულში თვითო ლომი ძევს, ჩემსაში კი ორიო.
10. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა დიდი გამოჩნდებაო.
11. მოიგებს ის, ვინც ადრე ადგება და ადრე დასახლდება (და-ქორწინდება).
12. უშვილობას ქალიშვილის ყოლა ჯობიაო.
13. ძმა რომ კარგი ყოფილიყო, ღმერთსაც ეყოლებოდა ძმაო.
14. შორს და მშვიდობით.
15. ცუდი მუშა საღამო ხანს გააჩალებს მუშაობასო.
16. ბრმა ვერ დაინახავს, მარა იგრძნობასო.
17. ვინც ერდო მოხნა, ისიც მოკვდაო.
18. მისთვის ხუთიც ხუთია, თუთხმეტიც.
19. აღმართის ძირას ქერს ძალა არა აქვს.
20. დღევანდელი ქათამი ხვალინდელ ბატს ჯობია.
21. საუღლეს ჰკითხე, კამეჩი რამდენსა სწევსო.
22. თუ ხახვი არ გიჭამია, პირი რატომ გყარს.
23. ნემსის ქურდიც ქურდია და აქლემის ქურდიც.
24. ოთახი დაცალე, ბზე უნდა ჩავყარო.
25. მამალი უდროოდ თუ იყივლებს, მას დაჰკლავენ.
26. გაქცეული თევზი დიდი იქნება.
27. ვისაც აბაზიანი არ მოსწონს, ხუთ შაურიანი გამოიღოს.
28. თეთრი თხა ქონიანი ეგონათ.
29. ხილს პირი რომ ქონდეს, თავის თავს შეჭამს.
30. ფიცი მნამს, ბოლო მაკვირვებს.

31. ხუცესმა უთხრა ხუცესსაო, ალაფ არის რუსეთსაო, წასვლა არ მეზარება, თუკი გამიძღებენ მუცელსაო.
32. ტაშ ტაშინან ტუვარ ოლურ. - ქვა ქვითა კედელი გახდება.
33. იამან იში აზელბაშდან აღლარლარ, სორა დონუბ ფიშმან ოლსან ფაიდა ნე? - ცუდი საქმე თავიდან უნდა იტირო, ბოლოს ტირილი რა სარგებელს მოგცემს?
34. ეილუგ ეთდა ტაშ ალთინა ყოი. - სიკეთე ქმენი და ქვის ქვეშ შეინახეო.
35. ბინ იშჯიდან ბირ ბაშჯი ეილურ. - ათას მუშას სჯობია ერთი მეთაური.
36. ზორ ფანდი ბოზარ. - ძალა აღმართსა ხნავს.
37. იოლ გეზმაინან ბორჯ ვერმაინან თუქანურ. - ვალი მიცემითა და გზა სიარულით დაილევაო.
38. ყურბათ ელ ჯანნათ ოლსა, გენა ვათან იახშიდურ. - უცხო ქვეყანა სამოთხეც რომ იყოს, ისევ სამშობლო კარგია.
39. იეთიმინ ყარნინი ტოურდა ბაშხასინა ყარიშმა. - ობოლს მუცელი გაუძლე და სხვა არ გეკითხება.
40. იეთიმინ ყარნინა ვურმიშლარდა ვაი არხამ დემიშ. - ობოლს მუცელზე ურტყეს და “ვაი, ზურგი” იძახა.
41. ეშაგა ბინმასი ბირ აიბ ენმასი იქი აიბ. - ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილია და ჩამოჯდომა ორი სირცხვილიაო.
42. შეითანდან შაფაათ ოლმაზ. - ეშმაკისგან წყალობა არ იქნება.
43. ვარლი ვარინდან ყორხარ, იოხსულ ნაინდან ყორხარ? - მდიდარს სიმდიდრის დაკარგვის ეშინია, ღარიბს კი რისი უნდა ეშინოდეს?
44. აზ ლოლუნდა ფაქ ოლსუნ. - ცოტა იყოს და სუფთა იყოს.
45. დელია ჰარ გუნ ბაირამდურ. - გიუისთვის ყოველ დღე ბაირამიაო.
46. ჩარშანბადანსონრა ფარშანბა დურ. - ოთხშაბათის შემდეგ ხუთშაბათიაო.
47. სორუ ქი, ოლ ქი ბილიჯი ოლასინ. - მკითხველი უნდა იყო, რომ მცოდნე იყო.
48. იგიდინ ქოთუსი ოლმაზ აგარ იოხსულ ოლმასა. - ვაჟკაცი

ცუდი არ იქნება, თუ ღარიბი არაა.

49. ზაჰმათსიზ რაჰმათ ოლმაზ. - უშრომოდ სიტყპოება არ იქნებაო.
50. ბალბან ბირ გულ იუჩუნ ბინ ხარა ხიზმათქარ ოლურ. - მება-ლე ერთი ვარდის გულისთვის ათას ეკალს ემსახურება.
51. ნაქი ტოლრარსინ ჩანალან ო დუშარ ყაშულან. - რასაც ჩაიყ-რო ჯამში, იგი მოგივა კოვზშიო.
52. ჩირქინინან პალ იემა, გოზალინან ტაშ ტაში. - უშნოსთან ერ-თად თაფლს ნუ სჭამ, ლამაზთან ერთად ზურგით ქვა ზიდეო.
53. ქორა ნაქი მუმ ბაჰალი დურ. - ბრმისთვის სულ ერთია სანთ-ლის სიძვირე თუ სიიაფე.
54. ბან დიერიმ სალამ ალეიქუმ, ო დიერ სანი ტოლრიერიმ. - მე სალამს ვაძლევ, ის მპასუხობს - ტაბიკებს ვჭრიო.
55. თურთუნუნ სიხინდან სეირაგი ეიდურ. - ბოლოკის თხელი სქელს ჯობიაო.
56. გეჩმა ნამართ ქოფრუსუნდან ყოი აფარსინ სელ სანი, გეჩმა თილქი ტალდასინა ყოი იესინ ასლან სანი. - ნუ გახვალ მუხა-ნათის ხიდზე, დე წყალმა ნაგიყვანოს, ნუ მიეფარები მელიას ჩრდილს, დე შეგჭამოს ლომმაო.
57. დუშმან სანი ტაშინან საან დუშმანი აშინან. - მტერი თუ ქვით მოგეპყრობა, შენ პურით მოეპყარიო.
58. აიას ტაფულტისინან ფაბუჩ ბურადა ტურიერ. - ფეხების ბრახუნით ფეხსაცმელს ატოვებინებსო.
59. აშის გულაგან, დართლი სოილაგან ოლურ. - მგოსანი მცინა-რე, დარდიანი კი მოლაპარაკე იქნება.
60. ვერდუღუნ ბირ იუმურთა, ოლდურდუნ დურთა-დურთა. - იძლევი ერთ კვერცხსა და მუჯლუგუნით მომკალიო.
61. დართ ბირ ოლსა, ალლამალა ნა გარაქ. - დარდი ერთი რომ ყოფილიყო, ტირილს რა უნდოდა.
62. ყიზი გენდი ქეიფინა ყოისან ზურნაჯი ბაშინა ქოჩარ იდი. - ქალიშვილი თავის ნებაზე რომ მიატოვო, უფროს მეზურნეს მითხოვდებაო.
63. ბირ ყარინან ბირ ყოჯა ჰალვა იარ ჰარ გეჯა. - ერთი ცოლი და ერთი ქმარი ყოველ ღამე ჰალვას სჭამენ.

64. იეთიმ ქი ხირსიზლუდა ჩიხარ ილქ ახშამდან აი ტოლარ. - ობოლი რომ საქურდად გამოვა, საღამოსვე მთვარე ამოვაო.
65. ფარა საიშ ოგრადურ, ურბა გეზიშ ოგრადურ. - ფული თვლას შეასწავლის, ტანთსაცმელი - სიარულს.
66. ჰერი იოხდან ქოსა ეიდურ. - უქონელს აჯობებს ქოსაო.
67. ბაიაზინ ადი, ყარანინტადი. - თეთრის სახელი, შავის კი სიტებო.
68. ახლინ ვარ ისა ნეინარსინ ვარ, ახლინ იოხ ისა ნეინარსინ ვარი. - თუ ჭკვა გაქვს, რათ გინდა ქონება, თუ ჭკვა არა გაქვს, რათ გინდა ქონება.
69. ახილ იაშდა იოხ, ბაშდა ოლურ. - ჭკვა წლოვანობაში კი არა, თავში იქნებაო.
70. ახილ ახილდან უსთუნდურ ვარანა ყადარ. - ჭკვა ჭკვაზე მაღლი აღმოჩნდა დაუსრულებლადო.
71. აღნამიან დოსთდან დუშმან ეიდურ. - შეუგნებელ მეგობარს მტერი სჯობიაო.
72. ჰარ ყუშ უჩანდა ბირშეი იოხ, ბილდირჩინა - ჰელპელ დერლარ. - ყოველ ჩიტს არაფერი და მნყერი რომ აფრინდება, ჩერჩეტიაო, იტყვიან.
73. აშ ოლ, ქაშ ოლ, და ხამურ იშინა ყარიშმა. - შეგიძლია საჭმელი იყო, ქაში იყო, მარა ცომის საქმეში ნუ ჩეერევი.
74. სირქა ილა სარმუსალი ჰესაბ ედან, ფაჩაი იამაზი. - ვინც ძმარსა და ნიორს იანგარიშებს, თავთეხის ჭამას ვერ მოახერხებს.
75. გეჩინვარსუჩუნვარ. - თხა თუ გყავს, ბრალდებულიც ხარ.
76. ვახითსიზ გელან მისაფირ ოზ ქისასინდან იარ. - უდროოდ მოსული სტუმარი თავისი ჯიბიდან ჭამს.
77. დაავათსიზ მისაფირ მინდარსიზ ოთურურ. - დაუპატიუებელი სტუმარი უქვეშსაგებოდ დაჯდებაო.
78. დავაია ბურჯ ლაზიმ ოლსა ბოინუნი უზათურ. - თუ აქლემს ნეკერი<sup>64</sup> სჭირდება, კისერი ასწიოს.
79. ვერასია შარაბ იჩან იქი ქარა ზარხოშ ოლურ. - ნისია ღვინის მსმელი ორჯერ დათვრებაო.

64. ნეკერი - ხის ქვედა ტოტები.

80. ბუხარინ აგრილულუნა ბახმა, თუთუნუნ დუზ ჩიხ მასინა ბახ. - ბუხრის ხვეულს კი არა, კვამლის სწორ ასვლას უყურეო.
81. ნაქი გედარ ბალდან გედარ, ბალბანჩიდან ნა გედარ. - რაც წავა - წავა ბალიდან, მებალესგან რა წავა.
82. ალანინ მალი გედარ ხიზმათქარინ ჯანი გედარ. - ბატონის დაკარგული საქონლისთვის მოჯამაგირეს სული მისდის.
83. ავდაქი ბაზარ ჩარშიდა გეჩმაზ. - სახლში ნაფიქრალი გარეთ არ მართლდებაო.
84. სუ გედარდა ყუმ ყალურ. - წყალი წავა და სილა დარჩებაო.
85. არიფა ტარიფი ისტამაზ. - მცოდნეს ახსნა არ სჭირდება.
86. ევ იხანინ ევი ოლმაზ. - სახლის მაოხრებელს სახლი არ ექნებაო.
87. სარჩა ნა დურ ქი, ბაში ნა ოლა. - ბეღურა რალაა, რომ მისი თავი რალა იყოს.
88. თაუს სუ იჩარ ალლაპჲა ბახარ. - ქათამი წყალს რომ დალევს, ღმერთს შეხედავსო.
89. კაპექდა ვარ კაპექდა. - კაპეიკიც არის და კაპეიკიც.
90. მეივასინი იე და ალჯინი სორმაი. - ხილი ჭამე და ხეს ნუ იკითხავ.
91. სირთ სირქა ყაბინა ზორ ედარ. - მაგარი ძმარი თავის ჭურ-ჭელს დააწვებაო - ზიანს მიაყენებსო.
92. თოქულან სირქა ყაბინი ტოლდურმაზ. - დაქცეული ძმარი თავის ჭურჭელს არ აავსებს.
93. სუთ თოქმიშ ქადი ქიმი ტურიერ. - რძის დამქცევი კატასა-ვით დგასო.
94. ითდან ყუზი ტოლმას. - ძალლისგან ცხვარი არ დაიბადება.
95. სიჩანდან ტოლან ტავარჯუს ქესარ. - თაგვისგან დაბადებუ-ლი ტომარას მოჭრისო.
96. მუმ დიბინა იშიხ ვერმაზ. - სანთელი თავის ძირს არ გაანათებსო.
97. სუ ქუზასი სუ იოლუნდა ყირილურ. - წყლის კოკა წყლის გზაზე გატყდება.
98. სახლა სამანი, გალურ ზამანი. - ბზე შეინახე და მოუვა დრო.

99. დოლმა ბაშხასინინ ყაფისინი დოგარლარ ყაფინი. - ნუ აკაკუ-  
ნებ სხვის კარს, თორემ დაგიკაკუნებენ შენცაო.
100. იოლი ეშაქ ყურთდან ყორხმაზ. - კვდარ ვირს მგლის არ  
შეეშინდებაო.
101. ყაზანან ოგუნმასინ იან ოგუნსუნ. - მომგებმა კი არა, მჭა-  
მელმა იტრაბახოსო.
102. პალ ტუთან პარმახ იალარ. - ვისაც თაფლი ხელში უჭირავს,  
თითებს დალოკავს ხოლმე.
103. იენგა ნერალი ისა ხოჯადა ორალიდურ. - ფოფადია სადაუ-  
რიცაა, მღვდელიც იქაურია.

## ანიმება შელოცვით

ხდება შემთხვევა, რომ იწყება გვალვები. აი, ასეთ შემთხვევა-  
ში მოსახლეობა ყოველგვარ ზომებს მიმართავს ხოლმე. ეს ერთი  
აიხსნება, რომ კანალიზაციას<sup>65</sup> ადრე უფრო ნაკლებად ეწეოდენ.  
ერთადერთი არხი, რომელიც მთიდან მოდიოდა, ვერ აკმაყოფი-  
ლებდა მინდვრების მოთხოვნილებას გაცხარებულ სიცხეებში.  
გვალვას შიმშილი მოყვებოდა. ასეთ დროს მოსახლეობას ერთა-  
დერთი იმედი რჩებოდა - ღმერთი თუ გადაარჩენს შიმშილს და  
მიმართავდენ ღმერთს. ბავშვებმ შემოგროვდებიან, ცოცხს ქა-  
ლად შეკაზმავენ, გაუყრიან ჯოხს და ორთავე თავები და ჯოხისა  
დაიჭერენ და კარი-კარ ივლიან და იძახიან:

“ქაფჩა-ხათუნ, ნა ისთარ?  
ალლაპდან იალმურ ისტარ.  
იაღსინ, იაღსინ ბოლ ოლსუნ,  
სირთ ადრაფი სელ ოლსუნ.  
ნანა ხათუნ, ყალხ სანა,  
პალ გუვაჯინა ბახსანა,  
ბიზი იოლა სალ სანა.  
ააამინ!”

65. ნაგულისხმევია სარწყავი არხები (რუს. канал-იდან)

თარგმანი:

“რა უნდა ქაფჩა ხათუნს<sup>66</sup>? უნდა რომ უფალმა  
წვიმა გამოგზავნოს.  
დიდი წვიმა რომ მოვიდეს.  
ნიალვრები წამოვიდენ მთიდან.  
ბებო, წამოდექ, ნახე ქოთანში თაფლი, და გაგვაცილე! ამენ!”

დაამთავრებენ ამ კოლექტიურად თქმულ ლექსს, დიასახლისები კი ამ გროვა ბავშვებს მისცემენ რაიმე საჩუქარს - ქბილს ან ერბოს ან სხვას და უკიდან მათ მიასხამენ წყალს. ბავშვები შეგროვილ ნა-ჩუქრებით იკანპანიებენ<sup>67</sup> ხოლმე.

გამწვავებულ გვალვების შემთხვევაში მუსლიუმანი მოსახლეობის წინამდლვარი მოლები შენირულებებს შეაგროვებენ, იყიდიან მსხვილფეხა რქოსან საქონელს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლე-თით, მღებრიშვილების, მანანოთ კარების წინ, საიდანაც იხედება სოფლის მთელ მინდვრებს, აი, ამ სერის თავზე დგას მოზრდილი ქვა, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ ორსულ ქალს, რომელილაც შუა რამაზანის დროს წმინდა ღამეებში უნახავს, რომ ცა გაიხსნა (აი ამ ცის გახსნის დროს, ვინც რასაც ინატვრებს შეუსრულდებაო). აი, ამ მომენტში, ამ ორსულ ქალს, რატომდაც, უნატვრია “ლმერ-თო, ქვად გადამაქციეო”. ლმერთს შეუსმენია და ქვად გადაუქცევია ეს ქალი. დიდი ხანია ეს ქვა მუსლიუმანი მოსახლეობისათვის წმინ-და ადგილად ითვლება და, აი, იქ მოაქვთ ის შეგროვილი შენაწი-რი, ნაყიდ საქონელსა ამ ქვის ძირას ჰკლავენ და დიდის ცერემო-ნიით დაურიგებენ ხორცს მოსახლეობას და ინატრებენ ლმერთი-საგან წვიმებს. გვალვების დროს უდის ქრისტიანი მოსახლეობაც მღვდლის წინამდლვრობით “წმინდა ივლიტის ექლესიიდან” დიდი ცერემონიალით მოასვენებენ ღვთისმშობლის ხატსა და ორი-სამი დღის ლოცვების შემდეგ ისევ გადაასვენებენ ივლიტაში.

66. ხათუნ (თურქ.) - ქალბათონი

67. იკანპანიებენ - რუსული “კომპანიი”-დან, - ე.ი. ერთად იხალისებენ და პურს სჭამენ.

## გამოცანები

1. ცხენზე მაღალი, ძალლზე დაბალი (პასუხი: უნაგირია).
2. თავი ხერხი, ბოლო ნამგალი, განა ვერ იცანი. (პასუხი: მამალი).
3. ნანა ათლანდი, ყაშ ყათლანდი, სუ ბულანდი, ყუმ ტოლანდი (ჯავაბ: ჩერილ ჰენირ). - ბებია ცხენზე შეჯდა, ლვედი ორად ჩა-იკეცა, წყალი აიმღრა, ქვიშა ატრიალდა (პასუხი: ყველი ჩეჩი-ლი).
4. იაზინ ტოვარ ყიშინ აჩილურ (ჯავაბ: ყურუთ). - გაზაფხულში მაგრდება, ზამთარში გაიხსნება (პასუხი: ყურუთ).
5. ყიშინ ტოვარ, იაზინ აჩილურ (ჯავაბ: ბუზ). - ზამთარში მაგ-რდება, ზაფხულში გაიხსნება (პასუხი: ყინული).
6. ბირ ოქუზუმ ვარ ქი, იათდული იერდა ოთ ბითმაზ (ჯავაბ: ატაშ). - მე მყავს ერთი ხარი. სადაც ის დაწვება, მანდ ბალახი აღარ გაიზრდება (პასუხი: ცეცხლი).
7. ბეშ ოქუზუმ ვარ, დორდი იათარ, ბირი ტოლანურ (ჯავაბ: ჩორაბ შიშლარი). - მე ხუთი ხარი მყავს. ოთხნი წვანან, მეხუ-თე წრეს ურტყავს (პასუხი: წინდის ჩხირები).
8. იოლ უსთუნდა ქითლი ზანდუხ (ჯავაბ: მაზარ). - გზაზე სკივ-რი დგას ჩაკეტილი (პასუხი: საფლავი).
9. იოლ უსთუნდა ყაზან ყაინარ (ჯავაბ: ყარინჯა იუვასი). - გზა-ზე ქვაბი დუღს (პასუხი: ჭიანჭველას ბუდე).
10. ათ დედიმ, თათ დედიმ, გეთ ყაფინინ არდინდა იათ დედიმ (ჯავაბ: სუფურგა). - მე ვთქვი - დააგდე, ვთქვი - იქეთ-აქეთ გაიქნიე, ვთქვი - წადი, კარს უკან წამოწექი (პასუხი: ცოცხი).
11. ბენ გალდიმ ბანთდან, სას გალდი ქართდან, ალზი გამუქდან, საყალი ათდან (ჯავაბ: ხოროზ). - კაშხალიდან მოვედი, სოფლი-დან ხმა მოისმა, პირი ზვლის, წვერი ხორცის (პასუხი: მამალი).
12. ბან გედარიმ ო გედარ, ოგუმდა რაკ რუკ ედარ (ჯავაბ: დაგანა-გი). - მე წავალ, ისიც წამოვა, ჩემს წინ აკაკუნებს (პასუხი: ჯოხი).
13. იქი ალი ვარ, იქი აიალი, ბაში ბელინდა, მარიფათი დილინდა-დირ (პასუხი: ტარაზი). - ორი ხელი, ორი ფეხი, თავი ზურგ-ზე, ღირსება ენაზე (პასუხი: სასწორი, ყანთარი).

## სიმღერები

სოფ. უდეში გავრცელებული სიმღერები მეტად თავისებურია. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ სოფლის მოსახლეობის სარწმუნოებრივი მიმართულება ერთმანეთის მოპირდაპირეა, ცრუმორწმუნეობისა და ქრისტიანობისა და მუსლიმანობის. გამომდინარე აქედან ამისა, ქრისტიანები ცდილობენ, რომ მათი სიმღერები უკეთესი იყოს და ამისათვის საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოწონილ სიმღერებს ავრცელებენ.

მუსლიმანები კი, თავისი მხრით, ცდილობენ აჯობონ ქრისტიანების სიმღერებსა და ისინიც ავრცელებენ ხან თურქულ, ხან სპარსულ, ხან აზარბეიჯანულ სიმღერებს. აი ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენი სოფლის მოსახლეობას არა აქვს ან ჩამოყალიბებული თავისი საკუთარი სოფლის სიმღერები, ან რაიმე ერის ენაზე შემუშავებული სოფლის სიმღერა. ამის გამო, იძულებული ვარ, ორთავესგან უმთავრესად პოპულიარული სიმღერები გაგაცნოთ.

### ჰავადა ლაჩინ ოინარ

ჰავადა ლაჩინ ოინარ,  
გოგდა გოგარჩინ ოინარ.  
იარ ხათრიმა გალანდა  
ტალიმდა საჩიმ ოინარ.

რეიჰან აქდიმ ტუარა,  
ქიმსამ იოხ ქი სუვარა.  
ბან ჯაჰილ, იარიმ ჯავან,  
ბელქი ანამ სუვარა.

გამი გალურ არალი,  
იჩი ტოლი იარალი,  
იჩინდა ბირ გოზალ ვარ  
აზერბაიჯან მარალი.

გამი გალურ იან-იანა,  
სუ იჩდიმ ყანაყანა.  
სანი ტოლურან ანა  
ბანა ოლსუნ გაინანა.

ყალადან ენდიმ დუზა,  
სუ ბაღლადიმ ნარგიზა.  
იედდი ილ ხიზმათ ეთდიმ  
ბირ ალა გოზალი ყიზა.

თარგმანი:

ლაჩინი ჰაერში ცეკვავს

ლაჩინი ჰაერში ცეკვავს,  
ცაში მტრედი ცეკვავს.  
შეყვარებულს რომ ვიხსენებ,  
მხრებზე ჩემი თმა ცეკვავს.

დავთესე რეპანი კედელზე,  
არავინა მყავს მერაბი.  
ახალგაზრდა ვარ და ახალგაზრდაა შეყვარებული.  
ეგება დედაჩემმა მორწყას რეპანი.

გემი მოვა შორეთიდან,  
გემი, დაჭრილებით სავსე,  
მათ შორის - მზეთუნახავი,  
შველი აზერბაიჯანის.

გვერდი-გვერდ მოდიან გემები.  
მე წყალს დავეწაფე, ვფიქრობდი -  
ნეტავ დედა შენი მშობელი,  
გახდეს ჩემი სიდედრი.

კლდეებიდან ველზე ჩამოვედი.  
ვრწყავდი ნარგიზსა.  
შვიდი წელი ვემსახურე  
რუხთვალება ქალიშვილსა.

\* \* \*

ახალციხეში სასტუმრად ჩამოსული ვიცლა ართვინელი ბო-  
ჩიკაშვილების ნათესავს მოსწონებია ქართველი ქალიშვილი და  
შემდეგი ლექსი შეუთხზავს მისთვის თურქულად:

ისმინ ტუიუბ არზედუბან გალმიშამ,  
ნა საბაბდან გორმაზ ოლდი გოზლარიმ.  
გუნდუზ ხაიატიმდა გეჯა დუშუმდა  
ნა საბაბდან გორმაზ ოლდი გოზლარიმ.  
ისმინ ტუიანლარ თლმიშლარ აშიყ,  
ბან სანინ ადან ოლმიშიმ აშიყ.  
ბიზიმ არამიზდა ყოიმა ბულაშუხ,  
ბან გედარიმ სანდა ყალურ გოზლარიმ.  
შაჰარი ახისხადურ მილლათი გურჯი  
იიზდინ, ვერან ოლდი გონლუმუნ ბურჯი.  
გოზალლარ იჩინდა სანსინ ბირინჯი.  
ბან გედარიმ სანდა ყალურ გოზლარიმ.  
საფილი და სოილარ სოზუნი ჰაყდან,  
იახინ ისთამამ გორსამ ირაყდან.  
აი ინსაფსიზ გოზალ, ოლდუმ მარაყდან,  
ბან გედარიმ სანდა ყალურ გოზლარიმ.

თარგმანი:

შენი სახელი რომ გავიგე, მოვედი მე, არზედუბან,  
თვალები რატომ დამიბნელდა, ჩემი თვალები!

დღისით შენ დამყვები, ღამით სულ შენზე ვოცნებობ.  
რატომ თვალები მე დამიბნელდა, ჩემი თვალები!

შენმა მშვენებამ ყველა დაიპყრო,  
მე შევიყვარე შენი სახელი,  
არ დაუშვა რომ წაიბილწოს ჩვენი ურთიერთობა!  
მე წავალ, და თვალები ჩემი შენზე დარჩება.  
ჩემი ქალაქია ახისხა<sup>68</sup>, ვარ ეროვნებით ქართველი.  
შენ ჩემი სული დაცალე,  
ო, მზეთუნახავთ მზეთუნახავო!  
მე წავალ, და თვალები ჩემი შენზე დარჩება.

და საფილიც<sup>69</sup> სიტყვას ამბობს:  
შორიდან რომ დავინახო, ახლოს მოსვლას არ ვინდომებ!  
ო, მზეთუნახავო ულმობელო, მე ჩავიღველფე კაეშანითა...  
მე წავალ და თვალები ჩემი შენზე დარჩება!

ანაპანი ბირ ჩოჯუღა ვერდილარ

საპახ ოლურ, ყახარ გედარ ოიუნა,  
ახშამაჩან აშუბ თოფლარ ყოინუნა,  
ანაპანი ბირ ჩოჯუღა ვერდილარ.  
ვერდილარდა, ნაიმა ლაიხ გორდილარ?

ავლაიაჩან ჩარუხჩორაბ გეთამაზ,  
ახშამაჩან იარიმ ათმაქ იამაზ.  
ანაპანი ბირ ჩოჯუღა ვერდილარ.  
ვერდილარდა, გუნაპიმა გირდილარ?

ყუთნი იასთუხ, ყუთნი დოშაქ იუმუშახ.  
ყოინუმა ვერდილარ ბირ ქორფა უშახ,

68. ახისხა - ახალციხე

69. საფილი - აშული სოფ. ფლატედან

ოფიციალურად, ყუჯმაბაშ ბილმაზ, ყონუშაბ.  
ანაბანი ბირ ჩოჯულა ვერდილარ.

ინაქ დაგულ ოთურაიმ საღაიმ,  
იგით დაგულ სარილაიმ იათაიმ.  
ანაბანი ბირ ჩოჯულა ვერდილარ,  
ვერდილარდა, გუნაპიმა გირდილარ.

თარგმანი:

ერთ პავშვს ანბანი მისცეს  
დილა გათენდება, ადგება წავა სათამაშოდ.  
საღამომდე მოაგროვებს უბეში კოჭებს<sup>70</sup>.  
ერთ ბავშვს ანბანი მისცეს.  
მისცეს, და რითი დაიმსახურა?

საღილამდე ვერ ჩაიცვამს წინდას,  
საღამომდე პურის ყუას ვერ შეჭამს.  
ერთ ბავშვს ანბანი მისცეს.  
მისცეს და ჩემი რა ბრალია?

ბალიშიც რბილია, ნალიც,  
ხელში ჩამაჩეჩეს ჩვილი,  
კოცნა არ იცის, ვერც მომეხვევა, არც ლაპარაკი სცოდნია,  
ერთ ბავშვს ანბანი მისცეს,  
მისცეს და ჩემი რა ბრალია?

ეს ძროხა არ არის, რომ ვწველო,  
ვაჟკაცი არ არის, რომ გვერდზე მივუწვე.  
ერთ ბავშვს ანბანი მისცეს.  
მისცეს და ჩემი რა ბრალია?

---

70. კოჭი - ცხვრის უკანა ფეხის ძვალი, ბავშვები იყენებდნენ სათამაშოდ

ამ სიმღერაში გამოხატულია მუსლიუმანი ქალების პროტესტი იმის გამო იმაში, რომ მათ არ იციან ცოლად ვის აძლევენ - მოხუცს თუ ბავშვს. ეს დამოკიდებულია საქმროს სიმდიდრეზე.

ჰაიდე გედას ტაშ ალთინა

ჰაიდე გედას ტაშ ალტინა, ბალაბა ბალა ბალა გეზმაგა!  
ორდაგ ოლუბ გოლუსთანდა უზმაგა, იარ

ხირდაჯა ბალამ იარ,  
გოზლარი ხუმარი იარ.

ნა ტურურსან ტალ ბაშინდა ბალა ბალა ბალა ყარქიბი.  
მამალარინ ჰაივა ქიმი, ნარ ქიმი, იარ იარალიჯანიმ იარ.

ხირდაჯა ბალამ იარ,  
გოზლარი ხუმარი იარ.

თარგმანი:

მოდი, წავიდეთ იმ კლდისკენ

მოდი, წავიდეთ იმ კლდისკენ სასეირნოდ.  
ერთად ვისეირნოთ, ო, ჩემო დაჭრილო სულო!

ჩემი პატარა შეყვარებული,  
მიბნედილი თვალებით!

რას დგეხარ, მთის წვერზე თოვლივით?  
შენი ძუძუები კომშივით, ბრონეულივით არის,  
ო, ჩემო დაჭრილო სულო!

ჩემი პატარა შეყვარებული,  
მიბნედილი თვალებით!

პუ ტაღინ არდინდა ლადიფ სასი ვარ

ბუ ტაღინ არდინდა ლადიფ სასი ვარ,  
გედინ ბახინ ჩანთასინდა ნასი ვარ!  
ბირ ჩივთ კონდურაინან ბირ ტაღ ფასი ვარ.

ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ,  
ლადიფამ, ლადიფამ, ლადიფამ,  
ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ.

აგილ ტაღლარ აგილ უსთუნდან აშემ.  
ასქარდან ყურთულემ იარა ყაუშემ,  
თაზა თალიმ ჩიხმიშ, ნასილ ალიშემ?

ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ  
ლადიფამ, ლადიფამ, ლადიფამ  
ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ

ბუ ტაღინ არდინდა ჩივთ ფუარ ახარ.  
ანა მინამ ბაბამ იოლლარა ბახარ.  
ქუჩუქ ხანიმ დუისა სარაი იახარ.

ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ  
ლადიფამ, ლადიფამ, ლადიფამ  
ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ

ბირ ბინჯაქ თიქდურდუმ, ყოლი ტარ ოლდი.  
ასქარინ გეიდუგი ყარა ალ ოლდი.  
ოხუდუმ არაბჯა, დილიმ ლალ ოლდი.

ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ  
ლადიფამ, ლადიფამ, ლადიფამ  
ალამდა ბილურ ბან და ლადიფამ

თარგმანი:

ამ მთის იქით ლადიფის ხმა ისმის.

ამ მთის იქით ლადიფის ხმა ისმის.  
მიდით, წახეთ რა აქვს ჩანთაში!  
ერთი წყვილი კონდურა,  
და ერთი ტალ ფასი.

და მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მე ვარ ლადიფი!

ბრძენი ცხრა მთას გადავა,  
მოვიშორებ ჯარს და შევუერთდები საყვარელს.  
ახალი სწავლება დაიწყო, როგორ შევეჩვიო?

და მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მე ვარ ლადიფი!

ამ მთის იქით ორი წყარო ჩამოდის.  
დედა და მამა გზას გასცერიან.  
პატარა ხანიმ დუისა სასახლეს გადააბრუნებს.

და მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მე ვარ ლადიფი!

მე ერთი პიჯაკი შევუკვეთე, სახელოები ვიწრო აღმოჩნდა.  
ჯარისკაცის ტანსაცმელი შავ-წითლად შეიღება,  
არაბულს ვსწავლობდი, დავმუნჯდი.

და მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მე ვარ ლადიფი!

## დოსტოევსკი

ამან დოხორინ, ჯანიმ ჩიხდი დოხორინ,  
დარდიმა ბირ ჩარა!  
ჩარასიზ დართლარა დუშდუმ  
დოხორინ ბეგიმ, ბირ ჩარა!  
მანდილიმინ ყუშლარი,  
ჩხამამ იოხუშლარი.  
ბანი იარდან აირდილარ  
ისთან ბოლუნ ფუშთლარი.

მანდილიმინ იაშილი,  
ბეკ კაიბ ეთდიმ ეშიმი.  
ალ ბუ მანდილ სანდა ყალსინ,  
სილ გოზლარინ იაშინი!

მანდილიმ ბანაქ ბანაქ,  
ორთასი ჩარხუფალაქ.  
იაზი ბარაბარ იაზლადუხ,  
ყიში აირდინ ფალაქ.

მანდილიმდა ყარა ვარ,  
იურაგიმდა იარავარ,  
ნა ბან ოლდუმ, ნა სან ბანდან ყურთულდუნ,  
ნადარდიმა ჩარა ვარ.

თარგმანი:

ვაი, ექიმო, ვკვდები, ვკვდები!  
დამეხმარე გასაჭირში!  
მე ჩავვარდი მძიმე დღეში,  
ექიმო-ჯან, დამეხმარე!

ჩემს მანდილზე ჩიტებია,  
მე ვერ შევძლებ მაღლა ასვლას.  
სტამბოლის დარდიმანდებმა  
საყვარელს დამაშორეს.

სიმწვანეა ჩემს მანდილზე,  
დავკარგე მეუღლე.  
ეს მანდილი დარჩეს შენთან,  
და ცრემლები შეიმშრალე.

ფოლაქები ჩემს მანდილზე,  
შუაშია კი ბედ-ილბალი.  
ერთად ვიყავით ზაფხულში,  
დაგვაშორა ჩვენ ზამთარმა.

ჩემს მანდილზე - კუპრი შავი.  
გულში მეწვის იარა.  
მე ვერ მოვკედი, შენც სულ დარდობ,  
ჩვენს გასაჭირს ბოლო არ აქვს.

#### დურნამ

ნერდან გალიერსინ?  
ასლინ სანინ მარაშდან,  
ყანათლარინ ისლანმიშ  
იალმურლარდან იალიშდან.

ყარფუზ ქასდიმ იან იოხ,  
ჰეჩ ჰალიმი სორან იოხ,  
ბენ იარიმა ყაუშდიმ,  
გოზუნ აიდინ დიან იოხ!  
დურნამ.

ბან ბურალარდა დურმამ,

გელარ ისან გალმამ,  
სარალ ისან სოლმამ,  
დაულსუზ, ზურნასიზ ასლა გალინ ოლმამ.

ყარფუზ ქასდიმ ყან ქიბი,  
იარინ გონლი ვარ ქიბი,  
აჩდიმ ფანჯარაი ბახდიმ,  
იარ იათიერ ყარ ქიბი.  
ახდურნამ.

თარგმანი:

### ჩემო ცერო

საიდან მოდიხარ, ჩემო წერო?  
შენი მოდგმა მარაშიდან არის,  
ფრთები დაგისველა წვიმებმა.  
საზამთრო გავჭერი - მჭამელი არ ჩანს.  
არავინ კითხულობს თავს როგორა ვგრძნობ.  
საყვარელს შევუერთდი,  
მომლოცავები არ ჩანს.  
ო, ჩემო წეროვ!

იმ ადგილებში მე არ დავრჩები.  
შენ თუ გახვალ, მე იქ არ მოვალ.  
შენ რომც დაჭქნე, მე არ დავჭქნები.  
დოლ-ზურნის გარეშე არ ვიდედოფლებ.

მე საზამთრო გავჭერი, ის წითელია სისხლივით.  
მგონი, მოვწონვარ ჩემს ტურფას.  
ფანჯარა გავაღე, გავხედე -  
გულით სიხარული წევს თეთრი თოვლივით.  
ვაჲ, ჩემო წეროვ!

(ყოველი ტაეპის შემდეგ მეორდება პირველი ტაეპი).

ქორწილობის დროს, ან რაიმე ლხინის დროს სოფლის თავ-მომწონე ახალგაზრდები, განსაკუთრებით ქრისტიანი თავმომწონე მოწინავე კაცები დაიჯვუფებიან მოპირდაპირე მხარეებად და ერთი მეორეს სიმღერებით შეკითხვებს აძლევენ. ან ერთი მხარის დამღერას მეორე მხარის დამღერა უნდა აბათილებდეს, ან მეორესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მხარე დამარცხებადა სხვაგან მოპირდაპირე წნელის როლში ვერ გამოვა. ეს ქართულ შაირობას ჰყავს.

კითხვა: სადაი სარ დასთა. სარ ნადან ოლდი?

ჯანნათ ნურდან იდი. ნურ ნადან ოლდი?

ტუბანინ თამალი ნაინ უსთუნა?

პასუხი: სადაი სარ დასთა სარანდან ოლდი.

ჯანნათ ნურდან იდი ნურ და ხუდანინ შანინდან.

ტუბანინ თამალი ანინ უსთუნა.

კითხვა: უსთამ, ბილურმისინ ილმინ ბაშინი?

ო ქიმ იდი ქესდი განდი ბაშინი?

ბუნი ბილან აშიყ უსთად ოლმიშდირ.

პასუხი: ილმინბაში ბუ დურ - ეილამაქ საბრ.

განდი ბაშინ ქესან გოგდა ბულუთდურ.

უნი ბილან აშიყ უსთად ოლმიშდურ.

და სხვა.

თარგმანი:

კითხვა:

საიდან ჩნდება შეკრული კონები?

სამოთხე სინათლისგან შეიქმნა, სინათლე - რისგან?

ტუბას<sup>71</sup> ფესვები რაზე იზრდება?

პასუხი:

შეკრული კონები მოდის შემკრავისგან.

სამოთხე წარმოიშვა სინათლისგან, სინათლე კი გაჩნდა ღმრთის ნება-სურვილით.

ტუბას ფესვები მეხსიერებიდან იზრდება.

71. ტუბა - დიდი ხე მუსლუმანურ სამოთხეში, რომელიც იზრდება ზევიდან ქვევით

კითხვა:

უსტა, შენ იცი მეცნიერების დასაწყისი?

ვინ იყო ის, ვინც თავისი თავი მოიჭრა?

იმან ვინც ეს იცოდა, აშილების უსტა იყო.

პასუხი:

მეცნიერების დასაწყისი მოთმინებაა.

თავისი თავი მოიჭრა ცის ღრუბელმა.

ვინც ეს იცოდა, აშილების უსტაბაში ყოფილა.

\* \* \*

1925-1930 წლებამდე მთელი ახალციხის მაზრაში გავრცელებული იყო და პოპულიარობით სარგებლობდა ე.ნ. აშილები, ე.ი. მომღერლები. აშილები თავიანთი შემოქმედებას კი არა, არამედ ადრევე შესწავლილ და დაზეპირებულ მოთხრობებს მოჰყვებოდენ და მასვე მიაყოლებდენ ლექსს. ასეთი ლექსები იყო უმთავრესად:

1. აშილ ყარიბის მოთხრობა, მისივე სიმღერებით.
2. ქარამის მოთხრობა, მისივე სიმღერებით.
3. აშილ ომარის, მისივე სიმღერებით.
4. იარალი მაჰმუდის, მისივე სიმღერებით.
5. მალიქშაჰის, მისივე სიმღერებით.
6. ლატიფშაჰის, მისივე სიმღერებით.
7. შაჰისმაილის, მისივე სიმღერებით.
8. ქოროლლის შვიდივე ნაწილი, მისივე სიმღერებით.
9. თაარ მირზასი
10. ადიგენის რაიონში 1870-იან წლებში თვალსაჩინო ყაჩალი ალისულთანის და სხვა.

ამე.ნ. ჰექიებს<sup>72</sup> აშილები მოჰყვებოდნენ. აშილს ჰყავს მოწაფე. ხანდახან მარტო დადის სოფლებში თავისივე საზით მხარზე. საღამოს მოგროვდებიან მთელი სოფლის მამაკაცები რომელიმე მოზრდილ სახლში და აშილი მიმართავს, ხალხს, რომ მან იცის შემდეგი ჰექიები, აქედან რომელი მოგიყვეთ. და მთელი ღამე მოჰყვება ჰექიას, მიაყოლებს სიმღერას და გათავდება დილამდე ან გადაიტანება მეორე ღამისათვის. დროგამოშვებით, აშილის მოსვენების დროს, ფულს მოკრეფენ ვისაც რა შეუძლია. ყველაზე განთქმული აშილი იყო ასპინძის რაიონიდან სოფ. ერკოტელი, მოლა მამედ - იგივე ჰაიბადადამი.

ქართული სიმღერები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან გადმოჰქონდა მიმავალ-მომავალი მოწინავე ახალგაზრდობას, ბოლო ხანებში კი პატეფონის პლასტინკებითა და რადიოთი სოფ. უდეშიაც გავრცელდა ყველა ის ქართული

სიმღერები, რაც, ჩვეულებრივად, ყოველ დღე ვისმენთ რადიოთი ან პატეფონებით.

წარმოდგენა კი სოფ. უდეში პირველად 1919 წლის ზამთარში დაიდგა მენშევიკი ახალგაზრდობის მიერ.

რაც სკოლის შენობაში დადგეს “არშინ მალალანი” და “აშილ ყარიბი”. უმთავრეს როლებში გამოვიდნენ მღვდელი ტერ-თომას ქალიშვილები და ვაჟი ანტონი, ნენეთ პავლე - მაისურაძე პაული, პეტიკო ფარცალაშვილი და სხვა. სოფ. უდის კულტურული აყვავება დაიწყო 1924-1925 წლებიდან. სოფელში მეფის რუსეთის ბატონობის დროს 1892-1893 წლებში გაიხსნა დაწყებითი ოთხკლასიანი სკოლა, სადაც სწავლა მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფელში არც რუსი მოსახლეობა იყო და არც რუსი მასწავლებელი. ეკლესიასთან ქრისტიანი მშობლები თავიანთი ბავშვებისათვის ქართული ანბანის სწავლებას ცდილობდნენ. დიაკვანი ყოველ მოწაფეს ბრტყელ ფიცარზე უწერდა ანბანსა და ბავშვს ეს ფიცარი თოკით კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ის დიაკვანი, რომელიც წლის ბოლოსათვის ანბანს შეასწავლიდა ზეპირად, კარგ დიაკვნად-ოსტატად ითვლებოდა. ასეთები იყვნენ: ობოლათ ოსეი - ყაბაოსე, მუშო - ობოლათ ვენა - იოანე, ჰაკოთ პავლე - თუმანიშვილი პავლე, ჭალაშვილი იოსები - ბუდოთ ოსეი, სარაშვილი ჰელა - კუნტი ჰელა და სხვა.

მუსლუმანი მშობლები კი მოლასთან ასწავლიდენ ბავშვებს მთელ ანბანსა და უცხო ენაზე - არაბულად - ლოცვებს. წერა-კითხვა ათასში ერთმა თუ იცოდა, ისიც, მცირე მცოდნე იყო.

რელიგიური თვალსაზრისით, მუსლუმანები ზოგ რუსულ სკოლას არამცთუ პატივს არ სცემდენ, არამედ სძულდათ. სოფ. კახარეთში მცხოვრებთა შორის ერთი ახალგაზრდა ადო ბეგი თბილისში რუსულ სკოლაში აღზარდეს. ზამთარში 1911 წელს, როცა ჩამოვიდა სოფ. კახარეთში მშობლების სანახავად, თავზე რუსული შაფხა<sup>73</sup> ეხურა. აი, ამის გულისათვის ყმაწვილი მოჰკულეს გზაზე, რადგან მან “უდალატა” მუსლუმანობას და შაფხა

73. შაფხა - შაპკა(რუსულიდან)

დაიხურა. მთელ ახალციხის მაზრაში იმ წელიწადს ეს იყო სალაპარაკო საგანი, რომ “მადლობა ღმერთს, მოიცილეს ეს “ურჯული”-ო. ცხადია ამის შემდეგ ვინ გაბედავდა მსგავსი შაფხის დასურვას და რუსულის სწავლას.

1924 წელს განსვენებული ვანო მერაბიშვილის, პრუსია ვანოს ინიციატივით სოფ. უდეში გაიხსნა შვიდწლედი, რომელიც 1925 წლისათვის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად გადაკეთდა. ედო სარაშვილისა და გიგო მამულაშვილის ინიციატივით 1937 წელს, ეს სკოლა საშუალო სკოლად გადაიქცა, რომლის პირველი გამოშვება 1940 წლის ზაფხულში მოხდა. ჩემდა საბედნიეროდ, 1939-1940 სასწავლო წელს ამ სკოლის ქართულ კლასებში ისტორია-გეოგრაფიის გაკვეთილებს მეხუთე-მეათე კლასებში მეც ვასწავლიდი.

## ზღაპრეპი

ჩვეულებრივად ზღაპრების მოყოლას ასე იწყებენ ჩვენში: “იყო და აღარ იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ” ზღაპრები კი ასე თავდება - ბოლოვდება ხოლმე: “ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ქბილი აქა”

## ათაშვარა

“იყო ბრძენი და ხნიერი სამართლიანი მეფე, რომელისაც ჰყავდა შვიდი ვაჟიშვილი. სიკვდილის ჟამს მეფემ დაიბარა შვილები, მისცა რჩევა-დარიგებანი და დასტოვა ანდერძი: შვილებო, ყოველ მიმართულებით იარეთ და აღმოსავლეთისკენ აღარ წახვიდეთო. პატივცემული მშობლის სიკვდილის შემდეგ ყოველი ძმა დამოუკიდებელი გახდა. ყველაში გაიღვიძა ინტერესმა, იმისა, რომ აღმოსავლეთში ენახა ის საინტერესო, რაც ასე მკაცრად აუკრძალა მომაკვდავმა მამამ. პირველად აღმოსავლეთისაკენ გალაშქრება მოაწყო უფროსმა ძმამ. თავისი ლაშქრით გაიარა მამის ყოფილი საზღვრები. უცხო ტერიტორია უნიყლო უდაბნოს წააგავდა. ყველაფერი დამწვარი, განადგურებული იყო ამ უცხო ტერიტორიაში ერთი დღის სიარულის შემდეგ შორს, ჰორიზონტზე გამოჩნდა შავი ღრუბლის ლაქა, რომელიც თან მოდიოდა და თან მსხვილდებოდა და შავდებოდა. ბოლოს დაჰფარა მთელი ცა და დაუწყო ჯერ ფერფლის ყრა, რომელიც შემდეგ ცეცხლის წვიმად გადაიქცა და გაანადგურა არე-მარე. ხელმწიფის ამაყი შვილის ლაშქრიდან არავითარი ნიშანთვისება აღარ დარჩა.

გავიდა დღები, კვირები და თვეები, მაგრამ უნცროსმა ძმებმა ვერაფერი ამბავი შეიტყვეს უფროსი ძმის ლაშქრობის შედეგების შესახებ. უფროსი ძმის საძებნელად მთელი თავისი ძალებით გაილაშქრა შემდგომმა ძმამ, რომელსაც ასევე უფროსის ბედი ეწვია. ასე შემდგომ. ექვსმა ძმამაც უგზო - უკვალოდ, უამბოთა და უნიშნოთ დაიკარგენ. მეშვიდე შვილმა ყველაზე უნცროსმა ძმამაც შეაგროვა თავისი ძალები და გასწია აღმოსავლეთისაკენ, საიდუმლოებით სავსე მიდამოებში, იქ, სადაც მისი უფროსი ექვსი ძმა უკვალოდ გაქრნენ. აი, ამ ადგილებში განმეორდა უფროსი ძმების თავგადასავლები, მხოლოდ, ამ უნცროსმა ძმამ ცოტა ადრე იღონა და თავისთვის საიმედო ადგილას, კლდეების ღრმა ღრუებში თავი შეაფარა და ამით გადარჩა ცეცხლმფრქვეველთა სისასტიკეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ცა გაიწმინდა. თავისი ამალიდან არავინ არ იყო დარჩენილი. სასტიკად დამარცხდა მეშ-

ვიდე ძმა, შვიდივეს სურდა რალაც არაჩვეულებრივის ნახვა, არ დაუჯერეს საკუთარ მამას. უსაზღვრო ნაღველიანმა უნცროს-მა ძმამ მარტოდ მარტომ განაგრძო თავისი მოგზაურობა კვლავ აღმოსავლეთისაკენ. შვიდი დღე და ღამის სიარულის შემდეგ მი-უახლოვდა უღრან ტყეს, რომლის შუაში დაინახა ორსართული-ანი თეთრი სახლის ბუხრიდან ცისაკენ წაგრძელებული კომლის სვეტი.

ეს იყო მესამე უფროსი დევქალიშვილის ბინა, რომლის აღ-მოსავლეთით შუათანა დის სასახლეც იდგა და უფრო აღმოსავ-ლეთით კი სულ უნცროსი დის სასახლეც იდგა. აი, ამ უნცროსი ქალიშვილ-დევს სძულდა ადამიანიშვილები და თუკი მის ტერი-ტორიაზე ფეხს დაადგამდა ადამიანიშვილი, ის შეახტებოდა თა-ვისი მარეს, სადაც ადამიანის ფეხი მოხვდებოდა ნაცარ-ტუტად აქცევდა ხოლმე.

დასავლეთით მცხოვრები უფროსი დები ძალზე უკმაყოფი-ლონი იყვნენ თავიანთი უნცროსი დის ამ მოქმედებითა, რად-განაც, მას შემდეგ რაც მან შეისწავლა ამ საკვირველი - ცეცხ-ლმფრქვეველ ცხენზე ჯდომა, აი, ამის შემდეგ უფროსმა დებმა არ იციან ადამიანის ხორცის გემო. დიდი ხანია მრავალჯერაც ითათბირეს, მაგრამ გამოსავალი არსად არა სჩანდა.

მეფის შვილმა შორიდან ორსართულიანი შენობა დაინახა თუ არა, მიიშურა იქითკენ. თავისი ამალის მოსპობის შემდეგ, აი, ერ-თი კვირა გავიდა და მას ჯერ ადამიანის შვილისათვის ხმა არ გა-უცია და არც მოუსმენია ადამიანის ხმა.

ორსართულიანი თეთრი სახლიდან შემთხვევით გაიხედა სახ-ლის პატრონმა, დევქალმა. მისდა საბეჭინეროდ გამოჩნდა ადა-მიანისშვილი, რომელიც თავისივე ფეხით მოდიოდა მისკენ. დევ-ქალიშვილმა გაიწმინდა კბილები, ღმერთს მადლობა გადაუხადა და გასწია ადამიანის შვილისაკენ, მის საჭმელად. მეფის შვილი დაქანცული და მშიერი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად წყუროდა სასტიკად. ბევრი სიარულისგან მუხლები აღარ ემორჩილებოდა. დევებზე კი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და არც კი ეშინოდა. მე-ფის შვილმა შეამჩნია, რომ ვიღაც ქალი ელვის სისწრაფით მოქ-

როდა ტყეში მყოფი სასახლიდან. ვაუს გაეხარდა, აი ეხლა მეშველაო. ჯერ მეფის შვილამდე ას ნაბიჯზე მეტი გზა იყო, რომ მეფის შვილმა ამ ქალიშვილს შორიდან მიმართა: ბატონიშვილო, ერთი ყლინტი წყალი მითავაზეთო! რატომძაც ამ საიდუმლო წინადადებით გადაურჩა მეფის შვილი შესანსვლას.

- ეხ, ადამიანიშვილო, ნეტავი ეს სიტყვა აღარ გეთქვაო, რამდენი წელიწადია ადამიანის ხორცის გემო დაგვავიწყდაო! - და სტუმრად წაიყვანა თავის სასახლეში.

- ჩვენში, დევებში ჩვეულება გვაქვს, რომ თუ ადამიანმა წყალის ან პურის თხოვა მოგვასწრო, იგი შეჭმას გადარჩებაო, სთქვა დევის ქალიშვილმა და მეფის შვილი წყლითაც და საჭმლეთაც დააკმაყოფილა. სადილობის შემდეგ ბალკონზე გამოსულებმა ერთი მეორის თავგადასავალი და ვინაობა გაიცნეს.

დევის ქალიშვილი იყო ტანად უზარმაზარი, სახით შავგვრიმანი და მიმზიდველი, სტუმართმოყვარე. მისი ქონებას შეადგენდა ხუთი ათეული საქონელი, ორი სამ დღის სავალი ტყე და მასში მყოფი გარეული ცხოველები.

მეფის შვილი ახალი ჯვარდანერილი იყო მისსავე მეზობელ მეფის ქალიშვილზე, საშუალო ტანის, შავთვალწარბა. მეფის შვილზე ზედვე შერჩენდა მეფური ტანთსაცმელი და საბრძოლო იარაღები, რომელიც ძალზე ამშვენებდა ისედაც ლამაზ მეფის შვილის ვაჟკაცობას.

ერთი მეორის გაცნობის შემდეგ მეფის შვილისათვის გასაგები გახდა ის რაც იცოდა მამამისმა და რატომ მომაკვდავმა მამამ აუკრძალა შვილებს აღმოსავლეთისკენ ლაშქრობა.

დევქალიშვილმა მეფის შვილს ასეთი წინადადება მისცა: “მე გასწავლი იმ ხერხებს, რომლითაც შენ შეგიძლია დაიმორჩილო ცეცხლისმფრქვევი ჩემი უნცროსი და. თუკი მას შეირთავ, შენ იქნები უბედნიერესი და უძლიერესი არსება მსოფლიოში, მხოლოდ ნუ ერჩი ადამიანებს, რომ ჩვენც ხანდისხან ვიგემოთ ადამიანთა ხორციო. ახლა წადი ისევ აღმოსავლეთით, ორი დღის სავალზე შეგხვდება ჩემზე უნცროსი, ჩვენი საშუალო და. ის, როგორც მე, დიდი ხანია ადამიანის ხორცს მოკლებულია და ისეთივე სისწ-

რაფით მოვა შენი საჭმელად. ეცადე, რომ სწრაფად მოსთხოვო წყალი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეგსანსლავსო. მეფის შვილმა დარიგების მიხედვით მოიქცა და გადარჩა შესანსვლას. გააცნო თავისი ვინაობა და მისი უფროსი დის აზრი, რომ მე გამადონ სიძედ. მეფის შვილი ორ-სამ დღეს დარჩა საშუალო დასთან სტუმრად. საშუალო დამ სასიძოს აუხსნა შემდეგი ხერხი, რომლითაც სასიძომ უნდა დაიმორჩილოს და შეირთოს უნცროსი დევქალიშვილი, ცეცხლის მფრქვევი.

- ჩვენ უნცროს დას, ცეცხლისმფრქვევს ჰყავს მფრინავი ცხენი, - მოჰყვა საშუალო დამ, - ოცი წელია ეს ცხენი შეიძინა ქაჯებთან ბრძოლების შედეგად.

როდესაც რომელიმე ადამიანი ფეხს დაადგამს ჩვენს ტერიტორიას, მფრინავი ცხენი იგრძნობს ამას და იჭიხვინებს. ჩვენი უნცროსი და მაშინათვე შეჯდება ცხენზე, იფრინავს ყველგან, სადაც იშვიათი. იქვე ცეცხლს დააწვიმებს იმ არე-მარეს, ნაცარტუტად გადააქცევს და დაპრუნდება თავის სასახლეში. კვირა დღეებით მას ჩვევია სასახლის მეორე სართულიდან თმების დავარცხნა. აი, შენ ორი ლურსმანი, ამით შენ მისი თმები უნდა დააჭედო კედელზე, სხვა რამით მას ვერ დაიმორჩილებო. კვირადღით, მზის ამოსვლისას ის მუდამ დაიარება საზღვრების მიდამოებში. შეეცადე, რომ ამ დროს შეხვიდე ცხენის ბაგას ქვეშ - ე.ი. იქ, სადაც ცხენი საკვებს იღებს, და იქ, სადაც დაბმულია. საზღვრების დათვალიერებიდან როცა დაპრუნდება, ცხენს დააბამს ბოსელში, თვითონ ავა სასაუზმედ. აი, ამ დროს შენ მოეჩვენე ცხენს. ცხენი აჭიხვინდება, ქალიშვილი ისევ შეჯდება და დაიწყებს მთელ ტერიტორიაზე ძებნას, თუ სადაა ადამიანი. დაალლილი ისევ დაპრუნდება, ცხენს დააბანს და ისევ ავა სასაუზმედ. შენ ისევ მოეჩვენე ცხენს. ის ისევ გაიმეორებს ფრენას და მესამე ჯერზე ის ცხენს სილას დაარტყამს, რითაც ცხენი გაიბუტება და დაიწყებს ტირილს. ამის შემდეგ რომ მოეჩვენო ცხენს, ის აღარ იჭიხვინებს. აი, ახლოს თმებგაშლილი იქნება ჩემი და და, აი, ამ ორ ლურსმანით მარდად დაჭედე ორთავე ნაწნავი კედელზე. მოსთხოვე მორჩილება, აუხსენი ჩვენი თანხმობა, რომ შენი თავი

სიძედ გვინდა, ნაწნავები მოხსენი თუკი მამის სულს დაიფიცებს.

სასიძო მეფის შვილმა ზუსტად შეასრულა დარიგება და ცეცხლმფრქვევი დევის უნცროსი ქალიშვილი შეირთო ცოლად. თავი მიანებეს ცეცხლისმფრქვევობას. ცოლი სახლის საქმეებით იყო გართობილი. ხან კერავდა, ხან რეცხვავდა და ამშვენიერებდა სასახლეს. ქმარისათვის გასაგები იყო, რომ სასახლისათვის რაიმე ავეჯი ან მორთობილობა საკმარისი იყო და მხოლოდ მფრინავი ცხენით სანადიროდ დადიოდა ხშირად. მხოლოდ ორნი იყვნენ ამ ვეებერთელა სასახლეში, რაც ხანდისხან მოწყენილობას იწვევდა, განსაკუთრებით ქალში. მაგრამ მაინც თავს ბედნიერად თვლიდა. ამათგან სამხრეთით, ცხრა მთის იქით არსებობდა ძლიერი მეფე - ინდოსტანისა. მეფე უცოლო იყო. მეფეს ბევრმა ბევრი რჩევა-დარიგება მისცა, თუ ვინ შეერთო. ბოლოს ერთმა მონადირემ ურჩია, რომ შეერთო დევის ულამაზესი ცეცხლისმფრქვევი ქალიშვილი.

მეფემ დალალებს გამოუცხადებინა, ვინც მას ცეცხლმფრქვევს მომიყვანს, მისი წონის ოქროთი დავაჯილდოვებ. აი, აღმოჩნდა კუდიანი, მოხუცი ქალი, რომელმაც იკისრა ამ საშიში საქმის შესრულება. ის ჩაჯდა თავისი თალისმიან ჭურში, იქნია ბოლო, აფრინდა ჭური და ჩაჯდა ცეცხლმფრქვევ ქალის სასახლის ახლო-მახლოდ. კუდიანმა დედაბერმა გამოიცვალა სახე - გახდა ახალგაზრდა ქალიშვილი. ცოტაახნის სიარულის შემდეგ იგი შეხვდა მეფის შვილს, რომელიც სანადიროდ დაფრინავდა აქაურობაში. კუდიანმა გააცნო ამ ქალის ვინაობა, თავისი თავი კი გაუსაღა ობოლ ქალიშვილად. მეფის შვილმა წინადადება მისცა, თუკი ის მისი ცოლი იქნება - ე.ი. გოგოდ იმუშავებს, მას უხვად დააჯილდოობდა. კუდიანსაც ეს უნდოდა. მეფის შვილმა გოგო აიყვანა ცხენზე და წამოიყვანა სასახლეში. ცხენი შფოთავდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. გააცნო ერთი მეორეს ეს ახალი “მეგობრები” და ორთავენი ძლიერი კმაყოფილები დარჩენ. პატარძალს მოსამსახურე გაუჩნდა და დიდათ განთავისუფლდა საშინაო საქმეებისაგან.

მეფის შვილი ისევ ნადირობით იყო გართული, ქალები კი ერთფეროვან, მოსაწყენ საქმეებით ბეზრდებოდენ.

გადიოდა დრონი და მათი მდგომარეობა კი არ იცვლებოდა. ერთ დღეს, როდესაც ქმარი სანადიროდ წასულიყო, ქალბატონმა უბრძანა, ცოტაოდენი ვისეირნოთო. კუდიან დედაბერსაც ეს უნდოდა. გავიდენ სასახლიდან. ცოტათი სიარულის შემდეგ - "გოგომ" ბოდიში მოითხოვა, თქვენ თუ დასალევ წყალს მოითხოვთ მე რით უნდა დაგალევინოთ? დაიწყევლა თავისი თავი და იკურცხლა სასახლისაკენ ოქროს კრუშკის მოსატანად (მაშრაფის).

სასახლეში კედელზე ეკიდა ხმალი. თუკი ამ ხმალს ამოილებდი ქარქაშიდან, მეფის შვილი უსულოდ დარჩებოდა. აი, კუდიანმა ეს იცოდა. ამოილო ხმალი ქარქაშიდან და შორს ისროლა. აილო ოქროს მაშრაფა და სირბილით დაეწია ქალბატონს. კუდიანმა ქალბატონი ბევრი ატარა და მიიყვანა იმ ადგილას, სადაც მისი მფრინავი თილისმიანი ქვევრი იყო შენახული. მოგზაურმა ქალებმა აღმოჩინეს ეს ქვევრი და შიგ ჩაიხედეს. ნახეს ორი საუკეთესო ვაშლი. "გოგომ" ეს ვაშლები ვერ ამოილო, რადგან მხველი და უხეში რამ იყო. ქალბატონმა ჩაყო ხელი, რომ ამოელო ვაშლები. ამ დროს კუდიანმა თავისი ქალბატონს ფეხებზე მოჰკიდა ხელი და შიგ ჭურში ჩასვა. თვითონაც გამოიცვალა სახე და იქნია კუდი. დაიძრა ქოთანი და ცხრა მთის გადაფრენის შემდეგ ჩაჯდა ინდოსტანის მეფის სასახლეში. კუდიანმა დედაბერმა დევის ქალიშვილი ჩაბარა ინდოსტანის მეფეს და მიიღო აღთქმული თავისი წონის ოქრო.

გადიოდა დღენი. ქალბატონი არ თანხმდებოდა მეფის ცოლობაზე. ის ფიქრობდა, რომ მისი ქმარი მას უშველიდა და ამიტომ აჭიანურებდა. მეფე ნერვიულობდა. ქალბატონი ლელავდა. დევების სიძე კი არსად არ ჩანდა.

მეფის შვილის პირველი და მეორე დევის ქალიშვილების სტუმრობიდან გასვლის შემდეგ კარგახანი გასულიყო. უფროსმა დევქალიშვილებმა გადაწყვიტეს ენახულათ უნცროსი და და გაეგოთ მათი მოწყობილი გეგმების შედეგები. დიდი ხნის უნახავმა დებმა შესაფერისი საჩუქრებით ესტუმრენ უნცროსი ქალიშვილის სასახლეს, მაგრამ არც ქალიშვილი და არც მეფის შვილი არსად იყო. თავლაში ცხენიც არ იყო. სასახლის მიდამოების დათვა-

ლიერებისას აღმოჩნდა რომ სიძის ხმალი ქარქაშიდან ამოღებული და გადანასროლილი იყო სანაგვეში. ერთმა დამ ერთი მეორემ მეორე საქმეები გადაალაგა სასახლეში და ხმალის განმენდის შემდეგ ისიც ჩადეს ქარქაში. და გლოვა ტირილით დაბრუნდენ თავ-თავიანთი სასახლეებში.

ხმალის ქარქაში ჩადებისთანავე სიძემ სული მოითქვა. დაისრისა თვალები და ამოამთქნარა, რამდენს ხანს მიძინიაო. ადგომისთანავე მარდად ახტა ცხენზე. ცხენი, რომელიც 39 დღეა მის თავს დასტრიალებდა და თვალცრემლიანი მიწას თხრიდა წინა ფეხებით ალაპარაკდა “ჰეი, შენ უხასიათო ადამიანის შვილო, რატომ არ უკვირდები ამ ჩემი თვალებით შექმნილ ტბას? ნუთუ ერთჯერ ხელის წამოსმის ღირსი არა ვარ?” მეფის შვილმა მოინდომა ჩამოჯდომა, მაგრამ ცხენმა დაუმატა, “ისწრაფე, დღეს უკანასკნელი დღეა, ქალბატონს გართმევენო” და მოუყო ყველაფერი, რაც ხდებოდა მეფის შვილის ძილში ყოფნის დროს და ადრეც. “აქედან იქ დიდი საფრენი გზაა, - უთხრა ცხენმა. - შუაში ცხრა მთაა, ეცადე, დეზები ისე დამარტყა, რომ ორთავე ფერდებიდან სისხლი გამომივიდეს, რომ მაღლა ფრენა შევძლოო. თუ არა და შეიძლება შუაგზაზე მთებში დავრჩითო”.

მეფის შვილმა ცხენის დარიგებისამებრ ჰკრა დეზები ისე, რომ ცხენს ორთავე ფერდიდან სისხლი გამოუვიდა. აფრინდა, გაერია ღრუბლებში და ცხრა მთის გადაფრენის შემდეგ მივიდა იმ ქალაქში, სადაც იმყოფებოდა მისი ცოლი.

მეფის შვილმა ესტუმრა ვიცლა ღარიბ დედაბერს და ამ ქალს სთხოვა, აი, ჩემი ბეჭედი, რაიმეფრად სასწრაფოდ უნდა აჩვენო მეფის საცოლესო და უხვ ჯილდოს მიიღებო. დედაბერმა შეძლო ამ ბეჭედის ჩვენება მეფის საცოლესათვის.

დედაბერმა მეფის შვილს მოუტანა ამბავი, რომ მეფის საცოლეს ორმოცი დღეა მეფეს ასეთი წინადადება მოუცია: თუკი ქალაქის ერთ-ერთ თავისუფალ უბანში მარმარილოსაგან ააშენებს აბანოს, აი, ამ აბანოში ვიბანავებ და მის შემდეგ კი დაგემორჩილდები. მეფემ ის აბანო ააშენა და მისი საცოლე დღეს იქ უნდა იბანავოს. ქმარს შემოუთვალა, გზის ნაპირზე ქვაზე ასულ მდგო-

მარეობაში დამიცადოს და გადმოხტეს ჩემს ცხენზე და წელზე მაგრად მომკიდოს, თორემ გვიანი იქნებაო!

ასეც მოხდა. მეფის საცოლე წავიდა აბანოში, იბანავა და მობრუნების დროს, დევქალის ქმარის დარიგებისამებრ, გზის ნაპირზე ავიდა მაღალ ქვაზე და მისი ცოლი თავისი ცეცხლის მფრქვევ ცხენით გამოვლის დროს ახტა ცხენზე, ორთავე ხელებით მაგრად მოეხვია საყვარელ ცოლს, ცოლმა ჰკრა დეზები და აფრინდა ცის პირველ სართულზე. იტრიალა ამ ქალაქის ირგვლივ სამჯერ და დაუწყო ცეცხლის დაწვიმება ისეთი სიმკაცრითა, რომ ერთი საათის შემდეგ ქალაქი ნაცარტუტად იყო ქცეული, რის შემდეგაც გადაფრინდენ ცოლქმარნი ძველ სასახლება და განაგრძენ ტკბილი ცხოვრება.

ქატო იქა, ქბილი აქა, ჭირი იქა, ლხინი აქა.

ნაამბობი კოსტა კოპაძესი, 66 წლის კოლმეურნე.

### ორი ძმანი

იყო და აღარა იყო რა, ღმერთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი ქვრივი ქალი, რომელსაც ჰყავდა უფროსი და უნცროსი შვილები. უფროსი შვილი ნორმალური ჭკვუისა იყო, უნცროსი კი ჭკვაზე ცოტა აფრაკად იყო - სულელი. ამათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი ძროხა, ისიც შავი, ურქო და კუდა იყო. თანახმად დედის დარიგებისა, უფროს შვილს ვაჭრობა, თესვა-მომკა, ბალის მოვლა ევალებოდა, აფრაკას კი - ძროხის ძოება, წყლის მოტანა, შეშით მომარაგება. დედა კი საშინაო საქმეებს განაგებდა.

ერთ-ერთ უბედურ დღეს შვილებს მოუკვდათ დედა. ნათესავ-მეზობლების დახმარებით დამარხეს დედა. სახლი დარჩა უუფროსოდ. აფრაკ ძმას ხან ადრე, ხან გვიან მიჰყავდა ძროხა საპალახოდ. ერთ დრეს საძოვარზე მყოფმა უნცროსმა ძმამ ძროხა სვეტან მიაბარა. მიაბა და თვითონ ამხანაგებთან სათამაშოდ წავიდა. ძროხა მგლებმა შეჭამეს. მეორე დღეს მოაგონდა, რომ ძროხა მიბარებული ჰყავდა სვეტისათვის და წავიდა მოსაყვანად, რადგან დღეს ქალაქში წასული ძმა მოსასვლელი იყო. წავიდა იმ სვეტთან, მაგრამ ძროხა აღარ იყო. სვეტო, რა უყავი ჩემი

შავკუდაო? გაჰყიდე განა? ხმა არ ისმოდა. გულმოსული აფრაკი წავიდა სახლში, მოიტანა ნაჯახი ე.ი. პატარა ცული და ძირფეს-ვიანად ამოთხარა ხე სიბრაზით. ხის ძირიდან ორი ქოთანი ოქრო გამოვიდა. აფრაკმა ერთი ქოთანი - ხურჯუნის<sup>74</sup> ერთ თვალში, მეორე კი მეორე თვალში ჩაყარა და გაუდგა სახლის გზას. ამასო-ბაში დაღამებულა. მთვარის სინათლე აკაშკაშებდა დედამიწას. უცბად უკან გაიხედა, ჩრდილი გამოჩნდა. რაო, შენც გაიგე რომ ოქრო მაქვს განა? აპა, ჩაიკვნეს და გაეთრიეო, ერთი ჭაჭვი ოქ-რო ამოუგდო და მისცა თავისი ჩრდილს, რომელიც მათხოვარი ეგონა. ამ “მათხოვარს” მრავალჯერ მისცა ოქრო, ისე რომ სახლ-ში მოსვლამდე ხურჯუნის ერთი მხარე გაცალიერებული იყო. ქა-ლაქიდან მეორე დღეს დაბრუნებულმა უფროსმა ჭკვიანმა ძმამ ხურჯუნის ერთი თვალი ოქროთი სავსე რომ დაინახა, შემინდა, რომ აფრაკმა ალბათ რაიმე უბედურება დამართა, გაჰყიდა ყვე-ლაფერი და გაექცა იქაურობას. შვიდი დღე და ღამე იარა და ბო-ლოს მარტოდმარტო შეეხიზნა ტყეში, ერთ სასახლეს. ამ დროს აფრაკი ძმაც დეენია. ამ სასახლეში არა კაცი არ იყო შიგ. ბოლოს ერთ სახლში ავადმყოფი მწოლიარე დედაბერი დახვდათ. უფროს-მა ძმას გაუნდო თავიანთი ვინაობა და სამშობლოდან გამოქცევის მიზეზები. დედაბერმაც უთხრა, რომ მე ვარ შვიდი დევის დედა და ისინი მალე მოვლენო. ძმებს შეშინდათ დევებისაგან, რომ არ შეგ-ვჭამონო. დედაბერმა ისინი ცალკე ოთახში შეინახა. როცა შვიდნი ძმანი დევნი მოვიდნენ, ჰეთხეს: დედა, ადამიანის შვილის სუნია სასახლეში? კი შვილებო, მაგრამ მე ისინი ვიშვილეო და გააცნო იმათი თავი დევებს და ისინიც გახდენ დევების ძმანი.

ყველას ჰქონდა თავისი საქმე. აფრაკ ძმას მისცეს დედაბ-რისათვის მოვლა-სამსახურის საქმე. ეს უნცროსი ძმა აფრაკაი დედას მონდომებით უვლიდა და ემსახურებოდა მწოლიარე დე-დაბერს. ერთ დღეს იფიქრა, დედაბერს ფაფა ეყვარება, რადგან რბილია და ღეჭვა არ სჭირდებაო და დაამზადა ფაფა დიდი რაო-

<sup>74</sup>ხურჯუნი - ხურჯინი (დიალ.)

დენობით ერბოც დაადნო და მძინარე დედაბერს გალებულ პირში ერთბაშად ჩაუსხა. ამით დედაბერმა სული ღმერთს ჩააბარა და პირისახე დალრეპჯილი დარჩა. აფრაკას ეგონა, რომ ჩემ დედობილს ძალზე ეამა ერბოს ჭამა და ახლა ფაფასაც თხოულობსო და ძალით ჩატენა ცხელი ფაფაც.

რამოდენიმე ხნის შემდეგ იფიქრა, სანამ ძმები მოვლენ, მანამ კარგად დავბან ჩემს დედობილსო და ადულებულ ქვაბში ჩასვა, “დაჰპანა” და ისევ დააწვინა ლოგინში.

რატომლაც დღეს აფრაკის უფროსი მშიშარა ძმა უფრო ადრე მოსულა სამუშაოდან, ვიდრე დევის შვილები. მოსვლისთანავე, როცა დაინახა, რომ დევების დედა მკვდარია, დალრეჯილი და მთელი ტყავიც ლოპოდ იყო გადაქცეული, შეშინებულმა ხელი მოჰკიდა აფრაკას და უთხრა, სანამ დევის შვილები მოვიდნენ, თავს ვუშველოთო და გასწიეს გაურკვეველი მიმართულებით ისე, რომ დედის შვილებმა დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერ მიაგნეს.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ქბილი აქა. ამინ!

შაპეაზ აბულაძეს ნაამბობი, 54 წლის კოლწევრი

### მამის ანდერძის ნინეალმდეგ

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რაღა იქნებოდა, დროის ერთში ერთ მოზრდილ სოფელში იყო ცნობილი ექიმბაში, ლომანოზა. ლომანოზას იცნობდა შორეულ სოფლების ადამიანებიც. იგი იმდენად ჭკვიერი იყო, რომ ვისაც თავი სტკიოდა, ვისაც რაიმე ცხოვრების გასაჭირი ჰქონდა, ყველა ლომანოზასთან მოდიოდა რჩევა დარიგებისათვის.

ლომანოზა ხანში შესული იყო და სიკვდილის კარზე იდგა. ლომანოზას ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, რომელიც ახალგაზრდობის გამო ჯერ არ იყო დასახლებული. ლომანოზამ ანდერძი დაუტოვა შვილს, რომ “ახალ მოსახლისაგან ვალს და ზარმაციო ოჯახიდან ქალს ნუ აიყვანო”. შვილმა მამის სიკვდილის შემდეგ ბევრი ფიქრის შემდეგ დაადგინა, რომ განზრახ მინდა დავამტკიცო მამაჩემი მართლაც ბრძენი იყო თუ არა და შეირთო ღარიბის ქალიშვილი. ქორწილისათვის ისესხა ახალ მოსახლისაგან ფული.

არაფერს არ ამჩნევდა. ბრძენი ექიმბაშის შვილმა ვერ მოითმინა და ერთ დღეს გადაწყვიტა, მოეკლა ცხვარი, შეენახა საბზელში და ცოლი გაეშინჯა. “ცოლო, კაცი მომიკვდა ხელში, ტომარაში ჩავაგდე და საბზელში შევინახე. არ გაგიწყრეს ღმერთი და არა-ვისთან არ ილაპარაკო”. ცოლმა თანხმობა მისცა. ამ საიდუმლოებას არავის არ ვეტყვიო.

მეორე დღეს, მზის ამოსვლამდე ჯერ დედასთან წავიდა და შემდეგ მეზობლები ინახულა, დაბრუნდა თუ არა სახლში, ისევ ვერ მოითმინა ცოლმა და ცალი კასრი ცალი კოკა აიღო და წყაროზე წყლის მოსატანად წავიდა. ჯერ რამოდენიმეს თავისი რიგი მისცა ზრდილობისათვის, რადგან ეს პატარძალია. ბოლოს ღრმად ამოიხრა ისე, რომ შესამჩნევი გახდა მისი ამოოხრება. ჰკითხეს თუ რაშია საქმე, რატომ ხარ დალვრემილიო? თუ არავის არ ეტყვით, გეტყვითო. ყველამ ერთ ხმად პირობა მისცა. ზოგ-მა დაიფიცა კიდევაც, რომ არავის არ ეტყოდენ. სწორედ დედაც ასე დააფიცა და მეზობლებიც, რომ არავის არ ეტყოდენ და ახლა, ამათი ფიციც რახან დასაჯერებელი გახდა, მოუყო. თუ ღმერთი გწამთ, არავის არ უთხრათ და არ დაგვლუპოთო. მაგრამ გუშინ ყანაში ჩემს ქმარს ხელში კაცი შემოაკვდა, მანაც შეშინებულმა ჩადო ტომარაში და ჩვენს საბზელში შეინახაო. მრავალმა მრავალნაირად იფიქრა და იმსჯელა. შუა დღესას მეფემ გამოგზავნა იასაულები, ექიმბაში ლომანოზას შვილი და მის საბზელში ტომარაში მყოფი მკედარი კაცი მომგვარეთო. მეფის კაცებმა ხელად შეასრულეს მეფის ბრძანება.

მეფემ ჰკითხვა ლომანოზას შვილს, სადაა კაცი, რომელიც მოჰკალიო? ლომანოზას შვილმა უპასუხა: ყველა თქვენთაგანის-თვის ცნობილმა მამაჩემმა ანდერძი დამიტოვა, ზარმაცი ოჯახის ქალიშვილს ნუ შეირთავ და ახლად დასახლებულისაგან ვალს ნუ აიღებო. მამაჩემის სიტყვის დასამტკიცებლად ტომარაში, რომლის პირიც შეკერილი მქონდა, ჩავდევი შიგ ცხვრის ხორცი და ზარმაცი ოჯახისაგან შერთული ჩემს საყვარელი ცოლის შემოწმებისათვის იგი მოვატყუეო. აი, ეს მინდოდა, თუ რამდენად მართალი იყო მამაჩემი. აი, ეხლა სასახლის გარეთამდე კარებამდე

მომყვა იმ ახალ დასახლებულმა მეზობელმა, რომლისაგანაც საშინჯელად ავიღე ვალი და როცა გაიგეს, რომ მე მიჭერდენ, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ყველაფერი მქონდა მისი ვალის გასასტუმრებლად, მან იარაღების წინაშე სული ყელზე მომიყვანა: მომეცი ჩემი ვალი და სადაც გინდა იქ წადიო, ე.ი. მან მე ერთ დროს, როცა მომყავდენ სამსჯავროზე, მაშინ კი არ დემეხმარა, არამედ ამტკიცებდა, რომ ვარ ნამდვილი ბოროტი, კაცის მკელელი და არამზადაო. აი, რისთვის ჩავიდინე მე ყველა ესაო.

მეფემ მოუსმინა, მოუწონა ამ ახალგაზრდას შინჯვის გზები და გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ქბილი აქა. ამინ!

ისა ჩილაშვილის ნაამბობი 62 წლის კოლმეურნე

### განვრთნა მთავარია თუ შთამოავლობა - ჯიში?

იყო და აღარა იყო რა, ლმერთზე უკეთესი რაღა იქნებოდა! იყო ერთი ჭალარა, დარბაისელი, ბრძენი, პატივმოყვარე, დიდებული მეფე. იგი ყოველ კვირას მოიწვევდა თავის მრჩევლებს და რომელიმე სადაო საკითხს გაარჩევინებდა ხოლმე.

აი, დღესაც მის სასახლის საკრებო დარბაზში მოგროვილი იყო ყველა ვეზირი და სწავლულები. მეფემ ამ კრებას ასეთი შეკითხვა მისცა: განვრთნა ჯიშს დაიმორჩილებს, თუ ჯიში განვრთნას? უმრავლესობამ გამოსთქვა აზრი, ჯიშს დასძლევს აღზრდა - გამოწვრთვნაო. უმცირესობა ჯიშის პირველობის თვალსაზრისზე იდგა.

მეფემ კიდევ ერთი კვირა წება მისცა კამათის გაგრძელებისა. დისკუსია გაგრძელდა მეორე კვირასაც. ერთმა სწავლულთაგანმა კრებას სთხოვა მესამე კვირის დისკუსია ჩემს სახლში განვაგრძოთ და პრაქტიკულად დარწმუნდებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია აღზრდასაო. ერთმა მოწინააღმდეგთაგანმა გაუგო, რომ მას სახლში ჰყოლია გამოწრთვნილი კატა, რომლისთვისაც სუფრის გაშლა და აკრება უსწავლებიათ.

შემდგომი კამათისათვის ერთმა ვეზირ - სწავლულმა თავისი დარბაზი მოამზადა. დღეს კამათში გამარჯვების ერთადერთი

იმედი იყო მისი გამოწვრთნილი კატა. მან ამ კვირაში უფრო მეტად გააწვრთნა.

აი გათენდა კვირა დღეც. მეფის ამალამ დაიძრა დანიშნული ადგილისაკენ, სადაც უნდა გადაწყდეს ოთხი კვირის დისკუსიის შედეგები.

მეფის პირველმა ვეზირმა როცა გაუგო, რომ მონინაალმდეგე ვეზირს იმედი ქონდა კატის გაწვრთნილობით მოეგო საქმე, ამიტომ ამანაც დაიჭირა ერთი თაგვი, და ჩაიდო ყუთით ჯიბეში.

მივიდნენ დანიშნულ ადგილას. ყველამ თავ თავიანთ ადგილი დაიკავა. მეფემ გახსნა კამათი. მასპინძელმა სიტყვა აიღო და დაუძახა ოქროსფერ კატას. კატამ სტუმრებს სათითაო ჭიქა დაურიგა. სტუმრებს უსაზღვროდ გაუკვირდათ კატის მოქმედება. დაინტერეს კამათი. ყველა ამართლებდა აღზრდას, პირველობას ანიჭებდა. საკითხი დასასრულს უახლოვდებოდა. ყველაფერი გასაგები იყო. აბა ვის რა დარჩენოდა კიდევ, საამისოდ ეთქვა. განა არაა საკვირველი, რომ კატას ადამიანის მოვალეობა შეუსრულებია? მაშ გასაგები იყო, რომ აღზრდა მდგომილა ჯიშზე, რადგან კატის ჯიშმა თუ არ იცის ლაქიობა, აღზრდით შეიძლება დასძლიოს მის ჯიშს პასიობა და გახდეს სულ სხვა ვინემ მისი ჯიშია.

საჭმელი გათავდა. საკითხიც გადაწყვეტილსა ჰგავდა.

სწავლულმა თავმომწონედ უბრძანა თავის კატას: “აბა, ჩემი კატავ, დაალაგე სუფრა და ჭიქეულობა ისევ თავზე ტარებით წაიღეო”. კატას, როცა დიდ თევზზე დაწყობილი მრავალი ჭიქა მიჰქონდა, ამ დროს უფროსმა ვეზირმა ჯიბედან ამოიღო ყუთი და თაგვი გადაისროლა ისე, რომ კატას ენახა. კატამ, დაინახა თუ არა თაგვი, მიაგდო შუშეულობა და ყველა დაანტვრია. თვითონ კი გაიქცა თაგვის დასაჭერად. მიატოვა კრებული და დაუწყო დაჭერილი თაგვის ათამაშება. ამ დროს უთხრა უფროსმა ვეზირმა, აბა ვინაა კიდევ ჩემი აზრის წინააღმდეგი?

ამის მნახველმა მეფემ მოიწონა ვეზირის ოსტატურად საქმის მოგება და თვით მეფემაც დაიცვა ვეზირი შემდეგი დასკვნითი სიტყვებითო.

არ ჩვევია ჯიში მისი,  
არ შეჯდება მწყერი ხესა.  
ქატო იქა, ქბილი აქა.  
ჭირი იქა, ლხინი აქა.

77 ნლის მენისქვილე  
პაპა აზირაშვილის ნათქვამიდან

### ეროს კვერთხი

იყო და არა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაღა იქნებოდა, დრო-ის ერთში იყო ერთი მეფე, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს შემ-დეგი ახირებული განცხადება გამოაცხადა: ვინც ასეთ ტყვილს ილაპარაკებს, რომ დამარწმუნოს, ჩემს ოქროს კვერთხს ვაჩუქე-ბო, თუ არადა თავს მოვკეთავო. გამოჩნდა მრავალი მეტყვილე-ები, რომლებმაც იმსხვერპლა თავისი თავი და შვილები - ობლად, ცოლები ქვრივებად დასტოვა, მეგობრები კი - ნაღვლიანად. აღ-მოჩნდა მწყემსი, რომელიც სიღარიბით მობეზრებული იყო და გაჰქიდა მეფისათვის ტყვილის ლაპარაკი.

- ბედნიერო ხელმწიფევ, აი ქვევრი, რომელიც თქვენ წინაშე მომიტანია. ამ ქვევრით მამაჩემს ათი ფუთი ოქრო ჰქონდა შენა-ხული. განსვენებულ მამა თქვენს ათი ფუთი ოქრო დასჭირებია და მამა ჩემს ეს ოქრო უსესხებია მამა თქვენისათვისო.

მეფემ უარყო: ეს ხომ ტყვილია! მაშინ მწყემსმა მოუგო, თუ ეს ტყვილია მომეცი თქვენი ოქროს კვერთხიო. მოხდენილი ტყვილისთვისო, ეს ხომ თქვენი პირობა იყო და, რომ ვერ მომე-ხერხებია ტყვილის ლაპარაკი, ხომ უნდა მოგეკლა ჩემი თავიო.

ამით მწყემსმა მოუგო მეფეს ოქროს კვერთხი.

ჭირი იქა, ლხინი აქა.  
ქატო იქა, ქბილი აქა. ამინ!

79 ნლის კოლმეურნე ტეპკა  
გ ზირიშვილის ნაამბობი

## სამი ქაჩალი

იყო და აღარა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაღა იქნებოდა, დროის ერთში იყო სამი ქაჩალი, რომლებიც თავიანთი სიავითა და ტყვილებით მოსვენებას აღარ აძლევდენ მეზობლებს. სიავეში უფროსი ქაჩალი უნცროსებსაც აწუხებდა. ერთ-ერთ დღეს უფროსი ქაჩალი მოკვდა. დასაფლავებისათვის შვილმა ნისქვილში ერთი ტომარა ხორბალი წაიღო დასაფქვევად. ხელად იქ გაჩნდნენ უნცროსი ქაჩლები, ახალგაზრდას ურჩიეს, რომ მამის სულის საცხონებლად აქაც, ნისქვილშიაც პატარა პური უნდა ეჭმევიათ ხალხს. მოუტანეს ვეებერთელა, გობი ჩაუყარეს ქბილი, ჩაუსხეს წყალი და ცომი რბილი გამოვიდა. ნორმალური ცომის მისაღებად მოუმატებინეს ქბილი ჭარბად და ცომი მაგარი შეიქმნა. მოუმატეს წყალი და რბილი გახდა და ა. შ.

ისე რომ ყველა ქბილი ცომად გადააქცევინეს და დახარჯეს სულ. ახალგაზრდა სახლში ხელცარიელი დაბრუნდა. დედამ ურჩია, შვილო ჩვენი ხარი გაჰყიდე და ხარჯები ამით დავფაროთო. ბიჭმა ხარი წაიყვანა ბაზარში, სადაც ნაკლები ფასი მისცეს. აი, აქაც გამოჩნდა ორთავე ქაჩალი და ურჩიეს, თუ ხარს კუდსაც და რქებს მოაცილებდა, ხარი დიდფასად გაიყიდებოდა. ბიჭმა დაუჯერა და ხარს რქები და კუდი მოაცილა, რითაც ისევ აზარალეს და იცინეს.

ქაჩლები იმიტომ ემტერებოდენ ამ ახალგაზრდასა, რომ ამისი მამა მათ ყოველმხრივ ერევოდა და ჩაგრავდა.

ახალგაზრდამ გაუგო მათი გულისნადები. დედამისთან შეთანხმების შემდეგ აიღო საქონლის ნაწლავები, შიგ ჩაასხა სისხლი და დედამისს წელზე მოახვია. დაიპატიჟა ქაჩალი ბიძიები. ქეიფის მსვლელობაში დედამისს სთხოვა, დედა! მე დუდუკს დავკვრავ, შენც ითამაშეო, მინდა, რომ “ბიძიები” ვასიამოვნოო. დედამ უარი უთხრა თამაშზე, მოხუცებულობა მოიმიზეზა. შვილმა, ვითომდა გულმოსულმა, აიღო ხანჯალი და დედამის მუცელში გაუყარა. ადრე შეხვეულ ნაწლავებიდან სისხლი გამოვიდა. ქაჩლები კი ტკბებოდენ. ეგონათ, რომ ბავშვს დედა მოაკვლევინეს.

ახალგაზრდამ კი აიღო დუდუკი და დაიწყო დაკვრა. ამ ხმაზე მოხუცი ადგა და დაიწყო ცეკვა. ქაჩლებს ეგონათ, რომ ამ დუდუკ-შია რაცხა ძალა და ეს თილისმიანი დუდუკი ორი ხარის ფასადი იყიდეს. უნდოდათ, რომ დიდად პატივცემულ სტუმართან მოეკლათ ცოლები და სტუმრებისთვისაც და ცოლებისთვისაც ეჩვენებიათ ამ დუდუკის ძალა და ჯადოსნური სასწაული. აი, ასეც მოექცენ, ცოლებიც დახოცეს და სასამართლოსაც ათასნაირი უბედურობით გადარჩენ და თქვეს:

ამ ახალგაზრდას მამამის გადაუჭარბებია, საჭიროა მისი მოსპობაო. მის სახლში მოსვლისთანავე დაიჭირეს ეს ყმაწვილი, ჩასვეს ტომარაში, ტომრის პირი თოკით შეკვრეს, გადაიკიდეს ზურგზე და წავიდნენ დიდი მდინარის ღრმა ადგილისკენ ბიჭის დასახრჩობად. გზაზე მათ შეხვდათ მეცხვარე, რომელსაც მოპარეს კრავი, მისი შეწვისა და ჭამამდე ტომარაში მყოფი ბიჭი ახლო-მახლო ბალახებში დამალეს. იმ დროს, როდესაც ქაჩლები მეცხვარისაგან მალულად კრავის ხორცს მიირთმევდენ, ცხვრის ფარის ერთი ნაწილი შეჩერდა ერთ ალაგას, სადაც თურმე ტომრით ბიჭი იყო დამალული, ცხვრები დაფრთხენენ, მეცხვარე მივიდა, გახსნა ტომარა და აღმოჩნდა ბიჭი! ეს ყმაწვილი კი. ყვირდა: “არ მინდაა! მეფის სიძედ არ გავხდებით! მე სხვა მიყვარსს!” მეცხვარემ ჰკითხა: რას იძანი? რაშია საქმეო? ყმაწვილმა უთხრა: “თქვენ გინდათ, რომ მეფის სიძედ გამხადოთ? არ მინდა!”

ასეთი “არ მინდა-ს ძახილით მეცხვარემ დაარწმუნა, რომ მეფის კაცებს უნდათ ეს ყმაწვილი მეფის სიძედ გახადონ, ამ ყმაწვილს კი არ ნდომებია, რადგან მას თავისი საყვარელი ჰყოლია. მეცხვარემ უთხრა, მაშ შენს მაგივრად მე გავხდები მეფის სიძედ. შენ გამოდი, მწყემსი გახდი, მე წავალ შენს მაგივრადაო. ასეც მოხდა. ქაჩლებმა გაბრივებული მწყემსი გადააგდეს ღრმა მდინარეში და სიცილი მოაყარეს ქაჩლებმა, შენ თუ ცოლები მოგვაკვლევინე, არც შენ დარჩები ცოცხალიო. სინამდვილეში კი, ბიჭი მეცხვარის ტანისამოსში დადიოდა. რამოდენიმე დღე ქაჩლები დაიმალნენ, რომ პასუხი არ აგებინონ. რამოდენიმე დღის შეგდეგ ორთავე ქაჩალი წააწყდა მათ მეძებრს, რომელიც დახორჩო-

ბილი ეგულებოდათ. ჰკითხეს:

- შენ უფროსი ქაჩლის შვილი ხარ?

- კი, - უპასუხა ყმაწვილმა.

- მერე როგორ მოხდა და ცოცხალი გამოხვედი პირ-შეკრული ტომრის შიგნიდანო?

- არ ვიცი, რით უნდა გადაგიხადოთ თქვენი სიკეთე. იქ მდინარის ძირას თურმე ცხოვრობდა მეცხვარეთა მამამთავარი და აი მან მაჩუქა ეს ფარაო.

- შენ ხომ ჩვენი უფროსი ძმის შვილი ხარ, ქენ სიკეთე და ჩვენც გადაგვასროლე იმ ადგილას, ეგებ ამ სიღარიბეს გადავრჩეთო.

- დიდი სიამოვნებით, მაგრამ თანახმად ჩემი გაეხბისა, ის კაცი უხვი მოწყალეა იმათთვის, ვისაც პირშეკერილ ტომარაში დაინასავს.

- მაშ ჯერ მე ჩამსვი ტომარაში და გადამასროლე იმ მეცხვარეთა მამამთავართან.

- არა, არა. ჯერ მე, - მიუგო უნცროსმა ქაჩალმა. ამრიგად. ქაჩლების თხოვნისამებრ, ორთავენი ცალ-ცალკე ჩასვა ტომარებში, წააკერა ტომრების პირები და გადაისროლა მდინარის ღრმა ადგილას ცხვრის ფარის საშოვნელად. რითაც ეს ყმაწვილი გადარჩა ამ ორ ქაჩლის მუდმივი მტრობას.

ჭირი იქა, ლხინი აქა.

ქატო იქა, ქბილი აქა. ამინ!

45 ნლის კოლმეურნე პეტრე ტეპოს ძე აბულაძე  
ან აბულათ კანფეს ნაამბობი

### ოქროსტანიანი პიზი

იყო და აღარა იყო რა, ღმერთზე უკეთესი რაღა იქნებოდა, დროის ერთში იყო უშვილო მეფე. იგი, თუმცა მთელი ქვეყნის წამლობას მიმართა, მაგრამ ამაოდ.

ერთ მშვენიერ დღეს, შვილის შეძენის მიზნით, თავისი ცოლი-თურთ გაეშურა შორეულ აბანოში. ამ აბანოდან დაბრუნებისას

მეფეს შეხვდა უხუცესი, ვიცლა ბერი. ბერმა მიმართა მეფეს.

-ბედნიერო ხელმწიფევ, რა განუხებს, რომ ნაღველი დაგჩნია სახეზედაცო. მეფემ დაუმალა.

-მადლობა ღმერთს არაფერი არ მაკლიაო.

-ღმერთს ერთი შვილიც რომ მიეცა შენთვის, რაღას იზამდი სამადლოდო.

-ჩემი სიმდიდრის ნახევარს დავხარჯავდიო.

-მაშ, თუ ასეა, აი, თქვენ ერთი ვაშლი, საღამოს დაწოლისას ნახევარი შენ შეჭამე, ნახევარი კი შენს ცოლს აჭამე და შვილი გეყოლებათ, მხოლოდ სახელი მე დამარქმევინეო. შენგან სხვა არაფერი არ მინდა.

მეფემ პირობა მისცა. ვაშლი გამოართვა მეფემა და ბერი იქვე დაიკარგა. გაოცდენ მეფე და დედოფალი. სახლში დაბრუნებისას, გარიგების თანახმად, დაწოლაზე ადრე გათალეს ვაშლი და ნახევარი - მეფემ, ნახევარი კი დედოფალმა ჭამეს. გავიდა დრო - ცხრა დღე, ცხრა თვე, ცხრა საათიც და დაიბადა მშვენიერი შე-სახედავი ვაჟი. მეფე უკვე თავის თავს ქვეყნის უბედნიერესი მე-ფეთა შორის სთვლიდა.

ვაჟი კი იზრდებოდა ისე, როგორც შეშვენის მეფის შვილს. ვაჟი უკვე 15 წლისა გახდა ისე, რომ ჯერაც უსახელოდ დადის, რადგან მეფემ მოხუც ბერს პირობა მისცა, რომ სახელს, ბერი დაარქმევს. და, აი, უკვე 15 წელია ბერიც არა ჩანს, ბავშვიც უსახელოდ დაიარება. წუხდა მეფე, წუხდნენ ვეზირებიც, არანაკლებ წუხდა თვით ყანვილი, რომელიც ყველასაგან განირჩეოდა სილამაზე-სიკოხტაობით, მარა უსახელო იყო დღესაც.

ვეზირებმა აიყოლიეს მეფე, გაატეხინეს ფიცი და მოიწვიეს დარბაზი მეფის შვილის სახელის დასარქმევად. სახელის დარქმევასთან დაკავშირებული ლხინი გაგრძელდა გვიან ლამემდე. მოულოდნელად მეფის დარბაზში გაჩნდა ის ბერი, რომელმაც მეფეს ვაშლი მისცა და რომელსაც მეფემ პირობა მისცა, რომ სახელს შენ დაგარქმევინებო. ბერმა მოულოცა ქორნილი - ლხინი. საკმაო დროის მასლაათის შემდეგ ყველამ მიმართა ბერს, აბა სახელი თქვენ დაარქვითო.

მოიყვანეს მეფის შვილი. ჩააცვეს საკვირაო ტანთსაცმელი და ყმანვილი წარდგა ბერის წინაშე. ყველა დუმდა.

-ამ ყმანვილს ერქმევა ოქრო - გამოაცხადა ბერმა და მოპკიდა ქამარზე ხელი თუ არა, უჩინარი გახდენ ბერიცა და ყმაცვილიც.

მეფემ ოთხივე მხარეს კაცები გაგზავნა, დიდხანს ეძებეს, მაგრამ უშედეგოდ. დღესაც კი არ იციან, საით გაპერენ ბერი ან ბავშვი.

ბერმა ბავშვი ჩაიყვანა მიწის ქვეშა საკუთარ ქვეყანაში, სადაც სიუხვე და უკაცური იყო. ბერს თმაზე მუდამ ეკიდა ასი გასაღები ასი სახლისა.

ერთ დღეს შემთხვევით ბერს გასაღები სახლში დარჩენოდა, ამ ყმანვილმა ზოგი გასაღებით გააღო ზოგი სახლი და აღმოჩნდა, რომ ყოველი სახლი თავისთვის ცალკე სამოთხეს წარმოადგენდა. ერთში აღმოჩნდა ერთ-ერთი მეფის ასული, რომელიც ისეთავე მოტყუების წესით მოეყვანა ბერს. ამ ქალიშვილის ნაამბობიდან გამოირკვა, რომ ეს ბერი მუდამ თვის ბოლოს ასეთი წესით მოყვანილ ერთ ადამიანის შვილსა ჭამდა, და ძვლებს კი მეორმოცდაათე სახლში მყოფ ლომებსა და მგლებს აჭმევდა.

ეს ყმანვილი და ქალიშვილი ერთი მეორის ვინაობის გაცნობის შემდეგ ფიცი დასდეს და დაძმობილდენ.

დამ უთხრა ამას, აი ამ თვის ბოლოს რიგი ჩემია. მე უნდა შემჭამოს ბერმაო. შემდეგ კი შენი რიგი იქნებაო.

ამ ახალმა დაძმადნაფიცებმა გადაწყვიტეს, რომ მოხუცი ბერი მოეკლათ და ამ საიდუმლო ქვეყნიდან გადარჩენილიყვნენ. ასეც მოიქცნენ. ძმამ ბერი თავისივე ხმლით ორად დააპო ძილის დროს და დარჩენ დაძმანი თავისუფალი. დამ პირველი ოთახის გასაღები აიღო, გაუღო პირველი ოთახი და ძმას მისცა ორი თეთრი ბალანი. ამ ორ თეთრ ბალანს ერთჯერ თუ ჩამოჰკრავ ერთმანეთს, შენს წინ გამოჩნდება ტარტაროზი და გეტყვის მიბრძანდითო. რასაც უბრძანებ, იმას შეასრულებს. ორჯერ თუ ჩამოჰკრავ, შენს წინ გამოჩნდება ცხენი, რომლის უნაგირზევეა ჩამოკიდებული ხმალი, ხანჯალი და ტანისამოსიც. სამჯერ თუ ჩამოჰკრავ, გამოჩნდება ოქროსთმიანი ვერძი. თუ შეაჯდები და ინატრებ რაიმე ადგილს, იქ წაგიყვანსო. შეთანხმების შემდეგ ბალნები აიღო და

სამჯერ ჩამოჰკრა ერთმანეთს. გამოჩნდა ოქროს ვერძი, შეაჯდა და ინატრა მზიან ქვეყანაში წამიყვანეო! ვერძი დაიძრა, აფრინ-და და თვალის დახამხამებაზე მზიან ქვეყანაში აღმოჩნდენ. ვერ-ძი გამოუშვა. კაი ხანს იარა და მეცხვარეს შეხვდა. მისგან გაი-გო, თუ ეს რა ქვეყანაა. მეცხვარეს გაუცვალა თავისი ძვირფასი ტანთსაცმელი და ცოტათი სიარულის შემდეგ ვიცლა მებოსტნეს შეხვდა. ამ მებოსტნესთან კაიხელა საუბრის შემდეგ ყმანვილი დათანხმდა მებოსტნისათვის მოჯამაგირედ ემუშავნა. ეს მეფის-შვილი, ახლა მოჯამაგირემ, როდესაც ბერი მოპკლა უსინათლო ქვეყანაში, იქ ერთ-ერთ ოთახში ოქროს წყაროს წყალით იბანავა და მთელი მისი ტანი - კანი ოქროდ გადაიქცა. აქ მებოსტნესთან ამას მალავდა.

ერთხელ, როდესაც მდინარეში მარტო ბანაობდა, შემთხვე-ვით, მეფის უნცროსმა ქალიშვილმა ნახა იგი და იმდენად შეუყ-ვარდა, რომ კინალამ გადაირია სიყვარულით.

მეფეს სამი ქალიშვილი ჰყავდა. სამთავე გაუთხოვრები იყვ-ნენ. უნცროსმა დამ საიდუმლო თათბირი მოიწვია დებისა და გა-დასწყვიტეს მამისაგან გათხოვების ნებართვის აღება. ამისთვის მიმართეს შემდეგ ხერხს: იყიდეს სამი საზამთრო. პირველი ყვე-ლაზე დიდი მთლიანად დამპალი იყო. მეორე, საშუალო სიდიდი-სა, ნახევრად დამპალი იყო და მესამე, ყველაზე უნცროსი დრო-ულად მომწიფებული იყო. უფროს ვეზირს გაუზიარეს თავიანთი გულის ნადები და მისივე ხელით დაუგზავნეს მეფეს. უფროსმა ვეზირმა, მეფის წინაშე დაჩოქილმა, დააწყო სუფრაზე ეს საზამ-თროები და გადახედა მეფეს.

-რაშია საქმე, ვეზირო? რად დაგჭირდა დამპალი საზამთროს ჩემთან შემოტანა?

-ბედნიერო და დიდებულო მეფევ, თქვენმა ქალიშვილებმა გამოგიგზავნეს. ეს გამოცანა ყოფილა.

-მაშ, მომიწვევია დარბაზი. დე, ჩემი ქალიშვილების ბედის გა-დაწყვეტაში დარბაზმა ითათბიროსო.

მეფის ბრძანებისამებრ მოიწვიეს დარბაზი. უფროსმა ვეზირ-მა დარბაზის სამსჯელო საგნად გადააქცია ეს სამი საზამთრო:

დიდი - დამპალი, საშუალო - ნახევარდამპალი, პატარა - დროულად მოწიფული. ერთმა ვეზირმა შემდეგი დასკენა გამოიტანა:

-საზამთროები მეფის ქალიშვილებია. უფროსს დრო გასვლია ისე, რომ დამპალ საზამთროს ამსგავსებენ. საშუალო საზამთრო საშუალო ქალიშვილის მაჩვენებელია, ე.ი. ნახევრად დრო გასულია. და ბოლოს მესამე, მწიფე საზამთრო უნცროსი ქალიშვილის მაჩვენებელია. გამომდინარე აქედან, დიდებულმა და ბედნიერმა ხელმწიფებმთუ ინება, თუმცა დრო გასულია, მაგრამ ჯობს გვიან ვიდრე არასოდესო და მოვნახოთ სასიძოებიო.

ყველამ თანხმობა გამოუცხადა. ამათ დაეთანხმა მეფეც.

დალალებმა გამოაცხადეს: მეფე ქალიშვილებს ათხოვებს. ხვალ ყველა სრულწლოვანმა მამაკაცმა უნდა გაიაროს მეფის სასახლის ბალკონის ნინ, ქალიშვილებს ხელში ოქროს ბურთი აქვთ, ვისაც ქმრად მოისურვებს, მას ესვრის ოქროს ბურთსაო!

ამრიგითი არჩევით აირჩია ორმა უფროსმა ქალიშვილმა თავისი საქმრო. მესამემ კი ბევრი ეძება, მაგრამ არ მოვიდა ოქროს ბიჭი. უნცროსი ქალიშვილი კი დგას და არავის არ ირჩევს.

- ბედნიერო ქალბატონო ყველა მოქალაქემ გამოიარა. რას უცდი, რომ არ ირჩევ საქმროსაო?

- არა, კიდევ არის მამაკაცებიო.

ალმოჩნდა, რომ მებოსტნის “ქაჩალი” მოჯამაგირე დარჩენილიყო. ამანაც რომ გაიარა, მას ესროლა ოქროს ბურთი უნცროსმა ქალიშვილმა.

ამრიგად მებოსტნის “ქაჩალი” მოჯამაგირე გახდა მეფის უნცროსი სიძე. ეს ამბავი ქვეყანამ გაიგო. მეფის მტრებმა იხარეს, მეგობრები წუხდენ. მეფემ არც კი გაიკარა სასახლის ახლოს. მეფის ქალიშვილი კი სულიერად კმაყოფილი იყო, რადგან მისი ქმარი ოქროსტანისა იყო და მასში უსაზღვრო საიდუმლო იმდენი იყო, ცოლმა კი ჯერ საამისოდ არაფერი არ იცოდა.

“ქაჩალი” სიძე მეფის სასახლისაგან გარიყულად ცხოვრობდა. გავიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს მეფის თავს დაატყდა უბედურება. მეზობელმა მეფემ ომი გამოუცხადა. ომი უკვე ორ კვირას გრძელდებოდა, თანდათანობით მტერი სასახლეს უახ-

ლოვდებოდა, დიდებულები და მეფის სიძეები უკვე სასახლიდან გაქცეულიყვნენ ცოლშვილიანად. “ქაჩალი” სიძე კი შორიდან იც-ქირებოდა ამ სანახაობას.

“ქაჩალმა” ჯიბედან ამოილო ორი ბალანი ერთი მეორეს ორ-ჯერ გადაჰკრა - წამოუცვა და მასთან გაჩნდა ლურჯა ცხენი, შე-საფერი იარაღითა და ტანისამოსით. “ქაჩალი” ორ წუთში ლვთის რაინდად გადაიქცა და გასწია ფრონტისაკენ. დაეხმარა სიმამრის ჯარებსა და დაამარცხა მტრის ლაშქარი. მხოლოდ ერთი თი-თი დაზიანებული იყო მტრის ხმლითა. მეფემ, შორიდან მოთვალ-თვალების სამუალებით, ყველაფერი გაიგო ამ რაინდის წყალობის შესახებ და პირადათ შეხვდა მას. როცა შეამჩნია, რომ მას თითო ჰქონდა დაზიანებული და სისხლი სდიოდა, მეფემ თავისი აბრეშუმის პლატოკით - ხელმანდილით შეუხვია. ცოტათი სა-უბრის შემდეგ რაინდი უკვე აღარ იყო, მტერიც დამარცხებული იყო, მეფე კი ზეიმისათვის ემზადებოდა. გამარჯვების ამბავის გაგების შემდეგ დიდებულები გაქცევიდან დაბრუნდენ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ოქრო ბიჭი დაბრუნდა თავის ქოხში, ისევ ძველი ტანისამოსით. ცოლს კი ომის შესახებ არაფერი არ უთქვამს. სამეფოს ტე-რიტორიაში ხმა დადიოდა, რომ ვიცდა უცნობ რაინდს მოუგია ომი, თორემ სამეფო აღარ იქნებოდათ.

რამოდენიმე მშვიდობიანი წლების შემდეგ ბედნიერ მეფეს ავადმყოფობა დაჩინდა. ვერავინ ეხმარებოდა. ბოლოს ექიმებმა დაასკვნეს, რომ მეფე გაჯამრთელდებოდა, თუკი იგი ლომების რძით დაიბანდა ტანსა და ათ დღეს დილდილობით დალევდა ლო-მების რძესაო. ხსნა არსად იყო.

მეფის ორი დიდებული სიძენი თავ-თავიანთი ამალებით გას-წიეს მთებისა და ველებისაკენ, იქნებ ეშოვათ ლომის რძე.

“ქაჩალი” სიძემ გამოიძახა თავისი ლურჯა ცხენი ვერცხლის-ფერი ტანისამოსით და ხმალ - ხანჯალით. შეჯდა ლურჯაზე, მო-უარა მკერდი და ქვისლების წინ წადგა. ამათმა უამბეს თავიანთი გაჭირვება და ლომის რძის შოვნაში დახმარება სთხოვეს.

-მე შემიძლია ლომის რძის შოვნა, მხოლოდ სამაგიეროს გა-

დახდაზე თუ უარს არ იტყვით. უფროსი ქვისლები დათანხმდენ ყველაფერზე.

მაშ ასე, მიუხედავათ იმის, რომ თქვენ დიდებულები ყოფილ-სართ, მაგრამ სანამ ორთავენის საჯდომზე დალს არ დაგისვამთ, ისე ვერ მოგცემთ ლომის რძესაო. ქვისლები დათანხმდენ ამ “რაინდის” წინადადებასა და თვითო ჯერი დალი დაუსვა რაინდ-მა დიდებულთა საჯდომებზე. ოქროს ბიჭმა მოწველა გარეული თხები და გაატანა, აი, თქვენ ლომის რძეო.

გახარებული ქვისლების სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა, აღმოჩნდა, რომ ეს რძე გარეული თხებისა ყოფილა.

ოქრო ბიჭმა კი ჩავიდა უსინათლო ქვეყანაში. დობილს აცნობა, რომ მას ლომის რძე სჭიროდა, რომლიდანაც ათი ცივით სავ-სე მოწველეს, თავისი დობილიც თან წაიყვანა და წარდგა სიმამრი მეფის წინაშე თავისი რძითა და დობილით. ოქრო ბიჭმა ჯერ მეფეს აცნობა თავისი თავგადასავალი, ომის მოგებაც, უფროსი თავმომწონე ქვისლებისათვის დალი დასმა, რადგან ისინი თავი-ანთ თავს მაღლა იჭერდენ, და აი ჩემი დობილიც, რომელიც უსი-ნათლო ქვეყნიდან მომიყვანიაო. გახარებული მეფე უწამლოდ გაჯანმრთელდა. შვიდი დღე და ღამე ქეიფი გრძელდებოდა. და, ამრიგად, ბედნიერი მეფის ბედნიერი სიძე გამარჯვებული დარჩა ყველგან.

ლხინი აქა, ჭირი იქა,  
ქბილი აქა, ქატო იქა. ამინ!

ივანე - იონა ყულჯანიშვილი, 80 წლის კოლმეურნე,  
სკოლის დარაჯვი

სამი დანი

იყო და ალარა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, ერთ დროს იყო ბრძენი მეფე, რომელიც მონდომებული იყო თავისი ქვეყანა შეესწავლა ისე, რომ თავისი თვალებით ენახა ყველაფე-რი რაც იყო და რაც ხდებოდა ყოველგვარი სხვა პირების გად-მოუცემლად, სხვის ჩაურევლად. მეფემ გადაწყვიტა, ჯერ ქალა-ქი დაევლო ფეხით თავისი ვეზირებით, უმთავრესად ღამ-ღამე.

ასეც მოიქცა.

ქალაქის აღმოსავლეთით ერთსართულიან სახლიდან შუალა-მის 12 საათზე სინათლე გამოდიოდა. სახლის შუაში იდგა ლამ-პა. გარს ერტყა სამი მშვენიერი ქალიშვილი, რომელნიც წინდას ქსოვდენ. ესენი მეჯლანის ობლები იყვნენ. დიდხანს ილაპარაკეს, ილაზღანდარეს, და იტრაპახეს კიდევაც. უფროსმა დამ სთქვა: მე რომ მეფემ შემირთოს, ქსოვაში ვერავინ მაჯობებს, გავაკ-ვირვებ ქვეყანას. ისეთ ხალიჩას მოვქსოვ, რომ გაშლისას ზედ მოთავსდეს მეფის მთელი ასკარ<sup>75</sup> - ლაშქარიო და ნახევარი კი-დევ ცარიელი დარჩესო. საშუალო დამ იტრაპახა: მე რომ მეფის ცოლი გავხდე, ერთი ქვაბი საჭმლით მთელ მის ამალას გავაძლობ და ქვაბში საჭმელი მაინც ხელუხლებელი იყოსო. უნცროსმა დამ სთქვა: მეფე რომ ჩემი ქმარი იყოს, ისეთ შვილებს დავბადებ, რომ ოქროს ქოჩირიანები იყვნენო.

-ვეზირო გესმის? ჩაიწერე ამ სახლის მისამართი! რამდენი ხა-ნია ამ სინათლის გამო აქ მოსულიყო მეფე და თავისივე ყურებით ისმენდა ყოველ ნაამბობს დებისა.

დილა გათენდა. მეფე იჯდა სასახლეში, ტახტზე. ვეზირები გარს ერტყოდენ. კარებიდან შემოიყვანეს სამი ქალიშვილი.

-წუხანდელი შენი ლაპარაკი სასწაულმომქმედი ხალიჩის ქსო-ვის შესახებ მართალია? - ჰკითხა მეფემ.

-დიახ, ბედნიერო ხელმწიფევ, - უპასუხა უფროსმა დამ.

-შენი ერთი ქვაბით ქვეყნის ძღმაც მართალია?

-მართალია, ბრძენო, - უპასუხა საშუალი დამ.

-შენ რას იტყვი მშვენიერებავ?

-რაც გაგიგონიათ, მაგას ვერაფერს ვერ დავუმატებ, - გაწით-ლებით უპასუხა უნცროსმა დამ.

გამოცდების შედეგად უფროსმა დამ ხალიჩა ვერ მოქსოვა, ისე, რასაც ჰპირდებოდა. ვერც საშუალო დამ გააძლო ერთი ქვა-ბი საჭმელით მეფის მთელი ამალა. მეფემ უნცროსი და შეირთო, როგორც ყველაზე ლამაზი, ცხრა თვის შემდეგ დალოგინდა უნ-

75. ასკარ (თურქ.) - ჯარისკაცი

ცროსი და. ორი ტყუპი ბიჭი შეეძინა, რომლების თავებიც ოქრო-სანი იყვნენ.

რამდენი ხანია უფროსმა დებმა გადაწყვიტეს მოემზადები-ნათ ძალის ლეკვები და უნცროს დას ბავშვი შესძენდა თუ არა, გაეცვალათ ძალის ლეკვებში. ნამდვილი მეფის ბავშვები კი კი-დობანით გადაესროლათ მდინარეში.

შუალამე იყო. კუდიანმა დედაბერმა ამბავი მოუტანა უფროს დებს, რომ მეფის ცოლმა ოქროს ქოჩიანი ტყუპები შეიძინა, მაგრამ თქვენი დარიგების თანახმად შევცავლე ძალის ლეკვებ-შიო. უფროსი და ფიქრობდა, თუ შემდეგში რა ექნათ.

გავიდა ერთი კვირა და მეფე დაბრუნდა ნადირობიდან. უმალ-ვე ბრძანება გასცა ცოლის გაშვებისა და მისი ოთხი გზამავალი გზაჯვარედიზე სვეტზე დაებათ. აგრეთვე, ნაბრძანევი იყო, რომ ერთ აქედან გაივლიდა, დაეფურთხნა და ჩაექოლა ძალის ლეკვების შეძენისათვის თავისი ყოფილი ცოლი.

გაიმარჯვეს დებმა. უნცროს დას ოქროს შვილები, რომ ყო-ლოდა, უფროსები ხომ სამუდამოდ დამცირდებოდენ. ეხლა კი ისინი ხარობდენ და უნცროსი სამარცხვინო ბოძეა მიკრული სამუდამოდ.

საშუალო ხნის, მაღალი ტანის, შავი უშვილო მებადე დღესაც ადრეანად ჩასულიყო სათევზაოდ მდინარეზე. ბადის რამოდენი-მედ სროლის შემდეგ მიუახლოვდა ერთ ძენის ტირიფის ძირას. მოულოდნელად დაინახა ძენის ძირას, მორევში ტრიალებდა კი-დობანი. მეთევზემ კარგა ხნის წვალების შემდეგ ამოიღო ეს კი-დობანი, ფრთხილად გახსნა და რას ხედავს!! ოქროს ქოჩირა ორი ქორფა ბავშვი აღმოაჩინა. მებადურემ შეაჩერა თევზაობა. აღტა-ცებულმა კიდობნიანად მოირბინა ცოლთან. ამ დღის შემდეგ ამ მეთევზის სახლში თითქოს მუდმივი ქორწილი იყო. მეთევზე და მისი ცოლი უკვე მშობლები გახდენ. დაიწყეს ამ ბიჭების მზრუნ-ველობით აღზრდა. ყველას ეგონა, რომ ეს ბავშვები მართლაც მებადურის ლვიძლი შვილები იქვნენ. ეს საიდუმლოება მხოლოდ ცოლმა და ქმარმა იცოდა.

გადაიარა თექვსმეტმა წელმა. მეფე ჩვეულებრივად ნადი-

რობიდან ბრუნდებოდა. გზა მდინარის პირას გადიოდა, სადაც ჩრდილქვეშ იჯდა მოხუცი, ძველი მებადური და შვილების თევზაობას უყურებდა და ტკბებოდა მათი ყურებით. ყმანვილებს კი მარჯვედ ესწავლათ “მამის” ხელობა - მებადურობა. მეფემ შეამჩნია, რომ ეს ყმანვილები რაღაც არაჩვეულებრივი იყვნენ. ორთავეს თმები-ქოჩირები ოქროსავით ბრჭყვიალებდა. მეფემ ეს ყმანვილები და მათი მშობლები დაიბარა სასახლეში. გამოძიების შედეგად აღმოჩნდენ მეფის შვილები. მეფემ სამარცხვინო ბოძიდან გაანთავისუფლა ბავშვების დედა, სასტიკად დასაჯა ცოლის დები და კუდიანი დედაბერი. გამართა დიდი ნადიმი. მეფევზეც დიდალი სიმდიდრით დაასაჩუქრა. და დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

ქბილი აქა, ქატო იქა,  
ლხინი აქა, ჭირი იქა. ამინ!

მასწავლებელი ყადიმ ჰასანის ძე ბარათაშვილის  
ნაამბობი, რომელსაც ასეთნაირად უსწავლია  
მამამისი ჰასან ბარათაშვილისაგან.

### პედისწერა

იყო და აღარა იყო რა, ღვთის უკეთესი რაღა იქნებოდა, იყო ერთი მეფე, რომელიც ბედნიერად თვლიდა თავის თავს იმიტომ, რომ გადაჭარბებული მდიდარი იყო. მთელი ქვეყნის ვაჭრები და სოვდაგრები მას ბაჟს უხდიდენ, რადგან ყველა სავაჭრო ქალაქები მისი იყო და ყველა სავაჭრო გზები მის ტერიტორიაზე გადიოდა.

მის ხაზინებში ცარიელი ადგილი არ იყო დარჩენილი. ზოგი ხაზინა ოქროთი, ზოგი ბრილიანტითა, ზოგი ლალითა და სხვათი სავსე იყო. გარდა იმისა, რომ მან მთელი სამეფო მიიღო მამამისისგან, როგორც მემკვიდრემ, თვითონაც მრავალი ომი ანარმოა და კვლავ გამდიდრდა.

მრავალი სახელმწიფომას ემორჩილებოდა. მისგან თხოვდენ შველასაც და დახმარებასაც. მისი ეშინოდა დიდებულებსაც და

მდაბიოებსაც.

რამდენადაც მდიდარი, ბრძენი და ძლევამოსილი იყო, იმდენად უბედურად თვლიდა თავს, რადგან არ ჰყავდა საკუთარი მემკვიდრე. ჰყავდა მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც მეფედ არ მიიღებდა ხალხი სქესის გამო. ამიტომ მეფე დაინტერესდა თავისი ქალიშვილის ბეჭით.

ნაშუადლევი იყო. ქალაქში მიმავალ გზის პირას, ხიდის თავზე ჭალარა იჯდა, რომელიც სწერდა და ნაჭერ-ნაჭერ ქალალდებს მიმავალ მდინარეში ჰყრიდა. მგზავრები და ხალხიც თავთავიანთი საქმით იყვნენ გართული. ჭალარა კალმოსანთან შეჩერდა ორი გლეხურად ჩაცმულ მგზავრი, რომლებმაც მიესალმნენ და ჰკითხეს: რა სარგებელი გაქვს ამ ქალალდის ნაჭრების დაწერითა და მდინარეში ჩაგდებით.

- ბატონი დიდებული ხელმწიფევ. მე ვწერ ხალხის ბეჭებსა და ვუშვებ წყალში, შენ რომ მეფე ხარ, ეს ჩემი დაწერილია. ეს დიდებული რომ ვეზირობს - ისიც. აი, მდინარის გაღმა მეღორე რომაა, ისიცა და სხვა ყველ-ყველას ბეჭი ჩემი ხელით იწერება.

- რა იცით, თუ მე მეფე ვარ?

- ჩემთვის ნათელია, - მიუგო მოხუცმა.

- ალბათ ისიც გეცოდინება, თუ რა მიზნით დავდივარ? -

ჰკითხა მოგზაურმა.

- თქვენ მეფეთა მეფე ბრძანდებით, მემკვიდრედ ვაჟი არა გყავთ. ერთადერთი ქალიშვილი, რომლის ბეჭიც თქვენ ესეოდენ გაინტერესებთ, ეუზნის თქვენი ქალაქის მენახირის სახლად დაბადებულ ვაჟს.

მეფემ გაიგო მენახირის (მეჯოგის) მისამართი და დალამებისას ესტუმრა მას. მენახირემ გაუმასპინძლდა რითაც შეეძლო უცხო მგზავრებს. ვახშირის შემდეგ მგზავრმა ხანგრძლივი მოფერებით შეისყიდა მენახირისაგან მისი აკვანში მწოლიარე ვაჟი. მეორე დღეს, წასვლისას, თან წაიყვანეს მენახირის შვილიც. გზა ადიდებულ მდინარეზე გადიოდა. მეფემ ეს მომავალი სიძე მდინარის აზვირთებულ ტალღებს მიუგდო. თანაც სიცილი მიაყოლა ვიცლა უსაქმო ქარაფშუტა მოხუცის “ბეჭისწერას”. მეფე გახა-

რებული დაპრუნდა სასახლეში და განაგრძო მეფობა.

გადაირბინა ოცმა წელმა. მეფის ქალიშვილების მაჭანკლები ხშირდებიან. მეფე ყველას წუნობს, ნერვიულობს, რჩევას არავისგან არ თხოულობს. მეფე, თავისი მოხუცი ვეზირითურთ, ტან-გადაცმული გლეხის ფორმაში ისევ მიმართეს იმავე ბედის-მწერავ მოხუცს.

-მოხუცო, ჩემი ქალიშვილი ვის ერგება ეხლა?

- ისევ იმას, მერისქვილის შვილს.

მეფემ გაიგო მერისქვილის მისამართი. ესტუმრა მას. ხანგრძლივი საუპრის შემდეგ მეფეს სასიძო არ მოეწონა. შეეჯავრა და განიზრახა ეს ყმანვილი მოეკვლევინებია.

მეფემ თავის ცოლს წერილი მოსწერა და ამ ყმანვილს გაატანა. წერილში ეწერა: “ამ ქალალდის მომტანი დაუყოვნებლივ მოაკვლევინე.” ყმანვილმა კითხვა არ იცოდა. ჩაიდო წერილი ჯიბეში. ხანგრძლივი სიარულის შემდეგ მივიდა დანიშნულ ქალაქში, გზაზე დაქანცულმა ყმანვილმა ქალაქის ნაპირას ამწვანებულ ბალში შევიდა და დასასვენებლად წამოწვა მოლზე. ზედმეტი და-ქანცულობისა გამო წამოიძინა. ამ დროს მეფის ქალიშვილი ბალში სეირნობის დროს წააწყდა მძინარე ყმანვილს. ვინაობის გაგების მიზნით ჯიბეები გააჩხრეკინა და აღმოაჩინა, რომ მამამისი წერილს გზავნის დედამისს. საქმის შინაარსი წერილით გაიგო. მეფის ქალიშვილმა დახია მამამისის გამოგზავნილი წერილი და თვითონ დასწერა მამამისი სახელით, რომ “ამ წერილის მომტანს ჩემი ქალიშვილი მიეცი და სამ დღეში ქორწინება დაამთავრე ჩემს მოსვლამდე”. წერილი ჩაუდო მძინარეს ჯიბეში და წავიდა.

მერისქვილის შვილმა წერილი მიუტანა მეფის ცოლს. მეფის ცოლმა დაუყოვნებლივ გაუმართა ქორწილი. სამი დღის შემდეგ მეფე დაპრუნდა სასახლეში. მეფეს მიულოცეს ქალიშვილის გა-ბედნიერება.

მეფის გეგმა სასიძოს მოკვლა იყო. მისი გეგმის წინააღმდეგ ქორწილი კი დამთავრებულა. მეფემ გამოიძია საქმის ვითარება და დანებდა.

სიძეს გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ იგი შუაში არაა. მეფემ

მეწისქვილე დაიბარა და გამოიძია, რომ მეწისქვილემ, ოცი წლის  
წინეთ ეს ბიჭი წისქვილის რუში, ჩვრებში შეფუთული უნახავს.  
აღუზრდია ისე, რომ ყმაწვილს არც კი გაუგია, თუ ვისი შვილია.  
ბოლოს ვეზირმა და მეფემ დარწმუნდენ, რომ ახალ სიძე-ვაჟი -  
ეს მეწისქვილის შვილი კი არა, მენახირის შვილია, რომელიც ხუ-  
თი თვის ასაკში გადაუგდეს მდინარის აზვირთებულ ტალღებს.  
რამდენადაც შეეცადენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ, ვეღარა  
გახდენ რასა. ბედისწერამ გაიმარჯვა.

ქბილი აქა, ქატო იქა,  
ლხინი აქა, ტირილი იქა. ამინ!

იონა - ივანე ყულჯანიშვილი  
- ბუღარა, 80 წლის კოლმეურნე

\* \* \*

მენშევიკების ბატონობის პერიოდი - ეს ძმათა სისხლის ღვრის პერიოდი რომ იყო, ეს ხომ უდავოა.

1919 წლის იანვრის სუსხიანი ზამთარი იყო. უდის სამხრეთით მდებარე მაღლობებზე მყოფ აკოფებიდან შეუწყვეტელი სროლა სწარმოებდა თოფებისა, ტყვიამფრქვევებისა და სხვა სახის იარაღებისა. ღამის პირველ საათამდე განუწყვეტელი სროლა მატულობდა! უცპად მდგომარეობა შეიცვალა. მენშევიკებმა მოხსნეს პოზიცია, კავშირგაბმულობის საშუალებები სასწრაფოდ დაგრუზეს და მოსახლეობისაგან მალულად გარბოდენ ახალციხისკენ.

მენშევიკების წინააღმდეგ ისროდა ბანდა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო თურქი სამხედრო პირების მეთაურობით ფოცხოვისა და ქობლიანელი ბეგების მხარდაჭერით (ფოცხოვიდილვირში ხიმშიაშვილები, ქობლიანში, ბენარაში სარვალბეგი ხერხეულიძეების მსგავსები), სადაც შედიოდნენ კულაკები და ავაზაკები, როლებსაც არავითარი კეთილი ზრახვები არ ჰქონდათ.

აი, ასეთი ავაზაკებთან ბრძოლაში მენშევიკებმა ზურგი უჩვენეს. სოფელში შემოცვივდა ავაზაკთა ბრბო მაშინ, როდესაც უკვე მოსახლეობაც გაქცეული ან თავშეფარებული იყო საიმედო ადგილებში.

ასეთ არეულ დროს იორდანეს ჭალიაშვილის ოჯახმა ვერ მოახერხა ვერც გაქცევა სხვებთან ერთად ახალციხეში, ვერც თავი შეაფარა მეზობელ მუსლუმანებს, როგორც სხვებმა. უკვე სახლიდან გამოსვლა სიკვდილს ნიშნავდა. თუ სახლში დარჩებოდენ, ესეც სიკვდილით დამთავრდებოდა. მუხტასიმ ბერიძემ გაიგო მეზობლის გასაჭირი და შეიარაღებული დაუწყო ჭალიაშვილის ოჯახის დაცვა დღედაღამ. ასე გავიდა 10 დღე. ერთ ღამეს შეიარაღებულმა ავაზაკებმა ძალით მოინდომეს სახლში შემოჭრა, რისთვისაც მეზობლის გულისათვის მუხტასიმ ბერიძემ მოჰკლა ერთი თურქი ზემდეგი და ერთი ჯარისკაცი დაჭრა. სოფლის მხარდაჭერით მუხტოც და ჭალიაშვილის ოჯახიც უვნებლად გა-

დარჩენ. აი, ამ ამბების შემდეგ თურქების ხელმძღვანელობით შეგროვილ ამ ხროვასაც და თურქებსაც სძულდათ ჩვენი სოფ-ლის მუსლიუმანობა.

თითქმის ყოველ მუსლიუმანთა ოჯახში 3-5 სული თავს იფა-რავდა ჩვენ სახლში თავშესაფარად შემოსული იყო 15 სული, მათ შორის, ბაბუნაშვილი ივანე - 24-25 წლის იყო მაშინ. თურქების ცხენოსანთა რაზმის უფროსმა ჩემს სახლში როცა ნახა ეს მოყ-ვანილი ლამაზი ახალგაზრდა, ხელად მისი მოკვლა გადაწყვიტა. დედაჩემმა ათაძე გულანდარმა ჩემი თავი და ჩემი და მიუგვარა და სთხოვა, თუ ჩემს სახლში კაცის მოკვლა აუცილებელია, აი ჩე-მი ბავშვები, ესენი შემინირებია; ივანე ბაბუნაშვილი უნდა გვა-ჩუქოო. ხანგრძლივი მუდარითა და ბაბუაჩემის შევერცხლილი ხმლის ჩუქების შემდეგ, ეს მხეცი მშვიდობიანად გავიდა ჩვენი სახლიდან.

1921 წლის თებერვლის თვე იყო, როდესაც სოფ. წარპასთუბ-ნის მხრიდან ათასი ცხენოსანი დაუპატიუჟებლად გვესტუმრენ. ესენი იყვნენ ქემალისტები ქაზიმ ყარა ბექირ-ფაშას არმიის ნა-ნილი, რომელსაც ყარსის, არტაანის სომეხი მოსახლეობა და-უნდობლად მოსპო და სამუდამო ზიზლი დაიმსახურა ამიერკავ-კასიის მოსახლეობაში. ამ ცხენოსანთა ნაწილის პირადი შემად-გენლობის სულიერი დაცემა და მორალური გახრნნა იქამდე მიჩ-ვეულ იყო, რომ ძალმომრეობით მამაკაცებთანაც კი ინტიმური კავშირის დაჭერას არ ერიდებოდენ. აი ამ ჯალათების ხურჯინე-ბი სავსე იყო აწიოკებულ სომეხი მოსახლეობის განძეულებითა.

ყოველ ოჯახში ჩასახლებული იყო 3-5 სუვარი - ცხენოსანი. ვაი იმ დიასახლისს, ვინც გაბედავდა დაწუნებული საჭმლის მირ-თმევას ამ “ვაჟბატონებისათვის”. იჩივლებ? ვისთან? ქემალის-ტები მორალურად გადაგვარებული გზის მგზავრნი, ეს სული-ერი მახინჯები შესძულდა უდის მოსახლეობას. მათი ჩადენილი უთვალავი ბარბაროსობის აღწერაც კი ღრღნის ადამიანის გულ-სა და ღვიძლს. მაშინ 12 წლისა ვიყავი. მარტის თვის დასაწყისში წავიდნენ.

ჩვენ სოფელში ქართულად IV კლასის დამთავრების შემდეგ,

თანახმად მშობლების სურვილისა, არტაანში, სადაც დედიდან ბიძია ცხოვრობდა, წავედი სასწავლებლად თურქულ ენაზე, სა-დაც დავყავი 1923-1926 წლებში და ვისწავლე I-IV კლასებში.

არტაანის პანსიონში, სადაც 1924-1926 წლებში ვსწავლობდი, მასწავლებლები დაცინვით “გურჯი იღლის” მეძახოდენ.

1925 წელს, შემოდგომაზე, მოწაფეთა კომიტეტს ვირჩევდით. კომიტეტის შემადგენლობაში ასარჩევად ერთ-ერთმა მოწაფემ ჩემი თავიც დაასახელა. ამის გულისათვის სკოლის გამგემ ის მოწაფე გალანძლა .

“ხარის შვილო, ჩვენ ქართველების ბავშვების არჩევნებს ვახ-დენთ თუ თურქებისაო”, და იმ ოთახიდან მეც გამაგდო და ისიც ვინც დამისახელა.

ამ სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ არც კი დავბრუნდი არტაანის სკოლაში, მიუხედავათ იმისა, რომ სკოლის დასამთავ-რებლად დამრჩა მეხუთე კლასი (იქ დაწყებითი სკოლები ხუთ კლასიანია). მეხუთე კლასი მაშინ უდეშიც გახსნილი იყო და სწავ-ლა ქართულ ენაზე გავაგრძელე.

სასიამოვნო მოსახონარია 1926-1928 წლები, როცა ვსწავ-ლობდი ჩემსავე სოფელში, მშობლიურ წრეში. მაშინ გაიხსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. ისტორიის საგნის ნაცვლად, “საზოგადოებათ მეცნიერებას” ვსწავლობდით. ჩვენი მასწავლე-ბელი იყო პავლე ხუბუტია. ზრდილობისა და ყოფაქცევის ნიმუში იყო ეს ახალგაზრდა მასწავლებელი. 1926 წლის ოქტომბრის თვე იდგა. მაშინ სამი თვის ალკუ-ს წევრობის სტაჟი მქონდა.

ნინა ძიძიგური ეს მხნე, ახოვანი ბოლშევიკი ქალი სასწავლო ნაწილის გამგედ იყო კომუნისტურ უნივერსიტეტში. ის თავისი სიტყვებში და საუბრებში გვასწავლიდა, რომ “ჩვენ ვეკუთვნით ჯერ პარტიასა და შემდეგ საკუთარ თავს”-ო. ეს ადამიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ინტერნაციონალურ აღზრდას. მისივე ჩა-რევით შევირთე კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი, აბა-შის რაიონის სოფ. გულუხეთის მცხოვრები, ზინა საჩინოს ასუ-ლი გიგინეშვილი, რომელიც არამც თუ მარტო ცოლი, არამედ სულიერი მეგობარი შემექნა. მისი წაქეზებით 1937 წელს ქალაქ

ფოთში დავიწყე მასწავლებლობა და აგრეთვე შევედი უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორის ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1943 წლის ზაფხულში, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიას თავჯდომარეობის ქვეშ ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდა.

1937-1944 წლებში ქართველ ბავშვებთან სისტემატური მუშაობის წლებია. რამდენადაც დრო გადიოდა, იმდენად ჩემთვის გასაგები ხდებოდა თუ რას ნიშნავს ქართველობა. 1943-1944 წლებში საბოლოოდ შევიგრძენი, თუ ვინა ვარ მე.

საქართველოში ვულგარულად ყოველ მუსლიმანს “თათარს” ეძახიან. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ თათრებთან აბსოლუტური ურთიერთობა არა გვაქვს.

თურქები კი, ჩვეულებრივად, დაცინვით “გურჯი ოღლის” გვეძახიან. აზერბაიჯანელი? არც ისა.

მამით ბარათაშვილი, დედით ათაძე, ქართველი ვარ. ქართველი - შთამომავლობითაც, ზნე-ჩვეულობითაც, ყოფაქცევითაც, ენითაც, ტერიტორიალურადაც! სარწმუნოება საერთოდ არ საზღვრავს ეროვნებას, თუმცა ყოველგვარი ცრუმორნმუნეობა ჩემთვის მხოლოდ საძულველია.

არ მავიწყდება ბაბუაჩემის ისკანდარ ბარათაშვილის ანდერძი: “არავითარ პირობებში არ დაკარგოთ ჩვენი ეს ჩინებული გვარი - ბარათაშვილობა”.



ლატიფშაჲ ბარათაშვილი  
თბილისი, 1933 წ.



ლაშა ტიტოვის ბარათაშვილი.  
თბილისი, 1957 წ.



ლატიფშაჲ ბარათაშვილი.  
მინგეჩაური (ახლა მინგეჩევირი), 1978წ.



თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი, თბილისი, 1943 წ.  
პირველ (წინა) რიგის ცენტრში აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია,  
მეორე რიგში მარცხნიდან მესამე ლატიფშაჲ ბარათაშვილი.



მარცხნიდან მარჯნივ: გიორგი ზედგინიძე - მწერალი,  
ლატიფშაჲ ბარათაშვილი, შოთა ლომისაძე (დგას) - ისტორიკოსი,  
ალექსანდრე ცუცქირიძე - არქიტექტორი. თბილისი, 1964 წ.




ლატიფშავ ბარათაშვილის მამა მახსუდ ბარათაშვილი,  
1879-1964 წ.წ.

მინგეჩაური (ახლა მინგეჩევირი), 1963 წ.




ლატიფშაჲ ბარათაშვილის შვილები ბარათ და მარატ უდის მკვიდრი  
სულიკო გიგოლაშვილთან (შუაში) ერთად. უდე, 1988 წ.



ადიგენის რაიონის სოფ. უდედან იბრაჟიმ ჩილაშვილი,  
1898-1984 წ.წ.

უზბეკეთი, სირდარია, 1970 წ.



სოფ. უდე ახალციხის მაზრა.  
მესხი-კატოლიკე გლეხი მელიქონ (მექო) სტეფანის ძე  
გიგოლაშვილი.  
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი,  
კოლექცია №17-23/1.




სოფ. უდე ახალციხის მაზრა.  
მესხი-კატოლიკე გლეხი სტეფანე (ტეპკა) გზირიშვილი.  
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი,  
კოლექცია №17-23/3.



სოფ. უდე ახალციხის მაზრა.  
№ 17-23/4.

მესხი-კატოლიკე ქალი ელიზაბედ (საფეთა) მერაბიშვილი.  
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, კოლექ-  
ცია №17-23/4.



სამცხეს რუკა. შედგენილია ლ. ბარათაშვილის მიერ 1960 წ. მესახეთის გეგმითი მოსახლეობის აღწერის მიხედვით




ობოლაშვილების დარბაზის ტიპის სახლი. სოფ. უდე.



უდეს პანორამა




წარწერა ეკლესიის კედელზე: „უდეს არის კათოლიკები 2120 სული  
მაშენებელი ამ საყდრისა, მაჲმადიანები 520 სული. ორივ ტომით  
196 ქართველი: ღვთისმშობელო შენ გწირამთ ჩვენ შრომასა“




ჩილაშვილების გენეალოგია.  
შეადგინა VIII-ა კლასის მოწავეების მარგო ჩილაშვილის.  
ულე, 14.09.1944 წ.

ჩილდაშვილების გენეალოგიის უკან მხარი

<p style="text-align: center;">საქართველოს სსრ კულტურული და სპორტული ცენტრი</p> <p style="text-align: center;">საქართველოს კულტურული და სპორტული ცენტრი</p> <p style="text-align: center;">საქართველოს სსრ კულტურული და სპორტული ცენტრი</p> <p style="text-align: center;">საქართველოს სსრ კულტურული და სპორტული ცენტრი</p> <p style="text-align: center;">საქართველოს სსრ კულტურული და სპორტული ცენტრი</p>	
<p><b>გრული კიბურუბა ერთ ბესტამადიზ</b></p> <p>კიბურუბა ერთ ბესტამადიზ</p> <p>კიბურუბა ერთ ბესტამადიზ</p> <p>კიბურუბა ერთ ბესტამადიზ</p> <p>კიბურუბა ერთ ბესტამადიზ</p>	<p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p> <p>2</p>
<p>თემატიკური გამოსახულების სამუშაო</p>	
<p>თემატიკური გამოსახულების სამუშაო</p>	
<p>თემატიკური გამოსახულების სამუშაო</p>	




მაისურაძეების გენეალოგია.  
შეადგინა VIII-ბ კლასის მონაცემთ თინა მაისურაძემ.  
უდე, 1944 წ.



პეტრაშვილების გენეალოგია.  
 შეადგინა VIII-ბ კლასის მოწაფემ ისა მამუდის ძე პეტრაშვილმა.  
 უდე, 08.04.1944 წ.







ყულჯანიშვილების გენეალოგია.  
შეადგინა ი. ყულჯანიშვილმა.  
უდე, 10.04.1944 წ.

1840 թ. Զարդարութեա աշուղութեա պարսկաց Այլուբուրու  
ից Յիշեա գարզաւո քայլ հառեցաւ տաճառ քաջած  
իլ արև, ու առ առ այլ ուղղութեա ամուսնութեա չափուի,  
ու ամուսնու քայլ առ առ ամուսնութեա ամուսնու ամուսնութեա  
ամուսնու ընածառածութեա ամուսնու ամուսնու ամուսնութեա  
ամուսնութեա օվկինակա օգոստուն. ու ա սեպտ  
տին առաջանաւ պայմանակա ամուսնութեա պայմանակա  
տինաս սպասուուն այս պայմանակա նիւտ 36 ամիս-  
ամիս պայմանա „ ամուսնու օվկինակա գանցանութեա  
ամիսուն նույնուն. առողի պայման քառունգ չէ  
բարսուն չ նույնուն ամուսնու սպասուուն հայուն  
բարսուն ամուսնուն. պայման ամուսնու, ամուսնու  
ամիս ու սպասու սպասուն ամուսնու նույնուն պայման  
սպասութեա ու ամուսնու սպասու սպասութեա ու ամուսնու  
ամուսնու ամուսնու սպասութեա ու ամուսնու սպասութեա ու ամուսնու

Յունամագարե նամրոմու ելլոնանց



ନିନାମଦ୍ରେଶ୍ବର୍ଜୀ ନାଶରମିଳିସ କେଲନାର୍ଥିରେ




ცნობა სოფელი უდის ახალგაზრდობის სკოლის  
 დამთავრების შესახებ.  
 1929 წელი

# ადიგენის რაიონის სოფელ უდის სევამ-რუპა

## XX საუკუნის დასაწყისი

შედგენილია ლატიფშაჲ ბარათაშვილის მიერ 1963 წ. მახსოვრობით



## THE VILLAGE OF UDE. HISTORICAL AND ETHNOGRAPHIC DESCRIPTION

This book is a publication of one of Latifshah Baratashvili's manuscripts. He was a Georgian historian, who was exiled from Meskheti (southern Georgia) to Uzbekistan in 1944 by the Soviet regime. The book is written and published in Georgian. It gives a detailed description of his homeland village of Ude, one of the largest villages of Georgia. Author discusses a geographical location of the village, an everyday life of local residents, toponymy, ethnography, folklore, traditional medicine... In addition, some important historical events of the region are described. An overview of the main family names of the village, the origin of these family names, their transformation and the situation as of 1944 are described.

The book traces the identity of the inhabitants of the village of Ude. During the reign of the Ottoman Empire (XVI – XIX centuries), all residents - Orthodox Georgians, were forced to change their religion. Some of them became Catholics, others Muslims. Latifshah Baratashvili shows that, despite religious differences the population of Ude considers itself Georgians.

More of Latifshah Baratashvili's works regarding lifestyle, ceremonies, clothes and jewelry of Meskheti residents; descriptions of some historical periods of this region that had not been previously described by any other scholar are unique. They are a great value for Georgian historical science.

ლატიფშაჲ ბარათაშვილი იყო თავისი ქვეყნის, საქართველოს და მესხეთის პატრიოტი. დეპორტაციის მძიმე პირობების მიუხედავად აგრძელებდა თავის პროფესიულ მუშაობას მესხეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე.

“მესხებმა შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყონ  
ქართველობის აღორძინებას.”

ლატიფშაჲ ბარათაშვილი



გამომცემლობა “მწიგნობარი”

ISBN 978-9941- 485-56-5

თბილისი 2019